N1 500 7/I-13/I-2010 ფასი 1 ლარი

1168
2010

ალბ

რუსთავში, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარს კვერცხით აშენებენ

„ეს ვის ხელში ჩავვარდით?!“

ვინ გახდა ნიკა გილაურის მეორე ნახევარი

„მან ყურადღება თავისი მწვანე თვალებით მიიქცია“...

რაში ჩაიჭრნენ ჯაბა კილაძე და მარიამ ჯოლოგუა

გილოცავთ ქრისტესშობას!

ცნობილი ვეფხვები

„ჩვენი მოტყუება ძნელია“

ISSN 1987 - 8029

საუკეთესო საჩუქარი პატარებს!

ახალი

ოქროსფერ წიგნის მაგიაზიებში

თოვლის ბაბუს ერთი, ყველაზე ლამაზი და სანუკვარი - ახალი წლის ღამის ამბავი. ეს წიგნი თოვლის ბაბუს უამრავ საიდუმლოს ახდის ფარდას და ბავშვების უამრავ შეკითხვას პასუხი გაეცემა. წიგნი სავსეა თვალისმომჭრელი ილუსტრაციებით და სიურპრიზებით.

ფასი: 19.99

გამომცემლობა
პალიტრა

№1 (500)
7 — 13 იანვარი. 2010 წ.
ფასი 1 ლარი

კვირის პალიტრა
ეზო

ქვეყანა



პირველ იანვარს დაბადებული პირველი ნაბოლარა გოგონები

სამშობიაროს მოსაცდელში ლოდინისას შევიტყვე, რომ პატარა ელენეს, რომელიც პირველ იანვარს დაიბადა, 19 წლის ძმა ჰყოლია...

7

სახე

კობა ხაბაზის დიდძალი ქონება

„ იმ ასაკში აქტიურად ვიყავი ჩართული პოლიტიკაში და ასლან აბაშიძე პირდაპირ მთავაზობდა მაღალ თანამდებობებს, 100.000 დოლარს ქრთამის სახით და ა.შ. მაშინ არ მძლია ცდუნებამ და ახლა — მით უმეტეს“.

21

■ მინიატიურები 5
ხუთასჯერ ნაფიქრ-ნათქვამი
■ ჭრელი მსოფლიო 6
■ გვიმრავლოს! 7
პირველ იანვარს დაბადებული პირველი ნაბოლარა გოგონები
■ რეპორტაჟი 9
■ ტაძარი 11
უძველესი წესით აშენებული ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი
■ ტკივილი 13
■ ფესვები 15
■ გზაში 18
500 ნომერი და „ვაშლივით ჩაკბეჩილი დედამიწის“ გზა
■ ასტროპორტრეტები 21
ცნობილი ვეფხვები
■ დეკლარანტი 25
კობა ხაბაზის დიდძალი ქონება — ათასები მინუსებში, 200 სკა და საკუთარი სტანდარტით დალაგებული წიგნები
■ ოჯახი 27
■ აქცია 28
■ დებიუტი 29
■ ვარსკვლავები 30
■ საახალწლო ზღაპარი 31
ზღაპარი გელაზე და „სხვა სამყაროდან“ მოსულ კაცზე
■ კარიერა 33
„მეორე მხარე საკმაოდ დიდ თანხას მთავაზობდა, რომ კლიენტი „გამეყიდა“
■ სიტუაცია 35
■ თქვენთვის, ქალბატონებო! 37
სიყვარული, რომელიც სიცოცხლეზე მეტია

ცხოვრება

„მეორე მხარე საკმაოდ დიდ თანხას მთავაზობდა, რომ კლიენტი „გამეყიდა“

„ 16 წლის ვიყავი, აფხაზეთიდან რომ წამოვედით და ამ ასაკში ჩემთვის ეს ყველაფერი ძალიან დიდი ტრავმა იყო. მოულოდნელად დგება დღე, როდესაც ეჯახები პრობლემას, შიმშილს, არ გაქვს სახლი... “

31

ზღაპნიერები

სიმთვრალეში ჩადენილი „გმირობები“

ყველას გილოცავთ ახალ წელს! გამრავლდით, გაიხარეთ და მეც გამახარეთ ახალი და შინაარსიანი გზავნილებით. იმედი მაქვს, რომ ამ წელს ერთმანეთს აღარ დაჭამთ, დაწყნარდებით, დამშვიდდებით და სიამტკბილობაში გაატარებთ მომდევნო 12 თვეს (დანარჩენ თვეებზე მერე ვილაპარაკოთ).

83

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

■ გაღიმებული თემიდა 38

„ჟიგულით“ ქცეული „ვოლგა“, „გაუპატიურებული მოძალადე“ და სიბრიყვის წყალობით გამოჭერილი პოლიციელები

■ პობი 41

მიკი-მაუსის დედის ანუ ქალბატონ ჩაპლინას უჩვეულო კოლექცია

■ ეს სამყაროა 43
■ ავტო 45
■ ლეგენდა 47
■ დღესასწაული 48

ღვთაებრივი ყრმის პირველმხილველი მწყემსები, შობის ვარსკვლავი და „ალილო“

■ საკითხავი ქალებისათვის 50
■ ასპარეზი 52
■ ჯანმრთელობა 54
■ პროფესია 57

„ლახანკით“ ჩამოყვანილი პაციენტი და „მომყოლი“ მძღოლი ანუ ახალი წელი „სასწრაფოს“ ექიმებთან და მეტროს თანამშრომლებთან ერთად

■ ამპლუა 61

მცოცავი სანტები და ეჭვიანი ბავშვები — თოვლის ბაბუის და ფიფქიას საახალწლო თავგადასავლები

■ რაკურსი 63

„შენთან მინდა!“

■ წვეთი პოეზია 67
■ გულახდილი დღიური 68

მე — ფსიქოლოგი (გაგრძელება)

■ დოკუმენტური პროზა 71

შეხვედრები სტალინთან (გაგრძელება)

■ ქართული დეტექტივი 72

გოჩა მანველიძე. ძმები (გაგრძელება)

■ რომანი 76

სვეტა კვარცხელია. სევდის სურნელი (გაგრძელება)

■ მინირომანი 80
■ რეალური 82
■ გზავნილები 85

სიმთვრალეში ჩადენილი „გმირობები“

■ ყველა ერთისათვის 90

„სიყვარულმა ქალაქი და სოფელი არ იცის“

■ მობილი-ზაცია 92
■ მოზაიკა 97
■ გასართობი 98
■ ერუდიტი 100

ორაზროვანი შეკითხვები და საჩუქარი თოვლის ბაბუას

■ ასტროლოგია 102
■ პატარები გენიოსობენ 104
■ სკანვორდი 105
■ საფირმო კროსვორდი 106

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის ჰალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე

დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

სამყარო



მიკი-მაუსის დედის ანუ ქალბატონ ჩაპლინას უჩვეულო კოლექცია

ქალბატონ ლალის, თავისი საუცხოო კოლექციის, ჩარლი ჩაპლინისა და „დისნეის“ სიყვარულის გამო, ზოგი მიკი-მაუსის დედას, სხვები კი ქალბატონ ჩაპლინას ეძახიან.

41

ადამიანი

მცოცავი სანტები და ეჭვიანი ბავშვები

„ — თავდაპირველად, თოვლის ბაბუა საახალწლო ზეიმებზე ვიყავი ხოლმე. მერე შემომთავაზეს, რომ სანტა-კლაუსი — გამოძახებით ვყოფილიყავი“.

57

ბიბლუსი

ანამ მამაკაცს შეხედა და გაოცებული სახე მიიღო.

— კარგად ვარ, — მოჭრით უპასუხა, მისი მზერა კი სრულ გულგრილობას გამოხატავდა. თუმცა გული უცნაურად აუფორიაქდა...

— ვერ მიცანით? — როგორც ჩანს, მამაკაცი არ ელოდა, რომ ანა ვერ იცნობდა და ცოტა არ იყოს, თავი უხერხულად იგრძნო.

67

ტაიმ-აუტი

2010 წლის ასტროლოგიური პროგნოზი მისხეილ ცაგარელისგან

იანვარში კოლეგების თვალში თქვენი ავტორიტეტი გაიზრდება და ხელფასი მოგემატებათ. ნუ დაუპირისპირდებით კოლეგებს.

97

ხუთასჯერ ნათქერ-ნათქვამი...

შესავლის ნაცვლად **თავი მისკდება... აქაურ „ადესას“ არაფერი შვეულის — „შეძვრება“ თავში და აღარ გამოდის, სანამ ისევ აქაური „ჭაჭით“ არ „უწამლებ“... სხვაფრივ, ყველაფერი კარგადაა — არა ტელევიზორი, არა გაზეთი, არა ინტერნეტი!.. „გამოქვაბულში ხომ არ ხარ, შე უპატრონო?!“ — მკითხავს მავანი. რაც გინდათ, ის დაარქვით, მაგრამ ახლა რაიცენტრამდე ჩამოსვლას, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერის მოძებნასა და „პროვოკაციის ცხობას“, ნაღდად გამოქვაბულში ყოფნა მერჩივნა, მაგრამ „დღეს დიდი დღეა, დიდი!!!“ ახალი წელი?.. არა, ახალი წელი ადრეც მოდიოდა და კიდევაც მოვა..**

დიახ, დიდი დღეა, ჩემო მკითხველო — შენ ხელში ჟურნალ „გზის“ მე-500 ნომერი გიჭირავს და მეც, შენთან შეხვედრის წინ, ადრე კალამმომარჯვებულს და ახლა მონიტორს მიშტერებულს, მეხუთასედ მახსენდება ერის მამის სიტყვები: „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?!“

რუსეთთან რომ სამი დღით აღდგება ავიამიმოსვლა და „თუ ჭკვიანად ვიქნებით, წყალსაც რომ ჩაგვისხამენ“, იმით?

ბატონი ნეკრასოვი რომ „საქართველოს წლის ადამიანი“ გახდა და პატრიარქი რომ მესამე ადგილზე გავიდა, იმით?

ჩვენმა პრემიერ-მინისტრმა ცოლი რომ მოიყვანა და გაჩნდა შანსი, ცოტა დასერიოზულდეს, იმით? (არადა, ამ ბოლო დროს ნაადრევი ჭაღარა შეეპარა, ჯერ სად არის?! აწი ნახოს!..)

წლის ყველაზე ცუდად ჩაცმული პოლიტიკოსების სიის „საპრიზო სამეულში“ რომ ბრაუნი, სარკოზი და კიმ ჩენ ირი მოხვდნენ, „ზატო“ ჩვენს პრეზიდენტს ყოველდღე ახალ-ახალი მაგარი „დუტი კურტკები“ რომ აცვია, იმით?

ბათუმში „ბასტი-ბუბუ“ რომ მოეწყო და ხალხი ავტობუსებით ძალით(!) მიიყვანეს კონცერტზე დასასწრებად, იმით? (ნეტავ, ხოსე კარერასმა თუ იცის ეს ამბავი?)

ამერიკული „მშვიდობის ფონდის“ ყოველწლიური საანგარიშო დასკვნით, „არშემდგარი ქვეყნების“ რიგში სომალის გვერდით რომ ვართ და „საპატიო“ 33-ე ადგილს ვიკავებთ, იმით?

ოპოზიციაც ბოლომდე რომ „იფარჩაკეს“ თავს „პრაიმერში“ მონაწილეობითაც და მისი ბოიკოტითაც, იმით?

მოკლედ, ვერ მოგატყუებთ, — ვერაფერს მოგილოცავთ... სურვილით კი ბევრ რამეს გისურვებთ: „პახმელეიიდან“ მშვიდობიანად გამოსვლას, საშობაოდ — ისევ „შესვლას“, მერე ისევ გამოსვლას და ძველით ახალ წელს — ისევ „უკან შებრუნებას“, მერე კვლავ გამოსვლას და... ბოლოს შეიძლება, გავლოთდეთ, მაგრამ რა ვქნა — საახალწლო სურვილებშიც რეალისტი მინდა ვიყო და ამიტომ ვერ გეუბნებით:

აფხაზეთი და სამაჩაბლო დაგვებრუნებინოს; წესიერი არჩევნები ჩაგვეტარებინოს; საქართველოს ნაკრებს შესარჩევ ჯგუფში ბოლო ადგილი არ დაეკავებინოს; ხელისუფლება ჟურნალისტებს არ ურტყამდეს და ახალ წელს სასამართლო დარბაზებში არ ახვედრებდეს; პენსია და მინიმალური ხელფასი რეალური საარსებო მინიმუმის მესამედს მაინც შეადგენდეს; განათლების მინისტრად, სკოლაში ნამუშევარი თუ არა, ნამყოფი კაცი მაინც დაინიშნოს ხოლმე; პატრიარქისთვის დაბადების დღე პირველ რიგში, პრეზიდენტს მიელოცოს, იმის ნაცვლად, რომ 31 დეკემბრის შემდეგ „უგზო-უკვლოდ“ გაუჩინარდეს; შს მინისტრის მსგავსად, სხვა ჩინოსნებსაც ეპოვოთ თავიანთი ნამდვილი საქმე, „ვანოს შოუში“ თუ არა, სხვაგან მაინც... ამ ყველაფერს, ამირანივით, „გულში ვმღერი“ და გისურვებთ, მაგრამ ხმამაღლა ვერ ვამბობ, რადგან როგორც მოგახსენეთ, რეალისტი მინდა ვიყო და თან... ცოტა არ იყოს, მეშინია კიდეც, ამ ბოლო დროს, ეტყობა, სიბერე შემომეპარა...

ისე, სიბერეზე გამახსენდა: მე, ბოლოს და ბოლოს, პენსია არ მეკუთვნის? ან სადმე, რომელიმე კორპორაციაში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის „დარმავოიხელფასიანი“ ადგილი? ჩვენში ხომ ასეა — გზასაყარზე ჟურნალისტისთვის სამი მიმართულება არსებობს: ან დასახელებულ თანამდებობას იღებს „დამსახურებისთვის“, ან პოლიტიკაში მიდის, ან (თუ ბევრს ტლიკინებს) — კბილებში კასტეტი (სულ ცოტა, თვეში ერთხელ) და ნულოვანი პერსპექტივა... ეს რომ ასეა, ინგა გრიგოლიას საახალწლო ინტერვიუმაც დამარწმუნა: მორჩა ჩემი ჟურნალისტობა, დავასრულებ სწავლას ლონდონში, ჩამოვალ და პოლიტიკაში ვერთვებიო — ანუ: „იმედი-ლონდონი-პოლიტიკა“... ისე, ეს ლონდონში სწავლა რა ყოფილა! ჯვარი გვწერია და, „იმედის“ საშაბათკვირო სერიალში რომ შტერი ბიჭია, ისიც ხომ ლონდონში სწავლობდა და იმავე „მარშრუტით“ პოლიტიკაში რომ წავიდეს, ხომ დანიშნავენ მინისტრად?!

ჰო, პრეზიდენტის პრესმდივანი?! ისიც ხომ „იმედელია“?!

მოკლედ, წავედი მე ლეიბორისტებში!

P.S. **ზემოთ ნახსენებ „გზასაყარზე“ ერთი ანეკდოტი გამახსენდა; „წაიუწმაწურებს“, მაგრამ ზედგამოჭრილია და მაინც უნდა მოვყვე:**

ნაცარქექიას გზასაყარზე ლოდი დახვდა წარწერით: „მარჯვნივ წახვალ — მოგკლავენ, მარცხნივ წახვალ — გაგაუპატიურებენ“! ერთხელ გაუძლებს კაცი, თანაც საინტერესოც არისო, — „პროგრესულად იაზროვნა“ ნაცარქექიამ და წავიდა მარცხნივ. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, დევის სასახლეს მიადგა. დევმა პატივი სცა, აქეიფა, აგრიალა და ცალკე საძინებელშიც გაუშალა ლოგინი... ეს საგონებელში იყო ჩავარდნილი და ახლაღა მიხვდა: ალბათ, ღამე მიპირებს, მძინარესო, — და თვალი არ მოუხუჭავს. მალე დევის ხვრინვა მოესმა; ეცა კედელზე დაკიდებულ ხმალს და წაასხიპა თავი მასპინძელს! უცებ დევს ახალი თავი ამოუვიდა და ეუბნება: „გასვი, გაჭამე, გაქეიფე და დაგაძინე, შენ კი თავი წამაცალე, ხომ ხარ ახლა მოსა...ვი?!“ დანარჩენს ცენზურა ამოჭრის...

P.P.S. **ზემოთ ვიხუმრე, მაგრამ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, მართლა გილოცავთ!**

პროვოკატორი

2012 წლიდან მსოფლიოს ახალი კალენდარი ექნება

ამჟამინდელი გრიგორიანული კალენდარი, რომლითაც მსოფლიო XVI საუკუნიდან დროის მსვლელობას აღრიცხავს, 2012 წლიდან ახლით შეიცვლება, — ამ ინიციატივით კალენდრის მსოფლიო ასოციაცია გამოდის და დედამიწის მკვიდრთ დროის სრულიად განსხვავებულ ათვლას სთავაზობს: ახალი კალენდარი 365-დღიანი იქნება, იმ წელიწადს კი, რომელიც კვირით დაიწყება, ერთით ზედმეტი შაბათი ექნება. ზუსტად ასეთი, კვირით დაწყებული წელიწადი იქნება 2012 წელიც. გაეროში ამჟამად ექსპერტიზას გადის კიდევ ერთი — ე.წ. სიმეტრიული კალენდარი, რომლის მიხედვითაც ყოველი ახალი თვე იწყება ორშაბათს. თებერვლის, მაისის, აგვისტოსა და ნოემბრის თვეებში 35 დღე იქნება, ყველა სხვა თვეში კი — 28. ამ კალენდრის მინუსად მიიჩნევა ის ფაქტი, რომ 28-დღიანი თვეების შემოღებისას ადამიანების უმრავლესობა დაბადების დღის თარიღს დაკარგავს. ■

ვატიკანმა 105 საიდუმლო დოკუმენტი საჯარო გახადა

ვატიკანმა თავისი არქივიდან 105 დოკუმენტს გრიფი „საიდუმლო“ ახსნა და ისინი წიგნის სახით გამოსცა. წიგნში შესულ დოკუმენტთა შორის გახლავთ მიქელანჯელოს საჩივარიც, რომელშიც იგი წმინდა პეტრეს ტაძრის მოხატვისთვის შეპირებულ ჰონორარს მოითხოვს. უნიკალურ მასალათა შორის გამოქვეყნებულია ჩინგის-ყაენის შვილიშვილის წერილი, რომელიც 1246 წლით არის დათარიღებული. წერილში ის რომის პაპს ყველა ევროპელი მეფის მონღოლეთში ჩაყვანას და დიდი ყაენისთვის თაყვანისცემას სთავაზობს. ვატიკანი არქივებს პერიოდულად ხსნის და მნიშვნელოვან დოკუმენტებსა თუ გამოკვლევებს საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომს ხდის. ■

ფლორიდაში ტყუპი სხვადასხვა წელს დაიბადა

ახალი წლის ღამეს, ფლორიდის შტატში, რამდენიმეწუთიანი სხვაობით დაიბადა ტყუპი, რომელთაც დაბადების დღის აღნიშვნა სხვადასხვა დღეს მოუწევთ. მარგარიტ ველასკოს პირველი ბიჭი 31 დეკემბრის ღამეს, 2009 წლის ბოლო წუთებში გაჩნდა, მეორე ტყუპისცალი კი 2010 წლის დადგომისთანავე დაიბადა. ექიმებმა მშობლებს შესთავაზეს, ორივესთვის ერთ-ერთი ბავშვის დაბადების თარიღი აერჩიათ, მაგრამ მშობლებმა გადაწყვიტეს, თითოეულს საკუთარი „დაბადების დღე“ აჩუქონ. „მართალია, ეს ორმაგ დანახარჯს ნიშნავს, მაგრამ ამავე დროს, ორმაგი მხიარულებაცაა“, — აღნიშნა ახალშობილი ბიჭების მამამ. დაბადების მოწმობაში ერთ ტყუპისცალს 2009 წლის 31 დეკემბერი ჩაუწერეს, მეორეს — 2010 წლის 1-ელი იანვარი. ■

ნიკა გილაური ყოფილ მოდელზე დაქორწინდა

პრემიერის რჩეული „მის საქართველო 2004“-ის მონაწილე, 25 წლის მაიკო შამუგია გახდა, რომელიც მაშინ ფინალურ ათეულში ვერ მოხვდა. ყოფილ მოდელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული და ცნობილია მისი ჰობიც — ავტორბოლა.

ჩვენ დავუკავშირდით ფოტოხელოვან **ირმა შარიძაძეს,** რომელიც 2004 წელს სააგენტო „იმიჯ ცენტრის“ მიერ მოწყობილ კონკურსში — „მის საქართველო“ ჟიურის ერთ-ერთი წევრი გახლდათ:

— მაიკოს ახლოს არ ვიცნობ, მაგრამ წლების წინ, როგორც კონკურსის ჟიურის წევრს, თავი ულამაზეს გოგონად დამამახსოვრა. რაც მთავარია, განსაკუთრებულად თვალში საცემი მისი მწვანე თვალები იყო...



ნიკა გილაურის სავარაუდო ქორწინების შესახებ ინფორმაცია რამდენიმე თვის წინაც გავრცელდა, მაგრამ მაშინ პრემიერის ინტერესის ობიექტად მომღერალი სოფო ნიჟარაძე დასახელდა. ჯერჯერობით უცნობია, როდის აპირებს დაოჯახებული პრემიერი საქორწინო მოგზაურობაში წასვლას, მაგრამ ცნობილია, რომ იგი 19-21 იანვარს ოფიციალური ვიზიტით ეგვიპტეში გაემგზავრება, სადაც ეგვიპტურ-ქართული ბიზნესფორუმია დაგეგმილი.

საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, ფორუმში, რომელზეც ეგვიპტური მხარე საქართველოში არსებულ ვითარებასა და საინვესტიციო პოტენციალს გაეცნობა, ქართველი ბიზნესმენებიც მიიღებენ მონაწილეობას. ■

ქვეყანა

პირველ იანვარს დაბადებული პირველი ნაბოლარა გოგონები

როცა მთელ ქალაქში საახალწლო განწყობილება გამეფებულა და ახალი წლის დადგომას სულ რამდენიმე საათი უკლია, ალბათ ყველას სურს, თბილ სახლში საახალწლო სუფრას მიუჯდეს, მაგრამ ყოველთვის ისე როდი ხდება, როგორც გვინდა... პატარებისათვის, რომელთაც ამქვეყნად მოვლინების ბედნიერი წუთი დაუდგათ, სულაც არა აქვს მნიშვნელობა, ეს წუთი ახალწლის ღამეს ემთხვევა თუ სხვა დროს...

მათ შორის, ვინც პირველ იანვარს მშობლებს ასეთი „ორიგინალური“ ხერხით მიულოცა 2010 წლის შემობრძანება, ორი გოგონაცაა, რომელნიც იმ დღესვე გავიცანი.

ელენე გასილიძე

ალბათ დამეთანხმებით, რომ არც ისე ადვილია სამშობიაროში შეღწევა, მაგრამ როდესაც ხელმძღვანელობას ავუხსენი, რომ ახალი წლის მახარობელი პატარა არსებების დედიკოებთან გასაუბრება ჟურნალისთვის მასალის მოსამზადებლად მჭირდებოდა, ჩაჩავას სახელობისა და II სამშობიაროს მესვეურებს უარი აღარ უთქვამთ და სიხარულითაც კი დამრთეს ნება.

სამშობიაროს მოსაცდელში ლოდინისას შევიტყვე, რომ პატარა ელენეს, რომელიც პირველ იანვარს დაიბადა, 19 წლის ძმა ჰყოლია...

თამარ ჭანტურია:

— პირველ იანვარს გამთენიისას, დაახლოებით 4 საათი იქნებოდა, მუცელი რომ ამტკივდა. ვიფიქრე, დილამდე მოვითმენ-მეთქი და 10 საათი იქნებოდა, სამშობიაროში რომ მოვედი... დაახლოებით საათ-ნახევარია, რაც პატარა ელენე მოევლინა ქვეყანას, 49 სმ სიმაღლისა და 3 კგ წონისაა... ჩემი პირველი შვილი, ლუკა უკვე 19 წლისაა და როდესაც გაიგო, რომ პატარა დაიკო ეყოლებოდა, ძალიან გაუხარდა. ახლა გუდაურშია წასული; წეღან დამირეკა გახარებულმა, ჭკუაზე არ იყო (*იცინის*)... შვილებს შორის 19-წლიანი სხვაობა, რა თქმა უნდა, ცოტა არ არის, მაგრამ ასე მოხდა. ალბათ ლუკა მამასავით ეყოლება ელენეს და ცივ ნიავს არ მიაკარებს.

— სანამ თქვენთან შემოვიდოდი, თქვენი ექიმი შემხვდა და მითხრა, რომ პირველ შვილზე მას უმშობიარებიხართ...

— კი, ასეთი დამთხვევა მოხდა. პირველად 18 წლის ვიყავი, ქალბატონ დოდო სიგუასთან რომ მოვედი და მამშობიარა... მეორე ორსულობა ცოტა პრობლემური მქონდა; როდესაც კონსულტაციაზე სამშობიაროში მოვედი, აქ ქალბატონი დოდო დამხვდა და ძალიან გამიხარდა, 19 წლის შემდეგ ისევ მისი პაციენტი რომ აღმოვჩნდი. სხვათა შორის, ელენე ნაადრევად გაჩნდა, წესით, 3 კვირის შემდეგ უნდა დაბადებულიყო. 23 იანვარს ჩემი უფროსი შვილის დაბადების დღეა და ელენიკოსაც 23-ისთვის ველოდებოდით, მაგრამ პაწაწუნამ სიურპრიზი მოუწყო ჩემს მამამთილს, რომელსაც პირველ იანვარს აქვს დაბადების დღე.

— კიდევ თუ აპირებთ შვილის ყოლას?

— ვაიმე, ნამდვილად არ ვიცი... როგორც უფალი ინებებს, ისე იქნება. ყველა დამეთანხმება, რომ ძალიან დიდი ბედნიერებაა პატარა სიცოცხლის დაბადება. ელენე ძალიან წყნარია, ეტყობა, ახლა შია და ძუძუს ეძებს. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს პირველად ვიმშობიარე, საერთოდ აღარ მახსოვს, როგორ ვზრდიდი ლუკას (*იცინის*). მინდა, რომ ჩემი გოგონა ჯანმრთელი და ჭკვიანი გაიზარდოს, რაც მთავარია, ღამე არ იჭირვეულოს და დაგვაძინოს ხოლმე (*იღიმება*). ელენიკო ხომ 2010 წელს დაბადებული ერთ-ერთი პირველი პატარაა და დარწმუნებული ვარ, ფეხბედნიერი იქნება. საქართველოს გამრავლება სჭირდება და იმედი მაქვს, წელს შობადობაც მოიმატებს... მინდა, მთელ საქართველოს ახალი წელი მივულოცო, ბედნიერება, მშვიდობა და უფლის წყალობა არ მოჰკლებოდეს ჩვენს ერს!

სამშობიარო ბლოკიდან გამოსულს, დარბაზში ქალბატონი თამარის მეუღლე და ნათესავები დამხვდნენ, რომელთაც ახალდაბადებული გოგონა ჯერ არ ენახათ. მათ ფოტოებით გავაცანი ოჯახის ახალი წევრი და II სამშობიაროსკენ გავემართე.

როდესაც ქალბატონ ლარისას ვუთხ-

41 წლის ასაკში ბავშვზე ფიქრი ცოტა ნაგვიანევია, მაგრამ დავორსულდი...

ჩემი პირველი შვილი, ლუკა უკვე 19 წლისაა

არი, რომ ჟურნალისტი ვარ და ინტერვიუს ჩაწერა მინდა, იუარა: რას ამბობთ, პატარა გოგონა კი აღარ ვარ, 4 შვილისა და 2 შვილიშვილის პატრონი ვარ, კიდევ ჟურნალში გამოჩენა მინდაო?!. აბა, ასეთ საინტერესო რესპონდენტს ხელიდან როგორ გავუშვებდი?!.

ლარისა ქოჰილაშვილი:

— ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, როცა გავთხოვდი. მეუღლეს სიყვარულით გავყევი და 16 წლისამ პირველად ვიმშობიარე. სამწუხაროდ, პირველი შვილი გარდაგვეცვალა და მაშინ დავიფიცე, რომ რამდენჯერაც უნდა დავორსულებულიყავი, აბორტს არასოდეს გავიკეთებდი... დღეს 2 გოგონა და 2 ვაჟი მყავს — 22, 20, 18 და 16 წლისანი არიან; გარდა ამისა, წლინახევრის 2 შვილიშვილი მყავს. სიმართლე გითხრათ, კიდევ ერთი შვილის გაჩენას ნამდვილად, არ ვაპირებდი: 41 წლის ასაკში ბავშვზე ფიქრი ცოტა ნაგვიანევია, მაგრამ დავორსულდი... ძალიან ვნერვიულობდი: ქართული მენტალიტეტის ამბავი ხომ იცით — მეშინოდა, რას იტყოდა ხალხი, როდესაც შვილიშვილების პატრონი ქალი ბავშვს გავაჩენდი... დარწმუნებული ვარ, ჩემს ამბავს რომ გაიგებენ, ბევრი შეიცხადებს, — რაღა დროს მისი შვილი იყოო?! გული მწყდება, რომ ხალხს ამ საკითხთან დაკავშირებით, ცუდი სტერეოტიპი ჩამოუყალიბდა. ჯანღონით სავსე ქალი ვარ, შვილიშვილები რომ შეიძინა, სულ აქეთ-იქით დავრბოდი, შვილებს პატარების აღზრდაში ვეხმარებოდი. 24 წლისას უკვე 4 შვილი მყავდა... დღეს მივიჩნევ, რომ ახალგაზრდა მაინც ვერ აცნობიერებ ბავშვის როლს... თათია დაღვინებული სიყვარულის ნაყოფია (*ილიმება*).

— მეუღლე როგორ შეხვდა ამ ამბავს?

— მხარში ამომიდგა, გაუხარდა; ამავე დროს, ძალიან ნერვიულობდა, ეშინოდა, რომ რაიმე გართულება მოჰყვებოდა ჩემს ასაკში მშობიარობას. მაგრამ უფალმა მოწყალე თვალით გადმოგვხედა და ყველაფერი კარგად დასრულდა. ორსულობის პერიოდში მეუღლე უფრო მზრუნველი გახდა. იცის, რომ თოვლი ძალიან მიყვარს და რამდენიმე დღის წინ გუდაურში წამიყვანა. იქ შემთხვევით, თოვლში ფეხი დამიცდა და მუხლებზე დავეცი. ჩემს ქმარს ისე შეეშინდა, ნახევარი საათი მეკითხებოდა, — რამე ხომ არ იტკინე? წელი ხომ არ გტკივა? ხომ არ გჭირდება რამეო (*ციინის*)?!. თათიას თებერვლის პირველ რიცხვებში ველოდებოდით, მაგრამ რატომღაც, აღარ მოიცადა. ღამით მუცელი რომ ამტკივდა, მაშინვე სამშობიაროში წამოვედით, ვიფიქრე, ექიმს გავესინჯები, ალბათ ცრუგანგაშია-მეთქი... ზუსტად 12 საათი იყო, სამშობიაროში რომ შემოვედით. გარეთ საახალწლო ბათქაბუთქით ქვეყანა ინგრეოდა და ჩემი გეგმა, ექიმს გავესინჯები და მაშინვე სახლში დავბრუნდები-მეთქი, სამშობიარო ბლოკში შეყვანისთანავე ჩაიფუშა (*ციინის*).

— ალბათ თქვენს შვილებს ძალიან გაუხარდათ, როდესაც გაიგეს, რომ კიდევ ერთი დედმამიშვილი უნდა შესძენოდათ...

— ჩემი პატარა შვილიშვილიც გრძნობდა უკვე, რომ პატარა უნდა მყოლოდა და, — ბებო, გოგოო, — ამბობდა ხოლმე, რაც მის ენაზე ალბათ, ბებოს გოგო უნდა ეყოლოსო, ნიშნავს (*ციინის*). პირველი ბიჭი 22 წლისაა, თავად უკვე შვილი ჰყავს და სიგიჟემდე უხარია პატარა დაიკოს დაბადება. დღეს შვილები მოვიდნენ ჩემთან, მისაღებიდან წერილი გამომიგზავნეს, მილოცავდნენ (*ციინის*)... თათიასაც მათ შეურჩიეს სახელი: ჩემს გოგონებს თამთა და თეონა ჰქვიათ და პატარას თათიას დავუძახებთო, — თქვეს.

— ხომ არ ჭირვეულობს პატარა თათია?

— ძალიან წყნარია, იშვიათად ტირის, ჯერჯერობით არ გვაბრაზებს (*ილიმება*)... დღეიდან პირველი იანვარი განსაკუთრებული დღე იქნება ჩვენი ოჯახისათვის. ყველას ვუსურვებ, რომ ამ დღეს ჩაფიქრებული ყოველთვის ასრულებოდეს! ყველა პატარას ბედნიერებასა და ჯანმრთელობას ვუსურვებ, ბედნიერ საქართველოში ეცხოვროთ!

რეპორტაჟი

მდიდარი ფანტაზიის მქონე ქართველები და „ცოლების ღალატის წელი“

მიუხედავად ქვეყანაში არსებული უამრავი პრობლემისა, ქართველები ახალ წელს, როგორც სასურველ დღესასწაულს, ისე ეგებებიან. როგორი ფინანსური კრიზისიც უნდა იყოს, თითოეული ჩვენგანი საახალწლოდ ფულს მაინც შოულობს და სუფრას არც ერთი საჭირო „ატრიბუტი“ არ აკლია. უფრო მეტიც — ბევრი ამ დროს, სამოსისა და საოჯახო ნივთების შეძენასაც ახერხებს. 31 დეკემბერს ჩემი ოჯახის წევრებისთვის საჩუქრების საყიდლად გავეშურე და ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი...

ნათია ჟივიძე

ტანსაცმლის მაღაზიაში ჯერ გასახდელის რიგში ვიდექი ნახევარი საათი, მერე კი სალაროსთან გადავინაცვლე და დაახლოებით ამდენივე დრო იქ გავატარე. სათამაშოების მაღაზიაში კი უარესი ამბავი დამხვდა: ფართობის სივიწროვის გამო, ვიტრინასთან „ჩახუტება“ 20 წუთით მაინც მომიხდა, მერე, როგორც იქნა, საშუალება მომეცა, ჩემთვის სასურველი სათამაშო შემეძინა. საჩუქრების მაღაზიაში კი საერთოდ ვერ შევედი: ქუჩაშივე უშველებელი რიგი იდგა, მაღაზიის კართან მდგომი დაცვის წევრები კი შიგნით მხოლოდ თითო კაცს უშვებდნენ, იმ მიზეზით, — შიგ ბევრი ხალხია და რაიმე რომ მოგვპარონ, ვერ შევამჩნევთო.

მოკლედ, როგორც იქნა, დაღამდა და ახალი წლის მობრძანებაც ყველამ ჩვენებურად აღვნიშნეთ. პირადად მე, ტრადიციისამებრ, ამ დღესასწაულს ყოველთვის შინ, ოჯახის წევრებთან ერთად ვზეიმობ, ტრადიციისთვის არც ამჯერად მიღალატია. მეორე დღეს კი ჩემს მშობლებს ვსტუმრობდი.

რა თქმა უნდა, ქუჩაში კანტიკუნტად თუ გაივლიდა ვინმე. გადავწყვიტე, რამდენიმე გამვლელი გამეჩერებინა და გამეგო, თუ სად და როგორ შეხვდნენ ახალ წელს.

ჩემი პირველი რესპონდენტები ახალგაზრდა ქალი და ვაჟი იყვნენ, რომლებიც მანქანიდან სიცილ-კისკისით გადმოვიდნენ და შენობაში შესვლას აპირებდნენ. შევაჩერე და ახალი წელი მივულოცე. პასუხი ლამაზმა ქალიშვილმა გამცა:

— ახალდაქორწინებულები ვართ და წელს პირველი ერთობლივი ახალი წელი გვქონდა. 12 საათს შინ შევხვდით, მაგრამ მარტოებს რა გაგვაჩერებდა?! გადავწყვიტეთ, ბაკურიანში წავსულიყავით. მიუხედავად იმისა, რომ ლექსო ნასვამი იყო, მე კი ორსულად ვარ და ჩემთვის ამხელა გზაზე მგზავრობა რეკომენდებული არ არის, ქმარს მხარი მაინც ავუბი და პირველი საათი ხდებოდა, შინიდან რომ გავედით. თან, ლექსოს რამდენიმე მეგობარ ბიჭსაც გავუარეთ და ბაკურიანისკენ დავიძარით. ვინმეს რომ ეკითხა, იქ რატომ მივდიოდით, პასუხს ვერ გავცემდით. ბიჭები გზაშიც არ იკლებდნენ სასმელს. უამრავჯერ გავჩერდით და შამპანური და არაყი დალიეს. დილის 7 საათზე შევედით ბაკურიანში. ცენტრში გავაჩერეთ მანქანა. ბიჭებმა კიდევ რამდენიმე ჭიქა დალიეს და უკან წამოვედით. რისთვის გავიარეთ ამხელა მანძილი, ვერ გეტყვით. ჩემი მაზლი ბაკურიანში შეხვდა ახალ წელს და მისთვისაც კი არ დაგვირეკავს. ჩემს მეუღლეს რომ შევახსენე, ბესოს დავურეკოთ და შევხვდეთ-მეთქი, — ისეთი მთვრალი ვარო, მიპასუხა: — აღარც კი მახსოვს, ძმა თუ მყავსო. აი, ასეთი საახალწლო მოგზაურობა გვქონდა. კიდევ კარგი, პატრულმა არ გაგვაჩერა სადმე, თორემ მანქანას ხომ ჩამოგვართმევდნენ. ამწუთას დავბრუნდით და ერთი სული მაქვს, შინ როდის შევალ, რომ დავწვე და დავიძინო. ასეთი ორიგინალური ახალი წელი ჯერ არ მქონია. ყველას გილოცავთ!

გზა განვაგრძე და წინ ახალგაზრდა გოგო-ბიჭების ჯგუფი შემხვდა. ახალი წელი მივულოცე და ვკითხე, სად შეხვდნენ დღესასწაულს? მათ მაღალი ბიჭი გამოეყო და გამეცნო:

— მე რამაზ სირბილაშვილი ვარ. თქვენ ვინ ბრძანდებით?

— **მე ნათია ჟივიძე ვარ. ახალი წელი როგორ აღნიშნეთ?**

— იმის გამო, რომ წელს „ცოლების ღალატის წელია“, ახალ წელს ოჯახის წევრებთან ერთად შევხვდი, მერე კი მთელი ღამის განმავლობაში უამრავი ადგილი მოვიარე. ბოლოს ერთ-ერთ ღამის კლუბში შევედი და დილამდე „ვთუხთუხებდი“.

— **„ცოლების ღალატის წელი“ რატომ არის?**

— „დედიკო — აკვანთან, მამიკო — სხვა ქალთან“, — არ გაგიგონია?

— **პირველად მესმის. ცოლი გყავს?**

— არა და წელს არც მოვიყვან, რადგან „ცოლების ღალატის წელია“ და ცოდვაა — სულ ხომ არ ვუღალატებ!.. აი, შენ ბეჭედი გიკეთია, ე.ი. გათხოვილი ხარ; ჰოდა, „დაგერხა“ — შენი ქმარი ამაღამვე სხვა ქალთან წავა...

— **ამ ახალ წელს უკეთესს ვერაფერს მეტყვი?!**

— რა ვქნა, გენაცვალე, ასეთი „ფეისი“ ვარ — ყველაფრის პირდაპირ თქმა მიყვარს. მაგალითად, წუხელ ყველა ჩემმა ცოლიანმა ძმაკაცმა უღალატა თავის მეუღლეს... აი, ეს

საახალწლოდ „გაერთიანებული ტელეკომი“ მსურველებს უფასოდ დაუდგამს ინტერნეტს

„გაერთიანებული ტელეკომი“ თბილისში ახალ, საახალწლო აქციას ატარებს. ერთი თვის განმავლობაში კომპანიის აბონენტები ინტერნეტში უფასოდ ჩაერთვებიან.

ის აბონენტი (ფიზიკური პირი), რომელიც 15 დეკემბრიდან 15 იანვრის ჩათვლით დარეგისტრირდება ცხელ ხაზზე 100-100 და დაიდგამს ინტერნეტს, ინსტალაციის საფასურს (20) არ გადაიხდის.

კომპანია 6 სხვადასხვა პაკეტით ემსახურება აბონენტებს 1მგბ/წ-8მგბ/წ. ასევე სთავაზობს ინდივიდუალურ პაკეტებს კორპორატიულ კლიენტებს.

„გაერთიანებულ ტელეკომს“ ქვეყნის მასშტაბით 80 ათასზე მეტი ინტერნეტმომხმარებელი ჰყავს.

როგორც „გაერთიანებული ტელეკომის“ ინტერნეტპროექტების განვითარების დირექტორმა **ნიკა ჭიაურელმა** განაცხადა: „გასულ წელთან შედარებით კომპანიის ინტერნეტმომხმარებელთა რაოდენობა 135%-ითაა გაზრდილი. ეს გამოწვეული იყო მისაღები და ხელმისაწვდომი ტარიფებით, ასევე რეგიონებში მიმდინარე ინტერნეტიზაციის პროცესით. უკვე 41 ქალაქს ვაწვდით ინტერნეტსერვისს, აქედან 20 წლეულს ჩაერთო. ამავე დროს დავიწყეთ კადრების გადამზადება, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა ქალაქში უზრუნველყოფენ ინტერნეტის ინსტალირებას. ეს ქალაქებია: ზუგდიდი, საჩხერე, ოზურგეთი, მარტვილი, ლანჩხუთი, აბაშა, ნინოწმინდა, ადიგენი, ახალქალაქი, ვანი, თიანეთი, თერჯოლა, ხარაგაული, წყალტუბო, ჭიათურა, დუშეთი, ყვარელი, სიღნაღი, საგარეჯო, წნორი“.

რამაზ სირბილაშვილი

გოგონა ჩემი მეგობარია. უკვე 28 წლის ხდება. ისე შევაწუხე „შინაბერას“ ძახილით, შარშან ახალ წელს დაიქადა, მომავალ ახალ წელს გათხოვილი თუ არ ვიქნები, შეყვარებული მაინც მეყოლებაო. არავის გვჯეროდა, პირობას თუ შეასრულებდა, მაგრამ მართლა არ იშოვა შეყვარებული?! ჰოდა, ახლა ამბობს, რადგან „ცოლების ღალატის წელია“, ჯანდაბას, სადაც აქამდე ვიყავი გასათხოვარი, ამ წელსაც არ გავთხოვდებიო.

მხიარულ რამაზს დავემშვიდობე და გზა განვაგრძე. ახალგაზრდების კიდევ ერთი ჯგუფი შევნიშნე და გავჩერდი. როგორც საუბრიდან გაირკვა, ყველა ნაბახუსევი იყო და ერთ-ერთი მათგანის ოჯახში სტუმრად მიდოდნენ.

— ახალ წელს ერთ-ერთ პრესტიჟულ რესტორანში შევხვდით. მიუხედავად იმისა, რომ თითო ადამიანზე 120 ლარი გადავიხადეთ, მაინც ძალიან მაგარი იყო. კარგი შოუპროგრამა ჰქონდათ, სტუმრებიც ძალიან კარგები იყვნენ. 12-მა რომ ჩამოკრა და მომღერლებთან ერთად „მრავალჟამიერი“ ჩვენც შემოვძახეთ, მთელი რესტორნის სტუმრებმა გადავწყვიტეთ, ახალი წელი ერთად აღგვენიშნა. აბსოლუტურად ყველა მაგიდა გავაერთიანეთ და ძალიან კარგი დრო გავატარეთ. ასეთ რამეს მხოლოდ ქართველები თუ გავაკეთებთ, თორემ საზღვარგარეთ ასე ხომ არავინ მოიქცეოდა?! აი, ქუჩაში მოვდივართ და რამდენი ადამიანიც შეგვხვდა, იმდენმა მოგვილოცა ახალი წელი. რა მნიშვნელობა აქვს, ერთმანეთს ვიცნობთ თუ არა?! მთავარია, რომ ყველას გვიყვარს ერთმანეთი.

ჩემი მომდევნო რესპონდენტი, ასე, 8-9 წლის გოგონა გახლდათ, რომელმაც მითხრა, — ღია მაღაზიას ვეძებ, პური რომ ვიყიდოო. მერე კი თავისი პრობლემებიც გამანდო:

— ახალ წელს მე და ჩემი 5 წლის ძმა შინ, ბებიასთან ერთად შევხვდით, მაგრამ ეს ყველაზე ცუდი ახალი წელი იყო ჩემთვის. საერთოდ, ამერიკაში ვცხოვრობთ, მაგრამ უკვე წელიწადზე მეტია, საქართველოში ვართ. მთელი ამ დროის განმავლობაში ჩემი მშობლები არ მინახავს. ახლა გადაწყვიტეს, ჩვენთვის საახალწლო სიურპრიზი მოეწყოთ. მამას სანტა-კლაუსის კოსტიუმი უყიდია, ჩვენთვისაც უამრავი საჩუქარი შეუძენიათ, ეს ყველაფერი გუდაში ჩაუწყვიათ და თბილისში წამოსულან. წესით, 31-ში, საღამოს 5 საათზე უნდა ჩამოფრენილიყვნენ. თურმე გეგმავდნენ, რომ 12 საათამდე დედას რომელიმე მეგობართან წასულიყვნენ, 12-ზე კი დედა, სანტა-კლაუსი და მამა ერთად მოვიდოდნენ ჩვენთან, მაგრამ სიურპრიზი არ გამოუვიდათ: ფრენა შეფერხდა და ახლა სტამბოლში არიან გაჭედილები. თვითონ კი გადასარევად გაატარებდნენ იქ დროს, მაგრამ ჩვენ?!. ხვალ საღამომდე ვეღარ ჩამოვლენ, რადგან ფრენა არ არის. ისეთი გამწარებული ვარ, სულ არ მინდოდა ასეთი ახალი წელი.

პატარას თვალებზე ცრემლები მოადგა და სასწრაფოდ დამემშვიდობა, — შინ მეჩქარებაო. მშობლებთან მალე შეხვედრა ვუსურვე და მისგან ცოტა გულდამძიმებული წამოვედი. წინ ახალგაზრდა ბიჭი შემეჩეხა, ეტყობოდა, გვარიანად ნასვამი იყო. მიუხედავად ამისა, მასაც გამოველაპარაკე.

— ეჰ, უფულობას რა ვუთხარი, თორემ!.. მეგობრებმა გადავწყვიტეთ, ბათუმის დიდი ზეიმი არ გამოგვეტოვებინა, ხოსე კარერასი და სხვა ვარსკვლავები პირადად გვენახა და ახალი წლის მობრძანებაც მათთან ერთად აღგვენიშნა. იმის გამო, რომ ბევრი ფული არც ერთ ჩვენგანს არა აქვს, იმაზე ოცნება გამორიცხული იყო, რომ ბათუმში რომელიმე სასტუმროს დავჯავშნიდით, ამიტომ 31 დეკემბერს გამთენიისას მატარებლით გავემგზავრეთ. მატარებელში ხომ იცით, რაც ხდება ხოლმე, მით უმეტეს, როცა ახალ წელს ველოდებით; ჰოდა, ჩვენც მთელი გზა ვსვამდით. იქ ჩასულებმა რომელიღაც იაფფასიან კაფეში ვჭამეთ და ქუჩაში გამოსულებმა, ისევ დალევა დავიწყეთ (ჭამაში ფულის დახარჯვას გვერჩივნა, სასმელი გვეყიდა — ახალ წელს ფხიზლად ხომ არ შევხვდებოდით!). აქამდე ბათუმში მხოლოდ ზაფხულში ვყოფილვარ და აღფრთოვანებული დავრჩი. ახალ წელს ზღვის სანაპიროზე რომ შეხვდები, ამაზე ორიგინალური რა შეიძლება იყოს?! მართლა ძალიან ვისიამოვნეთ. კარგი საღამო გამოვიდა. ძალიან ბევრი ხალხი იყო და ყველამ ერთად საუკეთესო დრო გავატარეთ. გამთენიისას ისევ მატარებლით უნდა დავბრუნებულიყავით თბილისში, მაგრამ ჩემდა ბედად, ნათესავი შემხვდა, რომელიც მანქანით მოდიოდა და მას გამოვყევი. ერთი სული მაქვს, შინ მივიდე, ორი ღამის უძილო და ნამთვრალევი ვარ, თან — მაგრად მშია. ჩემი მეგობრები ჯერ ისევ მატარებელში არიან; დავუკავშირდი და მითხრეს, დალევის თავიც კი აღარ გვაქვსო... ეჰ, ძალიან გვინდოდა, ბათუმში კიდევ რამდენიმე დღე დავრჩენილიყავით და ყველა ღონისძიებაზე წასვლის საშუალება გვქონოდა, მაგრამ ხომ იცით, ახლა ქვეყანაში კრიზისია და ეს ვერ მოვახერხეთ. მომავალ წელს იქნებ მდგომარეობა გაუმჯობესდეს...

ახალგაზრდას ამის ასრულება ვუსურვე და დავემშვიდობე. ამასობაში მეც ჩემი მშობლების სახლს მივუახლოვდი და რესპონდენტების ძებნა აღარ დამიწყია. მით უმეტეს, ისედაც გასაგები გახდა, რომ ქართველებს ფანტაზიის უნარი არ გვაკლია და უმრავლესობა ახალ წელს ორიგინალურად და მხიარულად ვხვდებით.

მშვიდობიან და ბარაქიან წელს გისურვებთ!

უძველესი წესით აშენებული ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი

„თავი შუა საუკუნეებში მეგონა“



ყველას გვაქვს სურვილი, საქმე ბოლომდე მივიყვანოთ და ჯვარი დავდგათ

ქალაქ რუსთავში მშენებლობის ძველი მეთოდი გაიხსენეს: უკვე 8 წელია, რაც ღვთისმშობლის მიძინების ტაძარს კვერცხის საშუალებით აშენებენ, უფრო ზუსტად — კვერცხს დულაბის შემადგენელ ერთ-ერთ კომპონენტად იყენებენ, რაც ნაგებობას განსაკუთრებულ სიმტკიცეს სძენს. დროთა განმავლობაში, ასეთი მეთოდით აშენებული ტაძარი უფრო მყარდება და როგორც მშენებლობის პროცესში აქტიურად ჩართული ვაჟა-ანდრია ჭიჭიკოშვილი აღნიშნავს, საუკუნეებს უძლებს.

ეთო ყორღანაშვილი

— უკვე 8 წელია, რაც ღვთისმშობლის მიძინების ტაძარს ვაშენებთ: 2000 წელს ფუნდამენტი ჩაყრილი იყო, 2001-ში კი მშენებლობა დავიწყეთ. ბევრი წინააღმდეგობა შეგვხვდა — ხან დენი არ გვქონდა, ხან ამინდი არ გვიწყობდა ხელს. ადვილი საქმე არც მუშების შეკრება გახლდათ. ბოლოს გადავწყვიტეთ, ტაძარი რუსთაველებს აგვეშენებინა და 25-კაციანი ჯგუფი ჩამოვყალიბდით. პროფესიონალები არ ვყოფილვართ, მეტიც, ჩვენ შორის ზოგი თითქმის ბავშვი იყო. ისინი მშენებლობის უფროსმა — თემურ ბუკიაშვილმა გამოზარდა — მშენებლობა, ჩუქურთმის გამოყვანა ასწავლა. მოკლედ, აქ სერიოზულ „დეკორშიკებად“ ჩამოყალიბდნენ. ისინი კიდევ ბევრ კარგ საქმეს გააკეთებენ. თავდაპირველად, მშენებლობის ტემპი დაბალი იყო, ნელ-ნელა გავძლიერდით.

— ტაძრის შენებაში კვერცხის გამოყენება თავიდანვე გათვალისწინებული იყო?

— დიახ, კვერცხს დულაბში ვიყენებთ. ასეთ დულაბს განსაკუთრებული თვისება აქვს — შეუძლია ქვა „შეისისხლხორცოს“. მსგავსი სტილით აშენებულ ტაძრებს მტერი ვერაფერს აკლებდა. ძველმა ნაგებობებმა ჩვენამდე რომ მოაღწია, ეს დულაბის დამსახურებაა. ტაძრის მშენებლობა იოლი საქმე არაა. დამფინანსებელს, ბატონ თამაზ გველუკაშვილს ბავშვივით უხარია და ამბობს: არ მეგონა, ოდესმე ასეთი საქმის გაკეთებას თუ შევძლებდიო!

— დულაბში კვერცხის გამოყენება მისი იდეა იყო?

— არა, ამ საქმის სპეციალისტი თემურ ბუკიაშვილი გახლავთ. ის და ბატონი თამაზი შეთანხმდნენ და მშენებლობა ძველი მეთოდით დავიწყეთ.

— მაგრამ თუ არ ვცდები, ძველად მხოლოდ კვერცხის ცილას იყენებდნენ.

— დიახ, ასეთი გადმოცემა არსებობს. ჩვენ მთლიან კვერცხს (გულს, ნაჭუჭს...) ვიყენებთ. ის ისეთ კომპონენტებს შეიცავს, რომელსაც განსაკუთრებული წებოვნება აქვს და ამის წყალობით, მტკიცე შედუღაბება ხდება. დროთა განმავლობაში, როცა დუღაბი სინესტეს იღებს, ის უფრო მყარი ხდება. ასე რომ, ეს ტაძარი რამდენიმე საუკუნის მერე უფრო მყარად იდგება. ჩვენ ახალი არაფერი მოგვიგონია — შენების ეს მეთოდი ჩვენმა წინაპრებმაც იცოდნენ. მოგეხსენებათ, საქართველოში ხუროთმოძღვრების მთელი „ნაკრებია“ და თითქმის ყველა ტაძრიდან რაღაც დეტალი გადმოვიტანეთ, მშენებლობაში საქართველოს სული და სილამაზე ჩავდეთ. ალბათ, სამი საუკუნეა, რაც ჩვენს ქვეყანაში ასეთი სრულყოფილი, ძველი მეთოდით აშენებული ნაგებობა არ შექმნილა.

— ამჟამად, მსგავსი მეთოდით საქართველოში კიდევ თუ შენდება ტაძარი?

ეს ტაძარი რამდენიმე საუკუნის მერე უფრო მყარად იდგება

— კი, ამის სურვილი ბევრს გაუჩნდა და თემურ ბუკიაშვილი მათ შეძლებისდაგვარად ეხმარება. ძირითადად, ასეთი მეთოდით მცირე ზომის ეკლესიები შენდება.

— კვერცხის გარდა, დულაბი კიდევ რა კომპონენტებს შეიცავს?

— ქვიშას, კირის ცომს, თიხის ფქვილს...

— ამბობენ, კვერცხს ცუდი სუნი აქვსო...

— კვერცხს განსაკუთრებული სიფრთხილით ვარჩევთ. დულაბში ერთი გაფუჭებულიც რომ გაურიო, ის ისეთ საშინელ სუნს გაუშვებს, რომ ჯობია, კედელი საერთოდ დაანგრიო. ადრე, როცა ხელოსნებს სახლს აშენებინებდნენ, მაგრამ ფულს არ უხდიდნენ, ხელოსნები კვერცხს ხვრეტდნენ, კედელში დებდნენ და ლესავდნენ. მალე ოთახში ისეთი სუნი დგებოდა, რომ სახლის პატრონი იძულებული ხდებოდა, კედელი დაენგრია (იცინის).

— მშენებლობაში კვერცხის გამოყენებას განსაკუთრებული ცოდნა სჭირდება?

— არა, ჩვეულებრივ ვაშენებთ. უბრალოდ, დულაბი 7 კომპონენტისგან მზადდება და დოზები არ უნდა აგერიოს. მაგალითად, კირი თუ ზედმეტი მოგვიდა, აფუვდება და ნებისმიერი სიმძიმის ქვას აწევს.

— თუ იცით, ტაძრის მშენებლობაში დღემდე რა რაოდენობის კვერცხი დაიხარჯა?

— ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ერთხელ, მოსახლეობამ საკუთარი სურვილით, იმდენი კვერცხი მოგვიტანა, რომ თითქმის მთელი ოთახი აივსო (იღიმის). ყველა გვეუბნება, რამე თუ დაგჭირდათ, „დაიხმაურეთო“.

— როგორც ვხედავ, შენებისას ლურჯ და ყვითელ ლოდებს იყენებთ. ისინი საიდან მოგაქვთ?

— ეს ჩვეულებრივი ლოდებია, რომლებიც ნიჩბისიდან მოგვაქვს. ყვითელი ქვა კარაქივითაა — ადვილად მუშავდება და ამიტომაც მას ჩუქურთმებისთვის ვიყენებთ; ლურჯ ქვებს კი იქ ვდებთ, სადაც ყველაზე მეტი სიმყარეა საჭირო — ფუნდამენტზე, თაღებზე...

— ამჟამად, რამდენი ადამიანი მუშაობთ?

— 25 კაცი ვართ. სამუშაო ნელ-ნელა მცირდება. ძირითადად, დეკორატიული ნიუანსები დაგვრჩა შესასრულებელი.

— 8 წლის განმავლობაში, ტაძრის მშენებლობაში ჩართული მუშების გადახალისება თუ მოხდა?

— კი, რა თქმა უნდა! აქ ძალით ვერავის გააჩერებ. ყველას თავისი პრობლემა, იდეა, მომავალი და კარიერა აქვს. ამჟამად, 2 მათგანი საბერძნეთშია და ათონის მთაზე ტაძრის მშენებლობაში მონაწილეობს, ზოგი სხვაგან მუშაობს, მაგრამ თავისუფალ დროს ჩვენთან მოდის და გვეხმარება. მაგალითად, მერაბ მალედანია ბაქოჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაზე მუშაობდა, თავისუფალ დროს კი ტაძრის შენებას უთმობდა. ბოლოს, სამსახური მიატოვა, — აქ მინდაო! ჰოდა, დღეს ჩვენთანაა. ის ნიჭიერი კაცია... ამდენი წელია, ამ ტაძარს ვაშენებთ და მასში ჩვენი ჯანი, სული, გულია ჩადებული!

— მუშები გასამრჯელოს თუ იღებთ?

— მუშაობა თავიდანვე ენთუზიაზმით დავიწყეთ. მოსახლეობა ყველანაირად მხარში გვიდგას, მაქსიმალურად გვეხმარება. ყველას გვაქვს სურვილი, საქმე ბოლომდე მივიყვანოთ და ჯვარი დავდგათ.

— მშენებლობა ამდენ ხანს რატომ გაგრძელდა?

— წვიმაში ვერ ვმუშაობთ, არც ქარია სასურველი — შეიძლება, სიმაღლიდან გადმოგაგდოს კიდეც, ვერც ყინვაში ვმუშაობთ — დულაბი ვერ უძლებს. 2 თვის განმავლობაში გაჩერებული ვიყავით... ახლა პატარა ელექტროამწეები გვაქვს — წინათ ესეც არ გვქონდა და მძიმე ლოდების ხელით აწევა გვიხდებოდა. თითქმის სულ ხელით ვმუშაობდით — ჩემი თავი შუა საუკუნეებში მეგონა (*იღიმის*).

— ხომ არავინ დაშავებულა?

— არა, სხვათა შორის და ამისათვის მადლობა ღმერთს და დედა მარიამს. უფლის მფარველობას თავიდანვე ვგრძნობდით. იყო შემთხვევა, როცა მაგალითად, ერთ მუშას თითი დაეჭეჭყა, ერთი ხარაჩოდან ჩამოვარდა, ერთხელ სიმაღლიდან ქვაც კი ჩამოვარდა და ბატონ თემურს რამდენიმე მილიმეტრით ასცდა. საბედნიეროდ, ტრაგედია არ დატრიალებულა. ტაძრის გვერდით იოაკიმ და ანას სახელობის სალოცავი სახლია, სადაც მამა დიმიტრი, მამა ბესარიონი და მთელი მრევლი ჩვენთვის ლოცულობს. როცა სამლოცველო სახლი არ იყო, ეზოში შემოდიოდნენ და ისე ლოცულობდნენ. ხალხი მოდის და გვთხოვს, — დაგვასაქმეთო! ყველა ცდილობს, მშენებლობაში თავისი წვლილი შეიტანოს.

— ტაძრის მშენებლობა როდის დასრულდება?

— ღმერთი თუ ინებებს, ალბათ, 28 აგვისტოს მოვრჩებით. იმედი გვაქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

ამდენი წელია, ამ ტაძარს ვაშენებთ და მასში ჩვენი ჯანი, სული, გულია ჩადებული!

მაკარონი, სამი კილოგრამი მანდარინი და ორლარიანი ნაძვის ხე

ანუ „თუ არ გვამასხარავებ და ჩვენზე მართლა დაწერ, იქნებ ვინმემ მოგვაქციოს ყურადღება...“

ახალგორიდან, თამარაშენიდან და ქსნის ხეობიდან დევნილ მოსახლეობას ხელისუფლებამ ახალი წელი 3-3 კილო მანდარინით მიულოცა — ამის შესახებ მაშინ შევიტყვე, როდესაც წეროვანში მცხოვრებ დევნილებს ვესტუმრე. შესაძლოა, მკითხველმა იფიქროს — ამ შობა-ახალი წლის დღეებში რა დროს პრობლემებზე საუბარია?! — მაგრამ ალბათ უსამართლობა იქნებოდა, ომგამოვლილი, საკუთარი მიწა-წყლიდან გამოძევებული ქართველების მდგომარეობით არ დავინტერესებულიყავით და არ გაგვეგო, თუ როგორ შეხვდნენ ისინი 2010 წელს. როდესაც მათ მოსანახულებლად მივდიოდი, ვიცოდი — ვერც სადღესასწაულოდ მორთულ სახლებს ვნახავდი და ვერც საზეიმოდ განწყობილ ადამიანებს შევხვდებოდი, მაგრამ ნანახმა და გაგონილმა მოლოდინს მაინც გადააჭარბა...

ხათუნა ბახტურიძე

პატარა, „ერთ თარგზე გამოჭრილი“ სახლები უბრალო „წვიმებითაც“ კი არ იყო გაფორმებული, ნაძვის ხეც ვერსად შევნიშნე... ოჯახში, სადაც ინტერვიუს ჩასაწერად შევედი, მითხრეს, — საახალწლო სუფრაზე, მოხარშული გოგრის გარდა, ტკბილი არაფერი გვაქვსო. მასპინძლობას ახალგორის რაიონის სოფელ ბაზუანიდან დევნილი, ლალი ცქიტიშვილი მიწევდა. ჩვენს საუბარს მისი მეზობელი და მოგვარე, ქალბატონი დიანაც ესწრებოდა.

ლალი ცქიტიშვილი:

— საახალწლოდ ხელისუფლებამ დევნილებს, ყოველთვიურად განსაზღვრული დახმარება — ცოტაოდენი შაქარი, ერთი ლიტრი ზეთი, 9 კილო ფქვილი, 4 კილო მაკარონი და საკვებად უვარგისი ლობიო მოგვცა, საჩუქრად კი 3 კილო მანდარინი „მოგვიძღვნა“.

— ლობიო საკვებად უვარგისი რატომ არის?

— საშინელი გემო აქვს, ამით მხოლოდ ღვეზელს თუ გამოაცხობ, ისე ვერ შეჭამ. მინდოდა, ბავშვებისთვის ახალი წლის საღამო ცოტათი მაინც გამეხალისებინა, მაგრამ მარტოხელა, ორი შვილის დედა ვარ, თანაც — მეორე ჯგუფის ინვალიდი, რითი რა მომეხერხებინა?! ბავშვებს ყელში ამოუვიდათ ეს მაკარონი, მაგრამ სხვა რა ვაჭამო?! ზოგჯერ თბილისიდან პროდუქტით დატვირთული მანქანები მოდიან; ერთს რომ დაიძახებენ, — პროდუქტი გაცვლითო! — უნდა ნახოთ, როგორ გარბის ხალხი, მაკარონით სავსე პარკებით... თვეში ერთხელ ზეთის, მაკარონის, ფქვილისა და ლობიოს გარდა, 78 ლარს ვიღებდი: 30 ლარი მარჩენალისთვის იყო განკუთვნილი, 24 კი — ოჯახის დანარჩენი წევრებისთვის, მაგრამ გასული თვის ბოლოს ესეც არ მომცეს.

— რატომ?

— 78-დან 24 ლარი დამიქვითეს. როდესაც დევნილთა და განსახლების სამინისტროში დავრეკე და მიზეზი ვიკითხე, მიპასუხეს, — თქვენი შვილი უკვე სრულწლოვანი გახდა, ამიტომ სამინისტროში უნდა მოვიდეს და პირადობის მოწმობა მოიტანოს; დევნილის სტატუსს მივანიჭებთ და კუთვნილ 24 ლარს ისევ აიღებსო. ჩემი ბიჭი 4 დეკემბერს გახდა 16 წლის. მე საიდან უნდა მცოდნოდა, რომ ბავშვი სამინისტროში უნდა წასულიყო? ხომ შეიძლებოდა, ამ უწყების წარმომადგენლებს თავად ჩავეყენებინე საქმის კურსში!.. ეს კიდევ არაფერი; ახლა გაზის მოხმარებისთვის 78 ლარის გადახდაც დამაკისრეს. გამომიცხადეს — 178 ლარის გაზი გაქვს დახარჯული, 100 ლარს სახელმწიფო გიხდის, კეთილი ინებე და ამ თანხის ზემოთ რაც დახარჯე, გადაიხადეო. ჩემი კოტეჯი სულ 69 კვადრატული მეტრია, ერთი თვის განმავლობაში 178 ლარის გაზი როგორ უნდა დამეხარჯა?!

მინდოდა, ბავშვებისთვის ახალი წლის საღამო ცოტათი მაინც გამეხალისებინა, მაგრამ...

— ახალგორში როგორ ხვდებოდით ახალ წელს?

დიანა ცქიტიშვილი:

— ნეტავ იმ დროს, შვილო! ყველაფერი გვქონდა, ჩვენს საახალწლო სუფრას არაფერი აკლდა — გოჭით დაწყებული, გოზინაყით დამთავრებული.

— მატერიალურად არ გიჭირდათ?

— ვერ ვიტყვი, რომ არ გვიჭირდა, მაგრამ საჭმელ-სასმელი ყოველთვის გვქონდა. სხვა თუ არაფერი, ძროხა, ქათამი, ღორი გვყავდა, ხილიც ბევრი გვქონდა...

— აქ ქათამი და ძროხა რატომ არ გყავთ?

— ისეთი პატარა ადგილები დაგვირიგეს, ძროხა და ღორი კი არა, ჩვენც ვერ ვეტევით ნორმალურად. ქათმები კი მყავს. დებმა მომიყვანეს. იმათ მოვლას გულს ვაყოლებ, თანაც მიხარია, შვილიშვილებს კვერცხს მაინც რომ ვაწვდი.

— თქვენი ოჯახის რომელიმე წევრი დასაქმებული არ არის?

— არა, შვილო, სად არის სამუშაო?!

ლალი:

— აქ ერთხელ შოკოლადის თუ პურის (ზუსტად არ ვიცი) ქარხანა ააშენეს და ზარ-ზეიმითაც გახსნეს, მაგრამ ერთ თვეში ისევ დახურეს. სკოლის გარდა არანაირი დაწესებულება არ ფუნქციონირებს. სად უნდა დასაქმდეს ამდენი ხალხი?! აქ თითქმის 2 ათასი კაცი ცხოვრობს. საბავშვო ბაღიც კი არ გვაქვს. შარშან პრეზიდენტი შეგვპირდა, ჩემს რეზიდენციას დავუთმობ ბავშვებსო, მაგრამ იმის შემდეგ ერთი წელი გავიდა... ამბობენ, იმ რეზიდენციაში ახლა სპეცრაზმია განთავსებულიო.

— საავადმყოფო ან პოლიკლინიკა თუ გაქვთ?

— პატარა სამედიცინო დაწესებულე-

ბა გვაქვს, რომელიც ასეთივე კოტეჯშია განთავსებული. თქვენც ხომ ხედავთ, ამ კოტეჯში როგორი პირობებია. ერთი შეხედვით, კომფორტულია, მაგრამ კედლები და ჭერი თავისით ინგრევა, იატაკი მოძრაობს, ქარის დაბერვისას, ღუმელში ცეცხლი ქრება...

— ახალგორში დაბრუნება და რუსული პასპორტის აღება რომ შემოგთავაზონ, რას იტყვით?

დიანა:

— რუსულ პასპორტს არ ავიღებ. რად მინდა?! ჩემი დედმამიშვილები აქეთ არიან. იქ მარტომ, ნათესავებს მოწყვეტილმა რა გავაკეთო?!

ლალი:

— მარტო იქ ვერავინ გაძლებს, ყველამ ერთად რომ აიღოს რუსული პასპორტი, ახალგორსა და ქსნის ხეობას საქართველო სამუდამოდ დაკარგავს, ამას კი ნამდვილად ვერ დავუშვებთ.

ამ ქალბატონებთან საუბრით გულდამძიმებული, ქუჩაში გამოვედი და იქვე, ჯიხურში მოწყობილ სურსათის მაღაზიაში შევიხედე. საშუალო ასაკის, სიმპათიური ქალბატონი გამომეგება.

ციცო ლომიშვილი:

— მე თამარაშენიდან დევნილი ვარ. ახალი წლის ღამეს ძმისშვილები მეწვივნენ და ძალიან გამახარეს, მაგრამ თამარაშენში გატარებულ ახალ წელს ვერაფერი შეედრება. სოფლის ცენტრში უზარმაზარ, ლამაზი „წვიმებით“ მორთულ ნაძვის ხეს გვიდგამდნენ. ჩვენც დიდ ფაციფუცში ვიყავით, ყველა ოჯახში საზეიმო განწყობილება სუფევდა... აქ ყველაფერი სხვაგვარად არის, ბავშვებიც კი მოწყენილი სახეებით დადიან.

— საახალწლოდ თქვენი ჯიხურიდან არაფერი გაიყიდა?

— ძალიან ცოტა რამე გაიყიდა. ძირითადად, ბავშვები ყიდულობდნენ იაფფასიან ასაფეთქებლებს.

— თქვენ თუ მოახერხეთ საახალწლო სუფრის გაწყობა?

— კი, ცოტ-ცოტა რაღაცები მოვამზადე.

— სურვილი თუ ჩაიფიქრეთ?

— კი, ჩავიფიქრე. ძალიან მინდა თამარაშენში დაბრუნება. მე კიდევ რა მიშავს, ვუძლებ აქაურ ყოფას, აი, ჩემი მეუღლე კი მეცოდება; უკვე 67 წლის არის, თავის სოფელში ცოლისა (მე მისი მეორე ცოლი ვარ) და ერთადერთი შვილის საფლავი აქვს. იმის გაფიქრებაც კი არ უნდა, რომ შვილის გვერდით ვერ დამარხავენ...

ჯიხურიდან გამოსულმა, რამდენიმე მოხუცი მამაკაცი შევნიშნე. სახელდახელოდ, ხისგან გაკეთებულ სკამებზე ისხდნენ და საუბრობდნენ. როდესაც ჩემი ვინაობა გავუმხილე და ვთხოვე, რამდენიმე კითხვაზე ეპასუხათ, ღიმილით მითხრეს, მაგას არ დაგზარდებით, მაგრამ არ გაგვამასხარავოო...

— თქვენ საიდან ხართ?

ვალიკო ჭოველიძე:

— ქსნის ხეობიდან ვართ. რა არის, შვილო, უკან ხომ არ გვაბრუნებთ?..

— უარს იტყოდით?

— რას ამბობ, შვილო?! უარს კი არა და!..

— ახალ წელს როგორ შეხვდით?

— ეეჰ, როგორ უნდა შევხვედროდით?.. „პური ლუკმა“ სხვისთვის გვაქვს „სახვეწური“... ჩემს სახლში პურ-ღვინოც მქონდა, ღორიც მყვანდა და ქათამიცა. ახლა ერთი ციდა, ნახევრად ჩამონგრეულ მთავრობის სახლში ვცხოვრობ და იმაშიც ფულს მახდევინებენ.

— რის ფულს გახდევინებენ?

— გაზის, დენის...

— გაზის და დენის ფულს თქვენს სახლში არ იხდიდით?

— ვიხდიდი, მაგრამ მაშინ უფრო შეძლებული ვიყავი — მიწას ვამუშავებდი, საქონელსა და წვრილფეხს ვყიდდი და ფულიც მქონდა. ტონობით ვაშლი მომყავდა. იქ რომ მოსულიყავი და ჩიტის რძე მოგეთხოვა, იმასაც კი გიშოვიდი...

— ჩამონგრეულ სახლში რატომ ცხოვრობთ?

— ნახევრად „ჩამორღვეულ“ სახლში შემიშვეს. მთავრობა ამბობს, — დევნილებს კოტეჯები ავუშენეთო. კი არ აგვიშენეს, „მიგვიტალახეს“. რამდენჯერმე ვიჩივლე დევნილთა და განსახლების სამინისტროში. მოვიდნენ კიდეც ვიღაცები, „დამკითხეს“ და წავიდნენ. მერე კიდევ მოვიდნენ და კიდევ „დამკითხეს“. ახლა იმ ჭკუაზე ვარ, რომ მაგათი აღარაფერი მინდა; თუ კიდევ მოვლენ, დავემალები.

ელგუჯა კასრაძე:

— მე ერთი სატკივარი მაქვს, შვილო, და მინდა, გითხრა. რადგან ხეობის ხალხი ცხელ წერტილში ვცხოვრობდით

ამხელა ქვეყანაში ჩვენთვის 200 კვადრატულზე მეტი მიწა ვერ გამოიმეტეს

და მთელი 18 წელი ოსებს ვიგერიებდით, ომის მონაწილეების სტატუსი მოგვანიჭეს და ყოველთვიურად 22 ლარი დაგვინიშნეს. აქ რომ ჩამოგვასახლეს, გარკვეული პერიოდი ისევ გვაძლევდნენ ჩვენს კუთვნილ თანხას, მაგრამ მერე გვითხრეს, — ეგ ფული დენის გადასახადში დაგექვითებათო. ძალიანაც არ გაგვიხარდა, მაგრამ რას ვიზამდით?.. გავჩუმდით. გავიდა ცოტა დრო და შუქის ქვითრებიც დაგვირიგეს. თუ შუქის ფული ჩვენ უნდა გადავიხადოთ, მაშ, ის 22 ლარი რისთვისღა დაგვიკავეს?! ჩვენ ამ ქვეყნისას ვეღარაფერს ვიგებთ.

შოთა კასრაძე:

— მე კიდევ, ის გამკვირვებია, რომ ამხელა ქვეყანაში ჩვენთვის 200 კვადრატულზე მეტი მიწა ვერ გამოიმეტეს. მიწა რომ გვქონდეს, რაღაცას მოვიყვანდით, საქონელს ვიყოლიებდით, სულს მოვითქვამდით.

ნოდარ ოქროპირიძე:

— ეს დახმარება რომ შეგვიწყვიტონ, მშივრები დავრჩებით და დავიხოცებით. 24 ლარს დევნილობისთვის მაძლევენ, 90 ლარს კი პენსიას ვიღებ, მაგრამ ერთ წამალში 100 ლარს ვიხდი, რაღა ვჭამო?!. ისე, რაც ცხოვრებაში მაკარონი არ მქონდა ნაჭამი, აქ რაც ჩამოვედი, სულ ამანაზღაურებინეს...

— საახალწლოდ შვილიშვილებს ნაძვის ხე თუ უყიდეთ?

— უმრავლესობამ ვერ იყიდა. ვისაც საშუალება ჰქონდა, მათ იყიდეს ორსამლარიანი ნაძვის ხეები.

— ახალ წელს ღვინის გარეშეც ხომ არ შეხვდით?

— არა, ღვინო კახელებმა ჩამოატარეს და იაფად მოგვყიდეს. დავილოცეთ და უფალს ჩვენს კუთხეში დაბრუნება შევთხოვეთ.

— დაბრუნების იმედი გაქვთ?

ელგუჯა:

— მაგ იმედით ვცოცხლობთ. ახლაც დავბრუნდებოდით. განა არ შეგვიშვებენ, მაგრამ რუსეთის მოქალაქედ გამოგვაცხადებენ.

— საკუთარ სახლში ცხოვრება რუსეთის მოქალაქეობად არ გიღირთ?

— რას ამბობ, შვილო?! ქართველებმა საქართველოს მიწა-წყალზე რუსეთის პასპორტით ვიაროთ?! სამართალი სადაა?!

დავით ოქროპირიძე:

— ჩვენს სამშობლოს ხომ არ გავყიდით?! მაგას როგორ ვიზამთ?!

— ახალი წლის მოსალოცად, ხელისუფლებიდან ან ოპოზიციური პარტიებიდან ვინმე ხომ არ მოსულა?

— არა, შვილო, არავინ. მარტო შენ მოხვედი, სხვას კაციშვილს არ უკითხავს — ვკვდებით თუ ვრჩებით. თუ არ გვამასხარავებ და ჩვენზე მართლა დაწერ, იქნებ ვინმემ მოგვაქციოს ყურადღება...

ფერეიდანში ნამლერი „ალილო“

და მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილი ქართველების სისხლის ყივილი

„აქედან დანახული საქართველო შხვანაირია, ძალიან შხვანაირი... მინდა, ჩემი წინაპრის ოდაბადეში (სამშობლოში) წასვლა, რამდენჯერმე დევპირე კიდონ, მაგრამ მერე რომ ნახამს და ისეთი ლამაზი არ იქნოს ჩემი ხალხი, ისეთი თბილი და კეთილი არ იყოს, გული ეტკინება... მე და ჩემნაირები, ასტე ვცხოვრობდით, ასტე მოვედით აქომდე, შორს დარჩენილი საქართველოს მზისა და ხალხის სიყვარულით ბევრ რამეს ვიტანდით. ზღაპარივით ვუყვებოდით შვილებს იმას, რასაც ჩვენი მშობლები საქართველოზე გვიყვებოდნენ...“, — მწერს 33 წლის ლაზი, არნოგან ერდოღანი მონატრებულ საქართველოსა და ქართველ ხალხზე...

ალი ასლანიშვილი (მარცხნივ), ოჯახთან ერთად

ლალი პაპასკირი

მერე რა, რომ საზღვარს მიღმა დარჩენილი ქართველები არასდროს უნახავს?! მაინც უყვარს თავისი ხალხი, მაგრამ ისეთი უყვარს, როგორიც მის წარმოდგენაშია, წინაპრისგან მოუსმენია და სიზმარში უნახავს. სიამაყით ამბობს, რომ მრავალეროვან თურქეთში ყველაზე დაფასებულები გურჯები და ლაზები არიან. თავიანთ განსაკუთრებულობას სიამაყით უსვამენ ხაზს, — გურჯები და ლაზები თურქეთის ტერიტორიაზე ცოტანი არიან, მაგრამ საპასუხისმგებლო და წამყვან ადგილებზე მუშაობენო: „ერთ ჩემ კაცის დიდკაცობა ათ ჩემნაირის დიდკაცობაა. გულს უხარია, როცა ჩემებურ კაი საქმეს აკეთებს“, — იტყვიან და ჩვენებურის „კაიკაცობის“ გაგონებაზე წელში იმართებიან. მათი ტკივილი — საქართველოში დუხჭირ პირობებს გაქცეული და თურქეთს შეხიზნული ქართველები არიან, ადამიანის სახე რომ დაუკარგავთ. სინანულით ამბობენ: „ყველა — არა, იმტონ ცუდი ურევიათ, თოლზე კორცხალი მოდგება“. ამაზე საუბარი დაუსრულებლად შეუძლიათ, — „მაგრამ ახალწელია და ცუდ ამბემზე არ ვილაპარიკოთ...“

ერთადერთი, რაზეც საუბარს ერიდებიან, რელიგიაა, თუმცა გულის სიღრმეში უხარიათ, რომ გარკვეული რელიგიური ელემენტები, შეცვლილი სახით, მაგრამ მაინც შეინარჩუნეს... როგორ ცხოვრობენ რამდენიმე საუკუნის წინ დაკარგულ მიწაზე ქართველები, როგორ აღნიშნავენ საერო და რელიგიურ დღესასწაულებს და რამდენად ინარჩუნებენ წინაპრის ტრადიციებს, — ამ ყველაფრის გასარკვევად, გურჯ, ლაზ და ფერეიდნელ ქართველებს დავუკავშირდი. მკითხველისთვის გასაგები რომ იყოს, მათ ნაუბარს ჩვეულებრივი ქართულით შემოგთავაზებთ...

არნოგან ერდოღანი, *42 წლის, ლაზი:*

— ახლით ახალ წელს ისე აღვნიშნავთ, როგორც დანარჩენი თურქეთი: ვმხიარულობთ, საახალწლო სუფრას ვშლით, მაგრამ არ ვსვამთ. ვისაც როგორი შეუძლია, ისეთი სუფრა აქვს გაშლილი; ვისაც როგორც ულხინს, ისე აღნიშნავს. მე ხოფაში ვცხოვრობ. ეს ადგილი ლაზებით არის დასახლებული, რაც ჩვენი ადათ-წესების შენარჩუნებაში გვეხმარება. ჩვენი ხალხი, უფრო მეტად, ძველით ახალ წელს აღვნიშნავთ. 13 და 14 იანვარს „კუჩხაც“ ვიცით, ნედლი ხის ტოტებით ვულოცავთ ერთმანეთს დღესასწაულს. მწვანე ხის ტოტი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სიმბოლოა.

— **სადღესასწაულოდ რა კერძებს ამზადებთ?**

— კეცზე მჭადებს ვაცხობთ. მჭადის ცომში წვრილად და ბლომად დაჭრილი თევზია ჩადებული, მას გამოცხობამდე, ზედაპირზე ჯვრის ფორმას ვუკეთებთ.

— **რატომ?**

— არ ვიცი, ეს ჩვენი წინაპრებისგან შემოგვრჩა — ისინი ხომ ქრისტიანები იყვნენ და ეტყობა, ჯვარი მათ ავი თვალისგან იფარავდა... ხაჭაპურებსაც ვაცხობთ, ოღონდ ყველთან ერთად, მოხარშული კვერცხი და მწვანილი დევს. სადღესასწაულოდ, ბრინჯიან საჭმელებსაც ვამზადებთ, ქათმის ხორცითა და ზღვის პროდუქტებით. სუფრაზე აუცილებლად უნდა იყოს ნახევარმთვარისებურად გამომცხვარი პური და თაფლი, რაც სიკეთესა და სიტკბოს ნიშნავს...

— **რაც შეეხება „კუჩხას“...**

— ყველას გვყავს თითო ადამიანი შეგულებული, რომელსაც ჩვენი რწმენით, კარგი ფეხი აქვს. ალიონზე, როცა მხოლოდ მამლები ყივიან, ეს კაცი ტკბილეულით, ხილითა და დაფნის ტოტებით დატვირთული ჩამოუვლის სახლებს, ყველგან სამ-სამჯერ დააკაკუნებს, იქაურობას დილას აღებულ წყალს ასხურებს, თავისი ხონჩიდან თითო რაღაცას დატოვებს და წამოვა. ყველა ადამიანმა უნდა ჭამოს თევზიანი მჭადი და ტკბილეული... იმ დღეს ყველა ოჯახში მღერიან „ოდაბადეშ ობირეშის“ („დაკარგული სამშობლოს სიმღერა“), რომელიც ჩვენს წინაპარს მას შემდეგ დაუწერია, რაც ლაზეთის მიწები თურქეთმა მიიტაცა. კარგა ხანს ეს სიმღერა მივიწყებული იყო, მერე კი ცნობილი ახალგაზრდა ლაზი მომღერლის, ქაზიმ ქოინჯუს ინიციატივით „გაცოცხლდა“. ეს ბიჭი ჩვენში მივიწყებული ლაზური ფოლკლორის სულისჩამდგმელად მიიჩნევა. იგი რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა, მაგრამ სიკვდილამდე ძალიან დიდი საქმე გააკეთა: სოფელ-სოფელ დადიოდა და ლაზური საკრავები, სადღესასწაულო და საერო სიმღერები გააცოცხლა. „ოდაბადეშ ობირეში“ ლაზებისთვის ჰიმნივით არის, — წარსულს, აწმყოსა და მომავალს ერთმანეთთან აკავშირებს და გვაიძულებს, ჩვენი ფესვები არ დავივიწყოთ. იმას გვახსენებს, თუ საიდან მოდის ლაზური სისხლი, როგორ უცხოვრია ჩვენს წინაპარს, როგორ მოვედით აქამდე, რატომ აქვს ჩვენს ხალხს ზღვისფერი თვალები და მზისფერი თმა... ძველით ახალი წლის გარდა, კიდევ ერთ ძველ ტრადიციას — „მარაშინას“ (მარიამობას) აღვნიშნავთ. 28 აგვისტოს ერთი გვარის ხალხი და ერთმანეთის მონათესავეები ვიკრიბებით, წრეში ვდგებით და „მზის დედის“ (მარიამ ღვთისმშობელს ლაზები „მზის დედას“ უწოდებენ) დაბადებას აღვნიშნავთ. მას სიმღერით შევთხოვთ, სიხარული, სიკეთე, ხვავი და ბარაქა არ მოგვაკლოს. სხვათა შორის, ჩვენში ითვლება, რომ ამ დღეს შექმნილი ოჯახი ყველაზე მყარია... ქართველებმა მითხრეს, რომ ის მათთვის წმინდანია და უჩოქებენ. მეც ვუჩოქებ მას, — მერე რა, რომ ქრისტიანების მფარველად მიიჩნევა?! ალაჰი მაპატიებს მის სიყვარულს...

— **ვიცი, რომ ლაზები სხვა ეროვნების ადამიანთან ოჯახის შექმნას ყოველთვის ერიდებიან. რატომ?**

— დიახ, ასეა... ლაზი ყოველთვის ცდილობს, ცოლად ლაზი მოიყვანოს. თურქები პირდაპირ ნადირობენ ლაზ გოგონებზე, მაგრამ მათთან დამოყვრებას ჩვენ ძალიან მტკივნეულად განვიცდით... ბოლო დროს, ქურთებს განსაკუთრებული პატივით ეპყრობიან, ძალიან ბევრი პრივილეგიით სარგებლობენ. ამაში ალბათ პოლიტიკური აზრია ჩადებული. ამიტომაც, ბევრი ლაზი ქურთად ჩაეწერა, მათ შორის, ჩემი მოგვარეებიც. ჩვენმა წინაპარმა სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფაშის მმართველობას გაუძლო და თვითმყოფადობა შეინარჩუნა. იმედია, ჩვენი დიასპორა არც ამ იდეოლოგიას შეეწირება.

ნევერ ნადეარულლუ, *ართვინელი ქართველი:*

— მე ქართველი ვარ, თქვენებურად კი — გურჯი. ჩემი წინაპარი ნადირაძე ან ნადიბაიძე ყოფილა. ორივე ერთ სოფელში ცხოვრობდა და იქიდან აუყრიათ. ბაბუაჩემი ამბობდა, რომ მთიანი აჭარიდან ვიყავით, სადაც ოდითგანვე ალაჰს ემსახურებოდნენ... ახალ წელს ზღვაში ვბანაობთ, რომ მომავალს სუფთად შეეხვდეთ. მხოლოდ მამაკაცები ვბანაობთ. ქალები სახლში არიან, საჭმელებს აკეთებენ. ძველად, ახალ ტანსაცმელს ქსოვდნენ და ქარგავდნენ მამაკაცებისთვის. ახლაც ასე აკეთებენ, მაგრამ — მხოლოდ ბებიები. ბოლო დროს ბევრი რამე შეიცვალა: გოგონებმა თუთუნის მოწევა დაიწყეს, ალკოჰოლურ სასმელებსაც ეტანებიან, ღამღამობით ტელევიზორში უმსგავსობებსაც უყურებენ...

— ახალ წელს როგორ აღნიშნავთ?

— ისე, როგორც დანარჩენები... ქალები საახალწლო სუფრას შლიან, სადაც ბლომად ტკბილეული, ცომეული და ხილი უნდა იყოს. ქიშმიშისა და ბრინჯისგან სხვადასხვა დასახელების კერძი მზადდება. ჩვენ სხვა ახალი წელი გვაქვს — აღმოსავლური კალენდრით, მარტში აღვნიშნავთ, მაგრამ წინაპრებმა იანვრის ახალი წელიც შემოგვინახეს... რამდენიმე წლის წინ „ჩვენებურ ახალ წელს“ არ აღვნიშნავდით, გვახსოვდა, მაგრამ გვეშინოდა. გვიშლიდნენ, ამიტომ ჩუმად ვშლიდით სუფრას იმ დღეებში. განსაკუთრებით, ქრისტიან ქართველებს უშლიდნენ ახალი წლის აღნიშვნას; მამაჩემი იტყოდა, — სახლებსაც კი უმოწმებდნენო... მათ სამუშაო იარაღებიც კი განსხვავებული ჰქონდათ. ახლა ისინიც მუსლიმანები არიან, მაგრამ ქართველობენ. ას კაცში გამოვარჩევ ჩემს ქართველს — უფრო მაღლები და კარგი აგებულების არიან. ამათთან შედარებით, თეთრი კანი აქვთ, შავი თვალწარბი და ულვაში, მხრებში გაშლილები არიან. ყველაფერში მოწესრიგებულები და მოვლილები, ყველა საქმეში პირველები არიან... თურქეთში ძალიან პოპულარულია „ტროას“ შოუ, სადაც ქართველი ბიჭებიც ცეკვავენ. რამდენჯერმე დავესწარი ამ კონცერტს და ქართული საცეკვაო მელოდია მაშინ პირველად გავიგონე. ქართული ტრადიციული სამოსის, ჩოხა-ახალუხის დანახვაზე ნახევარი დარბაზი ფეხზე დადგა. ალბათ, ეს არის სისხლის ყივილი, მივხვდი, რომ ეს „ჩემი, ქართული“ იყო...

ალი ასლანიფვილი, *ფერეიდნელი ქართველი:*

— ფერეიდნელი ქართველები ახალ წელს აღმოსავლური კალენდრით აღნიშნავენ — ეს არის 20-22 მარტი. მაგრამ ძველქართული ტრადიციის ელემენტები ჩვენში მაინც არის შემორჩენილი, რომელიც ძველ, უკვე მივიწყებულ წესებშია არეული... ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე საათით ადრე გამოიშლებოდნენ ახალგაზრდები (უფრო მოზარდები აქტიურობდნენ), უბანსა და სოფელს „ალილოს“ სიმღერით შემოივლიდნენ; კისერზე კალათა ჰქონდათ ჩამოკიდებული, ზოგს ქურთუკის შიგნით და შარვალზე დიდი ჯიბეები ჰქონდა გამოკერებული. ყველა ოჯახში მიდიოდნენ და მღეროდნენ. სიმღერის ტექსტი არ მახსოვს. ჩემს ბავშვობაში თვითონ ვიგონებდით ტექსტს, — ყველა ოჯახს სიკეთესა და სიხარულს გისურვებთ-მეთქი. მეკვლეებს მასპინძლები ტკბილეულითა და ნუგბარით გვასაჩუქრებდნენ. ასეა დღემდე... ეს ბავშვები ოჯახში მეკვლეებად ითვლებოდნენ და მასპინძლები მათ მოლოდინში არ იძინებდნენ, ვინც მეტად დაასაჩუქრებდა პატარა სტუმრებს, მას უფრო ბარაქიანი წელი ექნებოდა. კიდევ ერთი ძველი ქართული ტრადიციაა შემორჩენილი: ახალ წელს პატარძალს მისი მშობლების ოჯახი სადღესასწაულო სუფრიდან მის წილს უგზავნიდა (ყველანაირ ხილს, ფლავს), სადაც სხვა საჩუქრებიც იყო, მაგალითად — საკაბე, ხონჩის ქვეშ ამოდებული ფული, ვისაც რამდენი შეეძლო... ეს ძღვენი მომტანს აუცილებლად ღამით უნდა მოეტანა და პატარძლის ახალ ოჯახში ჩირაღდნით განათებული შესულიყო; მერე უკვე გერმანული გაზის ლამპებით მოდიოდნენ, უფრო პრაქტიკული იყო. შემდეგ, პატარძალი მამის სახლში მიდიოდა, სტუმრებთან ერთად, აუცილებლად საჩუქრებით დატვირთული.

— სადღესასწაულოდ რა კერძებს ამზადებენ?

— აუცილებელია ფლავი და ჰალვა... ქართულ კერძებს ვერ ვიხსენებ.

— სხვა ქართული დღესასწაული თუ არის შემორჩენილი?

— ქართული ტრადიციები XIX საუკუნემდე სრულდებოდა — მანამდე, სანამ გადასახლებული ქართველები ქრისტიანული მრწამსით ცხოვრობდნენ. შემდეგ, იქაური ხელისუფლება სასტიკად სდევნიდა მათ რელიგიას. ეს წლები ძალიან მძიმე იყო ჩვენი წინაპრისთვის. საქმე იქამდეც მივიდა, რომ უფროსმა თაობამ სთხოვა ხელისუფლებას: ამ მრწამსით მოვედით აქამდე, სხვანაირად ცხოვრება არ შეგვიძლია; ოღონდ ჩვენ შეგვეშვით და შვილებს აქაური წესებითა და მრწამსით აღვზრდითო... ადვილი არ იქნებოდა, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდათ?! მაგრამ გენი მაინც თავისას შვრება — ხელისუფლებამ დიდხანს ვერ შეძლო მათი მკაცრად გაკონტროლება და ხალხმაც, როგორც კი შვება იგრძნო, ისევ თავისი მამაპაპის ტრადიციები დაიბრუნა... რაც ჩემს თაობას ჰქონდა დავიწყებული, თანდათან აღიდგინეს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საზღვრები გაიხსნა და საქართველოში ჩამოსულებმა მათთან ურთიერთობა აღვადგინეთ. ჯერ მიმოწერა გვქონდა, სადაც აქაურ ამბებს ვუყვებოდით, მერე ვიდეოკასეტაზე გადაღებული აქაური დაბადების დღეები, დღესასწაულები და ლხინისა თუ ჭირის სუფრები გავუგზავნეთ. საქართველოში ჩამოსულ ქართველებს ერთგვარი ხიდის ფუნქცია გვაქვს შეთავსებული: აქ ჩამოსულებს ძველ ადათს ვასწავლით, იქ დარჩენილებს — აქაურს... ბოლო დროს სატელიტის საშუალებით ჩემი ფერეიდნელი ნათესავები ქართულ ტელეარხებსაც უყურებენ. თავიდან ენობრივი ბარიერი ჰქონდათ, მაგრამ მერე, თანდათან ისწავლეს თანამედროვე ქართული... არ ვიცი, ეს ქართულია თუ აღმოსავლური, მაგრამ ამ დღესასწაულს მხოლოდ ჩვენებურები აღნიშნავდნენ: ეს იყო „დღის მომატების ზეიმი“, რომელიც 21 დეკემბერს აღინიშნებოდა. ამ დღეს სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა და სუფრაზე ძალიან ბევრი მწვანილი უნდა ყოფილიყო... ასევე ჯერ კიდევ შემორჩენილია ქორწილში ქართული ელემენტები — მაგალითად, ნეფე-დედოფალს ხანჯლების ქვეშ ატარებდნენ; ამ წრის გავლის შემდეგ, სადედამთილო, ბარაქის ნიშნად, პატარძალს ხილს, ტკბილეულსა და ხურდა ფულს გადააყრიდა; ოჯახის უფროსი დიასახლისი ახალ წევრს პირჯვარს გადასახავდა. ვეკითხებოდით, — ხელის ასეთი მოძრაობა რას ნიშნავს-მეთქი? — დალოცვა არისო, — გვპასუხობდნენ. ახალდაბადებულ ბავშვსაც პირჯვარს გადასახავდნენ — ავი თვალისგან დაიცავსო. შემოდგომაზე მოსავალს რომ დავაბინავებდით, მამაჩემი ბეღლის ზემოთ ჯვარს მიაკრავდა. მახსოვს, დედა პურის ცომსაც ჯვარს უსვამდა. ჯვარს კი ვეძახდით, მაგრამ მისი დატვირთვა არ გვესმოდა, მაგრამ უფროსებისგან ვიცოდით, რომ მას პატივისცემით უნდა მოვპყრობოდით. ადგილობრივმა ხელისუფლებამ რელიგია კი შეგვაცვლევინა, მაგრამ ქრისტიანობას ბოლომდე მაინც ვერ შევეღლიეთ და სახეშეცვლილი ტრადიციასავით მაინც შემორჩა ხალხში. ■

ავერსი გილოცავთ შობა ახალ წელს
WWW.AVERSI.GE
967-227

500 ნომერი და „ვაშლივით ჩაკბეჩილი დედამიწის“ გზა

ირმა სარშილაძე

ჟურნალი „გზა“ — თქვენი საყვარელი „გზა“ 2010 წელს 10 წლის ხდება. მართალია, „კვირის პალიტრის“ მედიასახლის პირველ და ღვაწლმოსილ ჟურნალს ამ დიდებულ იუბილეს საფუძვლიანად მარტის ბოლოს აღვუნიშნავთ, მაგრამ რადგანაც საინტერესო ცხოვრებისეული დამთხვევის გამო, საიუბილეო წლის პირველივე, საახალწლო-საშობაო ნომერი სარეკორდო — მე-500 აღმოჩნდა და იმიტომაც, რომ ქართველებს დღესასწაულების აღნიშვნა სულ ცოტა, ორ-ორჯერ მაინც გვიყვარს და იმიტომაც, რომ ჩვენი-თქვენი „გზა“ ამას მართლა იმსახურებს, გადავწყვიტეთ, მცირე „წვეულება“ ახლაც მოგვეწყო. „დამოუკიდებელი გამოძიებით“ მოვძებნე მხოლოდ რამდენიმე ადამიანი, ვინც „გზის“ პირველ ნომერზე მუშაობდა, გზა-კვალზე კი სწორედ პირველივე ნომრის გარეკანის ფოტომ დამაყენა...

ფოტოს დახედა თუ არა, იმწამსვე გაახსენდა, თუ როგორ მოამზადა ჟურნალისთვის პირველი მასალა და როგორ გაკეთდა „გზის“ პირველი გვერდი... იმხანად გაზეთ „კვირის პალიტრაში“ მუშაობის ოთხწლიანი სტაჟი ჰქონია, სამხედრო მიმომხილველი გახლდათ და როდესაც ჟურნალ „გზის“ გამოცემა გადაწყვიტეს, ხელმძღვანელობას დახმარება მისთვისაც უთხოვია.

მე-500 ნომრის პირველი სტუმარია „გზის“ პირველი ჟურნალისტი, „კვირის პალიტრის“ სამხედრო მიმომხილველი და ჟურნალ „არსენალის“ მთავარი რედაქტორი, **ირაკლი ალადაშვილი:**

— კარგად მახსოვს, ფოტოსესიისა და მასალის მოსამზადებლად ელიას მთაზე ავედით, სადაც საარტილერიო ნაწილი იმყოფებოდა. თან გვახლდა ძალიან ლამაზი მოდელი გოგონა.

— **თქვენი შერჩეული?**

— ჩემი — არა, „კვირის პალიტრის“ ხელმძღვანელობის შერჩეული და სხვათა შორის, ის გოგონა ახლოსაც არ გამაკარეს (*იცინის*). ნაწილში, ჰაუბიცასთან გადავიღეთ ფოტოები და ერთ-ერთი, პირველი ნომრის გარეკანზეც გაუშვეს. აბა, დააკვირდით! საკმაოდ ეფექტური ფოტო გამოვიდა, თუმცა მახსოვს, ჯარისკაცები გოგონასთან დამშვიდობების შემდეგ ვეღარ გამოიყურებოდნენ ისე ყოჩაღად და „ეფექტურად“, როგორც ფოტოზე (*იცინის*)... ორი სტატია მქონია პირველ ნომერში (*ჟურნალს ფურცლავს. — ავტ.*): ერთში ლაპარაკია გერმანიის სამხედრო დაზვერვის მუშაობაზე თბილისში — სხვათა შორის, ეს თემა უფრო აქტუალური ახლა, აგვისტოს ომის შემდეგ გახდა, როდესაც უკვე რუსეთი ცდილობს თავისი აგენტურის შემოგზავნას; მეორე სტატია კი შეეხებოდა დიდ საავიაციო კატასტროფებს, კონკრეტულად კი კატასტროფას აზერბაიჯანში და ესეც სამწუხაროდ, ახლაც აქტუალურია იმ გაგებით, რომ ის თვითმფრინავები — „სუ-24“ — 2008 წლის აგვისტოში საქართველოს ბომბავდნენ... ცხოვრება უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა (*ჩაფიქრდა*)... რამდენი დრო გასულა. ხედავთ? — იმ პატარ-პატარა სტატიების შემდეგ სამხედრო ჟურნალიც გამოვუშვით.

— **ჟურნალ „არსენალს“, რომელსაც ხელმძღვანელობ, ძალიან საინტერესო, მუზეუმის მსგავსი პატარა ოთახი ჰქონია — მინისაქართველო სამხედრო არსენალით.**

— ყველაფერი, რასაც აქ ხედავ, არასაბრძოლო მდგომარეობაშია. ამათ 90-იანი წლებიდან ვაგროვებ — საქართველოს ყველა ომში ვიყავი და რაღაცები სამახსოვროდ წამოვიღე; ნაწილი ერაყისა და ჩეჩნეთის ომიდანაც ჩამოვიტანე და ამ ოთახში ჩემი პატარა სამყარო შევქმენი... „გზას“ კი გადაეცი, თუ კვლავ დასჭირდება ჩემი სტატიები, „საბრძოლო მზადყოფნაში“ ვარ და ყოველთვის მის გვერდით ვიქნები.

— **ამ საშობაოდ, საახალწლოდ რას უსურვებ ჩვენს ასაკოვან ჟურნალსა და სრულიად საქართველოს?**

— ადამიანი სიყვარულის, სიმართლის, მშვიდობის, კაცობისა და ადამიანობის გზას რომ აირჩევს, იმ გზიდან აღარ უნდა გადაუხვიოს, არც უკან უნდა დაბრუნდეს. აჩქარება აუცილებელი არ არის, მთავარია, მიმართულება არ შეიცვალო და სულ პირდაპირ იარო — ამას ვუსურვებ „გზასაც“ და ქვეყანასაც. ისე, სასმლით სავსე ჭიქა რომ მოგეწოდებინა, უკეთ გეტყოდი (*იცინის*)...

— **გა-ზაფ-ხულ-ზე... „გზა“ ზუსტად 10 წელიწადს რომ მოიყრის, ჭიქასაც მოგაწოდებთ და კვლავ გულისყურით მოგისმენთ.**

ძალიან გამიმართლა, უხერხულ მდგომარეობაში მეორედაც რომ არ აღმოვჩნდი — საბედნიეროდ, ისტორიული ნომრის პირველი რესპონდენტი სპორტსმენი აღმოჩნდა და შესაბამისად, სასმლით სავსე ჭიქაც არ მოუთხოვია. მე-500 „გზა“ ამჯერად ცნობილ და ტიტულიან ქართველ ფეხბურთელსა და მწვრთნელს, ბატონ **რევაზ ძოძუაშვილს** *მასპინძლობს.*

— **ბატონო რევაზ, ჟურნალ „გზის“ პირველი ნომრის ინტერვიუში ნათქვამ თქვენს სიტყვებს გაგახსენებთ: „როგორც ფეხბურთელს, განსაკუთრებული განწილება არ მქონია, როგორც მწვრთნელს, „გულის დაწყვეტაც“ მქონია და „გულის ხეთქვაც“...**

— და სწორადაც მითქვამს. ძალიან გულდასაწყვეტია, რომ საქართველოში მწვრთნელის ძალიან რთული პროფესია რატომღაც, დღემდე აბუჩად ასაგდები და დაუფასებელია. ბევრმა ფეხბურთელმა დიდი ფეხბურთი ვერ ითამაშა, ქართული ფეხბურთის აღორძინებაში წვლილი ვერ შეიტანა და ამის გამო გულდაწყვეტილმა გადაწყვიტა, ან მსაჯი გამხდარიყო, ან დირექტორატის წევრი, ან სუ-

ლაც, ფეხბურთთან დაკავშირებული, გამოგონილი პრეზიდენტი. ამიტომ დღეს საქართველოს საფეხბურთო ტაქტიკური მონახაზი ასე გამოიყურება: პირველ ადგილზე ფეხბურთის პრეზიდენტი დგას, მეორეზე — დირექტორატი, მესამეზე — ფეხბურთელი და მხოლოდ მეოთხეზე — მწვრთნელი. არადა, ყველა სახელმწიფოში, სადაც ბრძენი, გამოცდილი და ნიჭიერი მწვრთნელი პირველ ნომრად „თამაშობს“, სადაც გუნდის „თამადა“ მწვრთნელია, ფეხბურთი აღორძინებულია.

— თქვენ მაშინ ისიც თქვით: „ცუდია ეროვნული ნაკრები? — ეი. ცუდად მუშაობს საფეხბურთო ფედერაცია და — პირქით...“

— საქმე ისაა, რომ როცა სურთ — ფედერაცია არაფერია, როცა სურთ — ყველაფერი. თუ ვინმესთვის თავია მოსაჭრელი, ფედერაციას ჯალათის როლის შესრულებაც შეუძლია, თუ არა და, რა შუაშია ფედერაცია, ყველა გუნდს თავისი „პატრონი“ ჰყავს და მან უნდა მიხედოსო. სინამდვილეში კი ფედერაციაა ერთ-ერთი სიბრძნით სავსე დაწესებულება, ყველაფრის თავი, რომლის ხელ-ფეხია კლუბები, გუნდები და ასე შემდეგ... ფეხბურთი კი — თავფეხიანად გაერთიანებული ორგანიზმი უნდა იყოს. ჩვენთან ყველაფერი უარესისკენ იცვლება...

— 10 წელიწადი დიდი დროცაა და მცირეც. მართალია, საფეხბურთო მიმომხილველი და შესაბამისად, კომპეტენტურიც არ ვარ, მაგრამ გულშემატკივრობას ნამდვილად დავიჩემებ და ვიტყვი, რომ ამ ხნის განმავლობაში ჩვენს საფეხბურთო ცხოვრებაში სასიკეთო ვერაფერი დავინახე...

— უაღრესად ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელები გამოჩნდნენ XX საუკუნეში და ისინი — არველაძეები, ქინქლაძეები, შელიები, სილაგაძეები, ყაველაშვილები, ჯამარაულები საქართველოს ასახელებდნენ ქვეყნის გარეთ, სხვადასხვა კლუბში.

— მაგრამ არა — საქართველოში.

— ამიტომ მაინც, „თამადასთან“ მივდივართ. „თამადა“, დიდი ფეხბურთის ორთქლმავალი არ გვყავდა საფეხბურთო ფედერაციაში. ახლა ახალი ხელმძღვანელი გვყავს და ვნახოთ... მაინც კარგი გაგებით ვიტყვი: ქართულ ფეხბურთში მოვიდა პიროვნება, რომელიც ნამდვილი ცირკიდანაა მოსული — ვგულისხმობ სანახაობას, ხელოვნებას, ბრძოლასა და თავდადებას. თუ მან ეს ნამდვილი ცირკი კარგად იცის და ამას ფეხბურთის ცოდნასაც შეუთავსებს, ჩვენს ფეხბურთს ეშველება, თუ არა და, შეიძლება, ყველაფერი კვლავ მეორენაირ ცირკად დარჩეს.

— საახალწლოდ რა გეგმები გაქვთ?

— ბევრ წარმატებას მივაღწიე და ბევრი მაღალი დონის ფეხბურთელი აღვზარდე. ვიღაცას ჩემი წარმატებები არ მოსწონს და გზადაგზა მაფერხებს, თუმცა ვფიქრობ, გუნდი რომც არ ჩამაბარონ, ფეხბურთელების აღზრდაში ვერ შემიშლიან ხელს — საკმაო სიბრძნე და გამოცდილება მაქვს საამისოდ. ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილიც გეგმა იყო: ბევრად უკეთესი, აღმავალი, მშრომელი, ვაჟკაცური ხვალინდელი დღე. ახლაც ფარ-ხმალი მიკავია, ჯანიც მომდევს და მზად ვარ, ნებისმიერ დროსა და ადგილას აღმოვჩნდე ქართული ფეხბურთის ასაღორძინებლად... ქართულ ფეხბურთს ვუსურვებ, 2010 წელს ის დაებრუნებინოს, რაც ბორია პაიჭაძემ, გივი ჩოხელმა, მიშა მესხმა, სლავა მეტრეველმა და სხვა დიდმა ფეხბურთელებმა დაგვიტოვეს. ეს გენში გვაქვს და ჩვენი წაქცევაც არ არის იოლი. თქვენს ჟურნალსაც იმას ვუსურვებ, რასაც ჩემს ფეხბურთს — დიდი სიყვარულით, სითბოთი და პროფესიონალიზმით სავსენი დავდგომოდეთ ერთმანეთს გვერდში. ხედავთ, რა საგოლე პასს გაძლევთ? — თქვენი ჟურნალი იმდენ ინფორმაციას მიაწვდის ქართულ ფეხბურთში გზააბნეულ ადამიანებს, რომ შეიძლება, ისინი ჭეშმარიტ გზაზეც კი დააყენოს (*იცინის*)...

პირველი ნომრიდან დღემდე „გზა“ საგრძნობლად შეიცვალა: დამშვენდა, გამრავლდა — მეტი რუბრიკა, ფერი, სინათლე, ჟურნალისტი, მკითხველი შეიძინა. 500 ნომრის გამოშვება ხუმრობა საქმე არ არის, მით უმეტეს — თუკი მუდამ სიყვარულსა და მოლოდინს გრძნობ მათგან, ვისთვისაც თითოეულ ნომერს მთელი სულით, გულით აკეთებ და ცდილობ, „ფორმაში“ იყო, რომ თუნდაც ერთ მათგანს იმედი არ გაუცრუო. „გზის“ პირველი ნომრის მთავარი რედაქტორი, ბატონი ***ზურაბ აბაშიძე*** *499-ე ნომრის შემდეგაც იმავე გზაზე დგას და თავის მკითხველს ერთგულობს:*

— დასაწყისი ისედაც ყოველთვის ძნელია, იმხანად კი, როდესაც საქართველოში, ძირითადად, გაზეთებს უშვებდნენ და ბაზარზე ამ სახის ჟურნალი, ფაქტობრივად, თითო-ოროლა არსებობდა, გაცილებით რთული იყო გამოცემაცა და დამკვიდრებაც. „ძირძველი მეტელევიზიე“ ვარ, ბეჭდვით მედიაშიც მიმუშავია, მაგრამ ამ ფორმატის ჟურნალი ჩემთვის რამდენადმე უცხო საქმე გახლდათ, ამიტომ თითქმის გაუკვალავი გზით მივდიოდით, ანუ ყველაფერს გზადაგზა ვხვეწდით. „გზა“ „კვირის პალიტრის“ ბაზაზე, მისივე ჟურნალისტების მეშვეობით შეიქმნა.

— „გზა“ ვინ დაარქვა?

— გამომცემელთან ერთად ბევრი სახელი განვიხილეთ და ბოლოს, „გზაზე“ — ყველაზე მრავალმნიშვნელოვან სიტყვაზე შევჩერდით. ჟურნალში განსხვავებული — უბრალო თუ ცნობილი ადამიანების ცხოვრების გზა უნდა გვეჩვენებინა და ამ პრინციპს ახლაც ვინარჩუნებთ.

— ჩვენს ჟურნალში ბევრი ცხოვრებისეული რუბრიკაა, შესაბამისად, ბევრი წერილიც მოდის. თუ იცით, „გზამ“ ვინმეს — უბრალო თუ ცნობილი ადამიანის ცხოვრება შეცვალა?

— ბევრ პუბლიკაციას გაჭირვებულ ადამიანებზე, ინვალიდებზე, მარტოხელა დედებსა თუ ობოლ ბავშვებზე არა მხოლოდ გამოხმაურება, სერიოზული დახმარებაც მოჰყოლია აქაც და საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეებისგანაც, რაც ჩვენთვისაც უმნიშვნელოვანესია. ყველა თაობისთვის ვარჩევთ რუბრიკებს, ვცდილობთ, ზომიერება დავიცვათ და ძალიან არ „გავყვითლდეთ“.

— პირველი რუბრიკები თქვენ მოიფიქრეთ?

— „გზის“ შექმნას გამომცემელი ხელმძღვანელობდა და ამ საქმეს მთავარი რედაქტორივით ედგა სათავეში, რაც მხოლოდ რუბრიკების მოფიქრებას კი არა, მთელი ჟურნალის შემოქმედებით და ტექნიკურ საკითხებზე მუშაობას გულისხმობდა. იმხანად მისი დამხმარე უფრო ვიყავი, ვიდრე ჟურნალის მთავარი რედაქტორი. ამიტომ მინდა, ჩვენმა მკითხველმა



ირაკლი ალადაშვილი

უსიამოვნო პროცესია.

ნოდიკო:

— ვაჟამ სწორად თქვა, მაყურებლის კეთილგანწყობილებას მოფრთხილება და მოფერება სჭირდება. ხალხის სითბო იმდენად დიდ სტიმულს მაძლევს, რომ საშინელება იქნება ამის დაკარგვა! ამასთან, ჩვენთან ერთად სცენაზე ბენდის სახით არაჩვეულებრივი მუსიკოსები არიან წარმოდგენილები და მათთან ერთად მუშაობა დიდი სიამოვნებაა. პედაგოგებზე ხომ აღარაფერს ვამბობ! „ჯეოსტარმა“ დიდი გამოცდილება შეგვძინა.

— ამბობთ, რომ ძალიან დაკავებულები ხართ...

ნოდიკო:

— იმდენად დაკავებულები, რომ სახლში მისასვლელადაც ველარ ვიცლით. ამას წინათ, დედაჩემმა მითხრა, — დედიკო, რა კარგია, რომ გახსოვარ და მიცანიო (*იცინიან*)...

ვაჟა:

— მაგრამ მიუხედავად ამ ყველაფრისა, მაინც არ შევცვლილვართ!

ნოდიკო:

— არ მესმის, როცა ამბობენ, პოპულარობამ ეს ადამიანი შეცვალაო! ამდენ დადებით ემოციას რომ იღებ, უფრო მეტად თბილი არ უნდა გახდე?! მაღიზიანებენ ისეთი ადამიანები, რომელთაც ჰგონიათ, რომ პოპულარულები თუ არიან, ვინმეზე რამეთი მეტი არიან. თუ მე კარგი მომღერალი ვარ, ვიღაც სხვა კარგი ქირურგი, იურისტი ან მათემატიკოსია... ყველამ ერთმანეთს ასე ზემოდან რომ ვუყუროთ, წარმოიდგინე, რა მოხდება?!

ვაჟა:

— ზოგჯერ ხალხსაც ეშლება, როცა ჰგონია, რომ პოპულარული ადამიანი პიროვნულად იცვლება... მართალია, „ჯეოსტარამდე“ ჩემთვის სადღაც ვმეცადინეობდი და ამდენი ადამიანი არ მიცნობდა, მაგრამ მერე რა? დღესაც ის ვაჟა ვარ, რაც მანამდე ვიყავი.

— ალბათ რეპეტიციების დროს კარგად მხიარულობთ, არა?

ნოდიკო:

— აი, ბევრნი რომ ვიყავით, მაშინ უკეთესი იყო!

ვაჟა:

— ერთხელ მახსოვს, რეპეტიციაზე დათუნა მგელაძეს ჰამბურგერში ჩუმად შაქარი ჩავუყარე და მიმიხვდა (*იცინიან*)...

— პროექტში შესვლამდე თუ იცნობდით ერთმანეთს?

ნოდიკო:

— მე და ვაჟა ერთ მუსიკალურ სასწავლებელში ვსწავლობდით და მართალია, ძალიან ახლოს არა, მაგრამ ერთმანეთს ვიცნობდით. მე, გვანცა კაჭკაჭიშვილი და სოფო ბედია „ნუცას სკოლიდან“ ვმეგობრობთ, დათუნასთან „ჯეოსტარამდეც“ ვმოკაცობდი, ვაჟა და გიორგი ცხვარიაშვილი რობერტ ბარძიმაშვილის ანსამბლში ერთად მღეროდნენ. მოკლედ, ამ პროექტმა ერთმანეთთან უფრო მეტად დაგვაახლოვა...

— რა ხდება „ანანოს ოთახში“ მაშინ, როდესაც რომელიმე კონკურსანტი სცენაზე მღერის?

ვაჟა:

— (*იცინიან*) სასაწაულები! ასაწევდასაწევი სკამები გვაქვს და იმ სკამებით „ვკატაობთ“ ხოლმე. ავწევთ, მერე ისევ დავწევთ... ამით დაძაბულობა გვეხსნება (*იცინიან*)...

ნოდიკო:

— პირველ კონცერტზე გვანცა ისე ნერვიულობდა, მღელვარებისაგან სიმღერის ტექსტი დაავიწყდა, გაყინული ხელებით მომვარდა და მეუბნება: — ნოდიკო, ახლა მე რა სიმღერა უნდა ვიმღეროო? მეც უცებ ავნერვიულდი და მისი სიმღერა წავიმღერე. გაახსენდა და გულდამშვიდებული გავუშვი სცენაზე...

ვაჟა:

— ტექსტი მაშინ გავიწყდება, როცა ძალიან ნერვიულობ! ხშირად სანამ სცენაზე არ გავსულვარ, ტექსტი ვერ გამიხსენებია. მაგალითად, აფხაზური სიმღერის ტექსტი ძლივს დავიმახსოვრე, სცენაზე გასვლამდე ხელში ფურცელი მეჭირა და ტექსტს ვიმეორებდი (*იღიმება*)...

ნოდიკო:

— მე ქართული სიმღერის ტექსტი შევცვალე, ერთი სტრიქონი დამავიწყდა, არ შევიმჩნიე და ჩემი სიტყვებით გავაგრძელე შესრულება. პედაგოგები ცუდად გახდნენ, იმდენი იცინეს! არადა, ისეთი ბედნიერი ვიყავი, ამ სიტუაციიდან რომ გამოვძვერი, არ იცი (*იცინიან*)...

— ამ ახალ წელს თქვენ განსაკუთრებულად შეხვდებით...

ნოდიკო:

— მართალი ხარ, განსაკუთრებული ახალი წელი გველის, სიურპრიზებითა და სიხარულით აღსავსე! არც აქამდე ვხვდებოდი ახალ წელს ურიგოდ, მაგრამ წელს, ოოო... საერთოდ, ოჯახში ტრადიცია გვაქვს, ახალ წელს სანთელს ვანთებთ და მერე უკვე სუფრას შემოვუსხდებით, ველოდებით მეკვლეს... შემდეგ მე მივდივარ მეკვლედ და თითქმის მთელი ღამე გარეთ ვარ. ახლა რომ ვაკვირდები, ყველა ახალი წელი ჩემთვის განსაკუთრებული იყო; ახალი წელი ხომ ისეთი დროა, როცა ყველას გასართობად სცალია.

ვაჟა:

— დარწმუნებული ვარ, წლევანდელ ახალ წელთან შედარებით, ყველა წინა ახალი წელი ერთფეროვნად მომეჩვენება, რადგანაც 2010 წელზე დიდ იმედს ვამყარებ და კბილები წინასწარ მიკაწკაწებს, რომ წარმოვიდგენ, როგორ დროს გავატარებთ!

— ბავშვობაში თოვლის ბაბუას გჯეროდათ?

ვაჟა:

— კი, სულმოუთქმელად ველოდებოდი, როდის მოვიდოდა და საჩუქარს მომიტანდა! მერე ცოტა რომ წამოვიზარდე, ასე მეორე კლასში ვიქნებოდი, როცა მივხვდი, რომ ჩემთან მოსული თოვლის ბაბუა ოჯახის მეგობარი იყო. „ნაგლად“ მივედი და — შენ ის ძია არ ხარ-მეთქი?! ვამხილე (*იცინიან*) და მას მერე უსაჩუქროდ დავრჩი.

ნოდიკო:

— უჰ, თოვლის ბაბუის კარგა ხანს მჯეროდა! წერილებს აქტიურად ვწერდი — ჩამოვწერდი ხოლმე საჩუქრების სიას და მერე საწოლთან ახალ-ახალი სათამაშოები მხვდებოდა, ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა... ერთხელაც, ასე 5-6 წლის ვიყავი, რომ თოვლის ბაბუას წვერზე ხელი მოვკიდე და ჩამოვაცალე... აი, მაშინ კი დაიმსხვრა მითი თოვლის ბაბუის არსებობის შესახებ (*იღიმება*), არადა, ისე მიყვარდა მისი მორთმეული საჩუქრები... ყველას ვუჩვენებდი, ნახეთ, თოვლის ბაბუამ რა მომიტანა-მეთქი. თან მათ ისე ვუფრთხილდებოდი, ცივ ნიავსაც არ ვაკარებდი (*იცინის*)... ახლა წერილებს თოვლის ბაბუას აღარ ვწერ, რადგანაც ისეთ ასაკში ვარ, საკუთარ თავს მე თუ გავუკეთებ საჩუქარს (*იცინიან*)...

— თოვლის ბაბუის როლი თუ შეგისრულებიათ?

ნოდიკო:

— კი, სკოლაში ერთხელ მთხოვეს, რომ დაწყებითი კლასების ზეიმზე თოვლის ბაბუის როლი შემესრულებინა, ბავშვები იმდენად არანორმალურად მიყვარს, რომ შემოთავაზება სიხარულით მივიღე! პატარების გახარებულ სახეებს რომ ვხედავდი, ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. ისე, ახლაც მზად ვარ, თუ ვინმეს თოვლის ბაბუად დავჭირდები, ისევ მოვიგდებ ზურგზე ხურჯინს!

ვაჟა:

— მე და ნოდიკო „რუსთავი 2“-ის დილაში ვართ მიწვეულნი, სადაც თოვლის ბაბუების როლი უნდა შევასრულოთ, პატარებს სათამაშოებს დავუმალავთ, მათ კი უნდა იპოვონ... წინასწარ ვტკბები იმის წარმოდგენით, თუ როგორ გაერთობით (*იცინიან*). დარწმუნებული ვარ, ძალიან მოვეწონებით. ხომ იცი, რაც უფრო დიდი საჩუქრების ტომარა გიჭირავს ხელში, მით უფრო სასურველი თოვლის ბაბუა ხარ!

ნოდიკო:

— წარმოიდგინე, დილის რვის ნახევარზე უკვე ტელევიზიაში უნდა ვიყო და ეს ჩემთვის როგორი საშინელებაა, იცი?! მაგრამ ბავშვებს რომ ვიხსენებ, დილით ადრე გაღვიძება აღარ მეზარება! შვილები რომ მეყოლება, ყველანაირად ვეცდები, მათ რაც შეიძლება, დიდხანს სჯეროდეთ თოვლის ბაბუის. წვერს მივიწებებ და თოვლის ბაბუობასაც შევითავსებ (*იღიმება*)!

— ნოდიკო, ფიფქიას როლის შესრულებაზე ჯერ არ გიფიქრია?

— მე რომ ფიფქიას როლი მოვირგო, ხმას ამოვიღებ თუ არა, პატარებს ყველანაირ შთაბეჭდილებას წავუხდენ (*ხარხარებენ*)! არაა, ისევ თოვლის ბაბუობა სჯობს!

— სამომავლო გეგმებზე რას მეტყვით?

ნოდიკო:

— მე და ვაჟა ცოტა ხნის წინ „გრემის“ დაჯილდოების ცერემონიაზე წარგვადგინეს და წასვლას ვაპირებთ (*ხარხარებენ*)...

ვაჟა:

— ჰო, ეს ჩემი და ნოდიკოს სამომავლო ოცნებებია... ორივეს ძალიან ბევრი და საინტერესო გეგმა გვაქვს. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ოცნებები აგვიხდეს, რაც მთავარია, გაჩერებას არ ვაპირებთ!

— წარმატებებს გისურვებთ! ორივე ერთხმად:

— დიდი მადლობა! ■

სახე

ცნობილი „ვეფხვები“

ლიზა ბაგრატიონი, გიორგი გუგავა, გიო ხუციშვილი, მაია ჯაბუა, შოთა მალაშხია, რამაზ საყვარელიძე, იური მეჩითოვი, ნანა კაკაბაძე — ეს ვეფხვის წელში დაბადებულ ცნობილ ადამიანთა არასრული ჩამონათვალი გახლავთ. ასტროლოგები მიიჩნევენ, რომ ვეფხვები უდისციპლინო, ადვილად აგზნებადი, რისკიანი ადამიანები არიან, სძაგთ მორჩილება და ჩინით მასზე უფროსს ყოველთვის ეწინააღმდეგებიან. ზოდიაქოს დანარჩენი ნიშნებისგან კიდევ ბევრი საინტერესო თვისებით გამოირჩევიან. ამრიგად, ჩვენც ცნობილ „ვეფხვებს“ დავუკავშირდით და ვნახეთ, რამდენად ეთანხმებიან ისინი ასტროლოგთა შეფასებებს.

თამუნა კვინიკაძე

მომღერალი **მაია ჯაბუა** *ვეფხვის წელში დაბადებული კურაა. ზოდიაქოს ეს ნიშანი ძალიან მოსწონს, უფრო მეტიც: ამბობს, რომ ამ ნიშნით დაბადებულ ადამიანებს ცნობს, მაგრამ როგორ? — ამის ახსნა არ შეუძლია.*

— 2010 წელი ვეფხვის გახლავთ. რაკი თქვენც „ვეფხვი“ ბრძანდებით, მითხარით, როგორი განწყობილებით შეხვდით მას?

— რაკი ჩემი წელიწადია, არა მგონია, რომ ყველაფერი მარტივად მოგვარდება. სულ ვამბობ, ადამიანს ზუსტად იმდენი გეძლევა, რამდენიც გინდა, რომ გქონდეს. თუ რამე არ გაქვს, ნურავის დააბრალებ, ესე იგი, ძალიან არ მოინდომე — ასეთია ჩემი ფილოსოფია!.. როცა ბოლომდე ვიხარჯები, შედეგით ყოველთვის კმაყოფილი ვარ.

— ასტროლოგები სიჯიუტეს თქვენს ნაკლად მიიჩნევენ. მართლა ჯიუტი ხართ?

— ბავშვობიდანვე ჯიუტი ვიყავი. თუ არ მინდოდა, ბაფთას არ გავიკეთებდი, არ გავიცინებდი, კაბას არ ჩავიცვამდი... ახლა ისეთი ჯიუტი აღარ ვარ.

— თქვენს მეორე ნაკლად კი ზესიფრთხილეს მიიჩნევენ...

— ფრთხილი ადამიანი ნამდვილად ვარ, მაგრამ ჩემს ამ თვისებას ნაკლად არ მივიჩნევ. პირიქით, ადამიანმა გადახტომამდე, ნაბიჯის გადადგმამდე უნდა იფიქროს. ზუსტად ვიცი, რა შემიძლია და რა — არა, რა არის ჩემი გასაკეთებელი და რა არაა ჩემი საქმე.



ფრთხილი ადამიანი ნამდვილად ვარ

— კურო იშვიათად ბრაზდება, მაგრამ თუ გაბრაზდა...

— მე დიდი სიყვარული, მეგობრობა, გვერდით დგომა, ერთგულება შემიძლია... ადამიანი, რომელიც მეტ-ნაკლებად მიცნობს, სულელი უნდა იყოს, რომ გამაბრაზოს.

— და ვინც გაბრაზებთ, მათ როგორ ექცევით?

— ეს წინასწარ არასდროს ვიცი. ვერც იმას ვიტყვი, რომ ამ დროს თავს ვერ ვაკონტროლებ, მშვენივრად ვაკონტროლებ და ზუსტად ვიცი, რას ვეუბნები. შემიძლია, გული საშინლად ვატკინო. მერე კი ბუნებრივია, მასთან აღარც ვურთიერთობ, ის ჩემთვის აღარ არსებობს.

— ასეთები ბევრნი არიან?

— არა, ადამიანებს ადვილად ვერ ვწირავ, თან ადვილადაც არ ვბრაზდები... მაგრამ თუ გავბრაზდი, როგორც გითხარი, ისე ვიქცევი...

— კომფორტის მოყვარული ადამიანი ხართ?

— ასტროლოგებს თუ დავუჯერებთ, ჩვენ კომფორტის „მონებს“ გვიწოდებენ, რასაც ნაწილობრივ ვეთანხმები.

— კურო „ფულის სახლს“ განაგებს და იცის, როგორ გამობერტყოს ოქრო სხვისი ქისიდან...

— სხვის ქისას ნაკლებად ვეხები; ესეც აღზრდის შედეგია. ბავშვობიდანვე ძალიან დამოუკიდებელი ვიყავი, მქონდა საკუთარი ფული. ჩემს მშობლებს ზედმეტი არაფერი ჰქო-

ნიათ, მაგრამ ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ შვილებს რამეზე გული არ დაგვწყვეტოდა. მათ მე ანგარიშს ვუწევდი. ბავშვობიდანვე საკუთარი შემოსავლის ქონამ სულ სხვა ხასიათი ჩამომიყალიბა — ფულის თხოვნა საშინლად მეუხერხულება, ვერავის ვთხოვ, თუნდაც ეს ჩემი მეუღლე იყოს. ასე რომ, სხვის ქისას არასდროს ვეხები.

— თქვენი მოტყუება ადვილია?

— ჩემი მოტყუება ადვილი ნამდვილად არ არის. ბევრჯერ ვყოფილვარ ისეთ სიტუაციაში, როცა ვიცოდი, რომ მატყუებდნენ, მაგრამ არაფერი მითქვამს. ის ტყუილი მე არაფერს მავნებდა. ნიჭიერი მატყუარებიც მინახავს, მაგრამ ყველანაირ ტყუილს ხომ მაინც მოკლე ფეხები აქვს, ადრე თუ გვიან გამჟღავნდება. ხშირად ვამბობ, შენი ნებაა, მოიტყუო, ჩემი საქმეა, ან დაგიჯერო, ან — არა.

— „ვეფხვები“ სილამაზის დამფასებლები არიან...

— (*მაწყვეტინებს*) ვეთანხმები, ასტროლოგები ამ შემთხვევაშიც მართლები არიან.

— ლამაზად ვის მიიჩნევთ?

— ჩემთვის ლამაზი ქალი სოფი ლორენია...

— „ვეფხვი“ ვერ იტანს კონსერვატორულ აზროვნებას.

— ასტროლოგებს ისევ დავეთანხმები, ნამდვილად ასეა.

— დადგენილი სტერეოტიპების მსხვრევა, წეს-ჩვეულებების გადაბიჯება ხშირად გიწევთ?

— ადამიანების მიერ გამოგონილი წესები და დოგმები არ მიყვარს. თუ ამა თუ იმ ტრადიციაში ლოგიკურ ახსნას ვერ ვხედავ, მას არც დავიცავ.

— ტემპერამენტიან „ვეფხვებს“ სიყვარულში იშვიათად უმართლებთო...

— ვერ ვიტყვი, რომ სიყვარულში არ მიმართლებს. პირიქით, ცალმხრივი სიყვარული არასდროს განმიცდია. პირველად არასდროს არავინ შემყვარებია. არ ვიცი, ეს გრძნობა როგორია, მაგრამ შემხვედრიან ცალმხრივად შეყვარებული ადამიანები და მათთვის თანაგრძნობა გამომიხატავს.

— შემოქმედებითი თვალსაზრისით თქვენკენ რა სიახლეა?

— ბოლო სოლო კონცერტი 2 წლის წინ მქონდა. ახალ პროექტზე ფიქრი უკვე დავიწყე, მაგრამ ფორმა, რეპერტუარი და კიდევ ბევრი რამ როგორი იქნება, ჯერ არ ვიცი.

— წარმატებულ წელს გისურვებთ.

— გმადლობთ, 2010 წელი თქვენთვისაც წარმატებების მომტანი ყოფილიყოს.

„ლეიბორისტ“ ***გიორგი გუგავას*** *მიაჩნია, რომ ადამიანის წარმატება არა ვარსკვლავთა განლაგებაზე, არამედ ადამიანის ნიჭსა და მონდომებაზეა დამოკიდებული.*

— ბატონო გიორგი, ასტროლოგები თქვენს ნიშანზე ასე ამბობენ: ჩინით მასზე უფროსს ყოველთვის ეწინააღმდეგებაო. მართლა ასეა?

— რაო, რაო? (*კითხვას ვუმეორებ*) როგორ ავხსნი, იცი? უფროსისადმი მონური დამოკიდებულება არასდროს მქონია. როცა მივიჩნევ, რომ მართალი ვარ, ვცდილობ, ჩემი პოზიცია დავიცვა. ამას არასდროს ვერიდები.

— ბატონ შალვასთან ურთიერთობაში ეს რამდენად ხშირად ხდება?

— ჩვენ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით ზოგჯერ ვკამათობთ, მაგრამ ამ გზით ჭეშმარიტებამდე მივდივართ.

განგსგერობის სურვილი არ მაქვს

— „ვეფხვი“ ხშირად ღრიალებს...

— ზოგჯერ ამა თუ იმ მოვლენის მიმართ დამოკიდებულებას ემოციურად გამოვხატავ, არა მხოლოდ პოლიტიკაში, არამედ ოჯახშიც. წამიერი „აფეთქებები“ მაქვს, მაგრამ ბრაზი სწრაფად მივლის.

— „აფეთქებული“ გუგავას დაკავება ადვილია?

— არა...

— ასტროლოგები გვირჩევენ, ქურთუკზე მოქაჩეთო.

— არა, საკუთარი თავის გაკონტროლებას თავად ვახერხებ.

— ავანტიურაზე ხშირად მიდიხართ?

— აღვირახსნილ ავანტიურაზე არასდროს მივდივარ.

— თქვენთვის მწარე სიმართლე ხშირად უთქვამთ?

— რა თქმა უნდა. ეს ადვილად

ცნობილი „ვეფხვები“

მოსასმენი არ არის, მაგრამ ლამაზ ტყუილს მირჩევნია.

— ეგოისტი ხართ?

— ყველა ადამიანი ეგოისტია. ჩემში „ეგო“ მოჭარბებული კი არა, უფრო დოზირებულია.

— ასტროლოგები ამბობენ, ადვილი მოსალოდნელია, „ვეფხვი“ საშინელ განგსტერად გადაიქცესო. რამდენად მოსალოდნელია გუგავას განგსტერობა?

— განგსტერობის სურვილი არ მაქვს. არც ის მგონია, ჩემგან ალ კაპონე გამოვიდეს.

— სიყვარულში იმედგაცრუება თუ გქონიათ?

— (*მაწყვეტინებს*) არა. გოგონა, რომელიც შემიყვარდა, დღეს ჩემი მეუღლეა. იმედგაცრუება არ მქონია.

— თქვენი მეუღლის ზოდიაქოს ნიშანი გველი ან მაიმუნი ხომ არ არის?

— არა ის კატაა. ჩვენ ერთი „ოჯახიდან“ ვართ...

— მორცხვი ხართ? ამბობენ, უარის თქმის უფრო მეტად გერიდებათ, ვიდრე ყველა სხვა ნიშანს, ერთად აღებულს.

— მართალია, მორცხვი ვარ. უარის თქმაც მიჭირს, მაგრამ რას ვიზამ?!

— ეს ცხოვრებაში დისკომფორტს არ გიქმნით?

— რა თქმა უნდა, მიქმნის, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, ადამიანები ისეთ რამეს მთხოვენ, რაც ჩემს შესაძლებლობებს აღემატება.

— ეჭვიანი ხართ?

— ზომიერად...

— სამოგზაურად რომელ ქვეყანაში წახვიდოდით?

— აღმოსავლეთის ქვეყნები მაინტერესებს, ჩინური და არაბული ცივილიზაცია. სამხრეთ ამერიკასა და სკანდინავიურ ქვეყნებსაც სიამოვნებით ვესტუმრებოდი.

— თქვენ მთელი მსოფლიოს შემოვლა გნდომებიათ.

— ასე გამოვიდა...

— თუ „ვეფხვი“ გაბრაზდა, გაექეციათო — გვირჩევენ ასტროლოგები...

— კლანჭებალესილი „ვეფხვი“ არ ვარ, მაგრამ გამოგიტყდებით და, გაბრაზება მძაფრი ფორმით გამომიხატავს.

— მძაფრ ფორმაში რას გულისხმობთ?

— რაც ვეფხვს ახასიათებს, ღრიალი ვიცი (*იცინის*), მაგრამ ეს იშვიათად ხდება.

— ის უმალ სიცრუის „მორეებს“ დაახვავებს, ვიდრე თავის ცოდვას აღიარებსო. ასე ხშირად ხდება?

— ყველაზე მეტად ტყუილის თქმა მიჭირს...

მომღერალი გიო ხუციშვილი ყოველი ახალი წლის დადგომას სიახლის მოლოდინით ხვდება. ერთ ადგილზე დიდი ხნით გაჩერება არ უყვარს. ღვინის კომპანიიდან უკვე წამოვიდა, მართალია, ძველი საქმის ნოსტალგია აქვს, მაგრამ ახალი საქმის კეთებას დიდი ენთუზიაზმით შეუდგა. მალე თბილისში გასართობი ცენტრების ქსელი გაიხსნება, სახელწოდებით — „გიოსთან“.

გიო ხუციშვილი:

— მინდა თბილისური საღამოების, სასიამოვნო შეხვედრების საუკეთესო ადგილი იყოს. „გიოსთან“ იქნება გემოვნებიანი მუსიკა, თბილი გარემო. რადგან ჩემი წელი იწყება, მჯერა, რომ ამ საქმეს თავს წარმატებით გავართმევ. ასტროლოგები ამბობენ, რომ „ვეფხვები“ უდისციპლინოები არიან, მაგრამ ამ შემთხვევაში მათ ვერ დავეთანხმები. საქმეს, რომლის გაკეთებაც დღეს შემიძლია, ხვალისთვის არასდროს გადავდებ — ეს ჩემი თვისებაა.

— რისკზე ხშირად მიდიხართ?

— სარისკო ნაბიჯს ახალგაზრდობაში უფრო ხშირად ვდგამდი. ახლა დადინჯებული „ვეფხვი“ ვარ. მაშინ კი შედეგზე არ ვფიქრობდი.

— თქვენ ვეფხვის წელში დაბადებული „თევზი“ ხართ. ასტროლოგები რთულად დასახასიათებელ ნიშნად მიგიჩნევენ, თქვენი სიმბოლოც ხომ სხვადასხვა მიმართულებით მცურავი „თევზია“.

— ჰოდა, ვამართლებ. მთელი ცხოვრება აქეთ-იქით დავცურავ...

— თქვენთვის რომელი მიმართულებით უფრო საინტერესოა ცურვა — როცა დინებას მიჰყვებით თუ პირიქით?

— დინებას რომ მიჰყვე, შეიძლება, სადღაც გადაიჩეხო, ზოგჯერ აღმაც უნდა იცურო. მე ვიტყოდი, ეს უფრო საინტერესოცაა.

— ასტროლოგები ერთ-ერთ ემოციურ ნიშნად მიგიჩნევენ. მართლა ასეა?

— ზედმეტად ემოციური ვარ. ცოტა ხნის წინ ზუკამ დათო ევგენიძის „თბილი-სი“ შეასრულა, სცენას 5 წლის შემდეგ ამ სიმღერით დაუბრუნდა. მთელი ღამე ვუსმენდი, ისეთი ემოცია მქონდა, ვეღარ დავიძინე. ჩემი ბავშვობის დროინდელი თბილისი გამახსენდა, მე და დათო ევგენიძე „შორტებით“ რომ დავრბოდით, მუშთაიდის ბაღში.

— ოცნებებში ცხოვრება გიყვართ?

— ოცნება მაგარი რამეა, სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე სულ ვოცნებობ. როცა წამოვიზარდე, მივხვდი, თუ ხელი არ გაანძრიე, ოცნება ოცნებად დაგრჩება და არაფერი აგისრულდება. ჩემი თაობიდან ბევრი ადამიანი ოცნებებში დარჩა. მათ მდგომარეობას განვიცდი.

— თქვენ ხშირად გისრულდებათ?

— ძალიან ვწვალობ, რომ ავისრულო. განებივრებული ბავშვი ვიყავი. მშობლები მაღალ თანამდებობებზე მუშაობდნენ, უზრუნველად ვცხოვრობდით, მაგრამ ჩვენი ბედნიერება ერთ დღეს დაინგრა. მამა მოულოდნელად გარდაიცვალა, 18 წლის ასაკში საშინელ რეალობას შევეჯახე და ბრძოლაც დავიწყე...

— „ვეფხვები“ ხშირად კარგავენ ნივთებს და ავიწყდებათ, სად რა შეინახეს. ასტროლოგებს ამაში თუ ეთანხმებით?

— მობილურს და საათს ყოველ-



თვის ერთსა და იმავე ადგილზე ვდებ. დანარჩენ ნივთებზე კი რა მოგახსენოთ... მანქანის გასაღებს ხშირად ვეძებ, სახლიდან გასვლის წინ ვამოწმებ, რამე ხომ არ მრჩება.

— ისინი საკუთარი თავის მოტყუების ოსტატები არიანო.

— არა, ამაში ვერ დავეთანხმები. ეს ძალიან ცუდი თვისებაა. სხვას არ ვატყუებ და საკუთარ თავს — მით უმეტეს.

— რამდენად მიმნდობი ხართ?

— ცხოვრებამ ბევრი რამ მასწავლა. ზედმეტად მიმნდობი არ ვარ. ჩემი მოტყუება ადვილი არ არის.

— ახალ წელს როგორ შეხვდით?

— მოგეხსენებათ ჩემი და — ხათუნა 20 წელია, ამერიკაში ცხოვრობს. ზაფხულობით ჩვენ მასთან

ჩავდივართ, მისი ოჯახი კი ყოველ ახალ წელს საქართველოში ხვდება. მათ წელსაც არ დაარღვიეს ტრადიცია. ჩემმა დისშვილმა ცოლი მოიყვანა, ამერიკელი გოგონა და წელს ისიც ჩვენი სტუმარია. საქართველოს შესახებ არაფერი იცოდა, მაგრამ ჩამოვიდა თუ არა აქ, პატარა მოგზაურობა მოვუწყვეთ. ჩვენი ქვეყნით აღფრთოვანებულია. ცოტა ხანში ჩემი და და სიძე საცხოვრებლად თბილისში გადმოვლენ. ამაზე სიძეც დავითანხმე, ის უკრაინელია და ამბობს, უკრაინის შემდეგ საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ვიცხოვრებო... ბალერონია, ამერიკაში საუკეთესო პედაგოგად მიიჩნევენ, ჩემი და კი მუსიკოსია. თბილისში ბინა უკვე შეიძინეს და თავიანთ საქმიანობას აქ გააგრძელებენ. ჩემი დისშვილი ჯერჯერობით ჩამოსვლას ვერ ახერხებს, რამდენიმე წელი ისევ ამერიკაში დარჩება.



მაიმუნივით ცნობისმოყვარე ვარ

„ვეფხვთან“ ინტერვიუზე რომ მიდიხარ, არ გეშინია? შენ რა ყოჩაღი ყოფილხარ“, — მითხრა პოლიტოლოგმა ***რამაზ საყვარელიძემ*** *და ინტერვიუსთვის შინ მიმიპატიჟა.*

— ბატონო რამაზ, ასტროლოგთა რჩევებს თუ ითვალისწინებთ?

— მათ რჩევებს ყურს ვუგდებ, მაგრამ რომ გითხრათ, ვითვალისწინებ-მეთქი, ტყუილი იქნება.

— მათ ხშირად ისეთი რამ აინტერესებთ, რაც სხვებს უცნაური და უჩვეულო ეჩვენებათ — ასტროლოგები ასე გახასიათებენ. ეთანხმებით?

— მართალს ამბობენ. ეს ჩემი პიროვნული თვისება მეგონა, თურმე ვეფხვების ყოფილა.

— წინათგრძნობა, ინტუიცია რამდენად გაქვთ განვითარებული?

— მე უფრო ლოგიკას ვეყრდნობი, ვიდრე ინტუიციას.

— მათ განდგომა ახასიათებთ, ხალხს ცივი და უსულგულო ჰგონია...

— განდგომა რომ მახასიათებდეს, თქვენ ჩემთან მოხვიდოდით?

— ვერა, და არც ცივი და უსულგულო მგონიხართ. ახალ ნაცნობებსა და საინტერესო ადამიანებს ხშირად ეძებთ?

— არა, იშვიათად. მათ ძებნა არ უნდათ, თავისთავად დაგაინტერესებენ. ასეთ ადამიანებს ვიცნობ.

— დაგვისახელებთ?

— ედუარდ შევარდნაძე და მიხეილ სააკაშვილი.

— მათ რით დაგაინტერესეს?

— არაპროგნოზირებადობით. როცა არ იცი, ადამიანი ამა თუ იმ სიტუაციაში როგორ მოიქცევა, რა რეაქციას გამოავლენს, რა ნაბიჯს გადადგამს — აი, ასეთ ადამიანებს ვუწოდებ საინტერესოებს. ეს ერთი კატეგორიაა და მეორე ჯგუფში კი ისინი შედიან, ვისაც ამბის საინტერესოდ თხრობის უნარი აქვთ. რა თქმა უნდა, ასეთები გაცილებით მეტნი არიან, მაგალითად — ლევან ბერძენიშვილი.

— წინააღმდეგობები გთრგუნავთ თუ მეტი ძალით გავსებთ?

— როცა ვგრძნობ, რომ წინააღმდეგობის გადალახვა შემიძლია, უფრო მობილიზებული ვხდები, შინაგანი ძალა მიორმაგდება, მაგრამ ჩემში ამის რესურსს თუ ვერ ვხედავ, მერე ვითრგუნები.

— რამდენად გულწრფელი ადამიანი ხართ?

— რამდენადაც საჭიროდ მივიჩნევ.

— უმეტესად გულწრფელად ლაპარაკობთ?

— არა.

— ასტროლოგების თქმით, ცნობისმოყვარე უნდა იყოთ.

— აი, ეგ ავადმყოფობა კი მართლა მჭირს.

— იმდენად, რომ ავადმყოფობას ეძახით?

— მაიმუნივით ცნობისმოყვარე ვარ.

— ასტროლოგები ბრალს უდისციპლინობაშიც გდებენ.

— ამასაც ვუჩივი. სამუშაოს, რომელიც შეიძლება, 1 დღეში დავასრულო, 1 კვირის მანძილზე ვწელავ.

— სხვებს ხშირად აიძულებთ, მოგისმინონ?

— ამ სურვილს ლექციებზე ვიკმაყოფილებ. ზოგჯერ მეც მაიძულებენ, რომ ვილაპარაკო (*იცინის*).

— მე მგულისხმობთ?

— თქვენ და თქვენს კოლეგებს. ბევრნი ხართ.

— მათ შეუძლიათ, ძალიან უყვარდეთ, სიყვარულში კი იშვიათად უმართლებთ...

— მგონი, არც არსებობს ადამიანი, რომლის ცხოვრებაშიც გაუმართლებელი სიყვარული არ ყოფილა. როგორც წესი, ხშირად პირველი სიყვარული არ ამართლებს. ჩემს ბიოგრაფიაში კი უნიკალური რამ მოხდა — ჩემი მეუღლე ის ადამიანია, რომელიც ჩემი პირველი სიყვარული იყო. დაქორწინებამდე ურთიერთობაში იყო გაუმართლებლობის, გაბუტვის, შერიგების ეტაპები.

— ეი. ბევრი გაწვალათ.

— მართალია, მაწვალა, მაგრამ მეც არ დავაკელი (*იცინის*). რაც მთავარია, ახლა ბედნიერი ვარ.

— თქვენი მეუღლის ზოდიაქოს ნიშანი რომელია?

— ისიც ვეფხვია.

— მერე ორი ვეფხვის ერთად ცხოვრება რთული არ არის?

— არანაირად.

— ასტროლოგები ვეფხვებს ურჩევენ, რომ ჭკვიან გველთან და ეშმაკ მაიმუნთან ქორწინებისგან თავი შეიკავონ. გაგმართლებიათ, ბატონო რამაზ.

— ასე გამოდის.

— ბოლოს გთხოვთ, დაუვიწყარი ახალი წელი გაიხსენოთ.

— ეს ჩემს ახალგაზრდობაში მოხდა. დეკემბრის ბოლოს ძმაკაცებმა მეგობარს ლენინგრადში ჩავაკითხეთ, ოთხნი ვიყავით. თბილისში დაბრუნებამდე იქ რაღაც-რაღაცები შევიძინე, მათ შორის ნაძვის ხეც, მაგრამ აეროპორტში რომ მივედით, გამოგვიცხადეს, თქვენი ბარგი თვითმფრინავში რომ შეიტანოთ, მტვირთავები არ გვყავს, ამ საქმეს თავად თუ შეასრულებთ, გაფრინდებით, თუ არა და, რეისი გადაიდებაო. 31 დეკემბერია, გვინდა, რომ ახალ წელს ოჯახში შევხვდეთ. მეტი რა გზა გვქონდა — მე და ჩემმა მეგობრებმა დავიკაპიწეთ ხელები და...

— რატომ, სხვა არავინ იყო?

— მგზავრთა უმეტესობას ქალები და ბავშვები შეადგენდნენ, თან უამრავი ბარგი ჰქონდათ. 2 ბიჭის მეტი არავინ დაგვმატებია. ყველა ჩანთა ჩვენ შევზიდეთ და როგორც იქნა, გადმოვფრინდით. სახლში 12 საათზე ნაძვის ხით ხელდამშვენებული შემოვედი. მტვირთავად მუშაობის შთაბეჭდილებამ მთელი ახალი წელი გადაფარა. როგორი ან რომელი ახალი წელი იყო, ზუსტად აღარც მახსოვს, მაგრამ ეს ამბავი არასდროს დამავიწყდება. ■

კობა ხაბაზის დიდძალი ქონება

ათასები მინუსებში, 200 სკა და საკუთარი სტანდარტით დალაგებული წიგნები

სანამ ჩვენს რესპონდენტთან — პარლამენტარ კობა ხაბაზთან მის ავლადიდებაზე საუბარს დავიწყებდეთ, მისი ოფიციალური ქონებრივი დეკლარაციიდან რამდენიმე მონაცემს გაგაცნობთ.

„2009 წელი:

მიღებული შემოსავალი (წლიური ხელფასის რაოდენობა) — 43.584 ლარი (ბინის ქირა 7.904 ლარი);

ფულადი თანხა — 11.000 დოლარი და 22.000 ლარი; სხვადასხვა საბანკო ანგარიში.

2004 წელი:

ფულადი თანხა — 4.000 დოლარი და 15.000 ლარი.

საკუთრება:

მსუბუქი ავტომობილი; 120 ფუტკრის ოჯახი; სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია“.

თამთა დადეშელი

საუბარი კი ბატონმა კობამ ასე დაიწყო:

— როდესაც მუხრან მაჭავარიანს სთხოვეს, ფული გვასესხეო, მან ლექსად უპასუხა: „სული მასესხა ღმერთმა,/ ხორცი მასესხა მიწამ/ თავით ფეხამდე სესხმა/ თქვენ რაღა მოგცეთ სესხად?!“ ქონებაზე რომ მეკითხებიან, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ქობულეთში ძალიან კარგი ბიბლიოთეკა მაქვს (დაახლოებით მე-5 კლასიდან დავიწყე წიგნების შეგროვება), შემიძლია ვთქვა, რომ სხვა ისეთი ღირებული ნამდვილად, არაფერი გამაჩნია. არ ვფიქრობ, რომ ნაქირავებში ცხოვრებას რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდეს. მთავარი არაა, ის შენია თუ არა, მთავარია, ისეთი კომფორტული პირობები შეიქმნა, როგორიც შენ გაძლევს ხელს. როდესაც დოჩანაშვილის გმირს ეკითხებიან, როდის გრძნობ თავს კარგადო? — პასუხობს: როდესაც მაქვს ბევრი წიგნი, მაგიდა და ტორშერი წიგნების წასაკითხადო.

— ქობულეთის სახლი ვის ეკუთვნის?

— ის ჩემი მშობლების, ჩემი ძმის სახლია. ორსართულიანია, ამ სახლში გავიზარდე. ქობულეთის რაიონის სოფელ აჭყვისთავშია. გვაქვს ბაღი, სადაც დაახლოებით 10 ტონამდე ციტრუსი მოდის, 2 ტონამდე კივის ვკრეფთ. სხვადასხვა ხილიცაა. გვაქვს საფუტკრე მეურნეობა, რომელიც მე, ჩემმა ძმამ და ბიძაშვილმა ჩვენი ხელით ავაწყვეთ; ორ ტონამდე თაფლი მოდის. აჭყვისთავი ერთ-ერთი საოცრად ლამაზი სოფელია, მდინარე აჭყვის სათავეშია და სახელიც ამიტომ ჰქვია.

— როგორი ინტერიერია სახლში?

— კომუნისტების დროს გარკვეული სტანდარტი არსებობდა. ეს არის ოთხად გაყოფილი სახლი, ორივე მხრიდან აივნებით. იქ ძირითადად, იმ პერიოდის ავეჯია, რომელსაც მამა და დედა წლების განმავლობაში იძენდნენ, არ არის ანტიკვარები და არც სუპერთანამედროვე ახალი ავეჯი.

— წინაპრებისგან თუ გერგოთ რაიმე ისეთი ნივთი, რომელიც თქვენთვის განსაკუთრებულად დასამახსოვრებელი და ღირებულია?

— „მეფის პერიოდის ქართველი ბიზნესმენები“ — ასეთი ფოტო გადმომცა ჯემალ ინაიშვილმა, სადაც მის ბაბუასთან ერთად, ბაბუაჩემიცაა გამოსახული. პირველივე კითხვა, რაც გამიჩნდა, ის იყო — თუკი ისეთი ბიზნესმენი იყო, რომ მეფის პერიოდში, გაზეთშიც კი დაიბეჭდა მისი ფოტო, სახლში რატომ არაფერია-მეთქი? მცირე ბიზნესი ჰქონია: ჩადიოდა ოდესაში, იქიდან ავეჯი ჩამოჰქონდა და მისი ბუნებიდან გამომდინარე, 80%-ს საჩუქრად არიგებდა. იმ პერიოდიდან ერთადერთი, რაცაა დარჩენილი, ტანსაცმლის შესანახავი კარადაა, რომელიც სერიოზულ რესტავრაციას საჭიროებს.

— ბიზნესი ფაქტობრივად, თქვენც გაქვთ და მაინც გასაკვირია, რომ საკუთარი სახლი ჯერ კიდევ არ შეგიძენიათ. არადა, ყველა ადამიანი, პირველ რიგში, უძრავი ქონების შეძენას ცდილობს, განსაკუთრებით მაშინ, თუ კარგი სამსახური აქვს.

— რა არის, იცით?.. ამას ბიზნესს ვერ დავარქმევ, უფრო — ჰობია. დავითვალოთ: მაქვს ხელფასი — 2.000 ლარი, რასაც ხელზე ვიღებ. დეპუტატი ვარ და როდესაც პარლამენტში მუშაობ, ხარჯი გაცილებით მეტია — საწვავზეც, ტელეფონზეც და ა.შ. ის, რომ დაახლოებით ოროთახიანი ბინა ვიყიდო თბილისში, რომელიც 50-70 ათასი მაინც ღირს, წარმოიდგინეთ, რამდენი წელი უნდა ვაგროვო და ოჯახს ყველაფერი მოვაკლო. ასე მარტივი არ არის. თუმცა გული მწყდება, თავის დროზე მონაწილეობა რომ არ მივიღე ბინათმშენებლობაში, გარკვეული თანხა უნდა შემეტანა. თუმცა მეორე მხრივ, ის ყოველთვიური გადასახადი რომ ვიხადო, თითქმის შემოსავლის გარეშე დავრჩები. ხელფასით ამას ვერ შევძლებ და კორუმპირებულიაო, ჩემზე ვერავინ იტყვის. მოკლედ, ბინის პრობლემა ნაკლებად მაწუხებს. მიმაჩნია, რომ ადამიანის ცხოვრების საუკეთესო პერიოდი დაახლოებით, 20-დან 25 წლამდეა. იმ ასაკში აქტიურად ვიყავი ჩართული პოლიტიკაში და ასლან აბაშიძე პირდაპირ მთავაზობდა მაღალ თანამდებობებს, 100.000 დოლარს ქრთამის სახით და ა.შ. მაშინ არ მძლია ცდუნებამ და ახლა — მით უმეტეს. 17 წლის განმავლობაში ვლანძღავდი კლანურ მმართველობას აჭარაში, თუ როგორ ჭამდნენ და ანადგურებდნენ ქვეყანას ეს ვირთხები და 17 წლის შემდეგ, მე გადავდგა ის ნაბიჯი, რომელზეც ვამბობდი, უსინდისობაა-მეთქი?!.

— როგორია თქვენი კაბინეტი, სამუშაო მაგიდა?

— ჩემს კაბინეტში, სოფელში, კედლებზე სამი მხრიდან წიგნების თაროები მაქვს გაკეთებული, მაქვს მაგიდა, ზედ ტორშერი (*იცინის*), სადაც ძალიან ბევრს ვკითხულობდი. ახლა, ვინაიდან ძირითადად თბილისში ვარ, განსაკუთრებულად არ მაქვს მოწყობილი, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ყველა ნივთი გარკვეული სიმბოლური დატვირთვისაა. ზოგი კედლებზე მაქვს ჩამოკიდებული, ზოგი — ჭაღზე, ზოგი — ფანჯრის რაფებზე, ბიჯებით დაწყებული, რომლებიც კონფერენციებზე მეკეთა, სხვა ნივთებით დამთავრებული. ჩემი ბიძაშვილი, მერაბ ხაბაზი ალპინისტი იყო, უშბაზე დაიღუპა და საკუთარი ხელით ჩამოვიტანე მისი ცხედარი იქიდან. მისი ალპინისტური ნივთი მაქვს შენახული, რომელსაც ჩემთვის სიმბოლური დატვირთვა აქვს.

— მდიდარი ბიბლიოთეკის გარდა რისი კოლექცია გაქვთ?

— ყველა ქვეყნიდან პატარა ზანზალაკები ჩამომაქვს, რომლებიც ძალიან მიყვარს.

20-22 წლისა ისევე ვიყავი ლიტერატურულ ნატაშაზე შეყვარებული, როგორც დოჩანაშვილის პერსონაჟი

მათზე ქალაქების სახელებია ამოტვიფრული და როცა დავხედავ, ვიხსენებ, რა ვნახე იქ, რა დავათვალიერე და ა.შ. რაც შეეხება წიგნებს, რამდენიმე ღირებული წიგნი, რომელიც მქონდა (მაგალითად, ჯორჯაძის 1860-იან წლებში გამოცემული წიგნი, პირველი „მოამბეების“ ნაკრები და სხვა), თავის დროზე ქობულეთში მცხოვრებ ბიბლიოფილს — მამია ხარაზს გადავეცი, რომელსაც პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთ-ერთი საუკეთესო ბიბლიოთეკა ჰქონდა, — ათიათასობით წიგნი, პუშკინის ხელნაწერებით დაწყებული, მსოფლიოში ყველაზე პატარა ზომის წიგნით დამთავრებული. სხვა წიგნები, რაც მაქვს, თაროებზე ჩემეული სტანდარტითაა დალაგებული — იმის მიხედვით, თუ რომელ წლებში რა მიტაცებდა და რა მეტამორფოზას განიცდიდა ჩემი გემოვნება.

— ამჟამად რას კითხულობთ?

— დაახლოებით 6-7 წელია, ახალი არაფერი წამიკითხავს (თუ არ ჩავთვლით მურაკამის), იმიტომ, რომ ხშირად ვუბრუნდები ადრე წაკითხულ წიგნებს. მაგალითად: „დონ-კიხოტი“, „ძმები კარამაზოვები“, „გარგანტუა და პანტაგრუელი“ 20-30 ჯერ მაქვს წაკითხული. ეს არის წიგნები, რომლებიც ძალიან მიყვარს და ყოველ წაკითხვაზე რამეს ახალს ვპოულობ.

— თანამედროვე მწერლების შემოქმედებას ეცნობით?

— ეგზისტენციალისტების ეპოქა მიტაცებდა ძალიან და ძირითადად, კაფკას, კამიუს, მარკესს ვკითხულობდი. თანაც, ამ წიგნების მოპოვებას იმ დროს ვახერხებდი, როცა მასობრივად არ იყიდებოდა. ძალიან ბევრი მწერალი მიყვარს, ძნელია ყველას ჩამოთვლა. ქართველი მწერლებიდან აკა მორჩილაძეს გამოვარჩევდი. ის არა მარტო ნიჭიერია, არამედ მის ყველა წიგნს ეტყობა საოცარი, ტიტანური შრომის შედეგი. იმ თაობას მივეკუთვნები, რომელიც დოჩანაშვილის ნაწარმოებებზე იზრდებოდა. ზეპირად ვიცოდით თავები „სამოსელი პირველიდან“, ასევე მოთხრობიდან — „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“... 20-22 წლისა ისევე ვიყავი ლიტერატურულ ნატაშაზე შეყვარებული, როგორც დოჩანაშვილის პერსონაჟი.

— რამდენი წიგნია თქვენს ბიბლიოთეკაში?

— დაახლოებით 1200-მდე ნარჩევი წიგნი. დაბალი ლიტერატურული მნიშვნელობის ნაკლებად მაქვს. როდესაც დოჩანაშვილის გმირს ჰკითხეს, — რას იზამდით, რომ დაინახოთ, კაცი წიგნს ხევსო? ეგონათ, რომ აფეთქდებოდა, მაგრამ მან მარტივი პასუხი გასცა: წიგნს გააჩნიაო. მეც დაახლოებით ასეთი დამოკიდებულება მაქვს — ღირებული წიგნები მიყვარს.

— კეთილი. რადგან ჩვენი ინტერვიუ ძირითადად მაინც, ქონებრივ დეკლარაციას ეხება, ისევ ამ თემაზე გავაგრძელოთ საუბარი, თქვენს საბანკო ანგარიშებზე მოგვიყევით, რომელიც დეკლარაციაში გაქვთ მითითებული. დანაზოგზე რას გვეტყვით?

— დანაზოგი არა მაქვს. მაქვს „თი-ბი-სი-ბარათი“ და 10.000 ლარი მინუსში, „ორენჯ-ბარათზე“ — 1.000 დოლარი მინუსში, „ბაზის ბანკში“ — 2.500 ლარი მინუსში (*იცინის*).

— რატომ მინუსში? რისთვის გაქვთ ეს თანხები გამოტანილი?

— ავტომანქანა შევიძინე. ჩემთვის მართლა ძნელია ავტომობილის გარეშე ყოფნა. მესმის, რომ დეპუტატმა მეტროთიც უნდა იაროს, ავტობუსითაც, ტაქსითაც, მაგრამ საქმე ასე მარტივად არ არის. ხშირად ისეთ სიტუაციაში გვიწევს ყოფნა, სადაც მანქანა აუცილებელია, თანაც ტაქსით სიარულში უფრო მეტი დაგეხარჯება. ვალი საშინლად არ მიყვარს და ნელ-ნელა ვფარავ ამ სესხებს.

— რა ავტომობილი შეიძინეთ?

— 2006 წლის „სუბარუ ბე-9“. ძალიან კარგი მანქანაა. მანამდე — 1995 წელს გამოშვებული „ბე-ემ-ვე-525“, მერე „ნისან მაქსიმა“ მყავდა. თავის დროზე, ორივე ცოტა დაუფიქრებლად ვიყიდე, ამიტომ ამჯერად შევეცადე, ისეთი შემერჩია, რომ ჩემი მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა.

— დეკლარაციაში გიწერიათ, რომ 2007 წელს ბანკიდან 50.000-დოლარიანი სესხი გამოიტანეთ, 10 წლით. 2008 წელს კი, როგორც მითითებულია, თანხა სრულად დაიფარა. რისთვის იყო ის განკუთვნილი?

— 2007 წელს ეს თანხა ბინათმშენებლობისთვის გამოვიტანე, მაგრამ ყოველთვიური გადასახადი 800 დოლარზე მეტს შეადგენდა... 1-2 თვეში მივხვდი, რომ ვერ შევძლებდი ყოველთვიურად მის დაფარვას და თანხა უკან დავაბრუნე.

— რა თანხა სჭირდება თქვენს ოჯახს ყოველთვიურად?

— ეს ალბათ, უფრო ჩემს მეუღლეს უნდა ჰკითხოთ (*იცინის*). დეპუტატის ცხოვრების წესიდან გამომდინარე, ოთხწევრიან ოჯახზე, ჩემი ვარაუდით, 4.000 ლარამდე იქნება საჭირო იმისათვის, რომ ნორმალურად ვიცხოვრო და პარალელურად, ჩემი სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელება შევძლო.

— თქვენი მეუღლე სად მუშაობს?

— მას ახალი დაწყებული აქვს მუშაობა ეკონომიკის სამინისტროში, სპეციალისტად.

— შვილები სად სწავლობენ?

— ჩემი ბიძაშვილი, მერაბ ხაბაზი საქართველოში ერთ-ერთი უნიჭიერესი მათემატიკოსი იყო და მეგობრებთან ერთად, ჩამოაყალიბა ვახანიას სახელობის მათემატიკური ექსპერიმენტული სკოლა, სადაც აბსოლუტურად განსხვავებული მეთოდებით ისწავლება მათემატიკა. ამ ხალხს ჯერ კიდევ ჩემი მოსწავლეობიდან ვიცნობდი და ამიტომ ჩემი შვილი მათთან მივიყვანე.

— ტანსაცმელს სად ყიდულობთ ხოლმე?

— ამ ბოლო ხანებში ძირითადად, საზღვარგარეთ მივლინების დროს ვყიდულობ. ჩემს ტანსაცმელთან ანეკდოტური დამოკიდებულებაა ხოლმე, იმიტომ, რომ ყველაზე ნაკლებად ეს მაღელვებს. შემიძლია, კარადა გამოვაღო და რაც ხელში მომხვდება, ის ჩავიცვა. ტანსაცმელში ძალიან ცოტას ვხარჯავ, იმიტომ, რომ ბრენდებით გატაცებული არ ვარ. მთავარია, თავი კომფორტულად ვიგრძნო. ნამდვილად არ გამოვირჩევი, როგორც კარგად ჩაცმული დეპუტატი. როგორც პარლამენტარს, მაქვს პიჯაკი, ჰალსტუხები, პერანგები; რამდენიმე წყვილი სპორტული ფორმა (ყოველ დილით ვვარჯიშობ), მაისურები, ჯინსი და ა.შ.

— რა აქსესუარს ატარებთ?

— აქსესუარებიდან ბოლო პერიოდში საათს ვატარებ, ვერასოდეს ვეგუებოდი და გამიჭირდა. თითქოს ხელი რაღაც მარწუხებში მქონდა. თავიდან ასეთ დისკომფორტს განვიცდიდი, მაგრამ ახლა შევეჩვიე. სათვალესაც ასეთივე მიზეზით, ვერ ვატარებ. მამაკაცმა სხვა რა აქსესუარი უნდა ატაროს?! საყურეს არ ვიკეთებ, არც ყურზე და არც ცხვირში (*იცინის*).

— სასმელთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?

— ძალიან მიყვარს ქართული სუფრა და ქართული ტრადიცია, მაგრამ 13 წლის წინ სერიოზულად მოვიწამლე ალკოჰოლით. იმის შემდეგ ტოქსიკოზი ჩამომიყალიბდა, 3 ჭიქაზე მეტს თუ დავლევ, ძალიან ცუდად ვხდები, ალერგიას მაძლევს, მეწყება სახსრების ტკივილი და მოკლედ, თითქმის აღარ ვსვამ. ისე, ძალიან მიყვარდა კონიაკი, ვისკი.

— რა არის თქვენი ცხოვრების მნიშვნელოვანი მონაპოვარი?

— ურთულესი კითხვაა... ალბათ, როდესაც ადამიანი ქმნი შენ გარშემო იმ სამყაროს, სადაც კარგად გრძნობ თავს. ამაში საოცრად გეხმარება წიგნები, სამეგობრო, ოჯახი, საყვარელი საქმე... მაგალითად, როცა შესაბამისი განწყობილების ლექსს კითხულობ, საყვარელ მუსიკას უსმენ და ა.შ. ყველაზე დიდ მონაპოვრად მაინც შეხედულებების ის სისტემა მიმაჩნია, რომელიც ჩამომიყალიბდა და ზუსტად ვიცი, როდის რა გავაკეთო, რა წავიკითხო, ვისთან წავიდე, რა ვნახო და ა.შ. ■

„სალოს თავისუფლად შეუძლია თქვას, მე და მამა ვმუშაობთო“...

„რუსთავი 2“-ის დილის გადაცემის ჟურნალისტს, მსახიობ ჩელეს უკვე 1 წლის გოგონა ჰყავს და როგორც აღმოჩნდა, ახალბედა მამიკო საკმაოდ კარგად ახერხებს პატარის მოვლას; მამას შვილი ხშირად თურმე სამსახურშიც დაჰყავს და საქმიან შეხვედრებზეც. ჩელესთან მისულმა, პატარა სალო მამას ძალიან მივამსგავსე და აღვნიშნე კიდეც. ჩელემ სიცილით მითხრა: ბავშვი ორივეს — მეც და ჩემს მეუღლესაც გვგავს, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, რომ მეზობელს არ დაემსგავსაო!..

ელენე ბასილიძე



— **რა შეიცვალა მას შემდეგ, რაც თქვენს ოჯახში სალო გაჩნდა?**

— ყველაფერი შეიცვალა... პირველ რიგში, ოჯახი მეტად გამყარდა და ჩვენ შორის დიდმა სითბომ დაისადგურა... მიუხედავად იმისა, რომ პატარის აღზრდა ძნელია, მაინც ძალზე სასიამოვნო პროცესია!.. მამობა ყველაზე საპასუხისმგებლო „თანამდებობაა“, ყველა სამსახურს „უჯოკრავს“...

— **ანუ სალომეს გაზრდასა და აღზრდაში აქტიურად ხარ ჩართული, არა?**

— კი, ჩემთვის სალომეს მოვლა დიდი სიამოვნებაა. ამ დროს მასთან უფრო ახლო ურთიერთობა მაქვს, ერთმანეთის თითქოს უკეთ გვესმის. თამთა (ჩემი მეუღლე) ახალი ნამშობიარევი იყო და ვცდილობდი, შევშველებოდი... ერთხელაც ღამით სალომ ჩაისვარა, ტირილი დაიწყო, თან ისეთი პატარა იყო, ხელში აყვანას ვერიდებოდი, მეშინოდა, რამე არ მევნო... ვიფიქრე, ჯანდაბას, გავხდი, როგორმე გამოვუცვლი-მეთქი და თამთა აღარ შევაწუხე... შემდეგ ჭამის დროც მოახლოვდა, დილის 5 საათი იყო, მოდი, მადლს ვშვრები, მარილსაც მოვაყრიმეთქი, ავდექი და საჭმელიც მოვუმზადე... ჭამის შემდეგ სალოს დაძინებაზე აღარ შევუწუხებივარ, მაშინვე ჩაეძინა. ასე რომ, ბავშვის მოვლას მთელი 3 საათი მოვანდომე და როცა დავწექი, ისეთი ბედნიერი და ნასიამოვნები ვიყავი, ვერც კი წარმოიდგენ... თან პამპერსის ჩაცმაც დავამუღამე (*საუბარში ჩელეს მეუღლე გვერთვება*: — ჰო, ისეთი ბედნიერი იყო, რომ მსგავსი ფაქტი აღარ განმეორებულა).

ჩელე:

— ცოტა ხნის წინ, კასპში რაღაც შეხვედრაზე ვიყავი, სალოც თან წავიყვანე; ოღონდ შეხვედრაზე რომ შევედი, ბავშვს სათამაშოები მივეცი, მანქანაში ჩავკეტე. მშვიდად ეძინა. როდესაც ჩემი საქმე მოვაგვარე და გარეთ გამოვედი, დავინახე, რომ მანქანას ხალხი შემოხვეოდა. სალო კი მათ შიგნიდან ეთამაშებოდა (*იცინის*). ეგონათ, რომ ბავშვი მანქანაში დამრჩა...

— **როგორც ჩანს, სალო ძალიან წყნარია.**

— კი, მშვიდია, არ ჭირვეულობს... ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, ეტიროს, თუ არ შია... მოსწონს მანქანით სეირნობა. მუსიკაც უყვარს... მას თავისუფლად შეუძლია თქვას — მე და მამა ვმუშაობთო, რადგანაც სამსახურშიც ხშირად დამყავს... ამ ზაფხულს ზღვაზეც გვყავდა. კამერა ვუყიდეთ, წყლით ვუვსებდით, ჩავსვამდით შიგ და იხვებით თამაშობდა...



ჩემთვის სალომეს მოვლა დიდი სიამოვნებაა

— **როგორც ჩანს, უცხოობა არ იცის...**

— არა, რამდენიმე წუთი სჭირდება, რომ ადამიანი შეისწავლოს და მერე უკვე ეკონტაქტება, უღიმის და ეთამაშება. ახლა ეს ისწავლა — „ვაი, ვაი, ვაი“, — ამბობს და თან ხელებს თავში ირტყამს...

— **თუ უბრაზდები პატარას?**

— როცა ვუბრაზდები, ვატყობ, რომ არ სიამოვნებს... იმ დღეს მეძინა და თამთამ ლოგინზე დამისვა. ბოლო ხმაზე გაკიოდა და გაჩერდიმეთქი, — გაბრაზებულმა ვუთხარი. სატირლად რომ მოემზადა, ჩავიხუტე და დავპირდი, — აღარ გაგიბრაზდები-მეთქი... ჰო, ახლა ისეთი პერიოდი აქვს, რომ რასაც მისწვდება, ყველაფერს ძირს ყრის, ჭურჭელს ამტვრევს, დედიკოს კოსმეტიკას ემტერება. ასე რომ, სულ ყურადღება სჭირდება. ბოლო დროს შევამჩნიე, რომ გაპრანჭვაც ისწავლა...

— **ჩელე, სალი როგორი გინდა რომ გაიზარდოს?**

— ღვთის მოშიში გოგო მინდა, იყოს და კარგად ისწავლოს, დანარჩენს თვითონ გადაწყვეტს...

— **მას ალბათ ძამიკო ან დაიკოც ეყოლება, არა?**

— თუ უფალი ინებებს, ეყოლება...

■

„საახალწლო საჩუქარი ბავშვებს“

საქველმოქმედო ზეიმი დევნილი პატარებისთვის

პატარებისთვის სადღესასწაულო განწყობილების შესაქმნელად, თბილისის მერიის ხელშეწყობითა და ქალბატონი ერნა წიფურიას ორგანიზატორობით, ფილარმონიაში ლამაზი საახალწლო ზეიმი გაიმართა. პატარების მონაწილეობით ჩატარებულ კონცერტს ლტოლვილი ბავშვებიც ესწრებოდნენ, რომლებსაც საახალწლო საჩუქრები დაურიგეს, შემდეგ კი ღონისძიების ორგანიზატორებმა ღამის თბილისის დასათვალიერებლად წაიყვანეს.

ეთო ყორღანაშვილი

ნუგზარ კვაშალს 10 წლის წინ გასართობად ნაყიდი ფორმა საახალწლო ზეიმზე გამოადგა და პატარებს ახალი წელი თოვლის ბაბუის სახელით მიულოცა:

— მთელი საქართველოს მასშტაბით, როგორც კი გავიგებ, რომ სადმე საბავშვო კონცერტი ტარდება, მასში მონაწილეობის სურვილი მიჩნდება, მით უმეტეს, თუკი სცენაზე ანსამბლი „გვირილა“ გამოდის — მე „გვირილას“ ერთი დიდი ფურცელი ვარ! ბავშვების გარეშე ცხოვრება არ შემიძლია! პატარებთან ყოფნა უფროსებთან ურთიერთობასაც მიადვილებს. ბევრი ასეთი ღონისძიება უნდა ჩატარდეს არა მხოლოდ ახალ წელს, არამედ — მთელი წლის განმავლობაში. ჩვენს შვილებს უნდა მოვეფეროთ. „დევნილი“, „ლტოლვილი“ — ეს სიტყვები ძალიან მაღიზიანებს! რა თქმა უნდა, ცხოვრება რთულია, მაგრამ იმედი მაქვს, რომ 2011 წელს ქართველები ცხინვალშიც, სოხუმშიც შეეხვდებით და ამას მთელი მსოფლიო გაიგებს!

— თოვლის ბაბუის ამპლუაში თავს როგორ გრძნობთ?

— ეს კოსტიუმი 10 წლის წინ, მოსკოვში მეგობრებმა გასართობად ვიყიდეთ. რა ვიცოდი, თუ სცენაზეც გამომადგებოდა (*იცინის*)? როგორც თოვლის ბაბუა ამბობს ხოლმე, — ყველასათვის მაქვს მისალოცი ერთი, შობა-ახალ წელს გილოცავთ, ტკბილად დამიბერდით!

*თოვლის ბაბუასთან ერთად, კონცერტის წამყვანი ჟურნალისტი — **ნინო ჩიხლაძე** გახლდათ:*

— კონცერტამდე კასტინგი ჩავატარეთ და საუკეთესო მუსიკალური ჯგუფები შევარჩიეთ. საბედნიეროდ, ბავშვებმა ჩვენი იმედი გაამართლეს და მაყურებელს დიდი სიამოვნება მიანიჭეს. პატარა გოგო-ბიჭებმა ეს პროექტი დაამშვენეს. ყველა აქ მყოფი გოგონა ულამაზესი ფიფქია და ფერია გახლდათ! ყველაზე ძვირფასი, რაც შეიძლება, რომ უფალმა გაჩუქოს, შვილია. მინდა, ჩვენს ერს გამრავლება, წინსვლა, გამარჯვება ვუსურვო! ქართველები უფლის რჩეული ერი ვართ და ვფიქრობ, რომ ყველაფერი კარგი ჯერ წინ გვაქვს. ზეიმი ანა კალანდაძის ლექსით დავიწყე და ახლაც გავიმეორებ: „... და საქართველო, კვლავაც აღმასვლის და გამარჯვების გზებით გვატარე“!

სცენაზე ანრი ჯოხაძეც ავიდა, რომლის სიმღერაც უამრავმა პატარამ ცეკვით გააფორმა.

ანრი ჯოხაძე:

— მეც „დიდი ბავშვი“ და ბუნებით ქველმოქმედი ადამიანი ვარ. ამიტომ ამ „ამბავს“ ვერ გამოვაკლდებოდი! მთელ საქართველოს შობა-ახალ წელს ვულოცავ და ყველა ბავშვს მშვიდობიან, ერთიან საქართველოში ცხოვრებას ვუსურვებ!

*კონცერტში მონაწილე ანსამბლი „ივერიელი“ **გივი სიხარულიძემ** სპეციალური სიგელით დააჯილდოვა:*

— წლის განმავლობაში, გიორგი ალიმბარაშვილის ანსამბლი „ივერიელი“ თითქმის ყველა კონცერტში აქტიურად მონაწილეობდა. ანსამბლის მიერ მოპოვებულ მრავალ ჯილდოს დღევანდელი სიგელიც შეემატა. ბავშვების სულის და გულის გასახარებლად, ასეთი ღამაზი საღამო ხშირად უნდა იმართებოდეს! კონცერტზე ბევრი მზრუნველობამოკლებული, გაჭირვებული, ლტოლვილი პატარა მოიყვანეს. ბედნიერი ვარ, რომ მათ სიხარული მივანიჭეთ. მინდა, 2010 წელი ჩვენი ქვეყნისთვის ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს! ქართველებმა შურით არ უნდა ვიცხოვროთ, ერთმანეთს სიყვარულის „კონები“ უნდა ვაჩუქოთ!

თოვლის ბაბუამ ლტოლვილ ბავშვებს საჩუქრები დაურიგა.

ერნა წიფურია, *პროექტის ორგანიზატორი:*

— კონცერტისთვის 11 საუკეთესო მუსიკალური და ცეკვის ანსამბლი შევარჩიეთ. მათ შორის — „გვირილა“, „ივერიელი“, „ჩირაღდანი“. ცხინვალიდან, აფხაზეთიდან დევნილ ბავშვებს ღამის თბილისი დავათვალიერებინეთ. ყველას გილოცავთ შობა-ახალ წელს, მრავალს დაესწარით! დაე, საქართველო გამთლიანდეს და ყველა ლტოლვილი ბავშვი საკუთარ სახლში დაბრუნდეს! ■

„კინტოური“ გოგონას შესრულებით — თავის დამკვიდრების პირველი ცდა

ცოტა ხნის წინ, კლუბ „თორიანში“ ქართულ ცეკვაზე — „კინტოური“ — გადაღებული კლიპის პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც თითქმის მთელი ქორეოგრაფიული ელიტა ესწრებოდა. კლიპი საკმაოდ საინტერესო გახლავთ: მამაკაცების ნაცვლად, „კინტოურს“ 13 წლის უმშვენიერესი გოგონა, ანსამბლ „მამულის“ სოლისტი — მარიამ მზეკალავა ასრულებს.

ეთო ყორღანაშვილი

კლიპში ძველი თბილისის ხედებია გამოყენებული. „კინტოურს“ მუსიკალურ აკომპანემენტს „ქსოვრელები“ უწევენ. რეჟისორი ნატო დოლიძე გახლავთ, ოპერატორი — გია კაიშაური. როგორც მარიამ მზეკალავას დედა — ქალბატონი ია ქათამაძე (რომელიც შვილის პროდიუსერის ფუნქციას მშვენივრად ითავსებს) აღნიშნავს, გოგონა „ახტაჯანა“, მხიარული და ცეცხლოვანია, რაშიც გურული ტემპერამენტიც ხელს უწყობს. სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს, რომ მარიამს მამაკაცური ცეკვა შეესრულებინა.

*საღამოს პოეტი ქალბატონი — **ნანა ციწცაძე** უძღვებოდა:*

— მე და მარიამის დედა კოლეგები (*მოგეხსენებათ, ქალბატონი ნანა პროფესიით ექიმი გახლავთ. — ავტ.*) ვართ. შემოთავაზებაზე — საღამოს წამყვანი ვყოფილიყავი, უარი არ მითქვამს. მით უმეტეს, საქმე პატარა გოგონას ეხება. შევეცადეთ, მარიამისთვის ლამაზი გარემო შეგვექმნა. მისთვის ეს კლიპი თავის დამკვიდრების პირველი ცდაა. ისღა დამრჩენია, გოგონას გზა დავულოცო და დიდი წარმატება ვუსურვო! ვფიქრობ, ქართულ ცეკვაზე კლიპის გადაღება ტრადიციების შენარჩუნებასა და აღორძინებას ემსახურება.

საღამოს ესწრებოდნენ: ფრიდონ სულაბერიძე, რეზო ჭანიშვილი, თენგიზ უთმელიძე, ომარ მხეიძე და გივი სიხარულიძე. ამ უკანასკნელმა კარგად მოილხინა და თამადის ამპლუაშიც მოგვევლინა.

გივი სიხარულიძე:

— ჩემი ერთ-ერთი პროფესიით მოცეკვავე ვარ. ძალიან საინტერესოდ მიმაჩნია, რომ „კინტოურს“ ისეთი ლამაზი გოგონა ასრულებს, რომელსაც ყველაფერი უხდება. პირადად მე, კლიპს ცეკვა „ქართულზე“ გადავიღებდი, რადგან საღამოზე მარიამმა და მისმა პარტნიორმა — იმედა ხიდეშელმა ძალიან კარგად იცეკვეს. მარიამი ფერიასავით გოგონაა, მომავალს დავულოცავ და ცხოვრებაში დიდ წარმატებას ვუსურვებ!

პრეზენტაციაზე მარიამ მზეკალავას ულამაზესი თაიგული მიართვეს, რომელიც ბიძამ (დედის ძმამ) — გია ქათამაძემ (საქართველოს ელჩი უკრაინაში) კიევიდან გამოუგზავნა. საღამოს მთავარი გმირის გარდა, სიურპრიზმა სტუმრებიც მოხიბლა და გული აუჩუყა, ბევრ მათგანს თვალზე ცრემლიც კი მოადგა... საბოლოო ჯამში, პრეზენტაციამ მხიარულად და წარმატებით ჩაიარა.

ამჟამად მარიამ მზეკალავა მეორე კლიპზე მუშაობს, რომელშიც მთიელი ქალის ცეკვას შეასრულებს. მუსიკალურ აკომპანემენტს კი ამჯერად, ანსამბლი „ბერმუხა“ გაუწევს. ■

ვარსკვლავები

სიდამაკვა

ფიქრები



ბრიუნო პელტიე – „NOTRE DAME DE PARIS-ის წარმატების საიდუმლო – მძიმე შრომაა“

საახალწლოდ Notre Dame de Parის თაყვანისმცემლებმა გულუხვი საჩუქარი მიიღეს. რუსეთის დედაქალაქში პირველად ჩავიდა შოუს ვარსკვლავი კანადელი მომღერალი ბრიუნო პელტიე, რომელმაც მოსკოვის ესტრადის თეატრში დაგეგმილი კონცერტების წინ ჟურნალს WomanJournal.ru სიყვარულის, მუსიკისა და ქველმოქმედების შესახებ საკუთარი აზრები გაუზიარა:

— მუსიკალური კარიერა როკჯგუფში დავიწყე, რადგან ჩემი მეგობრები სწორედ როკით იყვნენ გატაცებულნი. იმ დროს საკუთარი თავის ძიებაში ვიყავი, სხვადასხვა სტილში ექსპერიმენტებს ვატარებდი. მუსიკალურად განვითარებასა და ხარისხიანი მუსიკის შექმნას ვცდილობდი. კანადაში ხალხი ისეთივე მუსიკას უსმენს, როგორსაც სხვაგან. ზოგს როკი მოსწონს, ზოგს კი კლასიკა ან სხვა სტილი. ამით სხვა ქვეყნებისგან არაფრით განვსხვავდებით. ახლა მთელ მსოფლიოში შერეული მუსიკალური სტილია პოპულარული.

ჩემ მიერ შესრულებული პარტიებიდან ყველაზე მეტად მიუზიკლში Starmania შესრულებული კომპოზიცია SOS d'un terrien en detresse და Notre Dame de Paris-ში ნამღერი კომპოზიცია Lune მიყვარს.

ჩემი სიმღერების ერთადერთი თემა სიყვარული როდია. ჩემს 10 ალბომში სრულიად განსხვავებულ თემებს ვეხები. ვფიქრობ, მსმენელმა დასამახსოვრებელი მელოდიის გარდა — ლირიკაზე, სიტყვებზეც უნდა გამახვილოს ყურადღება.

როდესაც მიუზიკლისთვის Notre Dame de Paris გრეგუარის როლის რეპეტიციებს გავდიოდი, არ მეგონა, რომ ამ წარმოდგენას ასეთი წარმატება ექნებოდა. უბრალოდ, ამ სპექტაკლში ძალზე ბევრი და მძიმე შრომა ჩავდეთ და ვიმედოვნებდით, რომ ჩვენი მცდელობა დაფასდებოდა.

მიუზიკლის წარმატების საიდუმლო — მისი შემქმნელების მძიმე შრომა, უსასრულო რეპეტიციები და რაღა თქმა უნდა, ისაა, რომ საოცრად ცოცხალ წარმოდგენას ჩინებული მუსიკა ახლავს. მაყურებელი კარგად ხედავს, რომ სპექტაკლში მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული მსახიობები თამაშობენ და ამავდროულად ცოცხლად მღერიან.

მე საქველმოქმედო ორგანიზაციასთან „ბავშვების ოცნებები“ 13 წელი ვთანამშრომლობდი, რაც ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო, რადგან ამ ბავშვების ცხოვრებაში დადებითი ცვლილებების შეტანა მსურდა. ორგანიზატორი არა, მაგრამ საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმომადგენელი ვიყავი. 13 წლის თანამშრომლობის შემდეგ მათთან ურთიერთობა შევწყვიტე, სხვა ასეთივე ორგანიზაციებთან რომ ვითანამშრომლო, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ. ■

ცხოვრება

ზღაპარი გელაზე და „სხვა სამყაროდან“ მოსულ კაცზე

მარი ჯაფარიძე

გელამ ტელევიზორი ჩართო. 31 დეკემბერი, საღამოს 7 საათი... სხვას რას ელოდი?! რაღა თქმა უნდა, „ბედის ირონია“ გადის... და საერთოდ, რა გინდოდა ამ „დებილიზატორთან“? ამინდის გაგება? ფანჯარასთან რომ მისულიყავი, არ ჯობდა? 3 გრადუსი ყინვაა, ქარი და თანაც, უკვე ბნელა...

საკუთარ თავთან კამათი მოჰბეზრდა, სამზარეულოში შევიდა, მაცივრიდან არყის განახევრებული ბოთლი გამოიღო და მოზრდილი ჭიქა შეავსო. არეულ სამზარეულოს თვალი მოავლო და გაიფიქრა, რომ დრო იყო, ცოტა მაინც მიელაგებინა, მაგრამ მერე დაეზარა და ხელი ჩაიქნია.

30 წლის განმავლობაში, რაც ქვეყანას მოევლინა, ასეთი საზიზღარი ახალი წელი ჯერ არ ჰქონია.

მარტო, ნაგვით სავსე სახლში...

არც ნაძვის ხე, არც საახალწლო სამზადისი...

27 დეკემბერს თანამშრომლებთან ერთად გამოთვრა, შინ ტაქსით დაბრუნდა და თან 5 ბოთლი არაყი მოიყოლა. ახლა სწორედ ეს არაყი, უფრო სწორად, ის, რაც დარჩა — უკანასკნელი „დოზა“ — ჭიქაში ესხა და მხოლოდ გადაკვრაღა უნდოდა.

გელამ მშვენივრად იცოდა, რომ დასალევი არ ეყოფოდა, მაგრამ მაღაზიაში წასვლა სიკვდილივით ეზარებოდა.

დაფიქრდა. „იქნებ სუპერმარკეტში დავრეკო და ყველაფერი შინ მოვატანინო? მართალია, მთელი 20%-ით ძვირი დამიჯდება, მაგრამ სამაგიეროდ განძრევა არ დამჭირდება. თუ არა და, მომიწევს ასე, მშიერს და გაბოროტებულს, ახალი წლის შეხვედრა, სასმლისა და საჭმლის გარეშე“. საჭმელზე გაახსენდა, რომ მაცივარში ყველი ჰქონდა!

გელას გაუხარდა. არყის დალევა მისაყოლებლის გარეშე არ უნდოდა. წამოდგა, რომ მაცივარი გამოეღო და...

„აი, ასე! ვინ გასწავლა მაგიდის კიდეზე ჭიქის დადგმა?! ახლა რას დალევ, ვნახავ!.. წადი, ჩვარი მოიტანე და იატაკი მოწმინდე!“

გელა მიხვდა, რომ მაღაზიაში წასვლა გარდაუვალი იყო. ან შეკვეთა უნდა მიეცა, ან თვითონ უნდა წასულიყო. ცოტა ხანს ფიქრობდა და ისევ შეკვეთის მიცემა ამჯობინა. სადღაც მაღაზიის „ვიზიტკა“ ჰქონდა, მაგრამ ამდენ ნაგავში რას იპოვიდა?! სავიზიტო ბარათის მოძებნის მცდელობამ ფუჭად ჩაიარა. მობილური სადღაა?.. ტელეფონის ძებნამაც არ გამოიღო შედეგი. სამაგიეროდ, სიგარეტის გაუხსნელი კოლოფი, კანფეტი, ტელეფონის დამტენი და პრეზერვატივების მთელი შეკვრა იპოვა. ტელეფონი კი ვერსად აღმოაჩინა.

მაღაზიაში წასვლა არ ასცდებოდა. თანაც, ფეხით მოუწევდა, რადგან 31 დეკემბერს საღამოს, მანქანით სადმე წასვლა ნამდვილი სიგიჟე იყო. ამ აზრმა უფრო გაუფუჭა გუნება და გელამ ტანისამოსის გამოცვლა დაიწყო.

გარეთ ცუდი ამინდი იყო. არადა, ორიოდე წლის წინ ასეთი ამინდი მასზე სრულიად არ იმოქმედებდა. მის ცოლს ძალიან უყვარდა ასეთ ამინდში სეირნობა და არც თვითონ ამბობდა უარს, რომ

მასთან ერთად სუფთა ჰაერი ჩაეყლაპა. ცოლთან ერთად... ჰმ...

გელამ ამოიოხრა...

მაღაზიაში რიგი არ დახვდა და ძალიან გაუკვირდა. 2 ბოთლი არაყი, პური, ძეხვი...

ძალიანაც კარგი... ტვინის გამთიშველი უკვე აქვს... კუჭის დამაწყნარებელიც... მაშასადამე, ახალ წელს კარგად შეხვდება. შეიძლება ითქვას, რომ გუნება გამოუკეთდა კიდეც, — ყოველ შემთხვევაში, მის მდგომარეობაში მყოფი ადამიანის კვალობაზე... სჯეროდა, რომ ახლა დათრობა და თავდავიწყება ყველაზე კარგი გამოსავალი იყო.

მაღაზიიდან გამოსული გზის ნაპირზე გაჩერდა და სახე წვიმის წვეთებს შეუშვირა... წვიმა ხომ ციური წყალია...

უკან ვიღაცამ ჩაახველა. გელამ თავი გააქნია და მიიხედა. საშუალო სიმაღლის, შუა ხნის, სიმპათიური მამაკაცი დაღანდა. ის გელას თვალებში უყურებდა და უღიმოდა. თითქოს ეუბნებოდა, — ყველაფერი კარგად იქნებაო. ოდესღაც, სადღაც კი არა, ახლა, სულ მალე... აქ... ყველაფერი კარგად იქნება...

— გელა, შეიძლება, ორიოდე წუთით შეგაყოვნოთ?

გაოცება — ეს ყველაზე რბილად ნათქვამი სიტყვაა, რომელიც შეიძლება, ამ სიტუაციაში ითქვას.

— ვიცი, რომ უამრავი კითხვა გაქვს. გაინტერესებს, შენი სახელი საიდან ვიცი... მაგრამ ეს მთავარი და მნიშვნელოვანი სულაც არაა. მოდი, გავისეირნოთ და ყველაფერს აგიხსნი.

ორივენი ტროტუარს გაუყვა.

— მინდა გითხრა, რომ ადამიანების ბედით მხოლოდ ანგელოზები როდი ინტერესდებიან... ასე ნუ მიყურებ, მე ანგელოზი არა ვარ... ყველაფერი მარტივად რომ მოგეჩვენოს, ჩათვალე, რომ მე „სხვა სამყაროდან“ ვარ მოსული. რაღაც, თოვლის ბაბუის მსგავსი, ოღონდ — ხურჯინისა და წვერის გარეშე. გაინტერესებს, შენთან როგორ მოვხვდი?.. უბრალოდ, გზაზე გადამე-

ყარე... რამდენიმე წამის შემდეგ კი შენ შესახებ უკვე ყველაფერი ვიცოდი. ისიც, თუ რა გაქვს ცელოფნის პარკში და რატომ გაქვს პური, ძეხვი და არაყი... ისიც, რატომ არ წახვედი მეგობართან ახალი წლის შესახვედრად... ჰო, მე ყველაფერი ვიცი, ისიც, რაც შენს თავზე იცი და რასაც საკუთარ თავსაც კი არ უმხელ. არა, მე სურვილებს არ ვასრულებ. ყოველ შემთხვევაში, აქამდე არ ვასრულებდი... აბა, მითხარი, რა სურვილი გაქვს?.. მართლა?.. და ცოლი რომ დაგიბრუნო, რას ეტყვი? „სახლი ნაგავს მიაქვს, უკვე მესამე თვეა, ვსვამ და არ გამოვფხიზლებულვარ... მობილური დავკარგე და მანქანა დავამტვრიე“... დარწმუნებული ხარ, რომ მისთვის ამის თქმა გინდა? გინდა, მასში სიბრალულის გრძნობა გამოიწვიო?

მთვარეზე გაფრენა გინდა? ამის შესრულება შემიძლია, რთული არაა. სკაფანდრს ვერ მოგცემ, არ მაქვს! პარიზში გინდა? ნიუ-იორკში? ამსტერდამში?.. იცი, შენი უბედურება რა არის? ის, რომ გგონია, ყველაზე ცუდად ხარ.

— ვერ გავიგე?!

— არასოდეს გიფიქრია, რომ ძალიან ბევრი სიკეთის გაკეთება შეგიძლია იმ ადამიანებისთვის, რომლებიც შენზე უარეს დღეში არიან?

— მაწანწალებს გულისხმობ?

— თუნდაც... ან ავადმყოფ ბავშვებს...

გელა გაშეშდა. ამაზე არასოდეს უფიქრია. იმიტომ კი არა, რომ უგრძნობი ადამიანია, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ამისთვის არასოდეს ეცალა. როცა თავს კარგად გრძნობდა, მაშინ დროს ატარებდა... როცა ყველაფერი თავზე დაემხო, საკუთარ თავში ჩაიკეტა და გარე სამყაროზე არც ფიქრობდა.

— ამას რატომ მეუბნები? — ჰკითხა „სხვა სამყაროდან“ მოსულ კაცს.

— მაპატიე, მაგრამ მე შენი შველა არ შემიძლია, მდგომარეობას ვერაფრით შეგიმსუბუქებ. უბრალოდ, შემიძლია, ერთი რამ შემოგთავაზო: გინდა, რამე ზეიმი მოუწყო იმ ადამიანებს, ვინც თავს ცუდად გრძნობს?

გელა დაფიქრდა. სულ რამდენიმე წამით...

— კი, მინდა.

— მაშინ — წავედით!

გელა ერთ-ერთი სახლის აივანზე იდგა და ოთახში იყურებოდა. საოცარი სურათი ჩანდა...

ოთახში, საწოლზე ახალგაზრდა ქალი იწვა. ხელი, კისერი და ორივე ფეხი თაბაშირში ჰქონდა. თავიც შეხვეული ჰქონდა. მის გვერდით პატარა გოგონა იჯდა, ხელში გადაშლილი წიგნი ეჭირა და ხმამაღლა კითხულობდა. იქვე, კედელზე 2 სურათი ეკიდა: ერთიდან ბედნიერი ოჯახი იღიმებოდა, მეორიდან კი — მაღალი, სიმპათიური მამაკაცი... მეორე სურათს შავი არშია ჰქონდა შემოვლებული.

— ეს ოჯახი ავარიაში მოჰყვა, — ჩასჩურჩულა „სხვა სამყაროდან“ მოსულმა კაცმა. — რამდენიმე თვის განმავლობაში ეს ქალი ფეხზე წამოდგომას ვერ შეძლებს, რადგან ხერხემალი აქვს დაზიანებული. შვილს უთხრა, რომ მამა სხვაგან გაემგზავრა. დღისით მეზობელი ქალი შედის ხოლმე, კერძს უმზადებს და მაღაზიაში ეგზავნება, მაგრამ ის 70 წლისაა და ახლა თვითონაც ავადაა. გელა, ფული გაქვს?

გელა მოგვიანებით მიხვდა, რომ ეს პროვოკაციული კითხვა იყო, ვინაიდან ამ კაცმა მის შესახებ ყველაფერი იცოდა და ისიც ეცოდინებოდა, თუ რა თანხა ჰქონდა ჯიბეში.

— მაქვს, მერე რა? — გელამ პასუხიც წინასწარ იცოდა.

აივნიდან ჩახტა და მოპირდაპირე მხარეს მდებარე სუპერმარკეტში შევიდა. დირექტორს დიდი ხნის განმავლობაში ეხვეწებოდა, თოვლის ბაბუის კოსტიუმი მანეკენიდან ჩამოეხსნა და მისთვის მიეყიდა. შემდეგ უამრავი პროდუქტი და სათამაშო იყიდა და უკან გაბრუნდა.

როდესაც ზარის ღილაკს თითი დააჭირა, გუნებაში იმ სიტყვებს იმეორებდა, რომლებიც უნდა ეთქვა, მაგრამ ვერ მოასწრო, რადგან შიგნიდან მაშინვე მოესმა ბავშვის წკრიალა ხმა: „ვინ არის?“

— თოვლის ბაბუა ვარ, საჩუქრები მოგიტანეთ, — გელა შეეცადა, თავისი ხმისთვის მაქსიმალურად მიენიჭებინა „თოვლისბაბუობა“.

გოგონამ კარი გააღო. ბავშვებს ხომ ასე უყვართ თოვლის ბაბუა და მხოლოდ ცოტას თუ უნახავს „ცოცხლად“.

— გამარჯობა, გოგონა, — გელა ცდილობდა, როგორც შეეძლო, — მე თოვლის ბაბუა ვარ და აი, ეს დათვი მოგიტანე...

ტომრიდან დიიიიდი დათვი ამოაძვრინა.

— რა ლამაზია! დეე-და�ა... თოვლის ბაბუამ დათვი მომიტანა! — გოგონა ოთახისკენ გაიქცა.

გელა ცოტა ხნით დერეფანში გაჩერდა, შემდეგ ღრმად ამოიოხრა, ოთახში შეაბიჯა და პირდაპირ საწოლში მწოლიარე ქალისკენ წავიდა, რომელიც გაოცებული თვალებით უყურებდა.

— ნინიკო, დათვი საძინებელში გაიყვანე და დავარცხნე, ხომ ხედავ, როგორი გაბურძგნილია, — ქალის მშვიდი ხმა მეხის გავარდნასავით მოესმა გელას.

გოგონამ დათვი ჩაიხუტა და საძინებლისკენ გაიქცა.

— ვინ ხართ, რა გინდათ?

— არაფერი, გეფიცებით, არაფერი არ მინდა. ჩათვალეთ, რომ მართლა თოვლის ბაბუა ვარ, — გელამ მაგიდიდან წიგნები და გაზეთები აალაგა, შემდეგ ის საწოლთან მიაჩოჩა და ტომრიდან პროდუქტის ამოლაგებას შეუდგა...

ამ სახლიდან საათ-ნახევრის შემდეგ წამოვიდა. მას შემდეგ, რაც საახალწლო სუფრა გააწყო, 3 ლექსი მოისმინა და თითქმის 1 ლიტრი ყავა დალია.

წამოსულს კი ყურებში ქალის ხმა ედგა: „გმადლობ, დიდი მადლობა! ამას სიცოცხლის ბოლომდე არ დავივიწყებ“...

ქუჩაში გამოსულმა გელამ ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა. ცდილობდა, მუხლებში გამჯდარი ცახცახი შეეჩერებინა. შემდეგ, თოვლის ბაბუის ტანისამოსი გაიხადა და ტომარაში ჩატენა...

„სხვა სამყაროდან“ მოსული კაცი არსად ჩანდა.

უეცრად, ერთ-ერთი შენობის კუთხიდან ჯიპი გამოვარდა. საჭესთან სწორედ „ის“ იჯდა.

— ხომ არ გადაიფიქრე? — ჰკითხა გელას.

— რა უნდა გადამეფიქრებინა?

— ადამიანებისთვის სიკეთის გაკეთება.

— არა, არ გადავიფიქრე.

— მოდი, საჭესთან დაჯექი და მე გეტყვი, სად უნდა წახვიდე.

გელა საჭეს მიუჯდა და მანქანა ადგილიდან დაძრა. მანქანაში რადიო არ მუშაობდა. უკვე ნახევარი საათი გავიდა, ის კი გაუჩერებლივ მიდიოდა. მის მზერას გზის ნაპირზე შავი ლაქა მოხვდა. საჭე მარჯვნივ აიღო და სიჩქარეს უკლო. ახალგაზრდა გოგონა იდგა და ხელს უქნევდა. იქვე მანქანა იყო გზიდან გადასული და გადაწოლილი.

— ჩქარა, ჩქარა, მშობიარობს! — დაიძახა გოგონამ.

გზის ნაპირზე ქალი იწვა და კვნესოდა. სიბნელეში გოგონას საჭე ვერ დაუმორჩილებია და გზიდან გადასულა.

მშობიარე უკანა სავარძელზე მოათავსეს და გზას გაუდგნენ. გელას ქალის კვნესა ესმოდა და ცდილობდა, ფრთხილად ევლო, რომ უვნებლად მიეყვანა სამშობიაროამდე.

ბეწვზე მიუსწრო...

როდესაც სამშობიარო ბლოკიდან ბავშვის ტირილის ხმა მოესმა, შვებით ამოისუნთქა.

— ბიჭია! ჯანმრთელი და ლამაზი ბიჭუნა! — ექიმის ხმაც გაიგონა...

შემდეგ გელამ ახალგაზრდა გოგონა მისი შეყვარებულის სახლამდე მიიყვანა. ისინი ნაჩხუბრები იყვნენ და გოგონა ჩქარობდა, სურდა, შერიგება ახალი წლის დადგომამდე მოესწრო.

საათის თორმეტჯერ ჩამოკვრას კი ქუჩაში შეხვდა... წელს გელას პრეზიდენტის მილოცვა არ მოუსმენია, მაგრამ ამის გამო არ უდარდია. როდესაც ის სიტყვით გამოდიოდა, გელა გაჭედილი ლიფტიდან ახალგაზრდა ცოლ-ქმრის გამოყვანას ცდილობდა.

...გელა მობილურის ხმამ გამოაღვიძა. ეს ის მობილური იყო, რომელიც წინა საღამოს ვერ იპოვა. როგორც ჩანს, ბალიშის ქვეშ იყო დამალული. ეკრანზე ნომერი არ ჩანდა და გელა დაფიქრდა, ეპასუხა თუ არა.

ახალი წლის ღამის მოვლენებმა გაურბინა თვალწინ. მამაკაცი ცდილობდა, გაეცნობიერებინა, სიზმარი იყო ეს ყველაფერი თუ ცხადი. მაგიდაზე მანქანის გასაღები და თოვლის ბაბუის ტომარა იდო...

მობილური კი არა და არ ჩერდებოდა.

გელამ შუბლი შეიჭმუხნა და უპასუხა:

— ალო, გელა, საყვარელო, ახალ წელს გილოცავ! შევრიგდეთ... გინდა, შინ მოვიდე?

■

„მეორე მხარე საკმაოდ დიდ თანხას მთავაზობდა, რომ კლიენტი „გამეყიდა“

როდესაც პირველად დაუსვეს კითხვა, თუ ვინ უნდა გამოსულიყო მომავალში, დაუფიქრებლად უპასუხა — ადვოკატი. მერე იყო აფხაზეთის ტრაგედია და ომში მამის გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილი... 16 წლის ასაკში დაემშვიდობა სახლს, ზღვასა და ქალაქს, რომელიც დღემდე ესიზმრება. იქ ყველაფერი დატოვა, გარდა ერთი ოცნებისა, რომ ის აუცილებლად ჩააბარებდა უნივერსიტეტში და წარმატებული ადვოკატი გახდებოდა. დედაქალაქში ჩამოსულს ურჩევდნენ, ეს ოცნება თავიდან ამოეგდო, მაგრამ ცხოვრებაში პირველად, პრინციპული განცხადება გააკეთა, მხოლოდ საკუთარ თავს ენდო და უცხო ქალაქში ჩამოსულმა, ბავშვობის ოცნების ასრულებისკენ სწრაფვა დაიწყო...

ახლა მიაჩნია, რომ გაიმარჯვა...

ეს ადამიანი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და მაღალანაზღაურებადი ადვოკატი, დიმიტრი გაბუნია გახლავთ. ჟურნალ „გზის“ მკითხველს იგი იმ გზის შესახებ მოუთხრობს, რომელმაც ერთი ჩვეულებრივი, დევნილი ბიჭი წარმატების მწვერვალზე აიყვანა...

დავით ოქრუაშვილი

— მე სოხუმელი ვარ და სკოლაც სოხუმში დავამთავრე. მერე ომი დაიწყო და ყველა დევნილის მსგავსად, ჩვენც სახლ-კარის მიტოვება და თბილისში ახალი ცხოვრების დაწყება მოგვიწია. 1994 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი. 2001 წელს ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურა დავამთავრე. მას შემდეგ საადვოკატო საქმიანობას ვეწევი.

— შეძლებული ოჯახი გქონდათ?

— დიახ. 16 წლის ვიყავი, აფხაზეთიდან რომ წამოვედით და ამ ასაკში ჩემთვის ეს ყველაფერი ძალიან დიდი ტრავმა იყო. მოულოდნელად დგება დღე, როდესაც ეჯახები პრობლემას, შიმშილს, არ გაქვს სახლი... ძალიან რთულია, კარგ პირობებში გაზრდილი ადამიანისთვის ცხოვრების საერთო საცხოვრებელში გაგრძელება. მამა ომში დაიღუპა. დავრჩით დედა, მე და ჩემი და. მაშინ მხოლოდ თავის გადარჩენაზე ვფიქრობდით და არა იმაზე, რომ ჩემი ადგილი დამემკვიდრებინა უცხო ქალაქში. აღარ ვიცოდი, ოჯახის რჩენაზე მეფიქრა თუ სწავლაზე.

— სტუდენტი მაშინ გახდით, როდესაც უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის უფასო განყოფილებაზე მოხვედრა მხოლოდ ოცნებას წარმოადგენდა...

— მაშინ ძალიან რთული იყო იურიდიულ ფაკულტეტზე მოხვედრა. მირჩევდნენ, რომ ამაზე ხელი ამეღო, რადგან ჩემთვის, როგორც დევნილისთვის და „ზანგისთვის“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მხოლოდ ოცნება იყო. ძალიან ბევრი ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვა მომიწია. მაშინ ვთქვი — ან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვისწავლი, ან საერთოდ არ ჩავაბარებ-მეთქი. ეს იყო ცხოვრებაში ჩემი პირველი პრინციპული განაცხადი. მაშინ იურიდიულზე ოთხი 10-ბალიანი გამოცდა ბარდებოდა. მე 39 ქულა დავაგროვე. ალბათ ღვთის ნება იყო, რომ ქულები არ დამაკლეს. მახსოვს, ქართულში თავისუფალი თემა დავწერე. ასე უნდა დაგვეწყო: „ქართული მწერლობა ყოველთვის ემსახურებოდა ერის ინტერესებს“. მე კი ძალიან მოკლედ დავწერე. რვეულის მხოლოდ 4 ფურცელი გამოვიდა და მივიღე „ცხრიანი“. იმ წელს სამასი კაციდან ოთხმა ადამიანმა მიიღო ცხრიანი და იმ ოთხში მოვხვდი მეც. თემა დავაგვირგვინე ილია ჭავჭავაძის სიტყვებით — „მამული, ენა, სარწმუნოება“ — და ძალიან შთამბეჭდავი გამოვიდა.

— იურისტობაზე ბავშვობიდან ოცნებობდით?

— როგორც კი წამოვიზარდე, იქიდან მოყოლებული, ყოველთვის იურისტობაზე ვოცნებობდი. საკმაოდ რთული და მძიმე პროფესიაა. ჩემი არჩევანი ბაბუამ განაპირობა, რომელიც იურისტი და უშიშროების თანამშრომელი გახლდათ. იყო „კაგებეს“ მაიორი და ომის შემდეგ სახალინზე მსახურობდა. შესაბამისად, სახლში ძალიან ბევრი წიგნი იყო სამართალმცოდნეობის შესახებ.

— უნივერსიტეტმა როგორ მიგიღოთ? როგორი დამოკიდებულება გქონდათ ლექტორებთან, სტუდენტებთან?

— ძალიან მძიმე და რთული პერიოდი იყო, გამუდმებით მიწევდა იმის მტკიცება, რომ მეც ადამიანი ვარ. ძალიან გაუკვირდათ, როდესაც დევნილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, უფასო განყოფილებაზე მოხვდა. ერთხელ ლექციიდან გამაძევეს მხოლოდ იმის გამო, რომ აფხაზეთზე კამათის დროს ვთქვი: საქართველო აფხაზეთის გარეშე არის უთავო ლომი, უთავო ლომი კი ვერაფერს გააკეთებს, ჩათვალეთ, რომ მის გარეშე ლეშია-მეთქი. კურსის შემდეგ დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. გამორჩეული ჯგუფი ვიყავით. ლიდერობას ვერ ისწავლი, ლიდერად უნდა დაიბადო. ადვოკატი ვერ გახდები, ადვოკატად უნდა დაიბადო. თუ კლიენტის გასაჭირს ვერ იგებ და მის მდგომარეობაში არ ჩადგები, პროცესს ვერ მოიგებ.

— საკმაოდ რთულ პირობებში გიწევდათ კარიერის დაწყება. ამას ემატებოდა აფხაზეთის, მამის გარდაცვალების ტკივილი. ფსიქოლოგიურად როგორ შეძელით, ასეთი დიდი შემართებით დაგეწყოთ ახალი ცხოვრება უცხო ქალაქში?

— 16 წელი გავიდა მას შემდეგ და გულწრფელად ვამბობ, რომ მე თვითონ არ ვიცი, ეს როგორ შევძელი. ალბათ ყველაფერი ღვთის ნება იყო. თუ მიზანი გაქვს, აუცილებლად მიაღწევ. მიუხედავად იმისა, რომ არ გაქვს ჩასაცმელი, საჭმელი, საყოფაცხოვრებო პირობები... ღამეებს ათენებ და სანთლის შუქზე მეცადინეობ... არ მინდა, საკუთარ წარმატებაზე ვილაპარაკო, მაგრამ იმდენი მაინც შევძელი,

რომ საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე რომ გააჩეროთ და ჰკითხოთ — ვინ არის დიმა გაბუნია, როგორც მინიმუმ, გეტყვიან, ადვოკატიო. ჩვენი პროფესია არ არის შოუბიზნესი, რომ პიარი გავიკეთოთ.

— გულახდილად გვითხარით, იმ მძიმე პირობების ფონზე, თავის რჩენას როგორ ახერხებდით?

— მესამე კურსი რომ დავამთავრე, დავოჯახდი და საცხოვრებლად ცალკე გადავედით. ეს კიდევ ზედმეტი ტვირთი იყო. ძირითადად დედაჩემის კმაყოფაზე ვიყავი, რადგან სტუდენტობისას მუშაობისთვის არ მეცალა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ქონების მართვის სამინისტროში 9 თვე მომიწია მუშაობა, სადაც ხელფასი 36 ლარი მქონდა. ასევე იყო ასეთი პროექტი — „ქალაქის ადვოკატი“. ქალაქის პოლიციის სამმართველოებში ვმუშაობდით. ხელფასი მქონდა 200 ლარი. თითქმის 24-საათიან რეჟიმში მიწევდა მუშაობა. 9 თვის შემდეგ ქონების მართვის სამინისტროდან წამოვედი, რადგან კორუფცია და ქრთამი ჩემთვის მიუღებელი იყო.

— ალბათ პირველი პროცესი დღემდე გახსოვთ...

— ძალიან კარგად მახსოვს, რადგან პირველმა საქმემ განაპირობა ჩემი პროფესიული წარმატება. ეს იყო საკმაოდ გახმაურებული, შოკოლადის ქარხნის, „მზიურის“ საქმე. პროცესი ძალიან ხმაურიანი იყო, სადაც პირველად მოვიდა მედია. დღემდე მახსოვს ჩემი პირველი კომენტარი, რომელიც თიკო ფეიქრიშვილთან გავაკეთე. ძალიან ვინერვიულე, როდესაც ამ აჟიტირებული მასის წინაშე ტელევიზიით გამოვედი. ამას მოჰყვა პირველი ინტერვიუ, რომელიც დღემდე შენახული მაქვს. მას შემდეგ ყველა პუბლიკაციას, რაც კი ჩემზე იწერებოდა, ვინახავდი.

— იოლი სულაც არ იქნება ადამიანის დაცვა, როცა იცი, რომ ის ნამდვილად დამნაშავეა.

— როდესაც ჩემი კლიენტი მტყუანი, ხოლო მისი საქციელი ამორალურია, მომსახურებაზე უარს ვეუბნები. ჩემი სფერო სამოქალაქო ადმინისტრაციული სამართალია. ხშირ შემთხვევაში კლიენტი ტყუის, მაგრამ ადვოკატის მოვალეობა მისი დაცვაა. კარგი ადვოკატი ხშირად წასაგებ საქმეს ისე შემოატრიალებს, რომ მხარეები თანხმდებიან. არის შემთხვევები, როდესაც შენი მოწინააღმდეგე მართალია, მაგრამ ადვოკატი პროფესიონალი არაა. ამ შემთხვევაში შეიძლება, საქმე შენ მოიგო.

— მაგრამ ეს გამარჯვება ეთიკურად არ იქნება გამართლებული...

— რა თქმა უნდა, მაგრამ მან თუ საპროცესო ნორმები არ იცის, ეს ჩვენი პრობლემა არაა. გვარების დასახელება არ მინდა, მაგრამ ყოფილა შემთხვევა, როდესაც მეორე მხარე საკმაოდ დიდ თანხას მთავაზობდა, რომ კლიენტი „გამეყიდა“, მაგრამ მე კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი, იმის მიუხედავად, რომ ფული ძალიან მჭირდებოდა. გაოგნებულები დარჩნენ, როდესაც ეს პროცესი მოვიგე. უცხოელებს წარმოვადგენდი. მეუბნებოდნენ, ისინი წავლენ, ჩვენ დავრჩებითო... მე რომ მორალისთვის გადამებიჯებინა, საკუთარ თავთან მართალი არ ვიქნებოდი.

— წარმატება მსხვერპლს მოითხოვს. თქვენ რა დათმეთ იმისათვის, რომ წარმატებული ადვოკატი ყოფილიყავით?

— ჩემი მსხვერპლი ისაა, რომ მეუღლესა და შვილს დღე-ღამეში მხოლოდ 3-4 საათით ვნახულობ. ოჯახისთვის ძალიან ცოტა დრო მრჩება. ასეთმა გადატვირთვამ ჩემს ჯანმრთელობაზეც ცუდად იმოქმედა. ვფიქრობ, ჩემი სიტყვა უკვე ვთქვი. აქტიურ საადვოკატო სფეროში ვიქნები, მაგრამ თავს ასე აღარ დავიტვირთავ. ახლა არის ბიურო, სადაც დაახლოებით ათი ადვოკატი მუშაობს, მე ხელმძღვანელი ვარ და მხოლოდ ძალიან სერიოზულ პროცესებზე მივდივარ.

— იღბლიანი ადამიანი ხართ?

— მიმაჩნია, რომ იღბლიანი ადამიანი ვარ. სხვაგვარად დღეს ცოცხალი არ ვიქნებოდი. შრომა იღბლის გარეშე შედეგს ვერ მოიტანს, ეს რჩეულების ხვედრია.

— რაში მდგომარეობს დიმა გაბუნიას წარმატების საიდუმლო?

— სახე არ უნდა დაკარგო. როდესაც მართალი ხარ, ბრძოლა აუცილებლად უნდა გააგრძელო. ამ ბრძოლის შედეგად მტერიც შენკენ შემოტრიალდება. „შიში შეიქმს სიყვარულსა“-ს მომენტია (*იცინის*). სამართალი ყოველთვის თავის გზას მოძებნის.

— ბრძოლა ხშირად მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ გიწევთ. შეგახსენებთ თაბუკაშვილის ქუჩაზე მდებარე სახლის დემონტაჟს... ქიბარ ხალვაშის საქმეს... არ გეშინიათ?

— ძალიან კარგად იციან, რომ ხელს არავის დავაფარებ, მაგრამ მინდა საჯაროდ განვაცხადო: არასოდეს მქონია შეზღუდვა, მუქარის ზარი... უფრო მეტს გეტყვით — ჩემს ბოლო პრესკონფერენციაზე, რომელიც სოზარ სუბარის ოფისში ქიბარ ხალვაშის ქონებასთან დაკავშირებით ჩავატარე, კონკრეტული გვარების დასახელება მომიწია. ქალბატონმა რუსუდან კერვალიშვილმა დამირეკა და მადლობა გადამიხადა. მითხრა, მიხარია, რომ ქვეყანაში არიან ადვოკატები, რომელთაც ასე კარგად შეუძლიათ ადამიანის დაცვაო.

— პირველად პროფესიული სიამაყის გრძნობა როდის განიცადეთ?

— მაშინ, როდესაც თამაზ ნადარეიშვილის საქმე მოვიგე, ჯონდი ბაღათურიას წინააღმდეგ.

— წაგებულ პროცესებზე რას გვეტყვით?

— ქიბარ ხალვაშის ყველა პროცესი წაგებული მაქვს. ჩვენ, როგორც ადვოკატებმა, ყველაფერი გავაკეთეთ. უბედურებაა, როდესაც კლიენტი შენ გამო აგებს. ასეთი შემთხვევა არასოდეს მქონია.

— თქვენს ვაჟს თუ ურჩევდით ადვოკატობას?

— ნიკუშა ჯერ ჩამოყალიბებული არ არის თავის არჩევანში. ხანდახან ადვოკატობაზეც ფიქრობს, თუმცა ობიექტური ვიქნები და ვიტყვი: ეჭვი მეპარება, მას ამის მონაცემები ჰქონდეს.

— საუბარი ასე დაიწყეთ: „მე სოხუმელი ვარ“. აფხაზეთი გენატრებათ?

— აფხაზეთი ჩემთვის დიდი ტკივილია. სოხუმი ხშირად მესიზმრება... მენატრება ჩემი საყვარელი ქალაქის სუნი... პირობა დავდე, თუ სოხუმში დავბრუნდები, სახელმწიფო სამსახურში წავალ, რათა ეს კუთხე ავაყვავო.

— დაბოლოს, ბედნიერი ხართ?

— ბედნიერი ვარ, თუნდაც იმიტომ, რომ სამართლებრივ სივრცეში და ამ ქვეყანაში ჩემი ადგილი დავიმკვიდრე. ბედნიერი ვარ იმით, რომ მაქვს სახლი, მაქვს საყვარელი საქმე და რაც ყველაზე მთავარია — მყავს არაჩვეულებრივი მეუღლე და შვილი. ძალიან პატარები შევუღლდით, მაგრამ ჩვენ გავიმარჯვეთ. ■

ბედნიერი ვარ იმით, რომ მაქვს სახლი, მაქვს საყვარელი საქმე და რაც ყველაზე მთავარია – მყავს არაჩვეულებრივი მეუღლე და შვილი

„მთვრალი არა ვარ, დალეული ვარ, ბატონო, და-ლე-უ-ლი!“

მარი ჯაფარიძე

იმის შესახებ, რომ ახალი წელი ჯადოსნური დღესასწაულია, ბევრი თქმულა და დაწერილა. ჰოდა, გვემატება წლები, ვხვდებით, რომ არავითარი ჯადოქრობა არ ხდება, მაგრამ გულში მაინც გვჯერა, რომ თუ წინა წლებში არა, ამ წელს მაინც მოხდება სასწაული და სანუკვარი სურვილი აგვისრულდება...

ჩემი ახალი წელი იმით დაიწყო, რომ რამდენიმე დღით ადრე მეგობარმა უცხოეთიდან დამირეკა და მთხოვა, — 31-ში ჩამოვდივარ და აეროპორტში დამხვდიო. მე კი 31-ში ბათუმში წასვლას ვაპირებდი, მეორე მეგობართან ერთად. ვინაიდან „უცხოელი“ დღის 12 საათზე ჩამოდიოდა, ვიფიქრე, არც იმას დავწყვეტ გულს, დავხვდები, შინ მივიყვან და ბათუმში ცოტა მოგვიანებით წავალ-მეთქი. მოკლედ, დავხვდი შორენას აეროპორტში და სადარბაზოსთანვე დავემშვიდობე, — წინ დიდი გზა მაქვს-მეთქი, — მაგრამ სამგზავროდ ნაყიდი შამპანური და ტკბილეული ასე „ოხრად“ დამრჩა (რომელი სურვილების ასრულებაზეა ლაპარაკი?!), რადგან მეგობარმა მიმტყუნა (31 დეკემბერი სამუშაო დღე იყო და ჩვეულებრივზე ადრე, სამსახურიდან არ გაათავისუფლეს). გადაწყდა, რომ ახალ წელს ოჯახში შევხვდებოდი. უფრო სწორად, სადარბაზოში, რადგან 12 საათამდე 15 წუთით ადრე ტკბილეულით სავსე ხონჩით გარეთ გამიშვეს, მეკვლე უნდა იყოო. რამდენმა დაგვიანებულმა მეზობელმაც აიარ-ჩაიარა, იმდენივეს კანფეტით გავუმასპინძლდი. ახალი წლის დადგომამდე 10 წუთი იყო დარჩენილი, რომ სადარბაზოში მეზობელი დედა-შვილის ხმა გავიგონე (გოგონა 8 წლისაა).

— დედა, დე, მოდი, ახლა შევალთ თუ არა, ფანჯარაში ვიყვიროთ — ახალი წელი მოვიდა! ახალი წელი მოვიდა!

— ჯერ ადრეა, 10 წუთი კიდევაა ახალი წლის მოსვლამდე დარჩენილი.

— მერე რა, მეზობლები იფიქრებენ, რომ ახალი წელი ჩვენთან უფრო ადრე მოვიდა!

გულიანად გამეცინა. ეს რომ გაიზრდება, რა იქნება-მეთქი?! — გავიფიქრე და ორივე „ტკბილად დავაბერე“. კიდევ კარგი, ცოტა ტკბილეული შემომრჩა, თორემ ხელცარიელი მეკვლე ვის რად უნდა?! შინ აღარ შემიშვებდნენ.

როგორც იქნა, გაყინულმა და გათოშილმა, სახლში შევაღწიე და „მატაკეს“ გოზინაყი და კანფეტები, — ასე ტკბილად დაგვიბერდიო! ყველას პირს ვუღებდი (ნუ, დაბერების პერსპექტივა მაინცდამაინც არ მხიბლავს, მაგრამ რადგან გარდაუვალია, სჯობია, ტკბილად დავბერდე-მეთქი) და ცოტა ხანში პირი ისე გამომეტენა ტკბილეულით, რომ ძლივს გადავყლაპე, სული მოვიბრუნე და ოჯახი დავლოცე. მერე — ისეთი არაფერი...

ოჯახის წევრები დაიშალნენ, ყველანი სტუმრად წავიდ-წამოვიდნენ, მე კი



ტელევიზორთან მოვკალათდი და როდის ჩამეძინა, არ მახსოვს. კარზე ზარის ხმამ გამომაღვიძა. ვიფიქრე, ან სტუმარია, ან ოჯახის რომელიმე წევრი დაბრუნდა-მეთქი. ღია კართან მეზობელი — ახალგაზრდა მამაკაცი იდგა. მოპატიჟებას არც დალოდებია, ეგრევე შემოვიდა და კარის უკან შეიხედა. რას ეძებ-მეთქი? — ვკითხე და ხელი შევაშველე, რადგან სიმთვრალისგან ისე ირწეოდა, „ვითარცა ლერწამი, ქართაგან, ძლიერთა“.

— აქ ის მაღალი, ქერა გოგო იყო და სად დამალე? — მკითხა და მოჭუტული თვალებით შემომხედა.

— ის მაღალი და ქერა გოგო გელოდა და წავიდა.

— აუ, ჩემი!.. ნაშის გაქცევა დამებედა ამ ახალ წელს და მთელი წელი იმათ უნდა ვდიო?!. — შეშფოთებული, „ზადნით“ გავიდა და კიბეზე დაეშვა, „თაკო, თაკოს“ ძახილით.

უჰ, დიდება ღმერთს, იოლად დავეხსენი ამ მთვრალს და ტვინის ბურღვა არ დამიწყო-მეთქი, — გავიფიქრე უკვე გამოფხიზლებულმა და ძილისგან თავდაღწეულმა და ისევ ტელევიზორს მივუჯექი.

სულ 1 თვეა, ჩემს მეზობლად ახალგაზრდა ცოლ-ქმარი გადმოვიდა საცხოვრებლად. ახალშექმნილ ოჯახს ხან რა სჭირდებოდა, ხან — რა და ნანა ხშირად შემოდიოდა ჩვენთან: ხან დამაგრძელებელი გაჰქონდა, ხან ყავის საფქვავი, ხანაც მობილურის დამტენი (ყველაფერს პატიოსნად აბრუნებდა უკან); ამასობაში ეს ოჯახი გავიცანი კიდეც და სულაც არ გამკვირვებია, რომ ღამის 3 საათზე, ზარის ხმაზე კარი გავაღე და ზღურბლთან ნანას ქმარი, ზაზა დამხვდა.

— ახალ წელს გილოცავთ, — გამიღიმა.

— მეც გილოცავთ, მობრძანდი, — შემოვიპატიჟე შინ, — ნანა სადაა?

— გენაცვალე, მე ზაზას ვეძებ და რომელ სართულზე ცხოვრობს, ხომ ვერ მეტყვით?

— რომელ ზაზას ეძებ? — გადავირიე.

— აბაშიძეს, — თავისი გვარი დამისახელა.

— რა იყო, არც ისე მთვრალი ხარ, რომ სახლის კარი აგრეოდა და საკუთარ თავს ეძებდე, — გამეცინა და ვიფიქრე, ეს საახალწლო ხუმრობა იყო, — მოდი, მოდი, დაგვლოცე და ნანასაც დავურეკავ, რომ ჩამოვიდეს.

— გმადლობთ, დიდი მადლობა, მაგრამ მირჩევნია, ზაზას სახლი მიმასწავლოთ, — არაფრის დიდებით არ შემოდიოდა.

— ერთი სართულით ზევით, მოპირდაპირე მხარეს, — მივასწავლე და მხრები ავიჩეჩე, გაოცებულმა.

ამ ამბის „კვანძის გახსნა“ დილით მოხდა და ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ, მანამდე კი კიდევ ერთი უცნაური შემთხვევა: დილის 5 საათზე ისევ დარეკეს კარზე ზარი. ვიდრე ავდექი, ხალათი შემოვიცვი და კართან მივედი, რამდენიმე წუთი გავიდა. სადარბაზოში შუქი ავანთე (ჩამრთველი დერეფანში, კართანაა) და საჭვრეტში ისეთ დროს გავიხედე, ტრუსში „გამოწყობილი“ ჩემი კარის მეზობელი მამაკაცი შინ რომ შევიდა და კარი მიხურა.

ვაა, რა ხდება ამ ახალი წლის ღამეს? ყველა როგორ გადაირია-მეთქი?! — გავიფიქრე და დავიწყე ფიქრი იმაზე, რატომ იყო ეს კაცი დილის 5 საათზე შიშველი სადარბაზოში და რა უნდო-

და ჩემთან? თუ სტუმრად იყო, შინ დაბრუნდა და მთვრალს კარი აერია, წესით, შიშველი არ უნდა ყოფილიყო, თუ შინ იყო და ეძინა, მაშინ რამ გაახსენა ჩვენი თავი-მეთქი?.. ეს ამბავიც მეორე დილამდე იდუმალებით მოცული დარჩა.

დილით მშვენიერ გუნებაზე გავიღვიძე და დავიწყე ფიქრი, როგორ გამეტარებინა 2010 წლის პირველი დღე. გონებაში პოტენციური მასპინძლების სიას გადავხედე და „დავნომრე“ ანუ ვის შემდეგ ვისთან წავიდოდი, იმის მიხედვით „დავალაგე“, მაგრამ ნანას (იმ ნანას, რომლის ქმარიც საკუთარ თავს ეძებდა) ზარმა გეგმა ცოტა შემაცვლევინა: თავისთან მეპატიჟებოდა. რა თქმა უნდა, უარი არ მითქვამს. ხელი ტბილეულით დავიმშვენე და ვეწვიე. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ერთის ნაცვლად, 2 ზაზა დავინახე. თვალები დავხუჭე, თავი გავაქნიე და ისევ გავახილე... არა, ნამდვილად არ მეჩვენებოდა — გაშლილ სუფრასთან 2 „ერთნაირი“ ზაზა იჯდა და ორივე მიღიმოდა.

— გაიცანი, ეს ჩემი ტყუპისცალი ძმაა, — ერთმა ზაზამ მეორეზე მიმითითა.

— უჰ, შენ რა გითხარი! — შვებით ამოვისუნთქე და ყველამ გულიანად ვიცინეთ.

ცოტა ხანში ჩემი კარის მეზობელი ქალიც შემოგვიერთდა და პირველი, რაც ვუთხარი, ის იყო:

— გოგო, შენს ქმარს წუხელ რა სჭირდა?

— არაფერი, რა უნდა სჭირვებოდა?! სამსახურიდან 2 საათზე დაბრუნდა, ფხიზელი და დაღლილი, დილის 5 საათზე კი ვიღაცის ზარმა გაგვაღვიძა. კარი გააღო, მაგრამ იქ არავინ დახვდა.

— ჩვენთანაც დარეკა ვიღაცამ და „გლაზოკში“ რომ გავიხედე, შენი ქმარი დავინახე, შიშველი შინ რომ შემოვიდა და ვიფიქრე, კარი აერია-მეთქი.

— უი, იმიტომ შემოვარდა ასე გიჟივით, — კართან არავინ დამხვდა, მაგრამ ჯაფარიძეებმა შუქი აანთეს სადარბაზოში და არ ვიცი, „ტრუსიკიანი“ დამინახეს თუ არაო, — გულიანად კისკისებდა თამრო.

როგორც ჩანს, ვიღაცამ ორივეს მოგვიკაკუნა და გაიქცა, ჩვენ კი ასეთ უცნაურ სიტუაციაში აღმოვჩნდით.

მოკლედ, ღამის კურიოზებს ნათელი რომ მოეფინა, მერე მეგობრებთან სტუმრად წასვლა გადავწყვიტე.

პირველ რიგში, უცხოეთიდან დაბრუნებულ შორენას მივადექი.

კარი მისმა მეუღლემ, ნიკომ გამიღო, მაგრამ „რაღაცნაირად“ შემხვდა: წინათ ჩემი დანახვა ყოველთვის უხაროდა და ახლა რა დაემართა, ვერ მივხვდი. თითქოს კართან მე კი არა, ყაჩაღი იდგა და მის სახლში ძალით შეჭრას ლამობდა.

იხტიბარი არ გავიტეხე, ახალი წელი მივულოცე და ვინაიდან გზა არ დამითმო, შორენა ვიკითხე.

— სახლშია, — მითხრა და ისევ არ დამითმო გზა.

— არ შემომიშვებ? — ცალი ფეხი, როგორც იქნა, ზღურბლს იქით გადავდგი.

— მოდი, — რაღას იზამდა?! ადგა და შემიშვა.

ჩემი მეგობარი სავარძელში იჯდა და მიღიმოდა.

— რა სჭირს? — ვკითხე და საძინებელში გასულ ნიკოზე თავით ვანიშნე.

— ცოტა ხანში გაიგებ, — ისე მითხრა, მივხვდი, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი ამბავი უნდა გამეგო.

რამდენიმე წუთის შემდეგ ოთახში უცხო ქალი შემოვიდა და მომესალმა.

— ნათია, — ხელი გამომიწოდა და გამეცნო.

რაც შორენას ვიცნობ, მას შემდეგ ამბობს, რომ სადღაც დაკარგული და ჰყავს, მამამისის უკანონო შვილი და სულ იმის ძებნაშია. ეს ნათია კი ისე ჰგავდა შორენას, რომ ვიფიქრე, და უპოვია-მეთქი.

— ნუ დააბნიე ჩემი მეგობარი, ისიც უთხარი, ვინ ხარ, — გაუღიმა შორენამ.

ქალი შეყოყმანდა.

— ეს ნიკოს ცოლია, — ისევ შორენა აქტიურობდა.

— რაა?!. — პირი დავაღე გაოცებისგან.

„პატარძალმა“ კი საოცრად დაიმორცხვა.

— ყავას მიირთმევთ? — მკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

მე ხან შორენას ვუყურებდი, ხან — ნათიას და ხანაც — ოთახში შემოსულ ნიკოს და ვერაფერი გამეგო.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, გეტყვით, რომ შორენასა და ნიკოს შორის ამ 1 წლის წინ განხეთქილება მოხდა, ქმრის ღალატის გამო (შორენამ შემთხვევით, მის მობილურში ჩარჩენილი სასიყვარულო მესიჯი წაიკითხა). მაშინ ნიკო ყველაფერს უარყოფდა და ამბობდა, ჩემზე ერთგული ქმარი ქვეყნის ზურგზე არ არსებობსო... მაგრამ ბზარი რომ გაჩნდა, ამის შემდეგ ცოლ-ქმარი ველარ რიგდებოდა და შორენას უცხოეთში წასვლაც ამან გადააწყვეტინა. 3 თვე საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ნიკოს ცოლი მოეყვანა... მოკლედ, ასე. ახლა შორენა დაბრუნდა (სხვათა შორის, ის ბინა, სადაც ამჟამად ვიმყოფებოდი, შორენას მზითვი და საკუთრება გახლავთ) და ნიკოს 2 ცოლი ერთად ჰყავდა...

„პატარძალი“ დატრიალდა და სუფრა გააწყო. მერე მიგვიწვია, — მობრძანდით, დაგვლოცეთო.

მე სუფრის ერთ თავში დავჯექი, მეორეში — ნიკო, აქეთ-იქიდან ცოლები მოუსხდნენ გუგულებივით და წავიდა ქეიფი. შორენა დარდიან გულზე სასმელს მიეძალა და მალე დათვრა კიდეც. ამის შემდეგ მოხსნა გუდას პირი და რასაც ქმარსა და „პატარძალზე“ ფიქრობდა, ყველაფერი თქვა...

მერე, სასმლისგან გულმოცემულმა შემოსასვლელი კარი გაუღო და, — აბა, ახლა დაახვიეთ აქედანო! — უბრძანა. ისინი იდგნენ და წასვლას არც აპირებდნენ. შორენამ საძინებლიდან მათი ტანისამოსი გამოიტანა და სადარბაზოში გაყარა. მერე სხვა ნივთებიც მიაყოლა — პირის საპარსი, დუშგელები და შამპუნები, „პატარძლის“ ჩანთები და ბიჟუტერია, ლეპტოპი, მათი ნახმარი საბნები და ბალიშები, ტელევიზორი („პატარძლის“ მზითვი იყო, როგორც ჩანს), ქვაბები (რომელიც არ ეცნო) და ბოლოს ერთ მოზრდილ კარადას დაეჭიდა, მაგრამ მე აღარ დავანებე...

ახალშეუღლებული წყვილი ამ ყველაფერს მშვიდად ადევნებდა თვალს და ხმას არ იღებდა, არც ადგილიდან იძროდა.

შორენა შინ შემობრუნდა, ნათიას ზურგს უკან დადგა და ხელებით მიაწვა... ის გაჯიუტდა. არაფრის დიდებით არ უნდოდა გარეთ გასვლა. მაგრამ შორენა არ მოეშვა, ასე ჯიკავ-ჯიკავით კარამდე მიიყვანა და გარეთ გაუძახა. თან ხვნეშა-ხვნეშით ეუბნებოდა, — შენს ნათესავებს უთხარი, დედამთილმა დამიწუნა და გარეთ გამომაგდო, მზითვიც დამიწუნა-თქო. — სულ ესაა შენი მზითვი?!. — ჰკითხა უკვე ღია კართან მისულ-მიჯიკებულმა, ქალს ხელი ჰკრა, გარეთ გააგდო და კარი შიგნიდან გადაკეტა (ალბათ „პატარძალი“ უკან რომ არ შემოსულიყო). შემდეგ, ნიკოსკენ გამოემართა, მაგრამ იმან ახლოს არ მიუშვა, უკან დაიხია, არც ეს ეპუებოდა და კარგა ხანს მაგიდის გარშემო ირბინეს. რომ ვერ დაეწია, შორენამ საშველად მიხმო:

— მარი, შენ მაქედან დახვდი, არ გაუშვა! — შემომძახა და უფრო ენერგიულად გამოუდგა ყოფილ ქმარს.

იმან იმარჯვა, საძინებელში შევარდა და კარი შიგნიდან ჩაკეტა.

— გამოდი და იმ შენს ტურფას უკან მიჰყევი! — უყვიროდა შორენა.

— არა!

— გამოდი, მე შენ გელაპარაკები! — დოინჯშემორტყმული, კარს არ შორდებოდა.

ბოლოს ტაქტიკა შეცვალა და საქმიან მოლაპარაკებაზე გადავიდა. „პატარძალს“ გარეთ მიაკითხა და კარგა ხანს ელაპარაკა. არ ვიცი, რა უთხრა ასეთი, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ნათია ქმართან შევიდა (იმას კი გაუღო კარი) და რამდენიმეწუთიანი მოთათ-

გაგრძელება იხ. გვ. 40

სიყვარული, რომელიც სიცოცხლეზე მეტია

გამახსენდა ამ ორი წლის წინ მოსული წერილი. 42 წლის მამაკაცი თავის წარსულსა და დაუვიწყარ სიყვარულზე მწერდა („გაუმხელელი გრძნობა მეგობრობით შევნიღბე“, „კვირის პალიტრა“, 7 აპრილი, 2008 წ.). გადავწყვიტე, ამ საახალწლო დღეებში რუბრიკის მთავარი თემა დიდი და დაუვიწყარი სიყვარული ყოფილიყო.

მარინა გაგუნაშვილი

ამგავი პირველი მეგობრობით შენიღბული სიყვარული

წერილი ასე იწყებოდა: „ალბათ, ამ წერილობითი აღიარების შემდეგ, ცოტათი დარდსაც გავინელებ და... „იმასაც“ გავაგებინებ ყველაფერს (რა თქმა უნდა, თუ დაბეჭდავთ), რაც მის გამო გადამიტანია.

არ ვიცი, 25 წლის მერე რა „დამეტაკა“ ასეთი, რომ აქამდე გაუმხელელის და საგულდაგულოდ შენახულის საქვეყნოდ გამხელა გადავწყვიტე... ალბათ იმან, რომ პირად ცხოვრებაში არა და არ გამიმართლა, ან იქნებ იმან, რომ მაკას მერე ვერავინ ვეღარ შევიყვარე... ან უკვე „ასაკში“ ვარ, სულ ცოტაც და ჩემი ცხოვრების გზა დაღმართისკენ წავა... ასეთ დროს ხომ ადამიანთა უმრავლესობას გულახდილობის სურვილი უჩნდება?!

მაკა სკოლის პერიოდიდან, დანახვისთანავე შემიყვარდა. იგი მერვე კლასიდან გადმოვიდა ჩემს კლასში. ადრეც ერთ სკოლაში ვსწავლობდით, მაგრამ ის სხვა კლასში იყო, სხვადასხვა ცვლაში ვიყავით და ამიტომაც მანამდე არ ვიცნობდი. მასწავლებელმა ჩემ წინ დასვა... მოიხედა, გამიღიმა და მისალმების ნიშნად თავი ოდნავ დამიკრა. ეგ იყო და ეგ, ისეთი სიყვარული დამეძგერა, მოსვენება დავკარგე. მაკა ჩემგან სითბოსა და ყურადღებას გრძნობდა და მომეკედლა... მალე დავმეგობრდით კიდეც. მაკა მეგობრად მიმიჩნევდა და მეც ყველასთან ვაცხადებდი, — მისი ძმაკაცი ვარ-მეთქი. ცოტა ხანში, ერთგული მეგობრობის ნიშნად მე, მაკამ, ზურამ და დალიმ თითები გადავიჭერით, სისხლი გამოვიდინეთ და ჩვენი სისხლის წვეთები „შევაერთეთ“. ახლაც მეღიმება, ის დღე რომ მახსენდება. ამის მერე სულ ერთად ვიყავით. მთელმა სკოლამ იცოდა, რომ მე და მაკა (და კიდევ ორი) უახლოესი მეგობრები ვიყავით. მაკას თაყვანისმცემლები ჩემთან იჭერდნენ საქმეს, რომ მათთვის „საქმე ჩამეწყო“ ჩემს დაქალთან. რადგან მეგობრობით შევნიღბე ჩემი უსაზღვრო სიყვარული, ვერა და ვერ ვბედავდი გამოტყდომას, არადა გული გახეთქვაზე მქონდა, როცა სადმე მივდიოდით (ექსკურსიაზე ან დაბადების დღეებზე) და მაკას მიმართ ვინმე სიმპათიას გამოამჟღავნებდა. მაკა კი ღრუბლებში დაფრინავდა... ის შეძლებული ოჯახის შვილი იყო. განებივრებული, ცა ქუდად არ მიაჩნდა, დედამიწა — ქალამნად. ის ვერც კი ამჩნევდა ჩემს ტანჯვას. დამიმარტოხელებდა და გულუბრყვილოდ, დაუფარავად მიყვებოდა, ვინ მოსწონდა ან ვინ უშლიდა ნერვებს და ა.შ. ისე მიყვარდა, რომ მისი სიხარული და ბედნიერება მეც მიხაროდა. იმ ბიჭს, რომელიც მაკასაც მოსწონდა, ვერაფერს ვეუბნებოდი, სამაგიეროდ სხვა დანარჩენი „დაჭანჭყარებული“ მყავდა — უბატონოდ ხმა არ გასცეთ, თორემ ჩემთან გექნებათ საქმე-მეთქი. ასე გაილია სკოლის პერიოდი. მაკა მალევე გახდა სტუდენტი, მე კი ჯარში წავედი. ყოველკვირა წერილებს ვწერდი, მისგან კი — მხოლოდ ორი თუ სამი წერილი მივიღე. ვგრძნობდი, რომ მაკა ჩემი ვერასოდეს გახდებოდა. მისთვის სკოლის პერიოდში რომ გამემხილა ჩემი გრძნობა, დარწმუნებული ვარ, გაგიჟდებოდა... მისთვის მე მხოლოდ მეგობარი ვიყავი. ერთხელ, მეგობრის მამის პანაშვიდზე თითქმის მთელი კლასი მივედით. მაკა უცნობ ბიჭთან ერთად მოვიდა და — გაიცანით, ეს ჩემი საქმროაო... ძალიან იმოქმედა „სასიძოს“ დანახვამ. ცუდად გავხდი, დიდხანს ვეღარ გავჩერდი და შინ წამოვედი.

ერთ გოგოს მოვწონდი ძალიან, ბევრი აღარ მიფიქრია, მოვკიდე ხელი და სახლში მივიყვანე. არ შედგა ჩვენი ურთიერთობა, წელიწად-ნახევარში გავშორდი. სმა დავიწყე. მშენებლობაზე ვმუშაობდი (სწავლა აღარ გავაგრძელე), დღის ბოლოს კი „ჩავსხდებოდით“ ბიჭები და ვსვამდით. ვერავის ვუმხელდი ჩემს გრძნობას. გატაცებით ვსვამდი სიყვარულის სადღეგრძელოს, მაგრამ მაკას სახელის ხსენებას ვერ ვბედავდი. ნაცნობ-მეგობრებმა ხომ იცოდნენ, რომ მე მაკას „ძმაკაცი“ ვიყავი. მრცხვენოდა იმის აღიარება, რომ მაკა იყო ჩემი პირველი და უკანასკნელი სიყვარული, არადა საკუთარ თავთან ჭიდილით რომ დავიღალე, ხელი ჩავიქნიე — რაც არის — არის, ეგ ყოფილა ჩემი ბედი, სიკვდილამდე მაკას სიყვარულით უნდა ვიტანჯო-მეთქი.

მაკა გათხოვდა, შვილებიც შეეძინა. ხანდახან შემეხმიანებოდა, მომიკითხავდა და თან საყვედურებით ამავსებდა, — სად დაიკარგე, რატომ აღარ მკითხულობო. იმაზეც მეჩხუბებოდა, დროზე მოიყვანე ცოლიო და... დედა-ჩემის ჩიჩინსაც რომ ვეღარ გავუძელი, ავდექი და ცოლი შევირთე. ვაჟი შემეძინა. ჩემი ცოლი თბილი ადამიანია, თუმცა ისეთი გრძნობით მაინც ვერ შევძელი მისი შეყვარება, როგორც მაკა მიყვარდა...

პატივისცემით, გიორგი“.

ამგავი მეორე წარსულში ჩარჩენილი

ბუნებრივია, ასეთი რესპონდენტის „ხელიდან გაშვება“ დამენანა და შევეხმიანე. „გიორგის“ ძალიან გაეხარდა, როცა ვუთხარი, „კვირის პალიტრიდან“ გიკავშირდებით-მეთქი, მაგრამ მომიბოდიშა, სასწრაფო საქმე გამომიჩნდა, საქართველოდან გავდივარ და როგორც კი დავბრუნდები, მაშინვე დაგირეკავთო.

— სულაც არ მრცხვენია, რომ ამ ასაკშიც სიყვარულზე საქვეყნოდ გელაპარაკებით. მეყო, რაც ვმალე, ახლა მინდა ყველაფერი ამოვთქვა... თქვენ რომ წერილი გამოგიგზავნეთ, გულმა არ მომითმინა, მაკას დავურეკე და ყველაფერი (უფრო სწორედ, თითქმის ყველაფერი) ვუთხარი.

— **ალბათ ძალიან გაუკვირდა!**

— გაუკვირდა კი არა, შოკში ჩავარდა... კარგა ხანს ხმას ვერ იღებდა. დიდი ხნის მერე მკითხა, ახლა რომ მეუბნები ამ ყველაფერს, რა აზრი აქვსო? ვუპასუხე: ადრე თუ გვიან ხომ უნდა გაგეგო-მეთქი. გამინაწყენდა, — შენ მე გული მატკინე და ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი ადამიანი (მე მიგულისხმა) დამაკარგვინე, ამას ვერასოდეს გაპატიებო.

— აღიარების მერე როგორ გაგრძელდა თქვენი ურთიერთობა?

— მაშინ დიდხანს ვემუდარე — ხელი არ მკრა, არაფერს არ გთხოვ, ერთის გარდა — როცა დაგირეკავ, დამელაპარაკე და როცა ძალიან მომენატრები, შეხვედრაზე უარს ნუ მეტყვი-მეთქი. ამ დათმობაზე წავიდა, თუმცა ვატყობ, რომ მე მისთვის ის გიო აღარ ვარ, რაც ვიყავი.

— როცა ერთმანეთს ხვდებით, რაზე ელაპარაკებით? ისევ თქვენს გრძნობაზე?

— დაუსრულებლად შემიძლია ჩემს სიყვარულზე ლაპარაკი და როცა მაკას ვხვდები, მეცხრე ცაზე ვარ, ვუბრუნდები იმ ბედნიერ პერიოდს, როცა ახალგაზრდა ვიყავი და მაკაც სულ ჩემ გვერდით იყო. მაკას ამას წინათაც შევხვდი და ისეთი ეპიზოდები გავახსენე, პირდაღებული მისმენდა. მერე გაოცებულმა მითხრა: შენ სკოლის წლებში ხარ ჩარჩენილი და იმის მერე ვეღარ „გაიზარდეო“.

— ცოლმა იცის თქვენი დიდი სიყვარულის შესახებ?

— მე არაფერი მითქვამს, არ ჩავთვალე საჭიროდ და იმიტომ. თუმცა ის იცის, რომ მაკა ჩემი „დაქალი“ იყო და მეგობრებიდან მას ყველაზე დიდ პატივს ვცემ. ერთხანს სჯეროდა, მერე კი ეჭვები გაუჩნდა. გავბრაზდი და ავუკრძალე მაკას ხსენება. აღარც უხსენებია, მაგრამ ვატყობ, ეჭვები მაინც აწუხებს. რა ვქნა, ვაღიარებ, რომ ამ უცნაურ გრძნობასთან ჭიდილში სუსტი აღმოვჩნდი და დავმარცხდი. მე მაკა სიცოცხლეზე მეტად მიყვარს, გჯერათ? მაკას ხელნაწერებს (სკოლის პერიოდში „დღიურის“ შევსება რომ ვიცოდით მოსწავლეებმა) ისე ვუფრთხილდები, როგორც ძვირფას რელიკვიას. მისი ფოტოებიც შენახული მაქვს და როცა მომენატრება, მის შევსებულ დღიურს გადავშლი, მივაჩერდები სკოლის პერიოდში გადაღებულ სურათებს და ასე ვიკლავ მისდამი მონატრების უსაზღვრო გრძნობას.

■

ჟურნალისტს შეგიძლიათ
დაუკავშირდეთ
ტელ: 899.27.25.61
ან ელფოსტით
babunamarina@yahoo.com

გალიმეგული თემიდა

„ჟიგულად“ ქცეული „ვოლგა“, „გაუპატიურებული მოძალადე“ და სიბრიყვის წყალობით გამოჭერილი პოლიციელები

რამდენიმე დღის წინ ცნობილ ადვოკატ ზაზა ხატიაშვილს კოლეგებმა დიდი ნდობა გამოუცხადეს და 4 წლით ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელად აირჩიეს. მას საზოგადოების წინაშე წარდგენა ნამდვილად, არ სჭირდება. ნიჭიერ იურისტს ძალიან ბევრ ხმაურიან საქმეში მიუღია მონაწილეობა და ამიტომაც მოსაყოლი და გასახსენებელიც ბევრი აქვს. ბევრჯერ, ყოველგვარი ჰონორარის გარეშე, ჟურნალისტებიც დაუცავს. კარგი იუმორის გრძნობა აქვს და კომუნიკაბელური ადამიანია. ბატონ ზაზას საადვოკატო პრაქტიკიდან კურიოზული ამბების გახსენება ვთხოვეთ.

თეა ხურცილავა

დანგრეული ოჯახი

სამოქალაქო საქმეებში მონაწილეობა ხშირად მიწევს. ცოლ-ქმრის გაყრის საქმეც ბევრჯერ მქონია პრაქტიკაში. ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე უცნაური ფაქტი მოხდა. ცოლთან გაყრას მამაკაცი ითხოვდა. ბიჭის მშობლებიც მათი სახლიდან რძლის წასვლას მოითხოვდნენ. გაყრის მიზეზის მოსმენამ გამაოგნა. გაირკვა, რომ თავის დროზე მათი ოჯახი სიყვარულით არ შექმნილა, ქალ-ვაჟს ერთმანეთი გააცნეს და საბოლოოდ, ოჯახი გარიგებით შეიქმნა. როცა სასიმამროს სასიძო უნახავს, უთქვამს: ეს საქმე თუ გამოვიდა, სიძეს ახალ „ვოლგას“ ვუყიდიო. შემდეგ ეს სიტყვები ცოლ-ქმრის დავისა და საბოლოოდ, მათი გაყრის საბაბი გახდა... სასამართლოზე მამაკაცის მშობლები მოწმის სტატუსით დაიკითხნენ და უცნაური პოზიცია დააფიქსირეს: „როცა ჩემს შვილს ეს გოგო მოჰყავდა ცოლად, სიმამრი შეჰპირდა, რომ ახალ „ვოლგას“ უყიდდა. გოგო ასე გაათხოვა, მაგრამ პირობა არ შეასრულა და ჩემს ბიჭს, „ვოლგის“ ნაცვლად, „ჟიგული“ უყიდა; ჩემს შვილს კი „ჟიგული“ არ უნდა, ამიტომ ეს გოგო თავის სახლში უნდა გავუშვათ“, — თქვა პროცესზე ბიჭის დედამ.

როცა ეს პოზიცია მოვისმინე, ხუმრობანარევი ტონით ვთქვი: ამის გამო ოჯახი არ დაანგრიოთ, გოგოს სახლიდან ნუ გაუშვებთ, მამამისს დაველაპარაკები და იმ „ვოლგასაც“ გიყიდიან-მეთქი. — არა, აწი აღარ გვინდა მისი ნაყიდი „ვოლგა“; ჩვენ ამას დიდი ხანია, ვეუბნებით მამამისს, მან კი არ მოგვისმინა, მისი გოგო აღარ გვჭირდებაო, — ასეთი კატეგორიული იყო მათი პოზიცია...

აღიარება

ეს შემთხვევა კახეთში მოხდა. პოლიციელებმა მოქალაქე ისე სასტიკად სცემეს, რომ ბიჭს სახე დეფორმირებული ჰქონდა. მისი ამოცნობა ახლობლებსაც კი გაუჭირდათ. იმდენად ნაწამები იყო, მაშინდელმა მინისტრმა, კახა თარგამაძემ დამნაშავე პოლიციელების დასჯა მოითხოვა. პოლიციელები სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს. სასამართლო პროცესი კახეთში ჩატარდა. დაზარალებულს ვიცავდი. პოლიციელები დანაშაულს არ აღიარებდნენ და ცდილობდნენ, მოწმეები თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ. როგორც იცით, მაშინ ყველა მოვაჭრე პოლიციასთან შეკრული იყო, სხვაგვარად მათ არავინ ამუშავებდა. ასეთი პირები მოწმეებად ჰყავდათ მოყვანილი. ერთი ამბობდა, — ეს კაცი ქუჩაში მთვრალი, ნაცემი იყო, პოლიციამ დაინახა და განყოფილებაში წაიყვანა; რომ მიჰყავდათ, თქვეს, გამოფხიზლდება და მერე უნდა გავუშვათ სახლშიო. როგორც გავიგეთ, მეორე დილით მართლაც, სახლში გაუშვეს. დაზარალებული კი პოლიციელებს კონკრეტულად ამხელდა და არც იმას მალავდა, რომ მათ შორის ერთ-ერთს შეეცოდა; ამბობდა, — ერთ-ერთ პოლიციელს ძალიან შეეცოდე, წყალი მომიტანა და სისხლიანი სახე ჩამომბანაო. როცა ამ პოლიციელის დაკითხვის დრო დადგა მას ვუთხარი:

— ვიცი, შენ კარგი კაცი ხარ, ამას წყალი რომ მიუტანე-მეთქი.

— კი, მივუტანე, — უცებ სიხარულით მიპასუხა პოლიციელმა.

— ვიცი, ვიცი, წყალი რატომაც მიუტანე, — იმიტომ, რომ მისთვის სახე მოგებანა, არა?

— კი, კი, მოვბანე.

— რატომ მობანე? ცოტა სისხლები რომ მოსდიოდა, შეგეცოდა ალბათ და იმიტომ?

— კი, შემეცოდა, აბა, არ შემეცოდა?!

— შენ მართლა კარგი კაცი ჩანხარ. მხედველობაც კარგი გექნება. მეორე დილით ალბათ იმასაც დაინახავდი, მას თვალები ჩალურჯებული რომ ჰქონდა? — არ ვეშვებოდი მოწმეს.

— დავინახე, აბა, არ დავინახე?! — მანაც გულუბრყვილოდ მიპასუხა.

ასე მივიღე მისგან აღიარებითი ჩვენება და შემდეგ მოვითხოვე: ეს ადამიანი დანაშაულის ჩადენისთვის ციხეში ჩასვით, ეს კაცი იმ დღეს პოლიციაში მორიგე იყო, ჩვენება არა აქვს მიცემული-მეთქი. კაცი მიხვდა, რაც ჩაიდინა და საოცარი რამ მოხდა: უცებ მეტყველების უნარი დაკარგა, სიტყვებს გამართულად ვეღარ წარმოთქვამდა: „მეეეეე, არაااااფერი არ ვიციიი, ااااررر მინახااااავს...“ — მართლა ცუდად იყო. მისი ასეთი კურიოზული აღიარების შემდეგ, პროცესზე ვთქვი: თუ პოლიციელები აღიარებენ დანაშაულს და იტყვიან სიმართლეს, მე ვიქნები ის ადვოკატი, რომელიც არ მოითხოვს მათ დასჯას და ციხეში ჩასმას, მათთვის პირობით სასჯელს არ მოვითხოვ; ადვოკატი ვარ და მიმაჩნია — ადამიანს უნდა მისცე შანსი, თუ გულწრფელად ინანიებს დანაშაულს, რომ გამოსწორდეს-მეთქი. ამ სვლამ გაამართლა: გამოვარდა ერთი პოლიციელი და თქვა:

— ეს დაზიანებები მას მე მივაყენე; შეშა ჩავარტყი, მერე — მუშტი.

მეორე გამოვიდა და იმანაც აღიარა, რომ დაზიანებები მიაყენა და მართლაც რომ იშვიათი კურიოზული სიტუაცია შეიქმნა — პოლიციელები ერთმანეთს ასწრებდნენ და ბრალს აღიარებდნენ. მათი გულწრფელი აღიარების შემდეგ, დაზარალებულმა ბიჭმაც დათმო და ჩვენ აღარ მოგვითხოვია მათი დაპატიმრება.

ცრუმოწმე

უზენაესი სასამართლოს შენობა პოლიციელებითა და სპეცრაზმელებით გარშემორტყმული იყო. გახმაურებული საქმე იხილებოდა. ჟურნალისტებსაც არ აძლევდნენ ნორმალურად დარბაზში შესვლისა და სხდომაზე დასწრების საშუალებას. ერთ-ერთი ჟურნალისტი თემურ მღებრიშვილმა სასამართლოს შენობაში არ შეუშვა, შემდეგ კი ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ეს ფაქტიც საკმაოდ გახმაურდა. ჟურნალისტს დაზიანებები ეტყობოდა.

მღებრიშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოვითხოვეთ. მტკიცებულებები წარმოვადგინეთ, ექსპერტიზის დასკვნაც დავურთეთ. წინასწარი გამოძიება დაიწყო. დაკითხვაზე პოლიციამ ორი ქალბატონი მოწმის სტატუსით მოიწვია. მათ არ იცნობდა ჩემი დასაცავი; ისინი მიუბრუნდნენ დაზარალებულ ჟურნალისტს და უთხრეს: იცი, შენ ძალიან კარგად დაგიმახსოვრეთ, მღებრიშვილი არ იყო დამნაშავე, მას ტყუილად ადანაშაულებო. ქალებს დეტალური ჩვენების მიცემა ვთხოვეთ, ისინი კი მომხდარს ასეთი ინტერპრეტაციით ჰყვებოდნენ:

— შენ მოხვედი იმ დღეს სასამართლოს შენობასთან, თემურ მღებრიშვილმა საბუთი გთხოვა, არ გქონდა და არ შეგიშვა; ამ დროს ადექი, დადექი მღებრიშვილის წინ, აიღე შენი ორივე მუშტი, სახეზე მიირტყი და მიირტყი, მიირტყი და მიირტყი. ის კი გეუბნებოდა, — გეხვეწები, შვილო, დაწყნარდიო, — მაგრამ შენ ვერაფერი გაგაგებინა, ხელებს თვალებსა და სახეზე ირტყამდი და ირტყამდი.

გაოცებულმა ამ ქალბატონს შევხედე და ვთხოვე, დაეკონკრეტებინა მიზეზი, თუ რატომ ირტყამდა მუშტებს საკუთარი ხელით ალეკო და თვითდაზიანებას რატომ იღებდა.

— შვილო, ალბათ ვერ იყო კარგად, განერვიულდა, თემურმა კანონის დაცვა რომ მოსთხოვა. ის კაცი ეუბნებოდა, — გაჩერდი, ბიჭო, რაღაც მოგივაო, — მაგრამ არ იხევდა უკან და სახეზე ირტყამდა და ირტყამდა. შემდეგ ხელები დაუჭირა მღებრიშვილმა, კიდევ მეტი დაზიანება რომ არ მიეყენებინა და უთხრა, — ოღონდ არაფერი მოგივიდეს, დამშვიდდი და შიგნით შეგიშვებო.

— ქალბატონო, მოდით, დამიხაზეთ, სად იდგა მღებრიშვილის მანქანა, რა მანძილზე იყო დაზარალებული, სასამართლოს შენობიდან და სად ხდებოდა ეს ყველაფერი? — დავუსვი მორიგი კითხვა.

— არ ვიცი, ეს როგორ იყო, — დაიბნა ქალი.

მალე გავარკვიეთ, რომ იმ მოწმემ საერთოდ არ იცოდა ტერიტორიულად, სად იყო უზენაესი სასამართლოს შენობა...

უხერხული კითხვები

ბევრი ადამიანი დამიცავს და ბუნებრივია, სასაცილო სიტუაციებიც ხდება. ერთ ასეთ ფაქტსაც გავიხსენებ. ახალგაზრდა მამაკაცს მასზე რამდენიმე წლით უფროსი ქალის გაუპატიურებაში დანაშაულებდნენ. მამაკაცს ვიცავდი. სასამართლო პროცესზე დაზარალებული ქალი რომ დავინახე, გავიფიქრე: ნუთუ ამ ქალის გაუპატიურების სურვილი გაუჩნდა-მეთქი?.. მართლა შეეწუხდი, იმდენად შეუხედავი ქალი იყო, ჩემი ემოციები ვერ დავფარე და ჩემს დასაცავს ვკითხე: როგორ დავიჯერო, ამ ქალთან მართლა ურთიერთობა რომ გქონდა, ნუთუ სხვა ქალი ვერ იპოვე-მეთქი?! კატეგორიულად აცხადებდა: ტყუილად მადანაშაულებენ და არანაირი ურთიერთობა ამ ქალთან არ მქონიაო. მამაკაცი შავი სამყაროს წარმომადგენელი იყო და აშკარად ჩანდა, პოლიცია ამ ქალის დახმარებით, მის ციხეში შებრუნებას აპირებდა. ბუნებრივია, ბრალდება მძიმე იყო. ქალი ირწმუნებოდა, თითქოს „ვილისის“ მარკის ავტომანქანაში გააუპატიურა და მოძალადემ თავი მიარტყმევინა მანქანის ჭერზე... სხვა გზა არ იყო — ბრალდებულის უდანაშაულობა უნდა გვემტკიცებინა. უკან დასახევი გზა არ გვქონდა, სასამართლო პროცესზე ამ ქალბატონს 20-მდე ძალიან უხერხული კითხვა დავუსვი, სქესობრივ ფაქტთან დაკავშირებით, ის აშკარა ტყუილში გამოვიჭირე და ბოლოს ვთქვი: აი, ხომ ხედავ, შენ ხარ პასუხისგებაში მისაცემი; შენს დაკავებას მოვითხოვ-მეთქი! ქალი ძალიან დაიბნა, შეეშინდა და იქვე აღიარა: არაფერ შუაში ვარ, პოლიციამ დამაწერინა ეს ჩვენება და ისიც მითხრეს, პროცესზე რა უნდა მეთქვაო. ამ უხერხული კითხვების დასმას გამოძიება ალბათ არ ელოდა და ჩემი დასაცავის უდანაშაულობა დავამტკიცე. ეს საქმე სასამართლომ ხელახალ გამოძიებაში დააბრუნა, შემდეგ კი ამ ბიჭის მიმართ აღძრული საქმე საერთოდ, შეწყვიტეს. ■

დასაწყისი იხ. გვ. 35

ბირების შემდეგ ორივე წავიდა. შორენამ სახლის გასაღებიც ჩამოართვა და ხელის ქნევით გააცილა. შემდეგ ბევრი იტირა, ივიშვიშა, „იწკმუტუნა“, ბედის სამდურავიც თქვა... როგორც იქნა, ცრემლი შეიშრო და დავლიოთო, მითხრა.

მართალია, მე ფხიზელი ცხოვრების წესს მივდევ, ისევ და ისევ, ჩემი მძღოლობის გამო, მაგრამ მაინც ავუბი მხარი. ის სვამდა, მე უბრალოდ, ჭიქას ვუჭახუნებდი. ასე დავლიეთ საწყალი, საცოდავი და მიტოვებული ქალების, უნამუსო და უგულო მამაკაცების, უკუღმართი ბედისა და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი მსგავსი სადღეგრძელო. შემდეგ, მშობლებთან სტუმრად წასვლა გადაწყვიტა და მანქანით მომსახურებაზე სასტიკი უარი მითხრა — ტაქსით წავალო.

შორენა სპორტის სასახლესთან ცხოვრობს. იქიდან ფეხით წამოვედით. ვიფიქრე, ჯერ ამას გავაცილებ, შემდეგ მოვბრუნდები და ჩემი გზით წავალმეთქი. „მზეჭაბუკთან“ რომ მივედით, შორენამ სიმთვრალისგან მიბნედილი თვალებით შემომხედა და ამოიოხრა.

— აი, კაცი, არავის არაფერს უშავებს, დგას თავისთვის და საკუთარ ბედს ელის, — თითი გაიშვირა ძეგლისკენ.

— კი, ელის, — თავი დავუქნიე, აბა, გულს ხომ არ დავწყვეტდი?!

— ნეტავ, ამ ფოთლის ქვეშიდან რამე უჩანს? — დაინტერესდა შორენა და ძეგლს მიადგა. კარგა ხანს ქვევიდან უყურა და მერე აბუზღუნდა:

— არაფერიც არ უჩანს, ფოთოლი ისე აქვს მიფარებული, ყველაფერი დამალული აქვს. ჩემი ქმარი აქ რომ დაეყენებინათ, ამხელა ფოთოლი არ დასჭირდებოდა, ქინძის ფოთოლიც ეყოფოდა... — თქვა და თავი სინანულით გადააქნია.

— წამოდი, ძველით ახალ წლამდე ხომ არ აპირებ აქ დგომას? — სახელოზე დავქაჩე.

— არა, შემოდგომამდე ვაპირებ; მერე ეს ფოთოლი ჯერ გაყვითლდება, მერე გახმება და ჩამოვარდება, — იმედიანად თქვა.

ძლივს წამოვიყვანე, ტაქსიში ჩავსვი და გავუშვი.

მე კი ჩემს მეორე მეგობარს ვესტუმრე.

მისი ქმარი უკვე კარგა ნასვამი დამხვდა და ჩემი დანახვა ძალზე გაუხარდა.

— ვაა, სვანი მოვიდა! — ხელები გაშალა. — აბა, შენ თუ მეტყვი, მესტიიდან თბილისამდე რამდენი კილომეტრია?

— რამდენი და — 800, — ისე დაბეჯითებით ვთქვი, თითქოს სულ მტკაველებით მქონდეს გაზომილი.

— თბილისიდან მესტიამდე?

— ეეე, აბა, შენა ხარ, რა! ისევ 800 არ იქნება?!

— არა, თბილისიდან 1000 კილომეტრია.

— შენ მეტი აღარ დალიო, — ჭკუა დავარიგე.

— ჰმ, ამას ჰგონია, ვხუმრობ. მართლა ასეა. აბა, მითხარი, 1-ლი იანვრიდან 1-ელ მაისამდე რამდენი თვეა?

— 4, — ბეჯითი მოსწავლესავით ვუპასუხე.

— მაისიდან იანვრამდე კი — რვაა, ხომ ასეა? ჰოდა, მაშინ ის მესტიათბილისის მანძილი რატომ არ შეიძლება, რომ 1000 და 800 იყოს?

— ნუ, პრინციპში, მართალი ხარ, — ხელი ჩავიქნიე და იძულებით დავეთანხმე.

— აბა, სადაა, ჩემი საჩუქარი? — მივუბრუნდი ნინოს, რადგან წინასწარ მითხრა, რომ სიურპრიზი მელოდა, საჩუქრის სახით.

— ო-ო, — დაიწყო ისევ დათომ, — ახლა შენ ჩემთან ერთად დაჯდები და დალევ.

— არა, არა, — ხელები გავასავსავე, — ხომ იცი, საჭესთან არ ვსვამ.

— წინასაახალწლო ჟურნალში რა დაწერე, გახსოვს? — მკითხა და ეშმაკურად მომაჩერდა.

— ბევრი რამე დავწერე, შენ რომელს გულისხმობ?

— აი, იმას: იდეა მაქვს, ნასვამ მძღოლებს მანქანის მართვის უფლება მისცენ, ხოლო საცნობი რომ იყოს, მწვანე „მიგალკა“ დაუყენონ მანქანაზეო, რომ წერდი.

— ჰო, მერე?

— მერე ის, რომ მე შენ მწვანე „მიგალკა“ გიშოვე და ახლა გაჩუქებ, მერე, წასვლისას მანქანაზე დაგიყენებ და ისე გაგიშვებ. ასე რომ, უარი არ გაგივა, უნდა დავლიოთ, — მითხრა და საიდანღაც მართლა გამოაძვრინა მწვანე „მიგალკა“.

მოკლედ, რადგან აქ უკვე უარი არ გამივიდოდა, დავჯექი და კარგად მოვილხინე. როცა იმ კონდიციამდე მივედი, რომ დავრწმუნდი, დედამიწა ნამდვილად ბრუნავს და ყველაფერი ორად მეჩვენებოდა, შინ წასვლა გადავწყვიტე.

ჯერ ავიჩემე, — აქედან ყველანი ჩემთან მივდივართ-მეთქი (ეს ჩემი საყვარელი ფრაზაა), მერე გავიბუტე და, — კარგი, მარტო წავალ და აღარასოდეს მოვალ-მეთქი, — თვალზე ცრემლმომდგარმა ჩავიბურტყუნე და წამოვედი.

დათო უკვე ჩემს მანქანას ეჩალიჩებოდა. მანქანის თავზე მწვანე „მიგალკა“ იდო და ძალიან ლამაზად ანათებდა.

მოკლედ, წავედი... რა თქმა უნდა, ჩვენს ფხიზელ პატრულს ვერაფერს გამოაპარებ და არც ჩემი უცნაური მოწყობილობა დარჩენიათ უყურადღებოდ.

— „ოპელი“, ექვსი-ექვსი-რვა, გადაყენე მანქანა!

— თქვენ ვის მიმართავდით? — მთვრალი კი ვიყავი, მაგრამ თავს ისე ვაჩვენებდი, თითქოს წვეთი არ მქონდა დალეული.

— თქვენ.

— მერე, მე მარი მქვია, გენაცვალე, „ოპელი“ კი არა და თუ ჩემს მანქანას მიმართავდით, უნდა გეთქვათ, „ოპელი“, გადადექი ან „ოპელი“, მძღოლი გადააყენე, — სერიოზული სახით დავარიგე ჭკუა.

— საბუთები მომეცი, — ხელი გამომიწოდა.

— მოიცა, რამე დავარღვიე? — ცოცხალი თავით, არ მინდოდა საბუთების მიცემა.

— აბა, აქ ჩაბერე, გენაცვალე! — ისეთი სახე ჰქონდა პატრულს, თითქოს დანამდვილებით იცოდა — ახლა ბიუჯეტს 150 ლარით გაამდიდრებდა.

ჩავბერე და, რა თქმა უნდა, დადგინდა, რომ ნასვამი ვიყავი.

— მთვრალი ხართ, არა?!. — მაინც მკითხა.

— არა, „დალეული“ ვარ, ბატონო.

— „დალეული“ კი არა, მთვრალი ხართ.

— აბა, მიდი, ძაფი გააბი გზაზე და ნახავ, თუ სწორად არ გავივლი, — რამდენადაც შემეძლო, დამაჯერებელი ტონით ვუთხარი.

— ეს მწვანე „მიგალკა“ რას ნიშნავს? — როგორც იქნა, დაინტერესდა პატრული.

— ესა?.. — მანქანიდან გადმოვედი და „მიგალკას“ ამაყად გავხედე. — ახალი კანონი არ იცით?

— არა, რა კანონი?

— ნასვამ ანუ „დალეულ“ მძღოლს საჭესთან დაჯდომის უფლება აქვს, თუ „მწვანე“ მიგალკა უყენია.

— მართლა?!

— ჰო, მართლა, აბა, მე ხომ არ მოვიგონებდი?! — შარვლის ჯიბეებში ხელები ჩავიყავი და მხრები ავიჩეჩე.

ორივე პატრული ჩაბჟირდა.

— მოდი, ეს „მიგალკა“ მოვხსნათ, შევინახოთ და ვითომ არ გაგვიჩერებიხართ. ოლონდ, პირდაპირ სახლში წადით, — პატრულმა მოლაპარაკებაზე წამოსვლა გადაწყვიტა.

— ნწუ, არაა, — თავი გავაქნიე, — კანონს ვერ დავარღვევ, „მიგალკის“ გარეშე „დალეულ“ მძღოლს სიარული აკრძალული აქვს...

— კარგი, როგორც გინდათ. დღეს ახალი წელია და გიშვებთ, მაგრამ სხვა პატრულიც ჩვენნაირი კეთილი კი არ იქნება, — გამაფრთხილა და მშვიდობიანი მგზავრობა მისურვა.

შინ მართალია, მწვანე „მიგალკით“, მაგრამ მშვიდობიანად მივედი. ჰოდა, ეს ამბავი უკვე ყველა ჩემმა ახლობელმა იცის და სახუმარო თემად გადაიქცა: ჯაფარიძე მწვანე „მიგალკით“ დადის და როცა ანთებული აქვს, ერიდეთ, — სვანია, რა იცი, თავში რა მოუვაო?!.

ესეც ჩემი ახალი წელი!.. ყველას ბედნიერ და წარმატებულ წელს გისურვებთ, სულ მწვანე „მიგალკით“ კი არა და, მწვანეზე გევლოთ! ■

სამყარო

მიკი-მაუსის დედის ანუ ქალბატონ ჩაპლინას უჩვეულო კოლექცია

ალბათ, „დისნეილენდში“ მოგზაურობაზე ნებისმიერ თქვენგანს უოცნებია, მაგრამ ცოტას თუ ღირსებია ამ ოცნების ახდენა. საბავშვო კინოცენტრ „ფიფქიას“ პრეზიდენტი, კინოს ისტორიის მუზეუმის ხელმძღვანელი და საზოგადოებრივი გაერთიანება „არტ-ჰოლის“ დირექტორი, ქალბატონი ლალი გორგასლიძე კი ის ადამიანია, რომელმაც საწადელს მიაღწია და ოცნება მხოლოდ თვითონ კი არ აისრულა, არამედ „დისნეილენდი“ ათობით ბავშვსაც დაათვალიერებინა. ქალბატონ ლალის, თავისი საუცხოო კოლექციის, ჩარლი ჩაპლინისა და „დისნეის“ სიყვარულის გამო, ზოგი მიკი-მაუსის დედას, სხვები კი ქალბატონ ჩაპლინას ეძახიან.

თამუნა კვირკველია

— საბავშვო კინოს მეთოდისტი ვარ. 10 წელი თბილისის კინოფიკაციაში ვმუშაობდი, შემდეგ მოსკოვში, საბავშვო კინოს მეთოდისტის კუთხით კვალიფიკაცია ავიმაღლე და სწორედ იქ მივხვდი, რომ კინოს მეთოდისტობა მხოლოდ იმას კი არ გულისხმობს, ღონისძიება მოამზადო და პრემიერა კარგად ჩაატარო, არამედ ბავშვებს დღესასწაული უნდა მოუწყო. კოლექციის შეგროვება „დისნეის“ წიგნით დავიწყე, მერე კი „ჩარლი ჩაპლინმა“ გამიტაცა. ჩემს კოლექციაში ნახავთ დისნეისგამოსახულებიან თეფშებს, ჭიქებს, ჩარჩოებს, ფანქრებს, სათლელებს, ყულაბებს, ქოლგებს, წიგნებს, ბლოკნოტებს, ასევე მაქვს „დისნეის“ ანიმაციური კინოს მარკების კოლექციაც, ქართული და უოლტ დისნეის ანიმაციის 100 ფილმი, ფოტოპლაკატები, მარიონეტები, გობელენები, სათითე, 250 საინფორმაციო-სარეკლამო ექსპონატი, 8, 16 და 35-მილიმეტრიანი კინოფირების კოლექცია. მაქვს 16-მილიმეტრიან ფირზე ჩაწერილი, ჩარლი ჩაპლინის 22 ფილმი — ეს ოქროს ფონდია და საქართველოში ერთადერთია.

— კოლექციის შეგროვება 90-იან წლებში დავიწყე. 1997 წელს კინოთეატრ „ივერიაში“ ფიფქიას 60 წლის იუბილე გადავუხადე. ნამდვილი დღესასწაული იყო, სახლში წასვლა არავის უნდოდა; 1989 წელს ჩარლი

— როგორც ვიცი, თქვენი კოლექციის პერსონაჟებს იუბილესაც კი უწყობთ ხოლმე...

ჩაპლინის 100 წლის იუბილე, საბავშვო კინოთეატრ „ნაკადულში“ მოვაწყვე. დისნეისაც გადავუხადე იუბილე. მოგვიანებით, 100 ქართველი ბავშვი „დისნეილენდში“ ორჯერ წავიყვანე და მათ დაუვიწყარი დღეები ვაჩუქე. ამერიკაში კულტურული გაცვლითი პროგრამით მოვხვდით. ლოს-ანჯელესი მხოლოდ იმ ქვეყნებს იწვევდა, სადაც „დისნეილენდი“ არსებობდა ანუ საფრანგეთს, იაპონიას, შვეიცარიას. მათ შევუთვალე, — ჩვენ „დისნეის კლუბი“ გვაქვს-მეთქი, გავუგზავნე ფოტოებიც და მივიღე თანხმობა, რომ იქ ჩვენი ბავშვებიც ჩამეყვანა... ომიანობის დროს ვატარებდი ღონისძიებებს, ვაწყობდი დღესასწაულებს დაღუპულთა შვილებისთვის, მრავალშვილიანი ოჯახებისთვის. შუქიც კი არ გვქონდა და გენერატორით ვმუშაობდით.

— „ქართული მულტიპლიკაციის მატიანეზე“ რას გვეტყვით?

— ბავშვები მეკითხებოდნენ: „დისნეი“ კარგია, მაგრამ ჩვენ ქართული მულტფილმები არ გვაქვსო?.. შემრცხვა და დავიწყე მუშაობა წიგნზე — „ქართული მულტიპლიკაციის მატიანე“. უკვე მაქვს ელექტრონული ვერსია 300-გვერდიანი წიგნისა, 45 რეჟისორის 300-მდე ფილმი თავისი კადრებით და მარკებით, რეჟისორების ბიოგრაფიებით, მაგრამ სპონსორი ვერ ვიპოვეთ და წიგნსაც ვერ ვბეჭდავთ.

— ბევრ საქმეს ხართ შეჭიდებული. საინტერესოა, ამ ყველაფერს როგორ ასწრებთ?

— გაჭირვებით, მაგრამ მაინც, ყველაფერს ვასწრებ. ერთადერთი საქმე, რომელსაც ბევრი დრო და დიდი ძალისხმევა სჭირდება, კოლექციის გამოფენაა. მინდა, შემთხვევით ვისარგებლო და მადლობა გადავუხადო ქალბატონ მზია აფრიდონიძეს (სერგო ზაქარიაძის სახ. ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის დირექტორს), რომელმაც ხელი გამიმართა და ჩემი კოლექციით თავისთან შემომასახლა. ამ პატარა ოთახში ძალიან ბევრი შეხვედრა მოვაწყვეთ, ჩვენთან გაიმართა ეროსი მანჯგალაძის, გურამ ფირცხალავას, ვასილ ჩხაიძის საღამოები, კინოფილმების „იუბილეები“ და ა.შ.

— როგორც ვიცი, ბავშვებს ძალიან უყვარხართ...

— როცა რაიმე შეხვედრას ან იუბილეს ვაწყობ, ბავშვებს ტელეფონით ვეპატიჟები ხოლმე, ისინი კი მშობლებს ეუბნებიან: მიკიმაუსის დედა რეკავსო... ამას წინათ ქუთაისში, ყრუ-მუნჯ ბავშვთა ინტერნატს ვესტუმრეთ და ჩავუტანეთ „ჩარლი ჩაპლინი“, რამაც მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. პატარებმა სიურპრიზი თავადაც მოგვიწყვეს — ჩარლი დაუხატავთ და თავიანთი ნამუშევრები გვაჩუქეს. ძალიან მიყვარს ჩარლი ჩაპლინი და ამიტომაც, ახლობლები ლალი ჩაპლინას მეძახიან. სხვათა შორის, პირველად ასე გურამ ლორთქიფანიძემ მომმართა. ძალიან ვამაყობ, რომ ვახტანგ გორგასლის შთამომავალი ვარ, გვარად გორგასლიძე, მაგრამ ისიც ძალიან მიხარია, ჩაპლინას რომ მეძახიან.

— თუ გქონიათ შემოთავაზება, თქვენ კოლექცია ან მისი ნაწილი რომ გაგეყიდათ?

— უმეტესად უცხოელები მთავაზობდნენ სოლიდურ თანხას, მაგრამ მათ ყოველთვის უარით ვისტუმრებდი. ჩემი კოლექცია ჩემი სულის ნაწილია და მას ვერაფრით შეველევი. ■

ქალური J'ADORE

ანუ გაფიფქლებული მგრძნობელობა

Dior-ის სახლის ლეგენდად ქცეული J'adore-ს არომატი ჟან კოქტოს თამამი ასოციაციის — „Dior-ი ჩვენი დროის ის უდარდელი გენიოსია, ვისი ჯადოსნური სახელიც ორ მაგიურ სიტყვას — ღმერთსა (Dieu) და ოქროს (Or) იტევს" — ბრწყინვალე ილუსტრაციაა. Dior-ით ჯონ გალიანოც არაერთხელ აღფრთოვანებულა. ისევე, როგორც კოქტოს ფრაზის ჯადოსნური ექო, J'adore-ც დაუცხრომლად იმტკიცებს სახელს. სიტყვა J'adore როგორც არ უნდა წარმოთქვა — ჩურჩულით, ჩუმად, ხმამაღლა თუ საზეიმო შეძახილივით, ის მაინც, ყოველთვის ქალურ მომხიბვლელობასთან ასოცირდება ანუ J'adore არის: უმშვენიერესი არომატი, მდიდრული ფლაკონი, მომაჯადოებელი სახელი და ის გაშიშვლებული მგრძნობელობით აღგვაფრთოვანებს.

ათწლეულის საოცრება

1999 წელს J'adore პარფიუმერიული წყლის, 2003 წელს კი ბერგამოტისა და კეტშის ვიბრირებული ნოტების შემცველი ნაპერწკლოვანი ტუალეტის წყლის სახით გაჩნდა, შემდეგ ყვავილებისა და მერქნის აკორდების შემცველი სუნამოც დაიბადა.

2007 წელს ფრანსუა დემაში ქმნის აბსოლიუს: „ამოსავალ წერტილად არომატის აღება და მისი ინტერპრეტირება მინდა. აბსოლიუს მისაღებად დისტილაციის რთული ტექნოლოგიის ამოქმედება გახდა საჭირო. მე აქცენტი ჟასმინის ნოტაზე გავაკეთე, ხოლო კეტშის ნოტა ტუბეროზისა და ილანგ-ილანგის აბსოლიუთი შევცვალე. საბოლოო კომპოზიციაში ყველა ნოტი უფრო მძაფრად, აბსტრაქტულად, უფრო „დიორულად" ჟღერს".

J'adore L'eau Cologne Florale-ს (2009) დახვეწილი, ცოცხალი არომატი მაგნოლიის ყვავილის სინაზეზეა აგებული. ფრანსუა დემაშიმ ეს ყვავილი იმიტომ აირჩია, რომ „ის საწყისი აკორდის შემადგენლობაში შედიოდა და თანაც, მის გაჯერებულ არომატში, ყვავილების სინაზესთან ერთად, ციტრუსების ჯანსაღი სურნელიც იგრძნობა". J'adore ნებისმიერ ინტერპრეტაციაში შეუდარებელი რჩება, ის სინათლის ყვავილოვანი ჰიმნია.

J'ADORE-ს საუცხოო ფლაკონი

სახელი — J'adore ოქროსფრად ბრწყინავს. დიზაინერ ერვე ვან დერ სტრეტენის ქმნილება — ძვირფასი ლითონის ბრწყინვალეებით დამშვენებული, ამფორას ფორმის ფლაკონი — მოდის სახლის კოდებს მისდევს. New Look-ის პატივსაცემად შექმნილ პირველ სუნამოს — ამფორას ხომ ვიწრო წელი და გრძელი ყელი ჰქონდა. ფლაკონ-ამფორას ქალური, გრაციოზული და ელეგანტური ფორმა აქვს.

ერვე ვან დერ სტრეტენი ამ ფლაკონის შექმნის შესახებ გვიამბობს: „ფლაკონი თილისმაა. მინდოდა, მისი ფორმები რაც შეიძლება დახვეწილი ყოფილიყო. მე უბრალოდ, ფორმა

უნდა მიმეცა მინის წახნაგების სხივისა და ოქროს მდიდრული ბრწყინვალებისთვის..."

მასაის ტომის ყელსაბამით დამშვენებული ფლაკონი-ამფორა, რომელსაც ჯონ გალიანო საკუთარ კოლექციაში ხშირად იყენებდა, მაღალი მოდის სულის მატარებელია. ფლაკონის დახვეწილად გამოყვანილი ყელი მოოქრული ძაფების ხლართითაა დამშვენებული, ხოლო თავად ყელსაბამს ბროლის ბურთი აგვირგვინებს.

ქალი, როგორც ხორცშესხმული არომატი

J'adore-ს არომატი ქალურობის კვინტესენციაა. J'adore-ს პირველი არომატის პატივსაცემად შეიქმნა ხატება დიდებული ქალისა, რომელიც ოქროთი სანახევროდ ავსებულ აბაზანაში ნებივრობს ანუ ქალღმერთი ვენერა ოქროთი იმოსება... მოგვიანებით, J'adore უფრო კონკრეტულ — შარლიზ ტერონის სახეს იღებს. 2004 წელს ის არომატის მუზა ხდება და სინათლის შარავანდედით მოსილი, ოქროსფერ ზეწარზე მოიკალათებს. ჯონ გალიანო: „ J'adore-ს პირველი სარეკლამო კამპანიისას გამოყენებული პარფიუმერიისა და მაღალი მოდის დამაკავშირებლის — ოქროს აბაზანის ოქროს ქსოვილით შეცვლა მინდოდა. ეს მე XVIII საუკუნის ყვითელმა ჩინურმა აბრეშუმმა შთამაგონა".

საოცრად ვნებიანი შარლიზ ტერონი, რომელიც სამოსს იხდის და სამკაულებს დემონსტრაციულად ცილებს, მხოლოდ ყველაზე ძვირფასის — არომატის ამარა რჩება და მისი სილამაზე ამ ისედაც უმშვენიერეს არომატს მეტ ბრწყინვალებას სძენს.

საკოლექციო გამოშვება

სინატიფე, ელეგანტურობა და ფუფუნება Haute Couture-ს ფლაკონის საკოლექციო ვერსიაში J'adore-ს ლეგენდის ახალი გააზრებაა. J'adore-ს სუნამო შეუცვლელია. მისი ძვირფასი მორთულობა — ფლაკონი პარფიუმერიული წყლით — კომორის ილანგ-ილანგის, დამასკური ვარდისა და ჟასმინ სამბაკის აბსოლიუს ესენციების შეკრების შედეგად შექმნილი ნაზი არომატითაა სავსე. ფრანსუა დემაშის თქმით, „ქალისთვის J'adore-ს ჩუქება იგივეა, რაც მისთვის ყვავილების თაიგულის მიძღვნა"...

■

რატომ გვიმალავენ სიმართლეს უცხოპლანეტელებზე?

„საიდუმლოთა წიგნი“ აშშ-ში 1947 წელს დაიწერა. მისი წაკითხვის უფლება მხოლოდ ამერიკის პრეზიდენტებს აქვთ. წიგნში უცხოპლანეტელების შესახებაა მოთხრობილი. მისი შინაარსის გამხელა რადიოჟურნალისტმა აშშ-ის ახლანდელ პრეზიდენტ ბარაკ ობამას სთხოვა. „მოგიყვებოდი, თუ რა წერია „საიდუმლოთა წიგნში“, მაგრამ შემდეგ შენი მოკვლა მომიწევს...“ — იხუმრა პრეზიდენტმა. წიგნი 1947 წელს დაიწერა, მას შემდეგ, რაც ნიუ-მექსიკოს შტატის სამხედრო ბაზაზე სამხედროებმა უცხოპლანეტელთა ხომალდი ჩამოაგდეს. მფრინავი თეფში და მკვდარი უცხოპლანეტელები ე.წ. „მწვანე ოთახში“ ინახება, რომელიც წიგნის წაკითხვის შემდეგ ობამამ მოინახულა.

1985 წელს ამერიკელმა ასტრონავტმა, გორდონ კუპერმა საიდუმლო გაამხილა: „აშშ-ის რადარები ყოველდღე აფიქსირებენ სამხედროთათვის უცნობ მფრინავ ობიექტებს“.

1969 წლის 20 ივლისს ასტრონავტები: ნილ არმსტრონგი, მაიკლ კოლინზი და ბაზ ოლდრინი „აპოლონ-11“-ით, მთვარეზე დასხდნენ, სადაც 21 საათი გაატარეს. დედამიწაზე დაბრუნებულებს აშშ-ის მაშინდელი პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი შეეგება. 2006 წელს, მთვარეზე გაფრენიდან 37 წლის შემდეგ, ტელეარხმა „დისქავერიმ“ დოკუმენტური ფილმი „აპოლონ-11“: გაუმხელელი საიდუმლო“ გადაიღო, რომელშიც 76 წლის ბაზ ოლდრინი ამხელდა: „უცხოპლანეტელებზე ინფორმაციის გამომზეურება „ნასამ“ აგვიკრძალა. ილუმინატორიდან სფეროს მაგვარ მფრინავ ობიექტს ვხედავდით, მაგრამ ყვირილი არ დაგვიწყია, რადგან ვიცოდით, რომ მილიონობით ადამიანი გვისმენდა“.

უცხოპლანეტელთა არსებობას მეცნიერები და სამხედროები არ ადასტურებენ: „დასამალი არაფერია. ამო (ამოუცნობი მფრინავი ობიექტი) არ არსებობს და დასამალიც არაფერია“, — ირწმუნება ერთ-ერთი მათგანი. მაგრამ თუ უცხოპლანეტელები არ არსებობენ, რატომღა ასაიდუმლოებენ „საიდუმლოთა წიგნს“?..

■

ველური ბუნების შვილები

რომის ლეგენდარული დამაარსებლების, ტყუპი ძმის — რემუსისა და რომულუსის გარდა, რომლებიც მგელმა გამოკვება, ველურ ბუნებაში გაზრდილი კიდევ უმრავი ბავშვის ამბავია ცნობილი. 1799 წელს საფრანგეთში, ავეირონის მახლობლად იპოვეს ბიჭი, რომელსაც ვიქტორ პინელი დაარქვეს. ბიჭმა მრავალი წელი ტყეში გაატარა და მცენარეებით იკვებებოდა. იგი ადგილობრივ მასწავლებელს, ჟან-მარკ იტარდს მიაბარეს, რომელმაც ყრუმუნჯ ვიქტორს რამდენიმე სიტყვა ძლივს შეასწავლა.

1729 წელს ჰანოვერის (გერმანია) მახლობლად გაველურებულ ბიჭს მიაგნეს. იგი ადგილობრივმა ფერმერმა იშვილა, მაგრამ ბიჭმა ლაპარაკიც ვერ ისწავლა და ცოტა ხანში გარდაიცვალა.

1920 წლის ოქტომბერში სასულიერო პირმა, იოსეფ სინგმა ინდოეთის სოფელ მიდნაპორის ტყეში ორ გოგონას მიაგნო: უფროსი 8 წლის იყო, უმცროსი — 18 თვის. გოგონებს მგლები ზრდიდნენ. სინგმა ისინი ოჯახში წამოიყვანა და გადაწყვიტა, ადამიანურად აღეზარდა, მაგრამ პატარამ მგლური ჩვევები ვერ დაივიწყა, ვერც ლაპარაკი და ვერც დგომა ისწავლა და მალე გარდაიცვალა კიდეც. უფროსმა კი სინგების ოჯახში 10 წელი იცოცხლა, ფეხითაც გაიარა, დამარცვლით 30 სიტყვის თქმაც მოახერხა და სადილების ჭამასაც შეეჩვია. მაგრამ მგლური გადმონაშთი სიკვდილამდე შემორჩა. მას საკმაოდ გრძელი და დაკოჟრილი ხელები ჰქონდა, მგელივით ყნოსავდა ყველაფერს, ფაჩუნზეც კი ყურების დაცქვეტა სჩვეოდა, სიცივესა და სიცხესაც ადამიანისთვის უჩვეულოდ იტანდა. სინგების ოჯახში თავდაპირველად, ისევე, როგორც მგლების ხროვაში, მხოლოდ რძესა და უმ ხორცს ჭამდა. ამის გამო, ქვედა ყბაზე ძალზე მაგარი და წაწვეტებული კბილები ჰქონდა...

1767 წელს უნგრელმა მონადირემ დათვის ბუნაგში 18 წლის გოგო იპოვა, რომელიც ნადირთან ერთად ცხოვრობდა.

ველურ ბუნებაში გაზრდილ ბავშვებზე ინფორმაციას აგროვებდა და კვლევებს ატარებდა იტალიელი ექიმი ანა ლუდოვიკო. მასვე მიუყვანეს 1978 წელს ნაპოვნი, ჯერჯერობით უკანასკნელი — რიგით 48-ე ველური ბავშვი. იგი სიერა-ლეონეს მახლობლად, მაიმუნების ოჯახში აღმოაჩინეს. დაბმული ბავშვი სოფელში წაიყვანეს. უჩვეულოდ აგრესიულმა გოგონამ შემოიხია ტანსაცმელი, რომელიც ჩააცვეს და ერთ გლეხკაცს თითზე უკბინა. 4 წლის მანძილზე ბავშვი საკუჭნაოში ფეხზე ჭაჯვგამობმული ჰყავდათ, ფაფებსა და წყალს აძლევდნენ. შემდეგ ისიც ლუდოვიკოს მიუყვანეს, მაგრამ სამწუხაროდ, ვერც მან იცოცხლა დიდხანს. ველურ ბუნებაში გაზრდილი ბავშვები ცივილიზაციას ვერ ეგუებიან და მალევე იღუპებიან.

■

ბერმუდის სამკუთხედი

ბერმუდის სამკუთხედი მაიამის, პუერტო-რიკოსა და ბერმუდის კუნძულებს შორის მდებარეობს. პირველი უცნაური შემთხვევა 1840 წელს დაფიქსირდა. ნასაუს პორტის (ბაჰამის კუნძულები) მახლობლად ფრანგული გემი „როზალი“ აღმოაჩინეს. გემზე ხელუხლებელი იყო ბარგი, არ აღენიშნებოდა დაზიანება, მაგრამ უცნაური ის იყო, რომ ეკიპაჟის წევრები გამქრალიყვნენ. იგივე განმეორდა 1902 წლის 20 ოქტომბერს — ოთხანძიანი გერმანული სავაჭრო გემიდან ეკიპაჟი გაქრა. პროდუქციაც და გემიც ხელუხლებელი იყო.

1918 წლის 4 მარტს ბარბადოსის პორტიდან მანგანუმის მადნით დატვირთული ამერიკული გემი „ციკლოპი“ გაემართა. 18-მეტრიანი გემი, რომელზეც 309 ადამიანი მსახურობდა, ბალტიმორის პორტში უნდა შესულიყო, მაგრამ გაუჩინარდა. ეს პირველი მსოფლიო ომის დროს მოხდა. ამ პერიოდში ატლანტის ოკეანეში გერმანული წყალქვეშა გემები მოძრაობდნენ და გაჩნდა ვერსია, რომ „ციკლოპი“ მათ ჩაძირეს. მაგრამ სიგნალი დახმარების თხოვნით არსად დაფიქსირებულა, თანაც, გერმანელებს ასეთი ძვირფასი ტვირთით სავსე გემი რომ ჩაეძირათ, ამ ამბავს მთელ მსოფლიოს მოსდებდნენ. რადგან სამხედროებმა ვერ ახსნეს „ციკლოპის“ გაუჩინარების მიზეზი, აშშ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა, ვუდრო უილსონმა ასეთი განცხადება გააკეთა: „მხოლოდ ღმერთმა და ზღვამ უწყის, თუ რა შეემთხვა გემს“.

გემების გაუჩინარებას (XX საუკუნის დასაწყისში 15 გემი „აორთქლდა“), თვითმფრინავების გაქრობაც მოჰყვა. 1945 წლის დეკემბრის დასაწყისში ბერმუდის სამკუთხედში 5 ამერიკული ბომბდამშენი გაუჩინარდა; აგრეთვე უგზოუკვლოდ დაიკარგა მათ საძებნელად გაგზავნილი თვითმფრინავი. 1953 წლის 2 თებერვალს ბერმუდის სამკუთხედის ტერიტორიაზე დაიკარგა ინგლისის სამხედრო თვითმფრინავი, რომელზეც ეკიპაჟის 39 წევრი იმყოფებოდა. ანომალიურ ზონასთან მიახლოებისას შეწყდა რადიოკავშირი და იგი არც სამხედრო ბაზაზე დაბრუნებულა... გამქრალი გემებისა და თვითმფრინავების ჩამონათვალი უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ სიას „ანიტათი“ დავასრულებთ: 1973 წლის მარტში ნორფოლკის პორტიდან ჰამბურგისკენ ქვანახშირით დატვირთული გემი გაემართა; ბერმუდის სამკუთხედის მახლობლად შტორმში მოხვდა და ჩაიძირა. რამდენიმედღიანი ძებნის შემდეგ, ზღვაში ერთადერთ სამაშველო რგოლს მიაგნეს, რომელსაც გემის სახელი — „ანიტა“ ეწერა.

ბერმუდის სამკუთხედი დღემდე შიშის, საოცრებისა და ამოუხსნელი ანომალიის ზონად მიიჩნევა. ■

მგლური ცხოვრება და კანონები



შინაური ცხოველების დასაცავად ადამიანმა მგელი თითქმის გაწყვიტა. იგი არ ბინადრობს იაპონიაში, ბრიტანეთის კუნძულებზე, საფრანგეთში, ჰოლანდიაში, ბელგიაში, დანიასა და შვედეთში. დღესდღეობით მგლის ყველაზე გავრცელებული სახეობაა: რუხი და წითური. ხშირად ძაღლს მგელთან აჯვარებენ. ასეთი შეჯვარების შედეგად წარმოიშვა ესკიმოსთა ძაღლი. მგლის ხროვაში მგლური კანონი მეფობს. ხროვას (დაახლოებით 6-10 მგლისგან შედგება) ძუ მგელი — ალფა უძღვება. ლიდერი ხროვაში ყველაზე ძლიერი უნდა იყოს. მას კუდი ყოველთვის ზევით აქვს აღმართული. ძუ ლიდერს ბატონობის შენარჩუნებაში ხვადი ეხმარება. მგლის ხროვა თავის ტერიტორიაზე ნადირობს. თუ რომელიმე მგელი სხვა ხროვის ტერიტორიაზე ნადირობას გაბედავს, მას დასჯიან. სანადიროდ მთელი ხროვა დადის. ფუნქციები გადანაწილებული აქვთ — ნაწილი მსხვერპლს მისდევს, ნაწილი გზას უჭრის, ნაწილი თავს ესხმის. ზამთარში ნადირობის დროს მგლები ერთმანეთის ნაკვალევს მიჰყვებიან. ჟკან მიმავალი მაქსიმალურად ცდილობს წინ მიმავლის ნაფეხურზე გავლას. ამიტომ, გამოცდილ მონადირეებსაც კი უჭირთ, მგლების რაოდენობის ზუსტი განსაზღვრა. მგელი განსაკუთრებით საშიში შემოდგომასა და ზამთარშია. სანადიროდ გამოსული სოფლებთან სულ უფრო ახლოს მიიწევს. ძირითადად მსხვილფეხა საქონლით იკვებება (ირმები, ცხენ-ირმები). ძლიერი კბილებით (სულ 42 აქვთ) ცხენ-ირმის ძვლის გადახრაც შეუძლია. შინაური ცხოველებიდან ცხენზე, ცხვარზე, ძროხასა და ღორზე ნადირობს, მაგრამ გაჭირვებისას კურდღელსაც მიირთმევს. ძლიერი ფეხების წყალობით 9 კმ/სთ სიჩქარით დარბის, მაგრამ ნადირობისას 60 კმ/სთ-იც შეუძლია განავითაროს. ზაფხულში ხილ-ბოსტნეულითაც იკვებება. მგლისთვის დღეში 2-3 კგ ხორცი სავსებით საკმარისია, მშიერს 10 კგ-მდე ხორცის ჭამაც შეუძლია. გაჭირვებისას, საკვების გარეშე ორ კვირამდეც ძლებს. მგელი ვერ მეგობრობს მელასთან, ახლოს არ იჩერებს, შეუძლია მოკლას, მაგრამ არ შეჭამოს.

მგელი მონოგამია. წყვილს 4-8 ლეკვი მარტ-აპრილში უჩნდება. მაკეობა 63 დღე გრძელდება. ოჯახის უფროსი ლეკვების გამოსაზრდელად მოსახერხებელ ბუნაგს ეძებს, ხშირად მღრღნელების სოროში ჩერდება. ლეკვებზე დედა ზრუნავს, მაგრამ მარტოდ დარჩენილი პატარები ხშირად სხვა, დიდი მგლების ლუკმა ხდებიან.

ჩრდილო-აღმოსავლეთ მცხოვრებ ხალხს „მგლის დღესასწაულიც“ შემორჩა. მგლებზე ნადირობამდე მამაკაცები მგლის ტყავებით იმოსებიან, მგლის ფიტული გამოაქვთ და სარიტუალო ცეკვებს ასრულებენ. დღესასწაული შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ტარდება, ხოლო დეკემბერს ძველად „მგლის თვეს“ ეძახდნენ. ■

რუბრიკა მოამზადა ***რუსუდან გელაშვილმა***

„ასტონ მარტინის“ სიახლეები

კომპანია Aston Martin-მა Carbon Black Edition-ის ახალი სპეციალური მოდიფიკაციის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა, რომელიც ორი მოდელისთვის — V12 Vantage და DBS — არის მომზადებული. სტანდარტული ავტომობილებისგან სიახლე ძარას უნიკალური

მეტალიკის შეფერილობით განსხვავდება. ამასთან, მანქანა ხელითაა შელებილი. „განსაკუთრებული“ V12 Vantage გვერდითა სავენტილაციო ჭრილებზე კარბონის დეტალებითა და რადიატორის ცხაურის განსხვავებული გაფორმებით გამოირჩევა. ორივე სპორტავტოს სალონში შავი ფერის ტყავითა და კარბონით გაწყობილი სავარძლებია, რომლებიც Vantage-სა და DBS-ში გამოყენებულ კომპლექტაციაზე 17 კგ-ით მსუბუქია. გარდა ამისა, V12 Vantage-ში Aston Martin-ის 700-ვატიანი, ხოლო DBS-ში Bang&Olufsen-ის აუდიოსისტემა აყენია. ორივე მანქანა 6-ლიტრიანი, 12-ცილინდრიანი 510 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე ძრავათია აღჭურვილი. Aston Martin-ის წარმომადგენელთა თქმით, დიდ ბრიტანეთში სპეცვერსია სტანდარტულ სპორტ-ავტოებზე 5%-ით მეტი ეღირება. V12 Vantage Carbon Black Edition-ისა და DBS Carton Black Edition-ის ფასები შესაბამისად, 142 და 167 ათასი გირვანქა სტერლინგი იქნება. ■

ახალი ძრავები „ფორდ მუსტანგისთვის“

კუპე Ford Mustang GT-ის ძრავათა გამაში 2010 წლიდან 5-ლიტრიანი, 8-ცილინდრიანი, 412 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე მოტორი გამოჩნდება, რომელიც ძველ 315 ცხ.ძ. მქონე 4,6-ლიტრიან აგრეგატს შეცვლის. ადრე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მოტორების მოდელთა ხაზის მეორე აგრეგატი — 210 ცხ.ძ. სიმძლავრის 4-ლიტრიანი ძრავა — Cyclone-ს ოჯახის 3,7-ლიტრიანი „ექვსიანით“ უნდა შეცვლილიყო, რომელიც 305 ცხ.ძ. ავითარებს. ასეთი მოტორი სიჩქარის გადაცემათა 6-საფეხურიანი „ავტომატით“ ან მექანიკური კოლოფით იქნება აგრეგატირებული. კუპე Ford Mustang ახალი V6-ითა და სიჩქარის გადაცემათა მექანიკური კოლოფით, 100 კმ მანძილზე ქალაქში 13 ლ, ხოლო ტრასაზე 8 ლ ბენზინს დაწვავს. ახალი მოტორების გარდა, „მუსტანგს“ საჭის მართვის განსხვავებული გამაძლიერებელი, უფრო მძლავრი სამუხრუჭე მექანიზმები, გაუმჯობესებული ხმის ჩამხშობი, აეროდინამიკური ელემენტები და ახალი ხელსაწყო ელემენტების პანელი ექნება. 2010 წლის აგვისტოდან კუპესთვის ახალი სპორტ-პაკეტის შეკვეთაც იქნება შესაძლებელი — 19-დუიმიანი ბორბლების დისკებითა და სტაბილიზაციის შეცვლილი სისტემით, რომელსაც სპეციალური სპორტული რეჟიმი ექნება. ■

აუქციონზე ერთადერთი Ford GT90 გაიყიდება

2010 წლის იანვრის ბოლოს ამერიკული საავტიონერო სახლის — RM auctions — მიერ დაგეგმილ ვაჭრობაზე ერთადერთ ეგზემპლარად შექმნილი კონცეპტ-ავტოს — Ford GT90 — გაყიდვა იგეგმება. ავტომობილი პირველად 1995 წელს, დეტროიტის მოტორშოუზე წარმოადგინეს. იგი მთლიანად მუშა პროტოტიპია, რომელიც როგორც პრესრელიზშია ნათქვამი, ჩინებულ ტექნიკურ მდგომარეობაშია და წლების განმავლობაში

შესაფერის პირობებში ინახებოდა. კონცეპტ-ავტო „ფორდის“ ქვეუწყებამ — Special Vehicle team (SVT) — სულ რაღაც, 6 თვეში ააწყო, ხოლო მისი კონსტრუირებისას იმდროინდელი სხვა სუპერავტოებისგან, ძირითადად, Jaguar X1200-ისგან ბევრი კომპონენტი გამოიყენეს. საშუალო მოტორის მქონე Ford GT90 6-ლიტრიანი, 12-ცილინდრიანი, 4-ტურბინიანი Garret-ის ძრავათია აღჭურვილი. აგრეგატი 720 ცხ.ძ. სიმძლავრისაა. მოტორი კომპანია „ლინკოლნის“ ორი „რვიანითაა“ შექმნილი, რომელსაც 2-2 ცილინდრი დააკლეს. პროტოტიპის მოტორი FFD-Ricardo-ს სიჩქარის გადაცემათა 5-საფეხურიანი მექანიკური კოლოფით მუშაობს. სუპერავტოს მაქსიმალური სიჩქარე 407 კმ/სთ-ია. შედარებისთვის შეიძლება ითქვას, რომ ასეთივე სიჩქარეს ავითარებს Bugatti Veyron, რომელიც 8-ცილინდრიანი W16 ძრავათია დაკომპლექტებული. Ford GT90-ის სასტარტო ფასი ჯერჯერობით უცნობია. ■

„ოპელი“ სამოდელო რიგს გააფართოებს

„უახლოესი 5 წლის განმავლობაში კომპანია „ოპელი“ საკუთარი სამოდელო რიგის რამდენიმე ახალი მანქანით შევსებას გეგმავს, რომელთა შორისაც კომპაქტური კროსოვერი, მცირელიტრაჟიანი მანქანა, ჰიბრიდი და ქალაქის ელექტრომობილიც იქნება“, — განაცხადა GM Europe-სა და Opel-ის აღმასრულებელმა დირექტორმა, ნიკ რეილიმ. მისი თქმით, პირველად ელექტროავტო და ჰიბრიდი გამოვა, რომლებიც ბაზარზე 2-3 წელიწადში გამოჩნდება. 2012-2013 წლებში „ოპელი“ Opel Corsa-ს პლატფორმაზე მომავალი თაობის მომცრო ზომის კროსოვერის შექმნას გეგმავს, რომელსაც ავტომწარმოებლის გერმანული ოფისი დაამზადებს, კიდევ ერთი წლის შემდეგ კი საშუალო ზომის Opel Antara-ს ახალი ვერსიაც გამოჩნდება. გარდა ამისა, კორპორაცია მოდელის — Agila — შემცვლელის შექმნასაც აპირებს, რომელიც სახეცვლილი ჰეჩბეკი — Suzuki Splash-ია. ახალი ავტომობილის წარმოების შესახებ გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც Suzuki „ოპელის“ კონკურენტ Volkswagen-თან ალიანსში შევიდა. სამოდელო რიგის შევსება კომპანია „ოპელს“ ევროპული ბაზრის ამჟამინდელი სეგმენტის (6,5%) არა მარტო შენარჩუნების, არამედ მისი გაზრდის შესაძლებლობასაც მისცემს. ამასთან, გერმანულ მწარმოებელს კიდევ რამდენიმე პრობლემის გადაჭრა მოუწევს. „ჩვენ უნდა დავასრულოთ რესტრუქტურიზაცია, გავიუმჯობესოთ იმიჯი და გავზარდოთ შემოსავლები. ამ ყველაფრის განხორციელებას 2012 წლისთვის ვგეგმავთ“, — დასძინა რეილიმ. ■

ღვთაებრივი ყრმის პირველმხილველი მწყემსები, შობის ვარსკვლავი და „ალილო“

7 იანვარს შობის ბრწყინვალე დღესასწაულს ვეგებებით — იმ დღეს, როდესაც ხორციელად იშვა მაცხოვარი, მხსნელი კაცობრიობისა — იესო ქრისტე, რომელსაც ღვთის აღთქმისამებრ, კაცობრიობა ათასწლეულების განმავლობაში ელოდა... მაცხოვრის შობა კაცობრიობის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენაა...

შობა

შორენა მერკვილაძე

არქიმანდრიტი მაკარი *(აბესაძე):*

— ღვთის მიერ კაცობრიობისადმი მიცემული აღთქმის განცხადებულად აღსრულება ქრისტეს შობით დაიწყო, რომელიც ჯერ კიდევ ედემის ბაღიდან გამოდევნისას მისცა უფალმა ცოდვით დაცემულ ადამს, მისი სახით კი მთელ კაცობრიობას...

— თავად მაცხოვრის შობა იყო იმ აღთქმის აღსრულება, რომელიც ადამს მისცა უფალმა ედემის ბაღიდან განდევნის დროს — რომ იშვებოდა კაცობრიობის მხსნელი, რომელიც გამოიხსნიდა ადამსაც და მთელ კაცობრიობასაც. ამ აღთქმას უფალი საუკუნეების განმავლობაში იმეორებდა წინასწარმეტყველთა პირით. სამყაროს შექმნიდან 55 წლის საუკუნის შემდეგ იშვა მაცხოვარი — ძე ღვთისა განკაცდა; „...ხორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, და განკაცნა“, — როგორც ეს „მრწამსის“ ერთ-ერთ მუხლშია გადმოცემული — იშვა როგორც ყრმა. სწორედ ეს მოვლენაა შობის დღესასწაული.

— ღვთის განკაცება და ქალწულ მარიამისაგან ხორციელად შობა არის უდიდესი საიდუმლო ღვთისა. შესწევს თუ არა ადამიანის გონებას უნარი, სრულყოფილად ჩასწვდეს ხარებით დაწყებულ და ბეთლემში აღსრულებულ სასწაულს?

— ღვთის განკაცების, ხორცშესხმის საიდუმლოს სრულყოფილად გააზრების უნარი არათუ ადამიანს, არამედ ანგელოზებსაც არ შესწევთ. რაც შეიძლება ვიცოდეთ ღვთის ამ უდიდესი საიდუმლოს შესახებ, არის ის, რომ განკაცდა ყოვლადწმინდა სამების ერთ-ერთი პირი ჰიპოსტასი — ძე ღვთისა, ხორცი შეისხა და მოვიდა ადამიანების ხსნისთვის. ეს არის საღვთო საიდუმლოება, ღვთის მიერ აღსრულებული და იმდენად, რამდენადაც ადამიანის გონება არის მცირე, საღმრთო გონებასთან შედარებით, ამდენადაა შეუძლებელი, რომ ადამიანის გონება სრულყოფილად ჩასწვდეს მას. ვიცით, რომ უფალი ჩვენი იესო ქრისტე არის სრულყოფილი ღმერთი და სრულყოფილი კაცი. მაცხოვარი მოვიდა ადამიანების გამოსახსნელად. ვისაც სწამს, რომ მაცხოვარი არის მხსნელი, ცხონდება. ვინც არ აღიარებს განკაცებულ ღმერთს, მას თავად აქვს დაკეტილი თავისი ცხონების გზა.

— ამ უდიდეს საიდუმლოს და სიყვარულით განმსჭვალულ სასწაულს ღმერთი უდიდესი თავმდაბლობით იქმს: იშვა არა იმდროინდელი სამყაროს ცივილიზაციის ცენტრში — რომში, არამედ ერთ-ერთ პროვინციაში — იუდეაში და იქაც ყველაზე პატარა ქალაქ ბეთლემსა და ყველაზე ღარიბ ფენებს შორის, როგორც უბრალო ადამიანი...

— ერთი მხრივ, მაცხოვარი იუდეაში მივიდა იმის გამო, რომ ჭეშმარიტი სარწმუნოება შემორჩენილი იყო მხოლოდ იუდეველებში, თანაც, ყველაზე მეტად — ღარიბ ფენებში. შემდგომმა ფაქტებმა ცხადყო, რომ იუდეველთა შეძლებულთა ნაწილი — ელიტა, ფარისევლები, მწიგნობრები — არ ელოდა ისეთ მხსნელს, როგორიც მოვიდა, როგორიც იყო იესო ქრისტე; ისინი ელოდნენ ხორციელ მეფეს, მხსნელს, რომელიც ებრაელებს იხსნიდა რომაელთა ბატონობისაგან და მათ მთელ ხილულ სამყაროზე გააბატონებდა. მაცხოვარი თავისთავად, ვერ მივიდოდა იქ, სადაც მას არ ელოდნენ ისეთს, როგორიც უნდა მოსულიყო — სულიერი მხსნელი, სულიერი მეუფე. სწორედ იუდეველთა ელიტურმა ნაწილმა — მწიგნობრებმა, ფარისევლებმა და სჯულისმცოდნეებმა აცვეს უფალი ჯვარს. მათში არ იყო ცხოველი სარწმუნოება, ამიტომ მოვიდა სწორედ იუდეველთა ყველაზე დაბალ და ღარიბ ფენებში, რომელთა შორისაც, მისი მოწაფეებიც იყვნენ...

ცხადია, უფალს შეეძლო იმპერატორის სასახლეშიც შობილიყო და იმპერატორის სახითაც მოვლენოდა კაცობრიობას, მაგრამ ეს რომ მომხდარიყო, ნებაყოფლობითი არ იქნებოდა იმ სარწმუნოების აღიარება, რომელსაც მაცხოვარი აღიარებდა და ქადაგებდა. ასეთ შემთხვევაში, ადამიანები მიმბაძველობითა და იძულებით მიიღებდნენ ქრისტეს სჯულს. როდესაც იშვა უბრალო ადამიანებს შორის, მისი მოწაფეები და მიმდევრები ჭეშმარიტად აღიარებდნენ მას, ამაში არავითარი იძულება არ იყო. პირიქით, ისინი აღიარებდნენ მას, ერთ-ერთი მათგანი იყო, ვინც მიწიერად, მათ მსგავსად ცხოვრობდა; არ ჰქონდა არავითარი ქონება. უფალი ამბობს: ძე კაცისასა არა აქვს ადგილი, სადაც თავი მიიდრიკოსო. მთელი სამყაროს შემოქმედს დედამიწაზე ყოფნისას უბრალო მიწიერი საკუთრებაც არ ჰქონდა. ამით უფალი გვასწავლის, რომ მიწიერი სამყარო არის ჩვენი დროებითი სამყოფელი და უპირველესად, მარადიულის, სულიერის მოპოვებისთვის უნდა ვიზრუნოთ. განკაცება და ხორციელად შობა უფლისა თავისთავად, უკვე უდიდესი თავმდაბლობა იყო. მაცხოვარი იმპერატორის სასახლეშიც რომ შობილიყო და იმპერატორის სახით მოსულიყო, ესეც უდიდესი თავმდაბლობა იქნებოდა, რადგან ღმერთი კაცი იქმნა, ჩვენი ხსნისთვის ხატი მონისა შეიმოსა — ადამიანის სახე მიიღო, მაგრამ კაცთა შორისაც კი ყველაზე დაბალ საფეხურზე მყოფ, ღარიბ ადამიანებს შორის, უკიდურეს სიღატაკეში იშვა. აქედან ჩანს სწორედ ჭეშმარიტება მაცხოვრისა. დაბალი ფენებიდან დაწყებული ხსნა, ბაგაში შობილი მაცხოვრის ნაქადაგები სარწმუნოება, რომელიც შემდეგ მოციქულებმა გააგრძელეს, სამი საუკუნის შემდეგ ავიდა მიწიერების უმაღლეს ეშელონებში — იმპერატორებამდე, მეფეებამდე. ქვეყნიერი მეფეები ქრისტიანები რომ გამხდარიყვნენ ან ქრისტიანული სარწმუნოება მაღალ ფენებში დამკვიდრებულიყო, ამას სამი საუკუნე დასჭირდა.

— პირველი მხილველნიც ახალშობილი მაცხოვრისა უბრალო, ღარიბი მწყემსები იყვნენ და არა დიდებულნი, „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“: მაცხოვარი სწორედ უბრალო მწყემსებისგან იღებს პირველ თაყვანისცემას...

— ერთი მხრივ, არ შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ მაცხოვარი არის მწყემსი ყველა ადამიანისა. თუკი ის მწყემსები იყვნენ პირუტყვი ცხოველების მწყემსები. მაცხოვარი პირმეტყველი ცხოვართა — ანუ ყველა მოაზროვნე არსების

— ანგელოზთა და ადამიანთა მწყემსია, რადგან იგია შემოქმედი ყველასი და ყოველის, თავად არის მწყემსი კეთილი და დამწყემსავი ყოველივესი; მეორე მხრივ, აქ ჩანს უფლის დამოკიდებულება ადამიანების მიმართ — რომ მისთვის ყველა ადამიანი ერთია. მწყემსები იყვნენ ყველაზე ღარიბი ფენის წარმომადგენლები, მათ ხშირ შემთხვევაში, თავიანთი ფარა, თავიანთი საკუთრებაც არ გააჩნდათ და სხვის ქონებას მწყემსავდნენ. აი, ასეთი ადამიანებისგან მიიღო უფალმა პირველი თაყვანისცემა და არა აღმოსავლელი მოგვებისგან. უფალს შეეძლო ისე განეგო, რომ პირველად სწორედ მოგვებს ეცათ თაყვანი. ამით მიანიშნებს, რომ ღვთისთვის ერთია ღარიბიც და მდიდარიც, უბრალო მწყემსი იქნება ის თუ სამეფოს წარჩინებული წარმომადგენელი, მაგრამ უპირატესია ის, ვისაც ცხოველი სარწმუნოება აქვს...

— მაცხოვრის შობის შესახებ აღმოსავლელ მოგვებსაც ეხარათ — აღმოსავლეთში აღმობრწყინებული უჩვეულოდ კაშკაშა ვარსკვლავის გამოჩინებით. სწორედ ეს ვარსკვლავი გაუძღვა მათ წინ და მიიყვანა ღვთაებრივ ყრმასთან... საინტერესოა, რატომ გამოარჩია მდიდარი ფენებიდან სწორედ ისინი უფალმა. ვიცით, რომ მოგვები წარმართები იყვნენ...

— უფალი ყველა ადამიანს მოუწოდებს რაღაც ნიშნით, რომ მასთან მივიდეს, ხოლო იღებს თუ არა ამ მოწოდებას, ეს თავად ადამიანზეა დამოკიდებული. მოგვებმა მიიღეს უფლის მოწოდება და წავიდნენ მასთან. ისმის კითხვა — საიდან იცოდნენ მოგვებმა, რომ უნდა შობილიყო მესია, მხსნელი? წმინდა მამები გვეუბნებიან, რომ როდესაც დანიელ წინასწარმეტყველი მოგვთა მეთაურად იყო დანიშნული ბაბილონის სამეფოში, სწორედ მაშინ დათესა მან სპარსეთში ჭეშმარიტი სწავლების მარცვლები და, დანიელ წინასწარმეტყველიდან მოყოლებული, მოგვებმა და სპარსელებმაც იცოდნენ, რომ უნდა მოსულიყო მხსნელი. მაგრამ ისინიც ელოდნენ უფრო მიწიერ მხსნელს, მიწიერ მეფეს — თუკი იუდეველებიც ასე ფიქრობდნენ, მათთვისაც მიუწვდომელი იყო იმის ხედვა, რომ მაცხოვარი არა ხორციელი მეფე, არამედ სულიერი მეუფე იქნებოდა, მით უმეტეს, მიუწვდომელი იქნებოდა ეს მოგვებისთვის, რომელსაც აზროვნებაც გაცილებით მიწიერი იყო, ვიდრე ისრაელიანთა. ამიტომაც მივიდნენ ისინი იერუსალიმში ჰეროდესთან: სწორედ საიმპერატორო სასახლეში მოელოდნენ...

თუკი მწყემსებს ანგელოზები გამოეცხადნენ და აუწყეს უფლის შობის შესახებ, მოგვებს უფალმა ვარსკვლავის სახით მოუწოდა. როგორც წმინდა მამები ბრძანებენ, ეს არ იყო უბრალო, ჩვეულებრივი ვარსკვლავი (ვიცით, რომ ვარსკვლავი, რომელიც მოგვებს გამოეცხადა, არ მოძრაობდა წესისამებრ — აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ, არამედ ჩრდილოეთიდან, სადაც სპარსეთია, სამხრეთისაკენ — სადაც იერუსალიმია), არამედ ვარსკვლავის სახით გამოცხადებული მანათობელი სხეული ზეცაში — უფლის ანგელოზი. ამ სახით უფალმა მოგვებს მოუწოდა იმ ენაზე, იმ სახით, რომელიც ყველაზე იოლად გასაგები და მისაღები იყო მათთვის. წმინდა მამათა თვალთახედვით და საეკლესიო სწავლებით, მოგვები მაცხოვართან არ მისულან მისი შობისთანავე, არამედ გაცილებით გვიან — დაახლოებით 2 წლის შემდეგ. სახარებაშიც წერია — ჰეროდემ მოგვებისაგან გამოიკითხა ვარსკვლავის გამოჩენის თარიღი და ამის შემდეგ გადაწყვიტა, რომ ბეთლემსა და მის შემოგარენში 2 წლისა და უფრო პატარა, ყველა ყრმა ამოეწყვიტა. წარმოვიდგინოთ მოგვების მდგომარეობაც: როდესაც უჩვეულო ვარსკვლავს იხილავდნენ, საკმაო დრო დასჭირდებოდა მის გამოძიებასა და იმ აზრამდე მისასვლელად, რომ ვარსკვლავის მიმართულებას მიჰყოლოდნენ... მივიდნენ, იხილეს მაცხოვარი და მათ ნელ-ნელა გაუჩნდათ აზრი, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი კაცი. ამის შემდეგ, როდესაც მოგვებმა თაყვანი სცეს მაცხოვარს, მიართვეს ძღვენი და უკან გამობრუნდნენ, მოგვებს არა ვარსკვლავი, არამედ ანგელოზი გამოეცხადა, რომელმაც გააფრთხილა — არ მივიდნენ იერუსალიმში ჰეროდესთან, თავიანთ ქვეყანაში სხვა გზით დაბრუნდნენ. აქ ჩანს, თუ როგორ აღამაღლა უფალმა მოგვების გონება — დაიწყო იმით მოწოდება, რაც მათთვის ჩვეულებრივი და მისაწვდომი იყო — ანუ ასტრონომიული კანონებით — და აიყვანა ღვთის ხილვამდე, ღვთის შემეცნებამდე. მხოლოდ ამის შემდეგ ეცხადება მათ ანგელოზი. მოგვებს თავიდანვე პირდაპირ ანგელოზი რომ გამოსცხადებოდათ, შესაძლოა, ეს მოჩვენებადაც კი მიეღოთ და საერთოდ არ მიექციათ ყურადღება. სწორედ ამგვარად იქცევა უფალი თითოეული ადამიანის მიმართ — ყველას იმ გზით და საშუალებით, იმ ენით მოუწოდებს, რომელიც ყველაზე ადვილად მისაღებია მისთვის. წარმოიდგინეთ, რაოდენ მაღლა იდგა მწყემსების სარწმუნოება მოგვებთან შედარებით, —

მათ პირდაპირ ანგელოზი გამოეცხადა, რომელმაც აუწყა — იშვა, მიდით, ნახეთ... მთავარია, ადამიანს სურვილი ჰქონდეს უფლის ხილვისა და უფალთან მისვლისა; უფალი აუცილებლად შეეწევა იმ გზით, რომლითაც ყველაზე ადვილად მოახერხებს ადამიანი ღმერთთან მისვლას.

— რას ნიშნავს „ალილო“ და საიდან მომდინარეობს შობის დღესასწაულზე „ალილოს“ ტრადიცია? ვიცით, რომ რამდენიმე წელია, ეკლესიის მიერ ალილოს ტრადიცია კვლავ აღდგა...

— სიტყვა „ალილო“ „ალილუიადან“ — ანგელოზთა საგალობლიდან მომდინარეობს, რაც ნიშნავს — „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა“, რაც ებრაულიდან მომდინარეობს — ებრაელები ამ სიტყვებით განადიდებდნენ ღმერთს; შემდეგ ქრისტიანობაშიც გადმოვიდა... ჩვენი წინაპრები ხშირად ისმენდნენ მსახურებებზე სხვადასხვა საგალობელს, სადაც იხსენიება ალილუია. თვითონაც წერდნენ ღვთის განსადიდებელ ლექსებს, სიმღერებს და საგალობლებს, რომლებშიც იმ სწავლებებსა და სიტყვებსაც იყენებდნენ, რომლებიც ეკლესიაში არსებობდა, ეს ყველაფერი არ იყო ჩამოყალიბებული იმ სახით, რა სახითაც საეკლესიო კანონებში არსებობდა. სწორედ ამგვარად განიცადა სახეცვლილება „ალილუიამ“ და ხალხში „ალილოდ“ — რაც საერო საშობაო საგალობელი ან სიმღერაა — დამკვიდრდა. ადამიანები ამ საგალობლითაც ულოცავდნენ ერთმანეთს ქრისტესშობის დღესასწაულს; ისინი გულში ვერ იტევდნენ მაცხოვრის შობით გამოწვეულ სიხარულს, ქუჩაში გამოდიოდნენ და „ალილოს“ გალობით ახარებდნენ ერთმანეთს უფლის შობას. საერთოდ, თუ დავაკვირდებით, დიდი სიხარულის დროს ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობა არის გალობით საუბარი; ასევე დიდი მწუხარების დროსაც: ადამიანის მწუხარების გამომხატველი საუბარი წამღერებას უფრო ჰგავს, ვიდრე ჩვეულებრივ მეტყველებას, მიმსგავსებულია გალობას. ადამიანის მიერ გრძნობის გამომხატველი ბუნებრივი ფორმა გალობაა, რომელიც თანდათან, უფრო და უფრო გამიწიერებით ჩამოყალიბდა იმ სახით, როგორი სახითაც დღეს ვსაუბრობთ. სადღესასწაულო განწყობილებას კი დღემდე, საგალობლებითა და სიმღერებით გამოვხატავთ.

როდესაც ადამიანები სულიერს ახარებდნენ, სხვები ხორციელს სწირავდნენ მათ. ასევე, როგორც მოციქულები მიდიოდნენ და ქადაგებდნენ, მათ უამრავ შესაწირს აძლევდნენ, ამ შეწირულობებს შემდეგ მოწყალების სახით გასცემდნენ. ეს დანიშნულება აქვს „ალილოს“ აღდგენილ ტრადიციას, რომელიც პატრიარქის კურთხევით ხდება. ამ დროს შემოსული შემოწირულობის ნაწილი ბავშვთა სახლებს, ნაწილი კი — გაჭირვებულებს ურიგდებათ. ■

შობის ჯადოსნური ღამე

ახალი წლის დღეებმა ჩაიარა... თუ ახალ წელს საყვარელ მამაკაცთან ერთად ვერ შეხვდი, ნუ იდარდებ, ყველაფრის გამოსწორება შეიძლება — შობის ზღაპრული ღამე ხომ ჯერ კიდევ წინ არის?! საზეიმო განწყობილებას ახლავს რაღაც განსაკუთრებული და მიმზიდველი, რაც სულს სასიამოვნო მოლოდინით აღავსებს. ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა იყოს. აი, რა მოხდება რეალურად, ეს უკვე შენზეა დამოკიდებული. შეყვარებული ადამიანი ხომ ამ დროს სასწაულის მოლოდინშია... შენ ის გიყვარს, მასაც უყვარხარ, თქვენს ცხოვრებაში საკმარისადაა თავბრუდამხვევი ვნებათაღელვა, თუმცა სიახლე და ორიგინალობა არ გაწყენდათ.



იყო ნამდვილი ქალი — ნიშნავს იყო ამოუცნობი და იდუმალებით აღსავსე. მხოლოდ ასე იქნები შენი რჩეულისთვის საინტერესო და მუდამ სასურველი.

მოიწყვეთ დაუვიწყარი, რომანტიკული საღამო

არომატული სანთლები, მსუბუქი კოქტეილი. აბრეშუმის თეთრეული და რომანტიკული მუსიკა... — ეს ყველაფერი ინტიმური შეხვედრის აუცილებელი ატრიბუტია.

ნუ გააჩახჩახებ ოთახს ნათურებით. აანთე ბრა, შეაფრქვიე სასიამოვნო არომატი ჰაერში, გააწყვე სუფრა ტკბილეულით და დაელოდე მის მოსვლას.

შენ უნდა შეძლო მისი მონუსხვა ერთი შეხედვით, უნდა აგრძნობინო შენი თამამი სურვილები. ამ დროს ფანტაზია უსაზღვრო უნდა იყოს — შობის ღამე ხომ განსაკუთრებულია...

ცხოვრება მშვენიერია, განსაკუთრებით მაშინ, როცა შეყვარებული ხარ. საღამო მოგონებებით დაიწყე — გაიხსენეთ, როგორ გაიცანით ერთმანეთი, როგორ გაკოცა პირველად, როგორ აგიხსნა სიყვარული... ელაპარაკე მას არა მხოლოდ სიტყვებით, არამედ სხეულითაც. შეეხე, დროდადრო გადაიხარე მისკენ და ვნებიანად უჩურჩულე ყურში რაიმე სასიამოვნო. ეცადე, უყურო თვალებში. უნდა მიხვდეს, რომ მთელ ქვეყანას გირჩევნია ის, ვისაც ამწუთას ხედავ. შენს სიტყვებში მან ნამდვილი ლტოლვა უნდა იგრძნოს. არ არის აუცილებელი უხვსიტყვაობა, ხშირად ერთი, გრძნობით ნათქვამი სიტყვა მთელი მონოლოგის ტოლფასია, ოღონდ გააჩნია, როგორ წარმოთქვამ...

■

საშობაო კოქტეილი

დაგჭირდებათ: 20 მლ შამპანური, 20 მლ თეთრი ღვინო, 10 გ დაფქული ნუში, 50 მლ ლიქიორი, 5 მლ კონიაკი. ამ ყველაფერს დაუმატეთ ახალი (ან დაკონსერვებული) ხილი და ყინული, კარგად ათქვიფეთ და შედგით მაცივარში.

■

შემწვარი ქათამი არაქნით

მასალად საჭიროა:

1 ქათამი;
1 ჩ/ჭ ორცხობილას საფანელი;
50 გ კარაქი;
1 ჩ/ჭ არაჟანი;
მარილი გემოვნებით.

მომზადების წესი:

გასუფთავებულ ქათამს მოაყარეთ მარილი, მოათავსეთ ცხიმწასმულ ტაფაზე და შედგით გახურებულ ჰაერღუმელში. შემწვარი ქათამი გადაიტანეთ ჭურჭელზე, დაჭერით. ტაფაზე დარჩენილ წვენს დაუმატეთ ცოტაოდენი წყალი, დააყარეთ ორცხობილას საფანელი, მოშუშეთ, დაუმატეთ არაჟანი და შემზადებული წვენი დაასხით დაჭრილ ქათამს. ზემოდან მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ქინძი ან ოხრახუში.

■

ვაშლის ჰაეროვანი ღვეზელი

მასალად საჭიროა:

100 გ ხაჭო;
60 გ გამდნარი კარაქი;
4 ს/კ რძე;
170 გ შაქრის ფხვნილი;
მწიკვი მარილი;
ვანილი;
ლიმონის ცედრა;
2 ცალი ლიმონის წვენი;
200 გ ფქვილი;
600 გ ვაშლი;
3 კვერცხის ცილა.

მომზადების წესი:

ხაჭო, კარაქი, რძე, ვანილი, ლიმონის ცედრა და მარილი აურიეთ. დაუმატეთ ფქვილი, მოზილეთ ცომი და მოათავსეთ მრგვალ ფორმაში.

ვაშლი დაჭერით. შეურიეთ 3 ს/კ ლიმონის წვენი და დააწყვეთ ცომზე. აცხვეთ 35 წუთი.

ცალკე ათქვიფეთ ცილა, დარჩენილ ლიმონის წვენსა და შაქართან ერთად. გამოიღეთ ნამცხვარი ჰაერღუმლიდან, მოასხით ათქვეფილი ცილა და აცხვეთ კიდევ 15-20 წუთი.

1 ნაჭერი ღვეზელი შეიცავს 200 კკალ-ს.

■

როგორ შევარჩიოთ გამთრის პალტო

ფერი

პალტოს ფერი, თავისთავად ცხადია, თქვენი გემოვნებით უნდა შეარჩიოთ, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ სამოსის ფერს მხოლოდ ვიზუალური ეფექტი როდი აქვს — ის ადამიანის შინაგან მდგომარეობაზეც ახდენს გავლენას. მაგალითად: წითელი ფერი ნერვული სისტემის სტიმულაციას განაპირობებს, მწვანე — სიმშვიდის განცდას, დადებითი ემოციების გამოვლენას უწყობს ხელს; ლურჯი სიმშვიდისა და კამყოფილების განცდას იწვევს; ყავისფერი დისკომფორტისგან გათავისუფლების სურვილს გამოხატავს...

წელს მოდაშია როგორც ერთი ფერის ქსოვილით შეკერილი პალტოები, ასევე კუბოკრული ან სხვადასხვა ფერის ქსოვილით გაფორმებული. განსაკუთრებით მოდურია შავ-თეთრი, მუქი ლურჯი (ეს მხოლოდ ტყავსა და ნატს ეხება), ვერცხლისფერსა ან ოქროსფერში გარდამავალი ფერები.

სტილი

ამ სეზონზე მოდაშია ექსტრავაგანტურსაყელოიანი და ორიგინალურქამრიანი, ასევე ხელოვნური ბეწვით გაწყობილი პალტოები. ბეწვიანი პალტო გაცილებით მდიდრულად გამოიყურება, თუკი ის მხოლოდ ერთი ფერისაა, განსაკუთრებით — შავი ან თოვლივით თეთრი. აქტუალურია მკაცრი სტილის, ორბორტიანი პალტო, დაკერებული ჯიბეებით. ამგვარი მოდელი ძალზე მოსახერხებელი და პრაქტიკულია. გარდა ამისა, კვლავ მოდურია ერთბორტიანი პალტო დამალული შესაკრავებით, ოღონდ ამჯერად ასეთ პალტოს დიდი საყელო ამშვენებს. ორბორტიანმა საყელოებმაც განიცადეს ცვლილება — აქტუალურია არა მხოლოდ მახვილკუთხიანი, არამედ მომრგვალებულკუთხიანი ან მრგვალი საყელოები.

პალტოს ჯიბეები ნებისმიერი ფორმის შეიძლება იყოს — დაკერებული, ე.წ. „ჩაჭრილი“, ელვაშესაკრავიანი და ა.შ.

ქსოვილები და მასალები

ყველა ძირითადი საპალტოე ქსოვილი — ქიშმირი, ტვიდი, ბუკლე და ჭილობი (შალის უხეში ქსოვილი) შალისგანაა შექმნილი. განსხვავება მხოლოდ ქსოვის სახეობასა და ტექნოლოგიაშია. მათ შორის ყველაზე მაღალხარისხიანი ქაშმირის ქსოვილია.

თუ ტყავის პალტოს შეძენა გადაწყვიტეთ, ყურადღება მიაქციეთ ტყავის ხარისხიანობას, რომელიც პირდაპირ კავშირშია მისი დამზადების პროცესთან. ძალზე გამომშრალი ტყავის პალტო უსიამოვნოდ იჭრაჭუნებს. ხოლო თუ ტყავი ძალზე რბილი მოგეჩვენათ, მისი ხარისხიანობის

შემოწმება შემდეგნაირად შეგიძლიათ: პალტოს დააწვეთეთ წყლის წვეთი. ის უნდა ჩამოგორდეს ისე, რომ ტყავმა არ შეიწოვოს.

მოდის უკანასკნელი გამოძახილია ასევე ნატის პალტო (განსაკუთრებით — მუქი ლურჯი ფერის). თუ არჩევანი ნატის პალტოზე შეაჩერეთ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ დათბილულ სარჩულს, რადგან ნატი ცუდი თბოიზოლატორია. მისთვის საუკეთესო სარჩულად ნატურალური ბეწვი მიიჩნევა. ნატურალური ბეწვის ხელოვნურისაგან გარჩევა იოლად შეგიძლიათ: ამოაგლიჯეთ ბეწვი და დაწვით. ხელოვნური ბეწვი დნება, ხოლო ნატურალური — იწვის და დამწვარი თმის სუნი აქვს; თუ პალტოს მოზომების შემდეგ ბეწვი თქვენს სამოსზე დარჩა, ესე იგი, მას ბეწვი სცვივა, რაც იმას ნიშნავს, რომ ცუდად დამუშავებულია და შესაბამისად, სითბოს დიდხანს ვერ შეინარჩუნებს. თუ თქვენ შეღებილი ბეწვის პალტო შეარჩიეთ, თითით გადასწიეთ ბეწვი, რათა დარწმუნდეთ, რომ იგი მთელ სიგრძეზე ერთი ფერისაა. ჩამოუსვით ბეწვს სველი ხელი — ხარისხიანად შეღებილი ბეწვი თითებს არ დაგისვრით — ე.ი. ფერს მალე არ დაკარგავს.

ზომა

პალტო უნდა მოიზომოთ სქელ სვიტერზე, რათა იოლად მიხვდეთ, თუ რამდენად მოხერხებული იქნება იგი ხმარების დროს. მისი ჩაცმა არ უნდა გიჭირდეთ. მოზომების დროს ხელები წინ წასწიეთ. ქსოვილი ზურგზე არ უნდა იჭიმებოდეს, ხელები თავისუფლად უნდა ეტყუპებოდეს ერთმანეთს. შეაქანეთ მხრები, რათა დარწმუნდეთ, რომ პალტო არ გაიძულებთ, უარი თქვათ თქვენი ხერხემლისათვის ჩვეულ მდგომარეობაზე. შეძენამდე გაიარ-გამოიარეთ, დარწმუნდით, რომ პალტო სიარულში ხელს არ გიშლით. თუ მოზომებისას პალტომ იღლიებში ნაკეცები გაიკეთა, ე.ი. დიდი გქონიათ.

სახელოები უნდა იყოს განიერი, არც ძალზე გრძელი და არც მოკლე — ხელისგულის შუა ნაწილამდე.

და კიდევ... პალტოს მოდელის შერჩევისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ თქვენი აღნაგობა. ტანსრული და დაბალი ქალის პალტოს სიგრძე მისი ფეხის კუნთის ნახევარს უნდა ფარავდეს. მაღალ, თხელ ქალებს ქამრიანი, მუხლს ზემოთ სიგრძის პალტოები მოუხდებათ — ეს მათ აღნაგობას ჰარმონიულობას შესძენს. დიდი თეძოების ვიზუალურად დასაფარავად კარგია ტრაპეციის ფორმის პალტო. თუ განიერი მხრები გაქვთ, დიდსაყელოიანი პალტო შეარჩიეთ და უპირატესობა ერთი ფერის ქსოვილებს მიანიჭეთ.

■

რუბრიკა მოამზადა **ეკა გუნთაიშვილმა**

ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

1. იმპერიების ისტორია სისხლით არის დაწერილი.

2. „ნა „პალოჟენო“ ნამი ნალოჟენო!“ — ამბობენ რუსები.

3. „პატარა ნავმა ნაპირ-ნაპირ უნდა იცუროს“, — ამბობდა ბენჯამინ ფრანკლინი.

4. „როცა ორი ვეფხვი ჩხუბობს, ნადავლი მაიმუნს რჩება“, — ეს აღმოსავლური სიბრძნე თბილისელებს ჯოხარ დუდაევის ქვრივმა, ალა კულიკოვა-დუდაევამ შეახსენა.

5. როდესაც აბდ ალ-მალიქს ხალიფად გახდომის ამბავი აუწყეს, მან გვერდზე გადადო ყურანი და თქვა: „ამიერიდან ჩვენი გზები გაიყარა“.

6. ირმის ტყავის რბილ, იაკუტიურ ჩექმებს, რომელსაც ბეწვი გარედან აქვს, ტორბასები ჰქვია.

7. „ყოველ შემთხვევაში, ცუდად არ მიცხოვრია“, — განაცხადა სიკვდილის წინ გერმან გერინგმა.

8. მხატვრულ ფილმ „გულივერის მოგზაურობაში“ ლილიპუტების იმპერატორის როლს პიტერ ო'ტული ასრულებს.

9. „სოფლელი ბიჭი“ — ასე ერქვა გამოქვეყნებამდე ნოდარ დუმბაძის რომანს „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“.

10. ციცერონის თქმით, ბრძენთა მოქმედებას ჭკუა განსაზღვრავს, გონიერთა მოქმედებას — გამოცდილება, სულელთა მოქმედებას — აუცილებლობა.

11. ავტომობილის საქარე მინის საწმენდი მექანიზმი მანქანის ერთ-ერთი ყველაზე საიმედო და გამძლე ნაწილია. ეს მექანიზმი ავტომობილის ექსპლუატაციის მანძილზე საქარე მინას მილიონზე მეტჯერ წმენდს.

12. რიჰარდ ვაგნერი პირველი დირიჟორი იყო, რომელიც ორკესტრისკენ სახითა და მაყურებლისკენ ზურგით მიბრუნებული დირიჟორობდა.

13. ერთ-ერთი ტოქშოუს მაყურებელმა პირდაპირ ეთერში ასეთი მესიჯი გაგზავნა: „რა გირჩევნიათ, ხალხო, ხიზილალა და ბორშჩი, თუ ბრაიზა და იორში?!..“

14. იპოკრენე ჯადოსნური წყაროა ბერძნულ მითოლოგიაში, რომელმაც ფრთოსანი მერნის, პეგასის ფლოქვის დარტყმის ადგილზე ამოხეთქა. ჰქონდა საოცარი თვისება — შთააგონებდა პოეტებს.

15. „პრასტი, ნაროდ პრავოსლავნი“, — პატიებას სთხოვდა ხალხს გალიაში გამომწყვდეული ემელიანე პუგაჩოვი. P.S. სხვათა შორის, წასვლის წინ ელცინიც ხალხს უხდიდა ბოდიშს, — მაპატიეთ, ბევრის გაკეთება რომ ვერ შევძელიო.

ასპარეზი

ყაზანელთა ჩუმი გმირი, წყლით გაჭყეპილი მესი და რუსეთის მოქალაქეობაზე ნათქვამი უარი

ქართული ფეხბურთისთვის განვლილი წელიწადიც წარუმატებელი აღმოჩნდა, მაგრამ თავად ფეხბურთელების კარიერაში „გამონათებები“ მაინც იყო. მოგეხსენებათ, ყაზანის „რუბინმა“ რუსეთის ჩემპიონატი ზედიზედ მეორედ მოიგო და ჩემპიონთა ლიგაზეც — „ბარსელონის“ წინააღმდეგ წარმატებით ითამაშა. სპეციალისტების აზრით, „რუბინმა“ სტუმრად ყოფნისას „ბარსა“ რომ დაამარცხა, ხოლო საკუთარ მოედანზე გოლი არ გაუშვა, ამაში ქართველ მცველს, ლაშა სალუქვაძეს დიდი წვლილი მიუძღვის. ზოგიერთმა რუსმა ჟურნალისტმა მას ყაზანელთა ჩუმი გმირიც უწოდა, რადგანაც თანაგუნდელებისგან განსხვავებით, ინტერვიუების „დარიგებას“ ჩრდილში ყოფნას ამჯობინებს. სხვათა შორის, ესპანელებთან დაპირისპირების დროს, ლაშას მსოფლიოსა და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის, არგენტინელი ლიონელ მესის წინააღმდეგ მოუხდა თამაში.

ლაშა თაბაგარი

— ყველამ კარგად იცის, „ბარსელონა“ რა დონის გუნდია და მესი როგორი ფეხბურთელია. ჩვენ მაქსიმალურად კონცენტრირებული ვიყავით, რადგანაც ყურადღების ოდნავ მოდუნების შემთხვევაში, არგენტინელს ჩვენთვის ბევრი პრობლემის შექმნა შეეძლო. ამასთანავე, „ბარსელონასთან“ შეხვედრამდე მეტოქის მიერ ჩატარებული არაერთი მატჩის ვიდეოჩანაწერი ვნახეთ.

— ყაზანში ჩატარებული თამაშის შემდეგ, მესის დოპინგ-კონტროლზეც შეხვედრიხართ...

— დოპინგ-კონტროლზე „რუბინიდან“ მე და ესპანელი მცველი, ნავასი ვიყავით, ხოლო „ბარსელონიდან“ — მესი და იაია ტურე. მათ მგონი, 10 ლიტრი წყალი დალიეს, მაგრამ შარდის ანალიზი მაინც ვერ ჩააბარეს (*იცინის*).

— რუსეთის პრემიერლიგის ზედიზედ ორჯერ მოგება ალბათ, საკმაოდ ძნელია...

— რა თქმა უნდა, ძნელია! ჩვენ ძლიერი კონკურენტები გვყავდა. რუსეთში არ ელოდნენ, თუ ჩემპიონატის მეორედ მოგებას მოვახერხებდით. სხვათა შორის, ზოგიერთ მატჩში ჩვენზე მსაჯების მხრიდანაც იყო ზეწოლა, მაგრამ საბოლოოდ, მაინც დამსახურებულად გავიმარჯვეთ.

— როგორ ფიქრობთ, განვლილი სეზონი თქვენს კარიერაში საუკეთესო იყო?

— ეს სეზონი ჩემთვის ნამდვილად საუკეთესო იყო, რადგან რუსეთის ჩემპიონი ზედიზედ მეორედ გავხდი და ჩემპიონთა ლიგაშიც პირველად ვითამაშე.

ორთაბრძოლა მესისთან

— „რუბინმა“ წარმატებას რის ხარჯზე მიაღწია?

— პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო, რომ თითქმის 10 წელიწადია, გუნდს ყურბან ბერდიევი ხელმძღვანელობს. საქართველოსგან განსხვავებით, „რუბინში“ მწვრთნელს თანამდებობიდან ერთ წელიწადში არ ათავისუფლებენ. განვლილ პერიოდში გუნდის სამწვრთნელო შტაბმა და კლუბის მეპატრონეებმა კარგი ფეხბურთელები შეკრიბეს, ბერდიევმაც დიდი სამუშაო გასწია და ყოველივე ამან შედეგი გამოიღო. „რუბინმა“ წარმატებას გუნდური თამაშისა და დისციპლინის ხარჯზე მიაღწია.

— კულუარებში ხშირად ლაპარაკობენ, რომ „რუბინის“ მიერ ნაჩვენები შედეგის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი

მსაჯებზე „კარგად მუშაობაა“...

— ფულით „რუბინი“ ვერც ცსკ-ს აჯობებს, ვერც „ზენიტს“ და ვერც — „სპარტაკს“...

— მთავარ მწვრთნელ ყურბან ბერდიევის პროფესიონალურ და პიროვნულ თვისებებზე რას გვეტყვით?

— მეექვსე წელია, ბერდიევთან ვმუშაობ და პროფესიონალ ფეხბურთელად სწორედ მის ხელში ჩამოვყალიბდი. მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს დისციპლინას. ბერდიევს თავისებური ხედვა აქვს და ზოგჯერ, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლოა, ვინმეს უცნაურადაც მოეჩვენოს. ძალიან მორწმუნე ადამიანია. მისი მიწვევა რუსეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად უნდათ და სხვადასხვა მაღალი დონის კლუბიც ეპატიჟება, მაგრამ წასვლას არსად აპირებს.

— ალბათ, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დაგრჩათ, რადგან ჩემპიონთა ლიგის 1/8-ფინალში გასვლა ვერ მოახერხეთ...

— „ბარსელონასთან“ მატჩების შემდეგ, საკუთარ მოედანზე ერთი გამარჯვება გვჭირდებოდა და ალბათ, ჯგუფიდან გავიდოდით. ყაზანში „ინტერთან“ გამარჯვება ნამდვილად შეგვეძლო. მატჩის ბოლოს ბურთი ძელსაც კი მოვახვედრეთ. იტალიელები თამაშის ფრედ დასრულებით კმაყოფილი იყვნენ. საგოლე მომენტები სტუმრად ჩატარებულ თამაშშიც გვქონდა, მაგრამ მილანში „ინტერთან“ გამარჯვება ძალიან ძნელია.

— მილანში ჩატარებული მატჩისას იტალიურმა გამოცემა GAZZETTA DELO SPORT-მა „რუბინის“ შემადგენლობაში ყველაზე დაბალი შეფასება დაგიწერათ და აღნიშნა, რომ პირველი გოლის გაშვება თქვენი ბრალი იყო...

— გაზეთის შეფასება ნამდვილად არ მინახავს. იმ ეპიზოდში შეტევა შევაჩერე და როცა ძანეტიმ პასი გააკეთა, საჯარიმოში ჩვენი რამდენიმე ფეხბურთელი იმყოფებოდა. გუნდის კაპიტანსაც არ ეგონა, მის უკან ვინმე თუ იდგა, თორემ ბურთს არ გაატარებდა. ასე რომ, ის გოლი ჩემი შეცდომის გამო ნამდვილად არ გაუტანიათ.

— რით ახსნით იმას, რომ ჩემპიონთა ლიგაში „რუბინის“ ძირითად შემადგენლობაში თამაში გაცილებით სტაბილურად გიწევდათ, ვიდრე რუსეთის ჩემპიონატში?

— ამის მიზეზი, რუსეთში ლეგიონერებზე არსებული ლიმიტია. მაგალითად, „ბარსელონასთან“ მოგებული მატჩის შემდეგ, ლიმიტის გამო, პრემიერლიგაში ვერ ვითამაშე. სხვათა შორის, რუსეთის მოქალაქეობას მთავაზობდნენ და ისიც მითხრეს, რომ ამ შემთხვევაში „რუბინში“ სტაბილურად ვითამაშებდი, მაგრამ უარი განვაცხადე.

— ბოლო პერიოდში საქართველოს ეროვნულ ნაკრებში არგამოძახებას რას მიაწერთ?

— ნაკრებში ბოლოს თბილისში, ჩერნოგორიასთან ფრედ (0:0) დამთავრებულ მატჩში ვითამაშე და ექტორ კუპერმა რაც დამავალა, ყველაფერი შევასრულე. მას ნამდვილად არ უთქვამს, გოლი გაიტანეო, ხოლო როდესაც გუნდი ბურთს არ უშვებს, ე.ი. დაცვა კარგად თამაშობს. შეხვედრის შემდეგაც ჩემით კმაყოფილი იყო, მაგრამ შეკრებაზე აღარ გამოვუძახებივარ. რა ვიცი, ყველა მწვრთნელს საკუთარი შეხედულება აქვს...

სალუქვაძე და ხავი

ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა ლვალილ
უბის წიგნაკიდან:

16. 1826 წლის 13 ივლისს პეტრე-პავლეს საპყრობილეში ჩამოახრჩვეს დეკაბრისტთა ხუთი ხელმძღვანელი: პესტელი, მურავიოვ-აპოსტოლი, რილეევი, კახოვსკი და ბესტუჟევ-რიუმინი. უკანასკნელ წუთს რილეევმა მღვდლის ხელი მიიდო გულზე და უთხრა: „გესმით, როგორ მშვიდად მიცემს გული?...“ როცა ჯალათმა სიკვდილმისჯილებს სკამები გამოაცალა ფეხქვეშ, მურავიოვს, რილეევსა და კახოვსკის თოკები გაუწყდათ და სახრჩობელის ქვეშ გათხრილ ორმოში ჩაცვივდნენ. მურავიოვმა შესძახა: — „უბედურო სამშობლოვ, ადამიანის ჩამოხრჩობის უნარიც კი აღარ შეგწევს!“

17. ჟერარ დეპარდიეს ორი ინფარქტი აქვს გადატანილი. ჩვიდმეტჯერ არის მოტოციკლით სერიოზულ ავარიაში მოყოლილი და გულის შუნტირება აქვს გაკეთებული. ფრანგი მსახიობი დღესდღეობით თავს იმით ირთობს, რომ მოჰყავს ყურძენი, წურავს საკუთარ ღვინოს, ამრავლებს ქათმებს, პროდიუსერია მრავალი ფილმის, ხსნის რესტორნებს, ერთ ჯერზე სვამს ოთხ ბოთლ ღვინოს და წელიწადში მინიმუმ ხუთ ფილმში მონაწილეობს.



18. ბარაკ ობამას პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ხალხი დათო გომართელის წინდახედულობასა და შორსმჭვრეტელობაზე ალაპარაკდა, ჯერ კიდევ როდის იმღერა „მამა აფრიკა“ და როდის იწინასწარმეტყველა მსოფლიოს „შავი“ მომავალიო.

19. ვასილ მჟავანაძეს ძალზე უყვარდა მიხეილ თუმანიშვილის სპექტაკლი „ჭინჭრაქა“. „ნეტავ, რა სპექტაკლია დღეს მარჯანიშვილის თეატრშიო?“ — იკითხავდა ხმამაღლა, თითქოს არ იცოდა და ამგვარად, ვითომდა შემთხვევით ხვდებოდა ერთსა და იმავე სპექტაკლზე.

20. ინგლისის დედოფალმა მსოფლიო ომის დროს ბუხარი ჩააქრობინა: სირცხვილია, ამ გაჭირვების ჟამს ჩემი სასახლის საკვამურიდან კვამლი ამოდიოდეს, როცა ჩემი მოქალაქეები იყინებიანო.

21. ერთმა მოხელემ იმპერატორ ვესპასიანეს სთხოვა: ჩემი ძმა უსამსახუროდ არის და იქნებ რომელიმე პროვინციის მმართველად დანიშნოთო. ვესპასიანემ იცოდა, რომ ამ მოხელეს ძმა არ ჰყავდა, ამიტომაც უთხრა: ცოტა ხანს გარეთ დამელოდე და შენს ძმას დაუძახეო. როგორც კი უცნობი შევიდა, ვესპასიანემ უჩურჩულა: ის ფული ამ ადგილისთვის ჩემს მოხელეს რომ დაჰპირდი, მე მომეცი და მაგ თანამდებობაზე ახლავე დაგნიშნავო. მთხოვნელმა ფული ჩაუთვალა და დაპირებული თანამდებობაც მიიღო. თავის მოხელეს კი ვესპასიანემ უთხრა: ეგ კაცი შენი კი არა, ჩემი ძმა აღმოჩნდაო.

რუბრიკას უძღვება ექიმი **ნინო ჩარგეიშვილი**

სქესობრივი მომწიფება და წონა

ახალშობილის მცირე მასა და სიცოცხლის პირველი ორი წლის განმავლობაში წონაში სწრაფად მატება იმაზე მეტყველებს, რომ მისი სქესობრივი მომწიფება ადრეულ ასაკში მოხდება.

გოგონების წონასა და სქესობრივ მომწიფებას შორის აქამდეც იყო კავშირი, მაგრამ გერმანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ასეთი კავშირი ორივე სქესს ახასიათებს. მეცნიერები 215 ბავშვს დაბადებიდან სრულწლოვნებამდე აკვირდებოდნენ, რეგულარულად წონიდნენ და ზომავდნენ. გამოკვლევის შედეგების მიხედვით, მოზარდებს, რომლებიც დაბადებისას 2,5-3 კგ-ს იწონიდნენ, სქესობრივი მომწიფება სხვებთან შედარებით, 7 თვით ადრე დაეწყოთ, ხოლო 4 თვით ადრე მომწიფდნენ ბავშვები, რომლებიც სიცოცხლის პირველ წელს წონაში მკვეთრად იმატებდნენ. ■

პირის ღრუში არსებული ბაქტერია და გაფანტული სკლეროზი

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ადამიანის პირის ღრუში მობინადრე ჩვეულებრივი ბაქტერიები იმუნური დაავადებების გააქტიურებას უწყობს ხელს. თურმე, ეს ბაქტერიები გამოიმუშავებენ განსაკუთრებული ტიპის ლიპიდებს — ფოსფორირებულ დიჰიდროცერამიდებს, რომელთაც ანთებითი პროცესების გაძლიერების უნარი შესწევთ.

მეცნიერებმა თაგვებში ექსპერიმენტულად გამოიწვიეს ალერგიული ენცეფალომიელიტი (გაფანტული სკლეროზის მოდელი) და შეისწავლეს ამ ლიპიდების როლი ცენტრალური ნერვული სისტემის იმუნურ დაზიანებაში. აღმოჩნდა, რომ დიჰიდროცერამიდების შეყვანისას დაავადება საგრძნობლად მძიმდებოდა, რაც იმუნური სისტემის აქტივაციასთან იყო დაკავშირებული.

გამოკვლევის ავტორები ვარაუდობენ, რომ ფოსფორირებულ დიჰიდროცერამიდებს მხოლოდ ანთების გაძლიერება კი არ ძალუძს, არამედ აუტოიმუნური დაავადების გამშვებ მექანიზმშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

მეცნიერებს განზრახული აქვთ შეისწავლონ იმუნური სისტემის უჯრედებზე დიჰიდროცერამიდების ზემოქმედების მექანიზმი და ორგანიზმში ამ ნივთიერებათა დაგროვების ადგილი გაარკვიონ. ასე რომ, ფოსფორირებული დიჰიდროცერამიდები შესაძლოა, გაფანტული სკლეროზის აქტივაციის მარკერად იქცეს და დიაგნოსტიკისა თუ მკურნალობის ეფექტიანობის მონიტორინგში გამოიყენონ. ■

კუნთოვანი ქსოვილის გაახალგაზრდავება შესაძლებელია

კალიფორნიის, სამხრეთ დანიისა და კოპენჰაგენის უნივერსიტეტების მეცნიერთა ჯგუფმა ხანში შესულ ადამიანებში კუნთოვანი სისტემის დასუსტების ძირითადი მიზეზები შეისწავლა და დაადგინა, რომ კუნთოვანი ქსოვილის დაბერების პროცესის შენელებაა შესაძლებელი.

კვლევაში 22-დან 74 წლამდე ასაკის 30 ჯანმრთელი მამაკაცი მონაწილეობდა. თავდაპირველად, თითოეულ მათგანს კუნთოვანი ქსოვილის ნიმუში აუღეს, შემდეგ კი კუნთების ატროფიის იმიტაციის მიზნით, სპეციალური საფიქსაციო მოწყობილობით მათი ფეხების იმობილიზაცია მოახდინეს, მოწყობილობის მოხსნის შემდეგ კი კუნთოვანი ქსოვილის მასის აღსადგენად მოხალისეები სპეციალური ვარჯიშების კომპლექსს ასრულებდნენ. სამი დღის ვარჯიშის მერე მონაწილეებს კუნთოვანი ქსოვილის ახალი ნიმუშები აუღეს. ანალიზმა უჩვენა, რომ ექსპერიმენტის საწყის ეტაპზე „ახალგაზრდა“ ქსოვილში კუნთის აღდგენაზე პასუხისმგებელი ღეროვანი უჯრედების ორჯერ მეტი რაოდენობა იყო, ვიდრე ასაკოვანი ადამიანების ქსოვილებში. ხელოვნური ატროფიის შემდეგ განხორციელებულ აღდგენით ეტაპზე ეს განსხვავება გაოთხმაგდა და ასაკოვან მონაწილეებში კუნთოვანი ღეროვანი უჯრედები არააქტიური რჩებოდა. ამ ასაკოვან ჯგუფში ასევე აღინიშნა ანთებითი რეაქციისა და ნაწიბუროვანი ქსოვილის განვითარების ნიშნები.

კვლევის ერთ-ერთი ავტორის, მორგან კარლსონის თქმით, მიღებული შედეგები კიდევ ერთხელ გვახსენებს ასაკოვანი ხალხისთვის აქტიური ცხოვრების წესის მნიშვნელობას. ■

შაქრიანი დიაბეტი და ბიორიტმები

„შაქრიანი დიაბეტი და სისხლში შაქრის მაღალი შემცველობა შესაძლოა, დღეღამური რიტმის მარეგულირებელი გენის ფუნქციის დარღვევას უკავშირდებოდეს“, — ასეთი დასკვნა გამოიტანა ბრიტანელ, ფრანგ და დანიელ მეცნიერთა ჯგუფმა.

მრავალწლიანი სტატისტიკური კვლევა მოწმობს, რომ დიაბეტს, სიმსუქნესა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს ძილის დარღვევასთან მჭიდრო კავშირი აქვს. ასევე ცნობილია, რომ ჰორმონი ინსულინი, რომლის უკმარისობასაც შაქრიანი დიაბეტის განვითარებას უკავშირებენ, დღის სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვა ოდენობით წარმოიქმნება. უკანასკნელი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები იმაზე მეტყველებს, რომ ინსულინი და დღეღამური რიტმის დარღვევები ერთმანეთს გენეტიკურ დონეზე უკავშირდება.

მეცნიერებმა აღმოაჩინეს RS1387153 მუტაცია, რომელიც დაკავშირებულია ჰორმონ მელატონინის მაკონტროლებელ MTNR1B გენთან. შეგახსენებთ, მელატონინი დღეღამურ რიტმს არეგულირებს.

მოხალისეთა დიდი ჯგუფის გენომების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ RS1387153 მუტაცია სტატისტიკურად უკავშირდება სისხლში გლუკოზის დონის მატებას. კვლევის მომდევნო ეტაპზე მკვლევრებმა ერთმანეთს შეადარეს მუტაციის სიხშირე დიაბეტით დაავადებულ და ჯანმრთელ ადამიანებს შორის. გაირკვა, რომ დიაბეტით დაავადებულებში მუტაცია გაცილებით ხშირი იყო.

კვლევის ავტორთა თქმით, ბოლო დროს დიაბეტის გენეტიკური წარმომავლობის დამადასტურებელი მონაცემები სულ უფრო და უფრო იმატებს. დიაბეტსა და დღეღამური რიტმის რეგულაციის დარღვევას

შორის არსებული კავშირის ცოდნა სპეციალისტებს ამ დაავადების მკურნალობის სრულიად ახალი მეთოდების შექმნაში დაეხმარება. ■

მარცვლეული არტერიულ წნევას აქვეითებს

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ საღი მარცვლეულის მოხმარება მამაკაცებში მაღალ არტერიულ წნევას აქვეითებს. გამოკვლევის შედეგად, რომელშიც 40-დან 75 წლამდე ასაკის 31684 მაღალწნევიანი მამაკაცი მონაწილეობდა (სიმსივნე, ინსულტი და გულსისხლძრღვთა დაავადება გათვალისწინებული არ ყოფილა), დადგინდა, რომ საღი მარცვლეულის მოხმარებას უკუპროპორციული დამოკიდებულება აქვს მაღალი არტერიული წნევის განვითარების რისკის მიმართ. ამასთანავე, მარცვლეულის ყველაზე მეტი და ყველაზე ნაკლები ოდენობით მომხმარებლებს შორის არტერიული წნევის მაჩვენებელთა სხვაობა 19% აღმოჩნდა. უკუპროპორციული ურთიერთდამოკიდებულება გამოვლინდა ქატოს მოხმარებასა და მაღალ არტერიულ წნევას შორისაც — ქატოს ყველაზე მეტი და ყველაზე ნაკლები ოდენობით მომხმარებლებს შორის წნევის მაჩვენებლების 15%-იანი სხვაობა იქნა აღრიცხული. ■

დაბალკალორიული დიეტა სიცოცხლეს ახანგრძლივებს

ახლახან მაიმუნებზე ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ პრიმატებს, რომლებსაც ჩვეულებრივ დიეტაზე მყოფებთან შედარებით უფრო დაბალკალორიულ საკვებს აძლევდნენ, გულის დაავადებებისა და სიმსივნის განვითარების ნაკლები რისკი ჰქონდათ.

გამოკვლევა ვისკონსინ-მედისონის უნივერსიტეტში ჩატარდა. ექსპერიმენტის დაწყებიდან 20 წლის შემდეგ, დაბალკალორიულ დიეტაზე მყოფი მაიმუნების 80%, ხოლო თავისუფალ კვებაზე მყოფი მაიმუნების მხოლოდ 50% იყო ცოცხალი. მკვლევრებმა დაასკვნეს, რომ შეზღუდული დიეტის პირობებში მაიმუნებს გულის დაავადებებისა და ზოგიერთი ავთვისებიანი სიმსივნის განვითარების რისკი უნახევრდებოდათ, დიაბეტის შემთხვევა კი საერთოდ არ დაფიქსირებულა (თავისუფალ კვებაზე მყოფ მაიმუნებს შორის ეს დაავადება ძალზე გავრცელებულია). „ჩვენმა გამოკვლევამ უჩვენა, რომ კალორიების შეზღუდვა პრიმატებში ასაკობრივ ცვლილებებს და მათთან დაკავშირებული დაავადებების განვითარებას ანელებს“, — განაცხადა კვლევის ხელმძღვანელმა.

მეცნიერთა თქმით, კალორიების შეზღუდვა დადებითად მოქმედებს თავის ტვინის ფუნქციებზეც, კერძოდ: მოტორულ კონტროლზე, მეხსიერებასა და პრობლემების გადაწყვეტაზე პასუხისმგებელ უბნებზე. ■

ხორცის მოყვარულებს მსხვილი ნაწლავის კიბო ემუქრებათ

მსხვილი ნაწლავის კიბოთი ყოველწლიურად 639000 ადამიანი კვდება. ამ დაავადების განვითარების რისკი 40 წლის შემდეგ იმატებს, 50-დან 55 წლამდე მკვეთრად იზრდება, ხოლო ყოველ მომდევნო ათწლეულში ორმაგდება. მსხვილი ნაწლავის კიბოზე, ისევე, როგორც კუჭის სიმსივნის განვითარებაზე გავლენას ახდენს კვების რეჟიმი და ცხოვრების წესი. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ წითელი და დამუშავებული ხორცის დიდი ოდენობით ჭამა მსხვილი ნაწლავის კიბოს განვითარების რისკს ზრდის. ერთ-ერთი გამოკვლევის შედეგების თანახმად, ხორცის მაღალ ტემპერატურაზე დამუშავებისას, მასში კიბოს გამომწვევი ფაქტორები ფორმირდება. მეცნიერებმა 25000 ზრდასრული ადამიანი პირუტყვისა და ფრინველის ხორცის გამოყენების, ამ პროდუქტებისგან კერძების მომზადების ტექნოლოგიის შესახებ გამოჰკითხეს და ამაზე დაყრდნობით სამი მთავარი ჰეტეროციკლური ამინის (HCA) დონე შეაფასეს. ეს კომპონენტი აზიანებს დნმ-ს და კიბოს განვითარებას უწყობს ხელს. ცხოველის, ფრინველის ან თევზის კუნთოვან ქსოვილზე მაღალი ტემპერატურის ხანგრძლივი და ინტენსიური ზემოქმედების შედეგად HCA ჩნდება. ადრინდელი კვლევების შედეგების თანხმად, ადამიანებს, რომლებიც მეტ წითელ ხორცს მიირთმევენ, კოლორექტალური (მსხვილი ნაწლავის) ადენომების განვითარების მაღალი რისკი ემუქრებათ. მოგეხსენებათ, კოლორექტალური ადენომა კეთილთვისებიანი სიმსივნეა, რომელიც კიბოდ ტრანსფორმირდება და უმეტეს შემთხვევაში, მსხვილი ნაწლავის ავთვისებიანი სიმსივნის წყაროს წარმოადგენს.

მეცნიერები გვირჩევენ, რომ მსხვილი ნაწლავის კიბოს განვითარების რისკის შესამცირებლად ნაკლები წითელი ხორცი მივირთვათ. მნიშვნელოვანია მისი მომზადების წესიც: უნდა მომზადდეს დაბალ ტემპერატურაზე, არ შეიბრაწოს. კარგი იქნება, თუ რაციონი მცენარეულ საკვებზე იქნება დაფუძნებული. ნაკლები ხორცი ნაკლები მავნე ფაქტორია, ხოლო მეტი მცენარეული საკვები — დაზიანების საწინააღმდეგო მეტი დამცავი კომპონენტი გახლავთ. ■

P.S. **რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე:** nino.char@yahoo.com **ის თქვენს ნებისმიერ კითხვას გასცემს პასუხს.**

ახალი ნომერი

ოჯახის მუნიციპალი

ცვნვმ ეკიმოვნ მიხეკლ...

ადამიანი

„ლანჩკით“ ჩამოყვანილი პაციენტი და „მომყოლი“ მძღოლი ანუ ახალი წელი „სასწრაფოს“ ექიმებთან და მეტროს თანამშრომლებთან ერთად

როდესაც სხვები, ახალი წლის შემობრძანებას ოჯახთან და მეგობრებთან ერთად, საზეიმო სუფრასთან აღნიშნავენ, ისინი სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებენ და გამოძახებაზე მიეჩქარებათ. ახალი წლის დღესასწაულებზე, „სასწრაფო დახმარების“ ექიმებს, განსაკუთრებულად მძიმე და დაძაბულ რეჟიმში უხდებათ მუშაობა. ამ დროს, გამოძახება ჩვეულებრივზე გაცილებით მეტია: ზოგს ჭარბად მიღებული ალკოჰოლი უქმნის პრობლემებს, ზოგს — ნიგვზიანი საკვები; ზოგსაც არ უნდა, რომ ახალი წლის დადგომას სახლში მარტო შეხვდეს.

ემა ტუხიაშვილი

ლეილა კილურაძე, *„სასწრაფოს“ ექიმი:*

— „სასწრაფოში“ 1980 წლიდან ვმუშაობ. რთული პროფესია გვაქვს და დიდ ყურადღებას მოითხოვს. ამავე დროს, საჭიროა გქონდეს პრაქტიკული გამოცდილება, ცოდნა და გარკვეულწილად, ფსიქოლოგიც უნდა იყო. ყოველი ადამიანი ცალკეული ინდივიდია და როცა გამოძახებაზე მივდივართ, უნდა განვსაზღვროთ, რა კატეგორიის ადამიანს, როგორ მივუდგეთ და დაველაპარაკოთ. ხშირად ახალ წელს სამსახურში ვხვდებით. „სასწრაფოს“ ექიმები ყოველ მეოთხე დღეს ვმორიგეობთ, ამიტომ ხან 31-ში გვიწევს მორიგეობა, ხან პირველში და ხანაც ორში, ბედობას. ჩვენს ერთ-ერთ კოლეგას ჰქონდა ასეთი შემთხვევა, ახალი წლის ღამეს გამოძახებაზე მივიდნენ სადღაც მიწურში, მარტოხელა, ასაკოვან, ნევროზიან ქალთან. წევს თურმე მოკუნტული სიბნელესა და სიცივეში. ექიმებმა ახალი წლის დადგომა მიულოცეს პაციენტს, მას კი წყრომით უთქვამს: ჩემთვის ახალი წელი მაშინ დადგება, როდესაც საახალწლო სუფრა მექნება გაშლილიო. მანქანაში საახალწლო ნუგბარი ჰქონიათ ჩვენს ექიმებს, აუტანიათ პაციენტთან და სუფრა გაუშლიათ. ფეხზე წამოაყენეს ის ქალი და სუფრის თავში დასვეს. სულ დაავიწყდა საწყალს თურმე თავისი ავადმყოფობა, წამალიც არ დასჭირვებია, ისე წამოვიდა ბრიგადა გამოძახებიდან.

ერთხელ, ახალი წლის ღამეს, ბავშვთან გამოგვიძახეს, კრუნჩხვები ჰქონდა. ღამის თორმეტის ნახევარია, ვცდილობთ, დროულად გამოვიყვანოთ პაციენტი მდგომარეობიდან, რომ ახალი წლის დადგომას ქუჩაში კი არა, ცენტრში, კოლეგებთან ერთად შევხვდეთ. კარგად მახსოვს, ხუთი წუთი აკლია თორმეტს, ბავშვი კარგად გახდა, კრუნჩხვიდან გამოვიდა, სიცხემ დაუწია და ის-ის იყო, წამოსვლა დავაპირეთ, რომ პაციენტის მამა გადაგველობა გზაზე: ახალ წელს ქუჩაში როგორ გაგიშვებთო?! მიგვიწვიეს სუფრასთან და კარგადაც მოვილხინეთ. კიდევ ერთი ჩემი კოლეგის ამბავი მინდა გიამბოთ. ახალი წლის ღამეს, სოფელ გლდანულაში გამოიძახეს „სასწრაფო დახმარების“ ბრიგადა. რის ვაი-ვაგლახით მიაგნეს თურმე მითითებულ მისამართს. გაირკვა, რომ ოჯახი, რომელმაც „სასწრაფო“ გამოიძახა, სვანები არიან, პაციენტი კი ახალგაზრდა კაცია, რომელსაც სავარაუდოდ, ხელი აქვს მოტეხილი. ექიმმა გასინჯა პაციენტი, აღმოჩნდა, რომ მოტეხილობა არ არის, ნაღრძობია და

დაჭიმულობაც აღენიშნება. დაარიგეს, რა უნდა გაეკეთებინათ და წამოსვლა დააპირეს. კარში გამოსულმა ექიმმა ვერ მოითმინა თურმე და პაციენტს მიაძახა: კი, მაგრამ ამ ახალ წელს ხელი სად იტკინეო? სახურავს ვაკეთებდი და ჩამოვვარდიო — იყო პასუხი. ახლა ექიმი გადარეულა: ამ ახალ წელს რა დროს სახურავის შეკეთებაა? — დღეს კი არა, ორი დღის წინ ჩამოვვარდიო — ისევ მიუგო პაციენტმა.

ყოფილა შემთხვევა, რომ ზამთარში, თოვლში, ლოტკინის დასახლებიდან პაციენტი „ლახანკით“ ჩამოგვიყვანია. გზები თუ მოიყინა, ამ უბანში მანქანა ვერ ადის, ამიტომ იძულებული ვართ, ასეთ ორიგინალურ გამოსავალს მივმართოთ.

უჩვეულო ვითარებაში მუშაობა, ახალი წლის გარდა, სხვა დღეებშიც ხშირად გვიხდება. ერთხელ გადმოგვცეს, რომ „ბომჟი“ ცხოვრობს ერთ-ერთი სახლის ეზოში და მოსახლეობას აწუხებს. ისიც გვითხრეს, რომ ამ ამბის გამო, ლამის მთელი ქვეყანაა შეძრუბის მაწანწალა ქალი, მას მისდევს „სასწრაფოს“ ორი თანამშრომელი, ოთხი პატრული და ვერ ეწევიან, რომ დაიჭირონ. მივრბივარ და მესმის, ვიღაც მეუბნება: ქალბატონო ლეილა, რა კარგი სირბილი გცოდნიათო. უკან მივიხედე და ჩვენი ყოფილი მთავარი ექიმი, დათო გველესიანი არ მომდევს?! მათაც გაუგიათ ეს ამბავი და მოსულან დასახმარებლად. რის ვაი-ვაგლახით დაიჭირეს პატრულის თანამშრომლებმა „ბომჟი“, ძლივს მოახრევინეს ფეხები, მანქანაში რომ ჩაესვათ. მივიყვანეთ საავადმყოფოში, შემდეგ ის საკაცე რომ ვნახეთ, სადაც „ბომჟი“ იწვა, თითისსიმსხო მატლები ეყარა ზედ. ისეთი სამსახური გვაქვს, ბევრი რამ გვინახავს და რომ გვითქვამს, — ამის შემდეგ რამ უნდა გაგვაკვირვოს-თქო?! — მალევე გაგვცრუებია იმედი.

მახსოვს, ახალი უნიფორმებით ვართ გამოძახებაზე, პაციენტმა გაახილა თვალი და ცოლს ეკითხება ჩვენზე: ეს გზის მუშები ვინ არიანო? საკმაოდ ხშირად გვიძახებენ ხვიჩიას ქუჩაზე

როგორც კი საპატრულო პოლიციის მანქანა ჩამოგვცილდა, პაციენტმა ხელი ჰკრა მის გვერდით მჯდომ ექთანს და მანქანიდან გადახტა

ერთსა და იმავე პაციენტთან. ცოტა ხნის წინ, ისევ მივიღეთ გამოძახება ამ მისამართიდან. პაციენტს ალკოჰოლური თრობის ნიადაგზე ტაქიკარდია ჰქონდა, გავუკეთეთ გლუკოზა, დიაზეპამი კუნთში, რის შემდეგაც უკეთ გახდა, გამოფხიზლდა და დიაზეპამის გაკეთება მოითხოვა. აქეთ ჩვენ ვარწმუნებთ, რომ გავუკეთეთ უკვე, იქით ის ჯიუტობს: არა, არ გაგიკეთებიათო. მოთმინებამ რომ უმტყუნა, გამოფხიზლებული და მოღონიერებული წამოხტა საწოლიდან. რომელი რომელს ვასწრებდით იქიდან, არ გვახსოვს. ერთხელ, ყოფილი კლარა ცეტკინის ქუჩაზე ფსიქიკურად დაავადებულ ავადმყოფთან გამოგვიძახეს. გადმოგვცეს: ავადმყოფი ჟანგიან დანებს ლესავს და მეზობლებს მოსაკლავად დასდევსო. მივედით მისამართზე, მაგრამ პაციენტი დაგვემალა. სახლში კი მისი ცოლი და ორი შვილი დაგვხვდნენ. პირალესილი ჟანგიანი დანებიც ვნახეთ და ცოტა ხანში, თავად პაციენტიც გამოჩნდა. საპატრულო პოლიციის დახმარებით დავითანხმეთ, ჩვენთან ერთად წამოსულიყო. მანქანაში მისი ცოლშვილიც ჩაგვიჯდა. დამავიწყდა იმის თქმა, რომ პაციენტი ასაკოვანი იყო

ლი, პრეზიდენტის დონემდეო, და ყველა ღონე უნდა გვეხმარა, რომ ეზოს აბეზარი ბინადარი, სადმე სტაციონარში გადაგვეყვანა. მივედით მისამართზე, მაგრამ ისე წვიმს, რომ მანქანიდან ვერ გადმოვდივართ. კარგად მახსოვს, წერეთლის რვა ნომერი იყო. დიდი ეზოა და მანქანით მოვიარეთ, მაგრამ ქუჩის მაწანწალას ვერაფრით მივაგენით. იძულებული გავხდით, მანქანიდან ჩამოვსულიყავით და ფეხით შემოგვევლო ეზოს ყველა კუთხე-კუნჭული, მაგრამ ამაოდ. დავრეკეთ ცენტრში, მათ კი იმ აბონენტთან გადარეკეს, საიდანაც გამოძახება იყო შემოსული. წერეთლის გამზირის მოსახლეობა ირწმუნებოდა: „ბომჟი“ ახლაც ეზოს ჭიშკართან წევსო. კიდევ ერთხელ მივედით ჭიშკართან და ვხედავთ, რომ დიდი ცელოფანის ფუთა გდია. გავიკეთეთ ხელთათმანები და ცელოფანის გახსნა დავიწყეთ. როგორც კი ხელი მოვკიდეთ, შიგნით რაღაც გაფაჩუნდა. უფრო აქტიურად დავიწყეთ ცელოფანის გაშლა და მოულოდნელად, იქიდან ქალი გამოძვრა და გაიქცა. მაშინვე რაციით პატრული გამოვიძახეთ. წარმოიდგინეთ ასეთი სურათი: წერეთლის გამზირზე, წვიმაში მირ-

და კოჭლობდა. საპატრულო პოლიციამ გმირთა მოედნამდე მიგვაცილა: ამას იქით ჩვენი პატრულირების კვადრატი არ არისო. როგორც კი საპატრულო პოლიციის მანქანა ჩამოგვცილდა, პაციენტმა ხელი ჰკრა მის გვერდით მჯდომ ექთანს და მანქანიდან გადახტა. მას მისი ცოლ-შვილიც მიჰყვა. მაშინვე რაციით ვუხმე საპატრულო პოლიციას, წამებში რამდენიმე ეკიპაჟმა მოიყარა თავი. ირგვლივ ყველაფერი გაჩხრიკეს, მაგრამ კოჭლ, ფსიქიკურად დაავადებულ პაციენტსა და სამ თანმხლებ პირს ვერსად მიაგნეს. საკმაოდ სახიფათო პროფესია გვაქვს.

— ფეიერვერკებისგან, საახალწლო ასაფეთქებლებისგან დაშავებული ბევრია ახალი წლის დღეებში?

ლიკა კაცაძე, *„სასწრაფოს“ ექიმი:*

— უმეტესად ბავშვებს უფეთქდებათ ხელში. ხშირია ასევე თვალის, თავის ტრავმა. არ არსებობს ახალი წელი, ასეთი შემთხვევები რომ არ იყოს, მაგრამ მაინც ყველა ყიდულობს და აფეთქებს. ყოფილა სტენოკარდიისა და ინფარქტის შემთხვევებიც, იმიტომ, რომ ვიღაცას ფეხებში უფეთქებენ საახალწლო ასაფეთქებლებს. „სასწრაფოში“ მუშაობის დიდი გამოცდილება მაქვს, 27 წელია, ამ საქმეს ვემსახურები. ოჯახშიც გაგებით ეკიდებიან, რომ სამსახურის გამო საღღესასწაულო დღეებში შესაძლოა, მათთან ერთად არ ვიყო. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, „სასწრაფოს“ ყველაზე მეტი გამოძახება ახალი წლის დღეებში აქვს. შესაძლოა, ფიქრობთ, რომ თუ ადამიანს ძალიან არ უჭირს, დღესასწაულებზე „სასწრაფოს“ არ გამოიძახებს. მერწმუნეთ, პირიქითაა... „სასწრაფო დახმარების“ მეათე ფილიალში ვმუშაობ, რომლის მახლობლადაც ხანდაზმული მარტოხელა ქალბატონი ცხოვრობს. ყოველ ახალ წელს, თორმეტი საათის დადგომამდე რამდენიმე წუთი რომ რჩება, ეს ქალბატონი რეკავს და „სასწრაფო დახმარების“ ბრიგადას იძახებს. ერთხელ მეც მომიხდა ახალი წლის ღამეს მასთან მისვლა. რომ შევედით, მოგვახალა: გილოცავთ, არ მინდოდა, მარტო შევხვედროდი ახალ წელს და თქვენზე უკეთესს ვის მოვიწვევდიო? შემოვუსხედით სუფრას და ასე შევხვდით ახალ წელს ამ უცნაურ პაციენტთან ერთად.

მაგრამ რადგან ახალი წლის დღეებია და საზეიმო განწყობილება აქვს ყველას, მინდა არასაახალწლო, მაგრამ კურიოზული ამბავიც გავიხსენო. „სასწრაფოში“ სვანი ექიმი გვყავს. ერთხელ ბრუნდება გამოძახებიდან დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი და ამბობს: ავადმყოფი იყო მძიმე, ინფარქტი ჰქონდა, მაგრამ სტაციონარში გადაყვანაზე უარს ამბობდა. ვეხ-

ვეწე და რომ ვერაფერს გავხდი, ავხანჯლე და წავიყვანე საავადმყოფოშიო.

კაჩი კარიაული, *სასწრაფო სამედიცინო დახმარების სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე:*

— იყო ასეთი შემთხვევა: ჩვენი მძღოლი მორიგეობიდან ბრუნდებოდა, როდესაც ქუჩაზე უცხო ხალხი გადაუდგა და მანქანა გააჩერებინა. მისთვის არაფერი უკითხავთ, რეანიმობილში მშობიარე ქალი ჩაუსვეს და კარი მიუხურეს. პირველი, რაც მძღოლმა მოიფიქრა, ის იყო, რომ მანქანა სამშობიაროსკენ დაძრა, მაგრამ როგორც ჩანს, მშობიარობა უკვე დაწყებული იყო და ქალმა იქ მისვლამდე იმშობიარა. ძალიან განიცადა ეს ამბავი ჩვენმა მძღოლმა და ვიდრე ახალშობილისა და მელოგინეს ამბავს არ გააგებინებდნენ, სამშობიაროს მიმღები განყოფილება არ დატოვა. ცოტა ხანში, სამშობიაროს ბლოკიდან გამოვარდა თურმე ექთანი და ეკითხება ჩვენს მძღოლს: მომყოლი სად არისო? — მე ვარ მომყოლიო, — მიუგია მძღოლს... მახსოვს, 16 წლის მოზარდთან ვარ გამოძახებაზე, პაციენტი გოგონაა და კარდიოგრამა უნდა გადავუღო. მშობელს ვთხოვე: გულმკერდი გამოუჩინეთ-მეთქი და შევატყვე, რომ ბავშვმა დაირცხვინა. დედამ მისი გამხნევება სცადა: ნუ გრცხვენია, დედი, ეს მამაკაცი კი არ არის, ექიმიაო.

ირინა ცერაძე, *„სასწრაფოს“ ექიმი:*

— „სასწრაფოში“ 30 წელია ვმუშაობ და მხოლოდ სამსახური კი არა, მეორე ოჯახია. როცა შინ საახალწლო სუფრას ვამზადებთ, ნაწილი სამსახურში მიგვაქვს. „სასწრაფოში“ ნაძვის ხესაც ვრთავთ და ვცდილობთ, იმ დღეს განსაკუთრებულად გამოვიყურებოდეთ. მართალია, უნიფორმა გვაცვია, მაგრამ საახალწლო წვიმებით სადღესასწაულო ელფერს შევძენთ ხოლმე. ძალიან დამღლელი სამსახური გვაქვს, მაგრამ ამავე დროს ძალიან სასიამოვნოც. განსაკუთრებით მაშინ, როცა ავადმყოფს გადაარჩენ და სიცოცხლეს შეუნარჩუნებ. ენით ვერ აღვწერ, რა გრძნობაა ეს. ძალიან მძიმეა და საბედნიეროდ, იშვიათად ხდება, როდესაც სიკვდილი

რომ შევედით, მოგვახალა: გილოცავთ, არ მინდოდა, მარტო შევხვედროდი ახალ წელს და თქვენზე უკეთესს ვის მოვიწვევდიო?

გვამარცხებს. ახალი წლის ღამეს ხშირად გვიძახებენ ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილას, ხშირია ჩხუბი, დაჭრა. 3-4 იანვრიდან იწყება ქოლეცისტიტები, გასტრიტები.

კურიოზი კი ჩვენს საქმიანობაში ხშირად ხდება. წლების წინ, იმ დროს, როდესაც საქართველოში სიბნელე და უკუნი იყო, საავადმყოფოში უპატრონო პაციენტებს ფაქტობრივად, არ იღებდნენ. ერთხელაც, გამოგვიძახეს მარტოხელა ავადმყოფთან, გულის შეტევა ჰქონდა და სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაყვანას საჭიროებდა. იმ საცოდავს სახლში ზეწარიც კი არ ჰქონდა, ცელოფანში გავახვიეთ პაციენტი და ისე მივიყვანეთ ერთ-ერთ კლინიკაში. მორიგე ექიმების ყურადღების მისაქცევად ვიყვირე: დროზე მიხედეთ, პატრონი ჯიპებით მოჰყვება-მეთქი. ისე დაფაცურდნენ, ერთმანეთს ასწრებდნენ პაციენტის მოვლა-პატრონობას. სხვათა შორის, ამ ხერხს „სასწრაფო დახმარების“ ექიმები ხშირად მივმართავდით. როდესაც კლინიკაში უარს ამბობდნენ ავადმყოფის მიღებაზე, ვეუბნებოდით: პრესა და ტელევიზია მოჰყვება უკან-თქო.

მახსოვს, ერთხელ ბუკიას ბაღში გამოგვიძახეს, მამაკაცია ცუდადო. მივედით და ვხედავთ, ბაღში მთვრალი კაცი წევს და ხვრინავს. ვასუნთქეთ ნიშადური, ცოტათი გამოვაფხიზლეთ და თვალი რომ გაახილა, გახარებულმა ხელი მტაცა: შენ გენაცვალე, ქალიც მომსვლიაო. აქეთ ჩემი ექთანი მექაჩებოდა, იქით — ნაბახუსევი პაციენტი... წლების წინ, ტყავის „პლაში“ ძალიან მოდური იყო და მეც მეცვა. გამოგვიძახეს მოხუც ქალბატონთან, რომელიც ფსიქიკურად დაავადებული აღმოჩნდა და გლდანში, ფსიქიატრიულ კლინიკაში უნდა გადაგვეყვანა. იმ დროს „სასწრაფო დახმარების“ ბრიგადები ძველი „ვოლგებით“ დავდიოდით. ვერაფრით დავითანხმეთ ის ქალბატონი, მანქანის უკანა სავარძელზე დამჯდარიყო. მართალია, ჩია ტანის ქალი იყო, მაგრამ ფსიქიკურად არამყარი და მძღოლის გვერდით მარტო დაჯდომის უფლებას ვერ მივცემდი. ამიტომ იძულებული გავხდი, მეც წინ დავმჯდარიყავი და ავადმყოფი ჩემს კალთაში ჩამესვა. მოვხვიე ხელი პატარა ბავშვივით და გავუდექით გზას. მოულოდნელად შემოტრიალდა, ამხედდამხედა, ტყავის „პლაში“ შემითვალიერა და წამოიყვირა: „გაუმარჯოს საქართველოს მენშევიკებს!“ გამეცინა, აბა, სხვა რა უნდა მექნა. ცოტა ხანში ისევ შემავლო მზერა და ომახიანად დაიძახა: „გაუმარჯოს საქართველოს ბოლშევიკებს!“ ისევ ვერ შევიკავე სიცილი, განცვიფრებული ბებო კი ჩამეკითხა: აბა, ვინ ხარ, შვილოო? შენ ოღონდ ჭკვიანად იჯექი, ბებო, და ვინც გინდა, ის ვიქნები-მეთქი.

შოთიკო შაყულაშვილი, *„სასწრაფოს“ ექიმი:*

— ზაფხულია და სადისპეტჩეროში უცნობი მამაკაცი ყვირილით შემოვარდა: იჩქარეთ, ტრასაზე ავადმყოფი გვყავსო. „სასწრაფო დახმარების“ მანქანით გავყევით მათ ავტომობილს. გავცდით მცხეთას, ნატახტარს, ავადმყოფი კი არსად ჩანს. მივედით წეროვანთან, მაშინ ახალი ავტობანი არ იყო აშენებული და ჩვენს ძველ მანქანას გაუჭირდა აღმართზე ასვლა. ამასობაში კერძო „სასწრაფო დახმარების“ ბრიგადა წამოგვეწია, გაგვასწრო და ვიფიქრეთ: ნამდვილად წაგვართვეს პაციენტი-თქო. ჩვენი კონკურენტების რეანიმობილი ისე სწრაფად მიქროდა, რომ ვერც კი შენიშნეს, კაკლის ხის ქვეშ, ჩემოდნებზე ჩამომჯდარი ცოლ-ქმარი და ბავშვი. სასწრაფოდ გადავუხვიეთ გზის სავალი ნაწილიდან და პაციენტი, ახალგაზრდა ქალი, მანქანაში საკაცეზე დავაწვინეთ. გული აწუხებდა, ამიტომ კარდიოგრაფი ჩავრთეთ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ფირი გათავებული იყო. ჩემზე გამოცდილი ექიმების მიერ ნასწავლ ხერხს მივმართე, ფირი სხვა ქაღალდით ჩავანაცვლე

სირბილით რომ დავიღალე, მაგიდის დახმარებით, აგრესიული პაციენტი კუთხეში მოვამწყვდიე

და პაციენტს ვთხოვე, ვიდრე აპარატს მწყობრში მოვიყვანდი, ფეხები და გულმკერდი მოეშიშვლებინა. რამდენიმე წამში მოვტრიალდი და რას ვხედავ, ქალი საკაცეზე თითქმის შიშველი წევს. ჯერ ვიფიქრე, მელანდება-მეთქი, მაგრამ კარგად დავაკვირდი და აღმოჩნდა, რომ სულ გაუხდია ტანზე. ისევ მივმართე: ქალბატონო, არ იყო ასე გაშიშვლება საჭირომეთქი. აკანკალებული ხელებით გადავუღე კარდიოგრამა და ვენაში წამლის შეშვება დავუწყე. პრეპარატის რეაქციის შესამოწმებლად ვკითხე: ქალბატონო, ხომ არ წამოგახურა-მეთქი? ექიმო, თქვენ მე ვერ წამომახურებთ, საშვილოსნო მაქვს ამოჭრილიო, — მომიგო პაციენტმა.

„სასწრაფოში“ მუშაობა ახალი დაწყებული მაქვს და გამოძახებიდან რომ დავბრუნდი, სადისპეტჩეროს მინები ჩამსხვრეული დამხვდა. როგორც კოლეგებმა მითხრეს, ერთი აბეზარი პაციენტი, „სასწრაფოს“ იმისთვის იძახებდა, რომ მისთვის დიაზეპამი გაეკეთებინათ, უარის შემთხვევაში კი აგრესიულად იქცეოდა. ამ წამალს დამამშვიდებელი და ძილის მომგვრელი ეფექტი აქვს. იმ პაციენტმა ისევ დარეკა და „სასწრაფო დახმარების“ ბრიგადა გამოიძახა. იძულებული გავხდით, მითითებულ მისამართზე მივსულიყავით. თითქმის ცარიელ ოთახში, ყველა ფანჯრის მინა ჩამტვრეული იყო, კედლები კი შიშველი ქალის ფოტოებით იყო აჭრელებული. ოთახის შუაგულში ხის მაგიდა იდგა, იატაკზე ქვეშაგებელი ეგდო და ზედ ზურგშექცევით მამაკაცი იწვა. რომ შევედით, არც კი გადმობრუნებულა. მოვედით-მეთქი — ვუთხარი. მოულოდნელად წამოხტა, ხელში მოზრდილი დანა ეჭირა. ეს რომ ჩემმა მეწყვილემ დაინახა, კარში გავარდა, მე კი დანაშემართული პაციენტის პირისპირ მარტო აღმოვჩნდი. მივიხედ-მოვიხედე და ვერაფერი ვნახე, რითაც მის მოგერიებას შევძლებდი. დამდევს ეს კაცი მაგიდის გარშემო წრეზე და მეუბნება: გაჩერდი, უნდა მოგკლაო. სირბილით რომ დავიღალე, მაგიდის დახმარებით, აგრესიული პაციენტი კუთხეში მოვამწყვდიე.

რამდენიმე ხნის შემდეგ ავადმყოფი დამშვიდდა, მეც დავპირდი, რომ დიაზეპამს გავუკეთებდი. რა თქმა უნდა, სულ სხვა წამალი გავუკეთე და ისიც იოლად მოტყუვდა. დიდი შეხლა-შემოხლის შემდეგ, ექიმიც და პაციენტიც, ღონემიხდილი, ძველი მეგობრებივით ვისხედით მის ჭუჭყიან ქვეშაგებელზე და გულითადად ვსაუბრობდით...

ახალი წლის ღამეს მეტრო მთელი ღამის განმავლობაში მუშაობს და შესაბამისად, მემანქანეები, კონტროლიორები თუ დისპეტჩერები ამ დროს სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებენ. ეს ერთადერთი გამონაკლისია მთელი წლის განმავლობაში, როდესაც ზუსტად თორმეტ საათზე, მატარებელში ინფორმატორი ქალბატონის სასიამოვნო ხმის ნაცვლად მემანქანის ხმა ისმის, რომელიც მგზავრებს ახალი წლის დადგომას ულოცავს.

დავით რუსიტაშვილი, *მემანქანე:*

— თექვსმეტი წელია, მეტროში მემანქანედ ვმუშაობ. ვერ ვიტყვი, რომ იოლი საქმე ავირჩიე, რადგან უდიდესი პასუხისმგებლობა გვაკისრია, ხალხის უსაფრთხოდ გადაყვანა უნდა უზრუნველვყოთ. ჩვენს პროფესიაში მცირედი უყურადღებობაც კი არ გეპატიება. მორიგეობის „მცოცავი გრაფიკით“, ერთი სამუშაო დღის განმავლობაში, რვა საათი ვსხედვართ მატარებლის მართვის პულტთან. ხშირად, მორიგეობა ახალი წლის დღესასწაულებს ემთხვევა და ყოფილა შემთხვევა, რომ ახალ წელს, მატარებელში, ჩემს კაბინაში შევხვედრივარ. მგზავრები, რომლებიც ჩემთან ერთად მატარებლის ვაგონში ხვდებიან ახალ წელს, მოდიან მემანქანის კაბინასთან და გვილოცავენ, ტკბილეულს გვჩუქნიან. ჩვენი სამუშაო გრაფიკიდან გამომდინარე, ზუსტად ღამის თორმეტ საათზე, მატარებელი ჩერდება ერთ-ერთ სადგურში და ზუსტად ხუთ წუთში, იწყებს მოძრაობას ერთი სადგურიდან მეორე სადგურის მიმართულებით. ამიტომ, ვიდრე გზას განვაგრძობთ, მგზავრებისთვის ახალი წლის მილოცვას ვასწრებთ.

— საინტერესოა, ბევრი მგზავრი ხვდება ახალი წლის დადგომას მეტროში?

— ვერ ვიტყვი, რომ ამ დროს მატარებლის ყველა ვაგონი გადაჭედილია, მაგრამ მგზავრები ახალ წელსაც გვყავს. ზოგს სახლში მიეჩქარება, ზოგს მეგობრებთან წვეულებაზე და დაგვიანების გამო ახალ წელს მეტროში ხვდება. ახალი წლის დღესასწაულებზე ბევრი მგზავრი „ბახუსშია“, ამიტომ ხშირად ვაგონში ეძინებათ და ბოლო გაჩერებაზე მათი გაღვიძება გვიხდება. როგორც წესი, მეორე სალიანდაგო ხაზზე გადადიან ხოლმე, მერე საპირისპიროდ მოძრავ მატარებელში სხდებიან და ახლა იქ იძინებენ. ასე „კატაობენ“ მანამ, სანამ არ გამოფხიზლდებიან. არის შემთხვევები, როდესაც ახალგაზრდები შამპანურით და სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტით ჩამოდიან მეტროში და მატარებლის ვაგონში მოიკლუნენ ხოლმე.

ლადო კუპატაძე, *მემანქანე:*

— ზუსტად თორმეტ საათზე ვაჩერებ მატარებელს და ხმის პულტიდან, საიდანაც ძირითადად ოპერატორი ქალბატონის ხმა ისმის, რომელიც მგზავრებს სადგურების თანამიმდევრობას ატყობინებს, მგზავრებს ახალ წელს ვულოცავ. მართალია, ვერ ვხედავ და არც მესმის, ამ დროს როგორია მგზავრების რეაქცია, მაგრამ მგონია, რომ კმაყოფილი უნდა იყვნენ. მახსოვს, ერთხელ ახალი წლის ღამეს, მგზავრმა მემანქანის კაბინაში ნამცხვარი „ნაპოლეონი“ მომიტანა. ერთხელ, ახალი წლის დღესასწაულებზე, მეტროში ცელოფანის პარკებით მოვაჭრე ქალბატონმა, ვაგონში ხელჩანთა იპოვა და ადმინისტრაციას მიუტანა. ჩანთის პატრონიც მალე გამოჩნდა და რომ ნახა, ყველა ნივთი ადგილზე იყო, სიხარულისგან გული წაუვიდა. აღმოჩნ-

და, რომ ჩანთაში ხუთი ათასი დოლარი ედო. მთავარი ის არის, რომ პარკების გამყიდველმა ქალბატონმა იცოდა, რომ ჩანთაში ბევრი ფული იყო და მაინც დაუბრუნა მის მფლობელს. ხშირია შემთხვევა, როდესაც ნაბახუსევი მგზავრები ბაქანზე წონასწორობას კარგავენ და მატარებლის სავალ ნაწილზე ცვივდებიან. მაგრამ საახალწლოდ უფრო ხალისიან შემთხვევებს გავიხსენებ. მატარებლით სადგურ „დიდუბეში“ უნდა შევსულიყავი, როდესაც დისპეტჩერმა შემატყობინა, რომ ლიანდაგზე კაცი ეგდო და მატარებელი სადგურში არ შემეყვანა. როგორც შემდეგ გაირკვა, კაცი მთვრალი იყო, თავი ვერ შეიკავა და ბაქნიდან გადავარდა. ისეთი მთვრალი იყო, რომ ლიანდაგზე ჩაეძინა. მაშველები ჩავიდნენ, ამოიყვანეს. აღმოჩნდა, რომ მამაკაცი ყრუ-მუნჯი იყო. ბაქანზე ამოსულმა კი დასვრილი სამოსი ხელით გაიწმინდა და ვითომც არაფერი მომხდარაო, მატარებლით გზა განაგრძო. მას შემდეგ, რაც მეტროში საპატრულო პოლიციის თანამშრომლები მორიგეობენ, კრიმინალური შემთხვევები ფაქტობრივად, აღარ ხდება. წლების წინ კი, თავადაც მოგეხსენებათ, რა მდგომარეობა იყო. ერთხელ, მემანქანის კაბინაში შეიარაღებული პირები შეცვივდნენ, მემანქანეს საფეთქელთან იარაღი მიაბჯინეს და უბრძანეს, სტამბოლამდე არ გააჩეროო.

გია აბულაშვილი, *დისპეტჩერი:*

— უკვე მეშვიდე წელია, ახალი წლის დადგომას, მეტროპოლიტენში, მატარებლების მოძრაობის ამსახველ მართვის პულტთან ვხვდები. ამ რამდენიმე მონიტორზე თბილისის ყველა მეტროს სადგური და ყველა მატარებლის გადაადგილება ჩანს. ახალი წლის დღეებში გაორმაგებული ყურადღებით ვმუშაობთ, დისპეტჩერის მართვის პულტიდან ვაკონტროლებთ ყველა სადგურს და საჭიროების შემთხვევაში ვრეაგირებთ. არის შემთხვევები, როდესაც შუქნიშანი გამოდის მწყობრიდან ან მგზავრები ხტებიან მატარებლის სავალ ნაწილზე და საჭიროა, გავაფრთხილოთ მემანქანე, რომ შეაფერხოს მატარებლის მოძრაობა, მოიხსნას ძაბვა ლიანდაგზე და სხვა. ახალი წლის დღეებში ბევრი კურიოზიც ხდება. მგზავრების უმეტესობა ნაბახუსევია და უცნაური თხოვნით მიმართავენ ხოლმე მემანქანეებს. მაგალითად, უთხოვიათ: გვეჩქარება და დროზე მიგვიყვანეო. ცრუგანგაშიც ხშირია. მატარებლის გაგონში დამონტაჟებულ წითელ ღილაკს და ხმოვან კავშირს მემანქანესთან მეტწილად მოზარდები იყენებენ, ხუმრობის მიზნით...

■

მცოცავი სანტები და ეჭვიანი ბავშვები

— თოვლის ბაბუის და ფიფქიას საახალწლო თავგადასავლები

თოვლის ბაბუა და ფიფქია გამოძახებით ის ადამიანები არიან, რომლებიც პატარების გასახარებლად, ახალ წელს საკუთარ სახლში არ ხვდებიან. ისინი ბავშვებს სტუმრობენ, საჩუქრებს ურიგებენ და შემდეგ ისევ ახალ მისამართზე მიდიან... ასე ღამის 2 საათამდე გრძელდება, ვიდრე პატარები დაიძინებენ, მერე კი თოვლის ბაბუა და ფიფქიაც შინისკენ მიმავალ გზას მიუყვებიან. სამაგიეროდ, მეორე დღეს ისევ აქტიურ მუშაობას იწყებენ.

ეთო ყორღანაშვილი

ბექა კულიჯანაშვილი, *19 წლის, თოვლის ბაბუა:*

— თავდაპირველად, თოვლის ბაბუა საახალწლო ზეიმებზე ვიყავი ხოლმე. მერე შემომთავაზეს, რომ სანტა-კლაუსი — გამოძახებით ვყოფილიყავი.

თეონა სულხანიშვილი, *20 წლის, ფიფქია:*

— პატარებს ვახალისებთ და ჩვენც მაგრად ვერთობით!

— მხოლოდ პატარებისთვის გიძახებენ?

ბექა:

— არა, შარშან ოთხმა ახალგაზრდა გოგონამ ქართველი თოვლის ბაბუა გამოიძახა, მაგრამ არ გამიშვეს.

— კი, მაგრამ რატომ არ გაგიშვეს, რას გიპირებდნენ გოგონები?

— იმათ რა უნდა დამიპირონ? პირიქით, მე ვუპირებდი რაღაცას, მაგრამ... ნაცნობი გოგონები იყვნენ (*იცინის*).

— მხოლოდ ფიფქიას თუ იძახებენ ხოლმე?

თეონა:

— მხოლოდ ფიფქიას გამოძახება არ შეიძლება. აუცილებლად თოვლის ბაბუასთან ან ზღაპრის რომელიმე გმირთან (მაგალითად, ჯამბაზთან) ერთად უნდა იყოს!

— ამ წესის მიუხედავად, მაინც თუ ითხოვენ ფიფქიას?

ბექა:

— კი. მაგალითად, შარშან ბიჭები ქეიფობდნენ და ფიფქიას გამოძახება უნდოდათ, მაგრამ ვერ მივართვით! ფიფქიას მარტო როგორ გავუშვებთ!

— გამოძახება ასაკოვანი ხალხისგან თუ მიგიღიათ?

— ერთხელ მხოლოდ მამაკაცები ქეიფობდნენ და ქართული თოვლის ბაბუა მოინდომეს. გამოძახებაზე მივედი, დავლოცე სუფრის წევრები, მაგრამ უკან აღარ გამიშვეს. საერთოდ, მუშაობისას დალევის უფლება არ მაქვს, მაგრამ ბოლო გამოძახება იყო და მეც მოვულხინე. ბოლოს წამოსვლა რომ დავაპირე, აღმოჩნდა, რომ თოვლის ბაბუის ყაბალახი ერთს ეკეთა თავზე, მეორეს წვერი ჰქონდა მიმაგრებული (*იცინის*)...

— რთული არაა, ახალი წლის დღესასწაულზე დალევა რომ გეკრძალება?

თეონა:

— მართლაც რთულია. წარმოიდგინეთ, იმის ნაცვლად, რომ ახალ წელს ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან ერთად შეხვდეს, გამოძახებაზეა და თან, 1 ჭიქა ღვინის დალევის უფლებაც არ აქვს!

ბეჭა:

— „ჩვენში დარჩეს“ და, ცოტ-ცოტას კი „ვიპარავ“ ხოლმე, უფრო — ბოლო გამოძახებებზე (*იცინის*).

— უცხო ადამიანების ოჯახებში მისულებს ყოველთვის მხიარული განწყობილება გხვდებათ?

— შარშან, 31 დეკემბერს გამოძახება სვანეთის უბნიდან მოვიღეთ. თოვლი და ძლიერი ყინვა იყო. მანქანა გზაში „გაიჭედა“ და იძულებული გავხდით, რომ დანიშნულების ადგილზე ფეხით მივსულიყავით. დაღლილი, ნერვებმოშლილი მივედი. სახლში 2 პატარა დამხვდა — 2 და 3 წლის. თურმე მათი მამა 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულა... ბავშვები მოთმინებით მელოდნენ — დასაძინებლად არ წვებოდნენ. 15 წუთის ნაცვლად, მათთან მთელი საათი დავყავი, კარგად ვიმხიარულეთ. სხვათა შორის, წელსაც გამომიძახეს.

თეონა:

— ინვალიდი ბავშვების სკოლაშიც გამოგვიძახეს. 250 ბავშვი დაგვხვდა: ზოგს თვალი არ ჰქონდა, ზოგს — ხელი, ზოგი მუნჯი იყო...

— მათთვის მხიარული განწყობილების შექმნა არ გაგიჭირდათ?

— ძალიან! ლამის ტირილი დავიწყე, მაგრამ მერე ვიფიქრე, — რომ ვიტირო, უარესი იქნება-მეთქი.

ბეჭა:

— ძალიან რთულია, როცა გაჭირვებულ ბავშვს უყურებ, შენ კი მის გამხიარულებაზე უნდა იზრუნო, მაგრამ ეს ჩვენი მოვალეობაა, რას ვიზამთ?! მათი გაღიმება შევძელით, მაგრამ ჩვენ დავსევდიანდით...

— რა სურვილები ჰქონდათ ინვალიდ ბავშვებს?

თეონა:

— არაფერი. უბრალოდ, ყველაფერს ლამაზად აღიქვამენ. კაბაზეც კი მეხეებოდნენ, — ვაიმე, რა ლამაზიაო! მერე ცეკვა „ქართული“ შეასრულეს. ზოგს ხელი არ ჰქონდა და ვერ ცეკვავდა. თავი უხერხულად რომ არ ეგრძნოთ, ვითომ მეც არ ვიცოდი ცეკვა...

— საახალწლო დღესასწაულებზე უამრავ გამოძახებაზე დადიხართ. დაღლილებს ბავშვებთან „გამკლავება“ არ გიჭირთ?

ბეჭა:

— გააჩნია, ოჯახში როგორი სიტუაცია დაგვხვდება. ზოგჯერ მხოლოდ ბავშვს უხარია, მშობლები კი რობოტებივით არიან. ასე არ შეიძლება, მშობლებიც უნდა აგვყვნენ. ისეთი შემთხვევებიც გვაქვს, როცა დაღლილობა საერთოდ გვავიწყდება.

— პატარები „ჩამჭრელ“ კითხვებს არ გისვამენ?

— კი. ერთმა ასაკი მკითხა. ვუთხარი, რომ 65 წლის ვარ. პატარამ დაეჭვებით აღნიშნა, რომ 65 წლის კვალობაზე, ძალიან ახალგაზრდულად გამოვიყურებოდი, — პაპაჩემიც მოხუცია, მაგრამ ის ძალიან გამხდარია, შენ კი ღიპიანი და ჯან-ღონით სავსე ხარ, 65 წლისას არ ჰგავხარო! თოვლის ბაბუებს მოუსვენარი ბავშვებიც გვხვდებიან, რომლებიც წვერებს გვაგლეჯენ (*იცინის*).

— მერე, ბავშვებსა და თოვლის ბაბუას შორის „კონფლიქტური სიტუაციის“ განმუხტვას ფიფქია არ ცდილობს?

თეონა:

— კი, როგორ არა?! წინა გამოძახებაზე ბავშვმა მკითხა: — ეს ნამდვილი თოვლის ბაბუაა? — კიმეთქი, — ვუპასუხე. თოვლის ბაბუასთან მიმიყვანა, შარვლის ტოტი აუწია და მითხრა: ნამდვილი რომ ყოფილიყო, თეთრი ფეხები ექნებოდაო (*იცინის*)!

ბეჭა:

— ერთმა ბავშვმა კინაღამ გამაგიჟა: 31 დეკემბერს თავადაც სანტას ფორმაში გამოწყობილი დამხვდა. არ სჯეროდა, რომ სანტა-კლაუსი ვიყავი. არადა, მისი მშობელი მეხვეწებოდა, — ერთი ლექსი მაინც ათქმევინე, მინდა, რომ ვიდეოკამერით გადავიღოო. ბოლოს პატარას ვუთხარი, — სანტას ეგ ფორმა შენ ლილოს ბაზრობაზე გიყიდეს, მე კი სულ ეს მეცვა და მაცვიამეთქი. ძლივს დავარწმუნე, რომ ნამდვილად სანტა-კლაუსი ვიყავი (*იცინის*).

— ისე, სანტა-კლაუსზე უფრო დიდი მოთხოვნაა თუ — ქართველ თოვლის ბაბუაზე?

— პატარები სანტას უფრო ითხოვენ, ცოტა მოზრდილები კი — თოვლის ბაბუას. 7 იანვრიდან ქართველ თოვლის ბაბუაზე მოთხოვნა მკვეთრად იზრდება.

— დაახლოებით, რა თანხა ჯდება თოვლის ბაბუის გამოძახებაა?

თეონა:

— 45-50 ლარი. ფიფქიასთან ერთად, ოდნავ ძვირი უჯდებათ.

— პატარებს თქვენთან ყოფნა მხოლოდ 15 წუთის განმავლობაში შეუძლიათ?

ბეჭა:

— იცი, როგორ ხდება? ბავშვი საჩუქარს რომ მიიღებს, თოვლის ბაბუა მისთვის საინტერესო აღარაა (*იცინის*): ვიდრე დავასაჩუქრებ, ლექსსაც ამბობს, მღერის, საჩუქრის მიღების შემდეგ კი თავის ოთახში გარბის. ასე რომ, 15 წუთი სრულიად საკმარისია.

— პატარების საჩუქარზე ვინ ზრუნავს?

თეონა:

— ძირითადად — მშობლები. თუ სურთ, რომ ბავშვებს საჩუქრები თავად თოვლის ბაბუამ შეურჩიოს, მაშინ თანხა უნდა დაამატონ, მაგრამ ურჩევნიათ, რომ პატარებს თავად უყიდონ ის, რაც მათ შვილებს სურთ.

ბეჭა:

— ერთხელ ოფისში გასაშლელი სათამაშო მაგიდა და უზარმაზარი დათუნია მოიტანეს — ახალი წლის ღამეს ბავშვისთვის უნდა გვეჩუქებინა. ღამით გამოძახებაზე წავედით, მაგრამ მე-12 სართულზე ასასვლელად 5-თეთრიანი დაგვჭირდა. სამწუხაროდ, არავის აღმოგვაჩნდა. არადა, ხურჯინი ძალიან მძიმე იყო — კიბიდან ვერ ავიტანდით. ხურდა ფულის საშოვნელად შუაღამისას მძღოლი გავუშვით, „იჩალიჩა“ და მხოლოდ ერთი 5-თეთრიანის მოტანა მოახერხა (*იცინის*)... საბედნიეროდ, უკან წამოსვლისას, ლიფტით მასპინძლებმა გამოგვიშვეს.

— გამოძახებებზე მოსახლეობას უცნაური მოთხოვნები თუ აქვს?

თეონა:

— რაც საქართველოს პრეზიდენტმა ქალაქის მთავარი ნაძვის ხე გახსნა და იქიდან სანტები ჩამოვიდნენ, მას შემდეგ ე.წ. მცოცავ სანტა-კლაუსებზე მოთხოვნა გაიზარდა. ამას წინათ, ასეთი შეკვეთა მივიღეთ: 16-სართულიანი კორპუსი იყო და მე და სანტა მე-12 სართულზე უნდა ჩავცოცებულიყავით. უარი ვუთხარით, რადგან როცა ადამიანი ასეთ სახიფათო რამეს აკეთებს, დაზღვეული უნდა იყოს...

— **ახალი წლის დღესასწაულების გარდა, ფიფქია და სანტა-კლაუსი რას საქმიანობენ?**

— მედეა ჩახავას სახელობის თეატრალურ აკადემიაში ლექციებს ვკითხულობ, სპექტაკლებში ვთამაშობ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გასტროლები გვაქვს ხოლმე...

ბექა:

— კინოაკადემიაში ვსწავლობ და პარალელურად, სპექტაკლებში ვმონაწილეობ.

— **ახლა გამოძახებებზე დადიხართ, მაგრამ წინათ ახალ წელს როგორ ხვდებოდით?**

— ბოლო ორი წლის გარდა, ახალ წელს ყოველთვის ჩემს ოჯახში ვხვდებოდი, მერე კი მეგობრებთან ერთად, ბოშასავით აქეთ-იქით დავდიოდი (*იცინის*)...

თეონა:

— მე კი ახალი წლის დღესასწაულს ყოველთვის სოფელში ვატარებდი. ახლა მთელი ჩემი ოჯახი თბილისიდან გაემგზავრა და მარტო დავრჩი.

— **ფიფქია, ტრადიციული საახალწლო კერძების მომზადება თუ იცი?**

— მხოლოდ საცივის და ტოლმის გაკეთება ვიცი — შარშან დედიკომ მასწავლა.

ბექა:

— სამწუხაროდ, საახალწლო სუფრაზე შემწვარი კარტოფილი არ არის. არადა, მაგრად მიყვარს! მე, პირადად, მხოლოდ კარტოფილის და კვერცხის შეწვა ვიცი.

— **როგორი მეკვლეები ხართ?**

თეონა:

— მე ცუდი ფეხი მაქვს: მეუბნებიან, — ჩვენთან მეკვლედ ნუ მოხვალო. ვის ოჯახშიც მეკვლე ვყოფილვარ, ოჯახის წევრებს ან მთელი წლის განმავლობაში ცუდი შემოსავალი ჰქონიათ, ან სამსახური დაუკარგავთ.

ბექა:

— სადაც მეკვლე მე ვარ, იმ ოჯახში აუცილებლად ვიღაც თხოვდება (*იცინის*)!

— **დაბოლოს, თოვლის ბაბუა და ფიფქია, შობა-ახალ წელს საქართველოს რას უსურვებთ?**

— ბედნიერებას! 2010 წელი სიხარულის, ბარაქის მომტანი ყოფილიყოს! რაც მთავარია, უფალი სწყალობდეს ჩვენს ოჯახებს, ჩვენს ერს!..

თეონა:

— ქართველები უფრო ძლიერები რომ გავხდეთ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს ერს გამრავლებას ვუსურვებ! ღმერთი იყოს საქართველოს მფარველი!

■

„შენთან მინდა!“

თბილისი მოიხატა გასაოცრად... მე და ბევრ ჩემნაირს, ამ მოხატვის გარეშეც, მხოლოდ ამ ქალაქში შეგვიძლია ცხოვრება, მაგრამ ახლა, ახალი საუკუნის პირველი ათწლეულის ბოლო წლის მოახლოებისთვის მოკაზმული დედაქალაქი სიყვარულთან ერთად, სიამაყითაც მავსებს... თუმცა, ოპონენტებიც მყავს, მთავარი ოპონენტი კი უმედობაა, რომელიც ადამიანებს აიძულებს, ეს აციმციმებული ქალაქიც მუქ ფერებში დაინახონ...

მოდი, ვკითხოთ ერთმანეთს, რას ველით ახალი წლისგან?.. ჯანმრთელობას, სიყვარულს, ხვავს, ბარაქას, სულიერ სიმშვიდესა და მშვიდობას... ეს მარტივად ჩამოთვლილი სურვილები, ყველა ჩვენგანის გონებაში, ჩვენივე სოციალური, სულიერი მდგომარეობისდა დარად, უამრავ განშტოებად იტოტება და სურვილების, ოცნებების გასაოცარ კასკადს ქმნის.

ინგასაც აქვს ოცნება, რომელიც ასე ჟღერს: შენთან მინდა! მიმართვის ადრესატი კი ჩვენი აციმციმებული დედაქალაქია...

დეა ცუცქირიძე

— ბედნიერი ვარ, რომ თქვენი სტუმრობით ჩემი ოჯახი დააფასეთ, — ამბობს ჩემი პატრონი და სტუმარს სპარსული ხალიჩებითა და წითელი ხის ავეჯით გაწყობილ მისაღებ ოთახში მიუძღვება. — მადლიერი ვარ, რომ თქვენი მობრძანებით ჩემს ოჯახს სინათლე შემატეთ, — აგრძელებს ის და თან, შავგვრემან და რბილად რომ ვთქვათ, შეუხედავ სტუმარს მოსასვენებლად მოხერხებულ ადგილს სთავაზობს. ამ ოჯახში, ირანული ტრადიციის თანახმად, სტუმარი ღვთის სასწაულად მიიჩნევა და ამიტომაც, ის ყველაზე ლამაზ, კომფორტულ, გამოსაჩენ და შემაღლებულ ადგილას უნდა დააბრძანო, შენ კი იქვე, ოდნავ დაბალ ადგილას მოიკალათო და უმასპინძლო... — ჩემი ოჯახის ყველა წევრი ბედნიერია თქვენი მობრძანებით, — აგრძელებს საკუთარ ბედნიერებაზე ლაპარაკს მასპინძელი, მაგრამ მისი ოჯახის წევრები არსად ჩანან, რადგანაც ჩემი პატრონის ულამაზესი მეუღლე და მათი ექვსი ლამაზი ბავშვი, ყველანი მდედრობითი სქესის არიან. ლამაზები რომ არიან, ეს სულაც არაა გასაკვირი, რადგან ჩემი პატრონიც დიდი ლურჯი თვალებით, აწყობილი სხეულითა და ცოტა შეთხელებული წითელი თმით საკმაოდ სიმპათიური მამაკაცია. ჩემთვის გასაოცარი სხვა რამაა — მანდილოსნებს მამაკაც სტუმართან გამოჩენა რომ ეკრძალებათ... ჩემი პატრონი ირანელია, მე — ქართველი, მაგრამ ორივეს ცეცხლივით წითელი თმა გვაქვს. მეეჭვება, ჩვენ შორის სხვა რამ საერთო იყოს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ახლა მე მათი ოჯახის შინამოსამსახურე ვარ.

სტუმარი, რომელმაც ჩემი პატრონი ასე გააბედნიერა, საქმიანი ვიზიტითაა ჩამოსული. ჰოდა, ვიცი, რომ მალე საქმეზე დაიწყებენ მუსაიფს და ამიტომაც ვცდილობ, სუფრასთან რაც შეიძლება სწრაფად მივიტანო სპეციალურად მათთვის დამზადებული კერძები. სხვათა შორის, დღეს ჩემი პატრონი სტუმარს ქართული კერძებით უმასპინძლებს...

მაგიდაზე უამრავი ჭიქა, ხილის წვენი, თეფში და პური დევს (ირანულ სუფრაზე აუცილებლად უნდა იდოს რამდენიმე სახეობის პური). მე დღეს განსაკუთრებული დავალება მომცეს: ქართული კერძები ევროპული წესის მიხედვით, სუფრაზე რიგრიგობით უნდა შევიტანო. იმედი მაქვს, ღირსეულად გავუმკლავდები ამ „განსაცდელს“.

ირანული სამზარეულოს ნამდვილი მშვენება წვნიანია. ისინი კეფირით, კიტრით, ქიშმიშით შეზავებულ ცივ წვნიანს და ცხელ ხორცის ბულიონს, რომელსაც ბრინჯით, მწვანილით, ხორცით, შაქრით და ლიმონით ამზადებენ, ერთნაირი სიამოვნებით მიირთმევენ. სხვათა შორის, ამ ცხელი წვნიანის სახელიც დამამახსოვრდა: „აბ-დ აბ-ლებუ“. თითქოს ფრანგულად ჟღერს, არა?..

პირველ კერძად ცივი საუზმე მიმაქვს. დიდ თეფშებზე ნიგვზიან ბადრიჯანს, რომელსაც ოქროსფერი დაკრავს, თეთრი ყველის ნაჭერს, ჭარხლის ფოთლებისგან მომზადებულ მუქი ფერის ფხალს, კალმახის შემწვარ ფილეს, რომელიც ბროწეულის წვენში გავაცივე და წითელი პომიდ-

ვრის მწვანილით, ხახვითა და ნიგვზით შეზავებულ სალათას ვაწყობ. იქვე ვდებ ორ-ორ ოქროსფერ მჭადსაც, რომლებიც წავიორგინალე და ქაბაბის ფორმისა გამოვაცხვე.

— როდესაც სამშობლოში ვიქნებით, იქ ჩემი მეუღლე თქვენთვის „ჩელო ხორეშს“ ან წიწილას კარტოფილითა და შავი ქლიავით მოამზადებს. ისე, ნიგვზითა და ბროწეულის წვენითაც არაჩვეულებრივი გამოსდის, მაგრამ ახლა, ჩვენი ბედნიერებისა და მოწიწების ნიშნად, მინდა, ჩემი მეუღლის უშუალო ჩარევით და ამ ქართველი გოგონას ხელით დამზადებული ქართული სამზარეულო დაგაგემოვნებინოთ, — ეუბნება სტუმარს ჩემი პატრონი. წარმოდგენა არა მაქვს, რა არის „ჩელო ხორეში“, მაგრამ მათი მოწონებული, ბადრიჯანთან ერთად ჩაშუშული ბატკნის ხორცი — „ხორეშებადინჯანი“ დიდად არ მომეწონა. ხშირად, კერძის მოსამზადებლად ირანელები ერთდროულად იყენებენ ბოსტნეულს, ბაღჩეულს, ბრინჯს, ხილს, ხორცს, თხილს, ნიგოზს, ნუშს, შაქარს და მარილს, ამიტომ დიასახლისი ძალიან დახვეწილი გემოვნების უნდა იყოს, რომ ისინი ერთმანეთთან კარგად შეაზავოს და მოსაწონი კერძი დაამზადოს. მოკლედ, კარგი სპარსული კერძის მომზადებას დიდი ნიჭიერება სჭირდება, ამიტომაც, თუკი ოდესმე ირანში იმოგზაურებთ, ძვირად ღირებულ რესტორანში შესვლა ნუ დაგენანებათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმედგაცრუებული დარჩებით. დიახ, კარგი ყველაფერი ძვირად ფასობს!

— ჩვენ პერიოდულად, სხვადასხვა ქვეყნიდან ვიწვევთ ხოლმე მზარეულს, რათა ჩვენს მდიდარ სამზარეულოს ახალ-ახალი მარგალიტები შევმატოთ, — აგრძელებს მჭევრმეტყველებას ჩემი პატრონი. ეს შავი კაცი კი, ნეტარებისგან გაბერილი, თვითკმაყოფილი თუ თავდაჯერებული, ამ ყველაფერს იფერებს და მოწყალედ იღიმის.

სამზარეულოში გავრბივარ და აღარ ვიცი, რაზე ლაპარაკობენ სტუმარ-მასპინძელი, მაგრამ როდესაც ახალი კერძებით ხელში სასტუმრო ოთახში ვბრუნდები, ჩემი მასპინძლი კვლავ თავის ბედნიერებაზე ლაპარაკობს. ის სტუმარს ასეთ „საიდუმლოს“ უმხელს: თურმე ბედნიერია, რომ სახლში ასეთი ბედნიერება ეწვია!..



ცოტათი ნერვები მეშლება, მაგრამ მაინც, მათ დიდი თავაზიანობით მივართმევ მორიგ კერძს — მეორე კერძად თეფშებზე თეთრი, კანგაცლილი, მსუქანი მოხარშული დედლის ნაჭრები დავალაგე და ზედ სქელი, ცხარე ბაჟე გადავასხი — ესეც ოქროსფერი კერძი გამომივიდა... სპარსელები მაგიდაზე არასდროს დებენ დანას, რადგან მათ სამზარეულოს დანა არ სჭირდება. ხორცს ძალიან აქუცმაცებენ, პურს ბუნებრივია, ხელით ამტვრევენ, გუფთას და ქაბაბს კი ჩანგლით ჭრიან, მაგრამ რაკიღა ახლა ევროპული სუფრა სურთ, კეთილი ინებონ და დედალს დანა-ჩანგლით გაუმკლავდნენ... სასაცილო სანახავი ვარ, ეს ჩემი წითელი და ხუჭუჭა თმა თავსაფარს „აპროტესტებს“, ყველა მხრიდანაა გამოჩრილი და მაინცდამაინც კომფორტულად ვერ ვგრძნობ თავს ირანელი ქალის ამპლუაში. მაგიდაზე თეფშები დავაწყვე, სტუმარ-მასპინძელს კარგი მადა ვუსურვე, მერე კი ისიც აღვნიშნე, რომ ამ კერძს ღომი უხდება და თუ ნებას დამრთავთ, მეორე თეფშით ღომსაც მოგართმევთ-მეთქი.

— საქართველოში კარგი სუფრის ფასი იციან, — ამბობს კმაყოფილი შავი სტუმარი.

— ქართველი გოგონა ამიტომაც მოვიწვიე, — ამაყია მასპინძელი. ეს ნიშნავს, რომ ღომსაც მიირთმევენ, მაგრამ მეორე გასაჭირი მაქვს — ხაჭაპური უკვე გამოცხვა, არადა, წარმოდგენა არა მაქვს, როგორ უნდა მივიტანო ხაჭაპური ცალკე კერძად... რა მოხდება, ხაჭაპურიც რომ „შევაპარო“? დამიჯერეთ, ასეთი კარგი სახლშიც არასოდეს გამომიცხვია. როგორც ჩანს, ამ ხაჭაპურს ჩემი ნოსტალგია ჩავაყოლე გულსართად და ამიტომაც გამოვიდა ასეთი განსაკუთრებული... ჰოდა, ამას გავაფუჭებ? ხაჭაპური მანამ უნდა მიართვა სტუმარს, ვიდრე ცხელია და ყველი ცომში „დუღილს“ განაგრძობს... ჰოდა, შევარბენინე ესეც... იქ ლაპარაკი ახლა მხოლოდ გემოსა და საკვებზეა. პატრონი გაოცებული შემომცქერის — ჯერ ღომს ვერ გამკლავებია და მე უკვე ხაჭაპურიც მივართვი... ისევ სამზარეულოსკენ გავრბივარ და ისევ დარდს ვეძლევი. მეეჭვება, ჩემ მიერ მომზადებული კერძების შეჭმის თავი აქ კიდევ ჰქონდეთ.... თავს უნდა ვუშველო, თორემ ეს არაჩვეულებრივი, მაყვალში ჩადებული წიწილა და უნაზესი ბატკნის ხორცით მომზადებული ჩაქაფული გაუსინჯავი დარჩება... ისევ ვიკრებ სითამამეს და მაგიდისკენ სინზე დალაგებულ „ბორჯომის“ ორ ყელმოღერებულ ბოთლს და ჯონჯოლით, წიწაკითა და ნივრის მწნილით სავსე თეფშს მივარბენინებ. მწნილს ირანელები დიდად აფასებენ და მისი უამრავი სახეობა აქვთ, „ბორჯომი“ კი ჩემი პატრონის საყვარელი სასმელია. ჰოდა, წესით, ეს ყველაფერი სტუმარსაც სიხარულით უნდა გაასინჯოს, მე კი იმედს ვიტოვებ, რომ „მჟავე-მჟუჟე“ და ეს საოცარი მინერალური წყალი ერთად, მათ მადას კვლავ „გაუღვიძებს“ და ჩემი შრომაც დაფასდება... სტუმარ-მასპინძელი მიირთმევენ „ბორჯომს“, აყოლებენ მწნილს, ხაჭაპურს და საუბრობენ, მაგრამ ჩემდა გასაკვირად, ეს საუბარი საქმეს ისევ არ ეხება...

ისე გამოვიდა, რომ დესერტამდე მშვიდობიანად მივაღწიე. დესერტამდე მივაღწიე კი არა და, სტუმარ-მასპინძელს შემწვარ წიწილასთან და ჩაქაფულთან ერთად, ქონდრით შეზავებული ძროხის ღვიძლი, ნიგვზიანი სტაფილო და მეგრული ხაჭაპურიც „შევაპარე“. ამაში იმანაც შემიწყო ხელი, რომ სპარსელები არასდროს ჩქარობენ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ თურქეთში ვართ და ჩემი პატრონი აქ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელია, ის არასდროს განიცდის დროის უკმარისობას. მას ეს დალოცვილი დრო თითქოს თავზე საყრელად აქვს და ამიტომაც არ ეჩქარება საქმიანი ვიზიტით მოწვეულ სტუმართან საქმეზე ლაპარაკის წამოწყება, ამიტომაც არ ეჩქარება ერთი კერძიდან მეორეზე გადახტომა, ამიტომაც არ ჩქარობს მიზანს მიაღწიოს. თუმცა, როგორც ჩანს, ის მიზანს ყოველთვის აღწევს და თან, ყოველთვის იმას ამბობს და აკეთებს, რაც სურს... ალბათ, სწორედ ეს შენელებული ცხოვრების ტემპია მათი დღეგრძელობის მთავარი საიდუმლოც — ისინი საკმაოდ გვიან ბერდებიან და მიუხედავად იმისა, რომ არც ფიტნესკლუბებში დადიან და არც დიეტით იკლავენ თავს, გასაოცარი ჯანმრთელობაც აქვთ. დიეტა კი არა და, რაც ამ ოჯახში მოვხვდი, ისეთი განცდა მაქვს, თითქოს, ირანელები მხოლოდ ჭამენ და ლოცულობენ, ლოცულობენ და ჭამენ. ისინი გულწრფელები არიან როგორც ლოცვის, ისე საკვების მიღების დროსაც და თუკი რაიმეს თავადაც არ მიირთმევ, უფლება არა გაქვს უყურო, თუ როგორ იკვებება სხვა... მოკლედ, ეს ხალხი სიამოვნებისთვის, ბედნიერებისთვის

გაგრძელება იხ. გვ. 66

„ქუთაისი ქალაქია“
გთავაზობთ
სხვადასხვა სახის
ქეფილის ფოსტაზე
ეძებენ ბოლოს

დასაწყისი იხ. გვ. 64

ცხოვრობს და ცდილობს, არც სხვას ჩაამწაროს სიამოვნება...

— ინგა, დღეს დესერტიც ქართული გვაქვს? — მეკითხება პატრონი. სასტიკად თავხედი უნდა ვიყო, რომ ვაღიარო, — ფახლავა ქართული წესით მოვამზადე-მეთქი, მაგრამ ცოტა სითავხედე კარგი დიასახლისისთვის აუცილებელი თვისებაა. მას ვეუბნები, რომ ქართველი მზარეულის დამზადებულ, ქართულ გონებაში გადაკაზმულ ფრანგულ დესერტს მივართმევ, ირანულ ტკბილეულობასთან ერთად. კიდევ ერთ სითავხედეს ვიჩენ და მათ გურიაში, ბებიაჩემის ხელით დაკრეფილ ჩაის ვთავაზობ.

ჩაი, ეს ცალკე თემაა! წელში გაწყვეტილი თხელი ჭიქებით, ისინი ხშირ-ხშირად მირთმევენ ცხელ, ქაფქაფა ჩაის. თუ შემთხვევით, სასმელი გაგრილდა, ის სუფრასთან არ უნდა მიიტანო — ეს სტუმრის უპატივცემულობას ნიშნავს. ჩაი აუცილებლად ცხელი, მაგარი, ყოველგვარი მინარევის — რძის ან მურაბის გარეშე უნდა მიირთვა...

მოკლედ, დესერტის დროა. ეს „ქართულ-ფრანგული“ დესერტი კი სამ-სამი ჭიქა გურული, მოწონებული ჩაის მერე მირთმეული, ჩვეულებრივი ვაშლის თბილ-თბილი ღვეზელია, რომელსაც თავზე სუპერმარკეტში შეძენილი, ვანილისა და ვარდის არომატით შეზავებული არაჩვეულებრივი მუსი მოვასხი. სხვათა შორის, თურქეთში ნამცხვრის მოსამზადებლად იმდენი გასაოცარი ინგრედიენტი აღმოვაჩინე, მართლაც, უვარგისი ქალი უნდა იყო, რომ სტუმრის მოსაწონი დესერტი ვერ მოამზადო. თავად ირანელები, დესერტად ხშირად გთავაზობენ ვარდის სიროფით შეზავებულ ფუნჩულებს ან ფახლავას ნუშით. მათი ტკბილეულობა, თუ ის ხილის ჩირი არ არის, არცთუ ისე ტკბილია და სწორედ ამითაა გამორჩეული. აქაც ერთდროულად უამრავ ინგრედიენტს — ნუშს, ნიგოზს, ყველა სახის ჩირს იყენებენ...

დაიხოცა ეს ხალხი ჭამით, — ვფიქრობ და მეღიმება, რადგანაც ამ არაჩვეულებრივ სუფრაზე სასმელი, მხოლოდ ჩაი, „ბორჯომი“ და ხილის წვენია. მათ წითელ ღვინოსაც მივართმევდი, მაგრამ ესენი ალკოჰოლის გარეშეც ახერხებენ სიმოვნების მიღებას...

სამზარეულოში დიასახლისი შემოდის. ეს ნიშნავს, რომ სტუმარ-მასპინძელი ახლა საქმეზე ილაპარაკებს და მათ მეც უნდა გავერიდო... დასვრილ ჭურჭელს სარეცხი მანქანა რეცხავს, საჭმლის ნარჩენები არსად ყრია, რადგან მათ რაღაც უცნაურ ნიჟარაში ვათავსებთ, საიდანაც ის დაქუცმაცებულ, ერთიან მასად ქცეული კანალიზაციის მილებში ჩადის. იატაკზე არც ნამცეცები ყრია — სამზარეულოს ჯადოსნურმა მტვერსასრუტმა იატაკი ცხელი ორთქლით მოაპრიალა. ჰოდა, ვზივარ სამზარეულოში და ახალ ბრძანებას თუ მითითებას ველოდები.

— დღემ კარგად ჩაიარა, ჩემი მეუღლე იღიმის, — მეუბნება დიასახლისი.

— დღეს მეთორმეტე დღეა, — ვპასუხობ მე.

— კიდევ ბევრი დღე უნდა გავატაროთ ერთად და არ მინდა, დღეები ითვალო და იტირო, — მეუბნება ქალი. კეთილ დიასახლისს დუმილით ვერ ვუპასუხებ და ამიტომაც ვცდილობ ავუხსნა, თუ რა მატირებს:

— მადლობელი ვარ ღმერთის, რომ თქვენთან მოვხვდი, — თვალებში შევცქერი ჩემს ქალბატონს და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ სხვადასხვა უფალი გვყავს, ის გაგებით შემომცქერის, მიღიმის, — იცით, უკვე მეორე ათწლეულია, ჩემს ქვეყანაში მხოლოდ დღესასწაულებზე ახერხებენ ასეთი კერძების მომზადებას. თუმცა, ბევრი ვერც დღესასწაულზე ახერხებს ამას. ეს ჩვენთვის დამამცირებელია. როგორც თქვენ, ჩვენც გვიყვარს და გვახარებს სტუმრის მოსვლა და მისი მასპინძლობა, მაგრამ როცა ამას ვერ ვახერხებთ, ვითრგუნებით. დამამცირებელია ყოფა, რომელიც გვაიძულებს, მხოლოდ საკუთარი თავის გატანაზე ვიფიქროთ... — მოკლედ, არ ვიცი, ეს ყველაფერი ამ მდიდარ ქალს, რომელიც სასახლეში ცხოვრობს, ესმის თუ არა ან საერთოდ, რა საჭიროა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ მე მაინც ვამბობ.

— არ არის საჭირო თავი იმართლო იმისათვის, რომ შინამოსამსახურე ხარ, — მპასუხობს დიასახლისი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას ჩემი ესმის. სიამოვნებით გადავკოცნიდი, მაგრამ თავს ფამილარობის უფლებას ვერ ვაძლევ... ახლა, ვიდრე სტუმარი წავა, საკმაო დრო გვაქვს იმისთვის, რომ სამზარეულოს მაგიდას მივუსხდეთ და ქართული კერძების რეცეპტები ჩავაწერინო.

უკვე ბინდდება. ბავშვები თავად რომ სათამაშო ოთახს ეძახიან, მე კი რაღაც გასაოცარი სამყარო მგონია, იქ თამაშობენ. ჩემი დიასახლისი და მისი მეუღლე ვერტმფრენით სადღაც გაფრინდნენ, მე კი მისაღებ ოთახში არარსებულ მტვერს ვწმენდ. ირგვლივ საოცარი ბაღი გვაკრავს, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ზამთარია, მაინც განსაკუთრებული სისუფთავით და წესრიგით გამოირჩევა. გზა აქამდე არ მოდის და ავტოტრანსპორტის ხმასაც ვერასოდეს გაიგონებ, სახლის პატრონები კი, როცა სადმე წასვლა უნდათ, ვერტმფრენით დაფრინავენ. მოკლედ, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ვცხოვრობ კუნძულზე, სადაც ვერც ადამიანების წუხილი აღწევს და ვერც — ჭუჭყი.

ღამით აბაზანაში ვნებივრობ და ჩემი ხუჭუჭა წითელი თმიდან საკვების სუნს ვიცილებ, მერე „სკაიპით“ ახლობლებს ვეკონტაქტები, ისინი კი მიყვებიან, თუ როგორ საოცრად ციმციმებს ჩემი დედაქალაქი. ჰოდა, სტატუსსაც ვაყენებ: „შენთან მინდა!“ — ეს მიმართვა ჩემს ქალაქს ეკუთვნის, ქალაქს, რომელიც ბედნიერებითაც მავსებს და უბედურებითაც, სიხარულითაც და მწუხარებითაც, სიყვარულითაც და სასოწარკვეთითაც. თბილისი მე ვარ, რადგან მის გარეშე არსებობა არ შემიძლია!

დილა ისევ უხილავ მტვერთან ბრძოლით იწყება. დღეს ძველი სტამბოლი უნდა ვნახოთ. იმედი მაქვს, ჩემი დღევანდელი ვოიაჟი უმტკივნეულოდ ჩაივლის და არსად წავაწყდები ქართველ მეძავს — ამაზე რითიღა ვიმართლო თავი? არ ვიცი, ქართველი მეძავები მართლაც, განსაკუთრებულად ამაზრზენები არიან თუ უბრალოდ, მათი დანახვისას მე მაქვს ასეთი განცდა, მაგრამ მგონი, ჩემი დროებითი პატრონებიც იმავეს განიცდიან...

ისევ საღამო და დილა, ისევ ვერტმფრენის გუგუნი და ბავშვების ჟრიამული ჩემ ირგვლივ. ისევ ვიწმენდ ცრემლს, როდესაც მარტო ვრჩები. ჩემი თბილისი ახალი წლისთვის ემზადება, მე კი... დედას და დებს ჩემი პირველი ხელფასით ჩექმები ვუყიდე, მერე სამი მოხდენილი კაბა, სამი ულამაზესი ფეხსაცმელი; პატარა დას ხელჩანთა, ზუსტად ისეთი, თავად რომ ოცნებობდა; კიდევ, რაღაც წვრილმანები, ქალებს რომ განსაკუთრებით გვიყვარს, ისეთი... ამ ახალ წელს ალბათ, ცოტას ვიტირებ კიდეც, მაგრამ ზუსტად ვიცი, ამის შემდეგ აღარასოდეს ვიქნები შინამოსამსახურე უცხო ქვეყანაში!.. მე და ჩემი დიასახლისი ვამზადებთ გოზინაყს ჩემი რეცეპტით. თავხედი ვარ, შეიძლება, მაგრამ თაფლი და ნიგოზი საქართველოდან ჩამოვატანინე. ამათაც იციან, რომ ქართული ფუტკარი მსოფლიოში ყველაზე გრძელხორთუმიანია და ამიტომაც, ქართული თაფლი განსაკუთრებულია. როცა ჩემმა ბატონმა მითხრა, — მას მხოლოდ ერთი მინუსი აქვსო, გაოცებული მივაშტერდი. მან კი ამიხსნა: როდესაც სხვა ქვეყანაში მიჰყავთ მოსაშენებლად, ზუტად ერთი წლისთავზე, ისინი ჩვეულებრივი, მოკლეხორთუმიანი ფუტკრები ხდებიანო...

ღმერთო ჩემო, მე არასდროს მომწყდება ჩემი „გრძელი ხორთუმი“, მე არასდროს გავხდები ჩვეულებრივი მსოფლიოს მოქალაქე. ჩემო დედაქალაქო, მე მალე დავბრუნდები, რადგან მხოლოდ შენთან ერთად მინდა და შემიძლია არსებობა!..

■

წვეთი პოეზია

მარიამ დედოფლის ფრესკასთან

სიბრძნით ნაშუქი შენი თვალები
ჯვლავ სასოებას შენეულს გვფენენ.
გარდასულ ჟამთა სიღრმეებიდან
ზარივით რეკავს
გულისთქმა
შენი:
უნდა შეკეთდეს სვეტიცხოველი,
აღდგეს ქართული წესი და რიგი,
უნდა ისმოდეს ქართული სიტყვა,
გადაიწეროს ქართული წიგნი!
მშვიდობა ბრძანეს – გამეჩხრდა ქართლი:
ძვირად გვიჯდება სისხლის ტბორები...
ვინ, თუ არა შენ,
უწყის,
რომ იგი
ქვეყნის დაღლილ სულს ეამბორება?
სიბრძნით ნაშუქი შენი თვალები
ჯვლავ სასოებას შენეულს გვფენენ.

1978

ანა ჯალანდაძე

მე - ფსიქოლოგი



ინგა ჯაყელი

დასაწყისი იხ. „გზა“ №40-53

მოულოდნელი ელდა

...ზაფხული ძალაში შევიდა. თუმცა ივნისი ისეთი წვიმიანი და ცივი აღმოჩნდა, ჩემი შეგნებული ცხოვრების მანძილზე იშვიათად ყოფილა. ვმუშაობდი და საოცარ დაღლილობას ვგრძნობდი. სიცხე რომ ყოფილიყო, ამასაც დავაბრალებდი. მიუხედავად იმისა, რომ ზაფხული ძალიან მიყვარს, მზის მცხუნვარება მაინც ცუდ დღეში მაგდებს. თითქოს ენერგიისგან ვიცლები და სულ მეძინება...

ახლა არ ვიცოდი, რისთვის დამებრალებინა, მაგრამ ფაქტი იყო, რომ სულ მეძინებოდა და აღარაფერი მაინტერესებდა — აღარც ტელევიზორი, აღარც კომპიუტერი და ინტერნეტი. სამუშაოზეც სულ ვაგვიანებდი და რამდენჯერ, მაღვიძარას ზარმაც ვერ მომიყვანა გონს. სანამ ნინუცა არ ამიკლებდა სატელეფონო ზარებით, მანამ ვერ ვახელდი თვალს...

ზურა და ნინუცა უკვე დაბრუნდნენ ანტალიიდან. ძალიან კმაყოფილები იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ მათ ამ მოგზაურობას ყველამ საქორწინო ვუწოდეთ, ისინი მაინც ცალ-ცალკე აგრძელებდნენ ცხოვრებას და არც ჯვრისწერას ჩქარობდნენ. ეს ნინუცას გამო ხდებოდა. ეშინოდა გათხოვების და ოჯახური ცხოვრების. შეყვარებულობის განცდა, დაფარული შეხვედრები უფრო იზიდავდა და სიმართლე გითხრათ, ნაწილობრივ ვამართლებდი კიდევაც. უამრავი მაგალითი მქონდა ცხოვრებაში იმისა, თუ როგორ გადაიქცევიან ხოლმე რომანტიკოსი შეყვარებულები „ჩვეულებრივ“ მოსაწყენ და სამწუხაროდ, ხშირად აუტანელ, პრეტენზიულ ქმრებად. განსაკუთრებით ქართველ კაცებს აფუჭებს ქმრის სტატუსი.

ამ დილითაც ნინუცამ გამაღვიძა. ოღონდ ტელეფონზე კი არ დარეკა, პირდაპირ სახლში მომადგა და ზარის ხმამ რომ არ გაჭრა, ლამის ჩამოიღო კარი, იმდენი აბრახუნა. მერე შეშფოთებული მედიკოც წაეხმარა და კარი რომ გავაღე, ცალი თვალი ისევ დახუჭული მქონდა...

— რა ძილქუში გეტაკა! — უკმაყოფილოდ გამწია გვერდზე მეგობარმა და შემოვიდა. — დაგვიხეთქე გულები. ვიფიქრე, ძილში გაიპარე...

— მართლაც, რა გჭირს, ეკუნა, დედი?! — გაკვირვებულმა შემომხედა მედიკომაც, რომელსაც პირსახოცის ხალათი შემოეცვა შიშველ სხეულზე; ეტყობოდა, სააბაზანოდან ის წუთი იყო, გამოვიდა და ამიტომ, ჩემთან აღარ შემოსულა. რადგან დარწმუნდა, რომ ცოცხალი ვიყავი, მაშინვე გატრიალდა, მანამდე კი დაგვიბარა: ყავას უჩემოდ ნუ დალევთ, მე გეპატიჟებით, კარგი თურქული ყავა ჩამომივიდაო...

— წყალს გადავივლებ, თორემ ისევ დამეძინება! — ვუთხარი მეგობარს და სააბაზანოში შევედი. იქიდან გამოსულმა შევამჩნიე, რომ ნინუცა უჩვეულოდ აფორიაქებული იყო.

— მოხდა რამე?! — შევხედე ეჭვით.

— მგონი, ფეხმძიმედ ვარ...

— კი, მაგრამ შენ ხომ ყოველთვის თავს იცავდი?!

— ვცდილობდი, მაგრამ...

— იქნებ, ცდები? — თანავუგრძნე მეგობარს, რადგან ვიცი, რომ აბორტის სასტიკი წინააღმდეგია. გასაგებიცაა, ის ხომ ბავშვთა ექიმია და როგორ შეიძლება, თუნდაც დაუბადებელი პატარის სიკვდილი დაუშვას?!.

— რა ვიცი, ჯანდაბა ჩემს თავს!.. ანანოზე რომ ვიყავი ორსულად, რასაც მაშინ განვიცდიდი, იგივე მჭირს ახლაც — კაცის სუნს ვერ ვიტან...

— ასეთი რა სუნი აქვთ კაცებს?! არა მგონია, ზურას სიბინძურის სუნი ასდიოდეს...

— სიბინძურე რა შუაშია?!. ეს სხვა სუნია, რომელსაც ჩვეულებრივ მდგომარეობაში ვერ ვგრძნობ და ამიტომ არც ახსნა შემიძლია ამ შეგრძნების... მე მგონი, ზურამ გამიჩალიჩა. სხვა დროს სულ უგდია ჯიბეში პრეზერვატივი და რაღა იმ დროს არ აღმოაჩნდა?! ნათქვამი მქონდა, რომ ოჯახის შექმნას მხოლოდ ბავშვი თუ მაიძულებდა... ბავშვს აქვს უფლება ნორმალურ, სრულყოფილ ოჯახში დაიბადოს.

— ორსულობის ტესტი ვერ იყიდე?

— ეგ რა პრობლემაა, ან ჩვენს გინეკოლოგს ვერ ვეჩვენები თუ რა, მაგრამ დადასტურების მეშინია. ისე, ჯერ არც ვარ მზად დედობისთვის. ხომ იცი, ანანოს შვილად ვერ აღვიქვამ — ჩემი უმცროსი და უფრო მგონია...

— რამე რომ იყოს, გააჩენ?

— რა თქმა უნდა! — საყვედურით შემომხედა მეგობარმა. — ჩემი სისულელის გამო ბავშვმა სიცოცხლით რატომ უნდა აგოს პასუხი?! ასჯერ რომ დავფეხმძიმდე, ასივეს გავაჩენ... შენ რაღა გეტაკა? ღამეებს ათევ თუ რატომ ვერ იღვიძებ დილით?!

— არა, რა ღამეების თევა, ტყუილად ვრთავ საღამოს ტელევიზორს. წამოვწვები თუ არა, ინდაურივით მეყვინთება. ზოგჯერ 9 საათზე უკვე მძინავს...

— ერიჰა-ა! — დაუსტვინა ნინუცამ და ეჭვით შემომხედა: — დედას გაფიცებ, შენც ორსულად ხომ არ ხარ? ფეხმძიმე ქალებს ხშირად ასე ემართებათ ორსულობის საწყის და ბოლო ეტაპებზე...

ის იყო, უნდა შემეტია მისთვის — რა სისულელეს ამბობ-მეთქი?! — რომ გავჩერდი და... ჩანთაში ჩემი ბლოკნოტი მოვძებნე, სადაც ციკლის დღეებს ვინიშნავ ხოლმე.

— ორი კვირა მაქვს გადაცილებული! — შეშინებულმა შევხედე მეგობარს. — ისე, სხვა დროსაც გადაუცილებია ორი-სამი დღე...

— მაგრამ ორი კვირა... რა თქმა უნდა, თავის დაცვაზე არც გიფიქრია, ხომ?..

უარის ნიშნად თავი გავაქნიე.

— კარგი. აფთიაქში ჩავალ და ტესტებს ამოვიტან! — ჩანთას ხელი წამოავლო ნინუცამ. — მე მგონი, ისედაც ყველაფერი ნათელია, მაგრამ მაინც საჭიროა, ზუსტად ვიცოდეთ, რა გვჭირს...

დაახლოებით ერთ საათში უკვე ვიცოდით, რაც გვჭირდა: როგორც ჩემმა, ისე ნინუცას ტესტმა დადებითი პასუხი უჩვენა...

ვერ გეტყვით, რა განვიცადე იმ წუთში — ეს არ იყო არც სიხარული, არც მწუხარება. ეს უფრო ელდა იყო, მოულოდნელი ელდა. მიუხედავად იმისა, რომ პატარა გოგო აღარ ვარ, მაინც არ მიფიქრია, რომ მსგავსი რამ შეიძლებოდა, მე დამმართოდა...

— რას აპირებ? — გამომაფხიზლა ნინუცას ხმამ.

— რა ვიცი... თუმცა რატომ არ ვიცი?! ეს ბავშვი დაიბადება და ჩემი

ყველაზე სასურველი ადამიანიც გახდება მთელ დედამიწაზე. სულ არ მანაღვლებს, რას იტყვიან სხვები — მათ შორის, ჩემი ოჯახის წევრები და ზურაბ გობეჩია.

— ზურაბი რა შუაშია?! მამა ის კი არა, ნიკაა და ის სულაც არ არის არასრულწლოვანი, რომ თავად ვერ შეძლოს მომხდარზე პასუხისმგებლობის აღება...

— იმ შუაშია, რომ ირიბად, მაგრამ მაინც გამაფრთხილა, რომ მის შვილთან სერიოზული ურთიერთობის იმედი არ უნდა მქონოდა. სხვათა შორის, ჯერჯერობით არც ნიკას უნდა ბავშვი. ოჯახის შექმნაზე არც გვილაპარაკია და ის კი მითხრა: ისიც მეყოფა, ჩემი ერთი შვილი რომ იზრდება უდედმამოდ, კიდევ ერთხელ ამას არ დავუშვებო... თავად სულ სხვა გეგმები აქვს — საფრანგეთში მიდის მთელი წლით და კაცმა არ იცის, რა ჭკუაზე დადგება იქიდან დაბრუნებული. ან — დაბრუნდება კი საერთოდ?..

— თუ ბავშვის გაჩენას აპირებ, უფლება არ გაქვს, დაუმალო. მიუხედავად იმისა, რა რეაქციაც ექნება ამაზე! — კატეგორიული ტონით მითხრა ნინუცამ და ალბათ მართალი იყო.

— ოდესმე ვეტყვი, მაგრამ — არა დღეს და ხვალ...

მედიკომ დარეკა და გვითხრა, რომ ყავა უკვე მზად იყო. გავედით.

— რა მოხდა, რა სახეები ჩამოგტირით?! — არ გამოჰპარვია ჩვენი განწყობილება და სანამ რაიმეს ვუპასუხებდი, ნინუცამ დამასწრო:

— ორივე ორსულად ვართ და ორივესთვის ეს გამაოგნებელი მოულოდნელობაა...

— ვა-აა! — გაწელა მედომ და თითქოს მუხლი მოეკვეთაო, უცებ დაეტყეპა სკამზე. მერე, სანამ რამეს იტყოდა, სიგარეტს მოუკიდა და ღრმა ნაფაზი დაარტყა. — გილოცავთ... სხვა არაფერი მაქვს სათქმელი, მაგრამ...

— რა — მაგრამ? — გაუკვირდა ნინუცას.

— შენი არ ვიცი, შვილო, და ეკას დიდი ომის გადატანა მოუწევს, ყველა მხრიდან შემოუტევენ.

— ნუ მაშინებ, მედო! — დავფრთხი, ისედაც გაოგნებული.

— არ გაშინებ, მაგრამ სიმართლეც უნდა ითქვას. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ შენს თავს არავის დავაჩაგვრინებ და ყველამ რომ გაქციოს ზურგი, მე გაგაზრდევინებ მაგ ბავშვს, საკუთარი შვილიშვილივით ჩავიგორებ კალთაში.

მედიკოს მოვეხვიე და ისევ მომინდა, დედაჩემი ყოფილიყო...

...საღამოს ისევ საყვედურებით ამავსო ნიკამ, როცა ვუთხარი, რომ საქმის გამო ამ შაბათ-კვირასაც ვერ მოვახერხებდი ბათუმში ჩასვლას და უცებ მივხვდი, რომ მართლა არ შეიძლებოდა ამდენი უარი. თანაც, მეც არანაკლებ მინდოდა მასთან შეხვედრა. არა, უკვე ვიცოდი, რომ ფეხმძიმობის შესახებ ჯერჯერობით არაფერს ვეტყოდი და არც გამგზავრების წინ ავუბნევდი თავგზას, მაგრამ მაინც მინდოდა, თუნდაც გაუაზრებლად მომფერებოდა მუცელზე და ჩემს შვილს, რომლის შეყვარებაც უკვე მოვასწარი, ეგრძნო, რომ მის მამიკოს ძალიან უყვარს დედამისი და მართალია, უცნაურად მოვარდნილი გრძნობის, მაგრამ მაინც დიდი სიყვარულის ნაყოფია...

— ჯანდაბას ყველა საქმე! პარასკევს საღამოს წამოვალ და ორშაბათამდე დავრჩები. ნომერი დამიჯავშნე სასტუმროში! — ისე უცებ გადავწყვიტე, ნიკამ არც დაიჯერა:

— მაშაყირებ?!

— რა შაყირი?! მინდა და მოვდივარ!..

— არ გინდა სასტუმრო — ამჯერად ჩემთან დარჩი. პატარა ბინაა, მაგრამ ჩვენ გვეყოფა...

— მოსიყვარულე ცოლ-ქმარი ცულის ტარზეც დაეტევაო!.. — მხარი ავუბი ბიჭს.

— მაგრამ მე და შენ ცოლ-ქმარი არა ვართ, შეყვარებული ქალები კი ყოველთვის პრეტენზიულები ხართ...

ნიკა მართალი იყო — ცოლ-ქმარი არ ვიყავით და მის ნათქვამში უჩვეულო არაფერი უნდა დამენახა, მაგრამ, როგორც ჩანს, ფეხმძიმე ქალები მართლა სხვანაირად მგრძნობიარენი არიან: ხმამაღლა არ გამომითქვამს საყვედური, მაგრამ გულში გავიბუტე და გავიფიქრე: არ ხარ ღირსი, ჩემი სიხარული გიწილადო-მეთქი!..

რატომღაც, ჩემი მანქანით ვერ გავბედე იმოდენა გზაზე წასვლა და რადგან სამარშრუტო ტაქსების მოყვარული არასოდეს ვყოფილვარ, ავტობუსით გავემგზავრე ბათუმში. ჩემ გვერდით ახალგაზრდა ქალი მოხვდა, რომელსაც ხელში 3-4 თვის ჩვილი ეჭირა. ბავშვი გზაში ჭირვეულობდა, სულ ტიროდა, რაც სხვა დროს გამაღიზიანებდა, მაგრამ ახლა მსიამოვნებდა კიდეც. თვალდახუჭული, იმის წარმოდგენას ვცდილობდი, თუ როგორი იქნებოდა ჩემი შვილი — ასეთივე ჭირვეული და მტირალა თუ უჩვეულოდ მშვიდი?..

...ნიკა უკვე მელოდა ავტოსადგურში. იმდენჯერ დამირეკა გზაში, უკვე მრცხვენოდა. უკან მჯდომმა ასაკოვანმა ქალბატონმა მკითხა კიდეც:

— პირველად მოდიხარ, ნენა, ბათუმში თუ რეიზა ეშინიათ ასე შენი დაკარქვის? უთხარი, რომე მე მიგიყვან სახლამდის, მისამართი მაინც თუ იცი?

რაც მართალია, მართალია — ჩემი შვილისთვის საუკეთესო მამა მყავდა არჩეული. თუმცა მე რა ავირჩიე, ბედისწერამ გამიკეთა ასეთი საჩუქარი: უამრავ ხალხში მდგომი ნიკა ყველასგან გამოირჩეოდა და არც ის გამომპარვია, როგორ უჩურჩულა ერთმა გოგომ მეორეს, სანამ ავტობუსიდან ჩავიდოდნენ:

— ე, გოგო, ნონაია, გონია, ი ბიჭი მევიდა ჩემს დასახვედრათ, ყოველღამე რომ მესიზმრება...

17-18 წლის გოგონები იყვნენ. სურვილი გამიჩნდა, თმა დამეწიწკნა ორივესთვის. მგონი, მწარედ ვიეჭვიანე. ამიტომ, როცა ავტობუსიდან ჩასული, ნიკამ გულში ჩამიკრა და მოურიდებლად, საკმაოდ ვნებიანად მაკოცა, ის გოგონები მოვძებნე თვალით და გამარჯვებულის ირონიული ღიმილი ავიწებე სახეზე...

ვერგამხელილი საიდუმლო

ნიკას ბინა მართლაც პატარა იყო, მაგრამ გემოვნებით და კომფორტულად მოწყობილი. საძინებელში იმოდენა ტახტი იდგა, ლამის მთელ ოთახს ფარავდა.

— აქ ერთბაშად ხუთ ქალს დაატევს კაცი!.. — პროვოკაცია შევუგდე ნიკას.

— მეტიც შეიძლება, კაცი თუ მოინდომებს!.. — ისეთი ტონით მიპასუხა, კვლავ ვიეჭვიანე.

— საძაგელო! — მკერდზე დავუშინე მუშტები.

— მომენატრე! — ხელები გამიკავა და ისე მაკოცა ყელში, ქვეყანაზე ყველაფერი დამავიწყა.

— ...

— ...

— ...

დოკუმენტური პროზა

შეხვედრები სტალინთან

ფრაგმენტები ვლადიმირ კარპოვის წიგნიდან „გენერალისიმუსი"

დასაწყისი იხ. „გზა", №27-53

...ყველა დუმდა, ელოდა, რას გადაწყვეტდა სტალინი. ტიმოშენკომაც სცადა, მძიმე წუთში თავის გენშტაბის უფროსს მხარში ამოსდგომოდა:

— ამხანაგო სტალინ, ჩვენ უპირველეს ყოვლისა, ვალდებული ვართ, ვიფიქროთ, როგორ დავეხმაროთ ფრონტებს და შემდგომ, საქმის ვითარება მოგახსენოთ...

მაგრამ ტიმოშენკოს მცდელობა, შეერბილებინა სიტუაცია, მასვე ცუდად შემოუბრუნდა. სტალინი ისევ გაცხარდა:

— ჯერ ერთი, დიდ შეცდომას უშვებთ, როცა ერთმანეთისგან გვიჯნავთ, მეორე: ფრონტებისთვის დახმარების გაწევასა და მდგომარეობის გაკონტროლებაზე ახლა ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ. — სტალინმა პაუზა გააკეთა და პოლიტბიუროს წევრებს მიუბრუნდა: — წავიდეთ, ამხანაგებო. ჩვენ მგონი, მართლაც, უდროო დროს მოვედით...

ოთხეული კარისკენ წავიდა, თავდაცვის სახკომის შენობა დატოვა და კრემლში დაბრუნდა.

ომის პირველი დღეები

საზღვრისპირა ტერიტორიებზე მძიმე ბრძოლებისას, ჩვენი შენაერთები ერთიმეორის მიყოლებით ალყაში ექცეოდნენ. არ გვქონდა საკმარისი ძალები, ფრონტის ერთიანი ზოლი რომ შეგვექმნა...

28 ივნისს — ომის მე-8 დღეს, გერმანიის არმიის მექანიზებულმა ნაწილებმა მინსკის მახლობლად რკალი შეკრეს და ბელორუსიის დედაქალაქი აიღეს. მინსკიდან დასავლეთით, საბჭოთა ჯარის კიდევ ერთი დიდი დაჯგუფება მოექცა ალყაში. ამასთანავე, ბელორუსიის სამხრეთით წინ მიიწევდა არმიათა ჯგუფი „ცენტრი", რომელიც თავისი სატანკო ნაწილებით დნეპრისკენ მიიკვლევდა გზას.

სტალინმა გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ შეექმნა მეორე სტრატეგიული თავდაცვითი ეშელონი, რომელიც მდინარეების — დასავლეთის დვინისა და დნეპრის გასწვრივ უნდა განლაგებულიყო, რათა მოსკოვისკენ მტრის მოძრაობა შეეჩერებინა. ამ მიზნით, სტალინმა საკუთარი სტრატეგიული რეზერვიდან 5 არმია გამოყო და ისინი დასავლეთის ფრონტსა და მის სარდალს — მარშალ ტიმოშენკოს გადასცა.

მაგრამ ამ არმიებმა ვერ მოასწრეს მყარი თავდაცვითი ზღუდის შექმნა და გერმანელებმა სწრაფად გადალახეს დნეპრი. 16 ივლისს გენერალ გუდერიანის ნაწილებმა სმოლენსკის ნაწილი დაიკავეს.

სმოლენსკის დაცემამ ძალზე მძიმედ იმოქმედა სტალინზე. თავიდან მან აკრძალა კიდეც ამ მოვლენის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება და ფრონტის სარდალს მოსთხოვა, რადაც უნდა დასჯდომოდა, ქალაქი გაეთავისუფლებინა. მაგრამ ეს მოთხოვნა ვერ შესრულდა, რადგან ქალაქის შემოგარენში ბევრი საბჭოთა ნაწილი ალყაში მოექცა და მტერთან უთანასწორო ბრძოლას ეწეოდა.

დასავლეთის ფრონტის სარდალი ტიმოშენკო მოსკოვში გამოიძახეს.

...სტალინის კაბინეტში პოლიტბიუროს წევრები შეიკრიბნენ; მათთან ერთად მარშალი ტიმოშენკო და გენერალური შტაბის უფროსი ჟუკოვი ესხდნენ დიდ მაგიდას. მწვავე, უსიამოვნო საუბრის ბოლოს სტალინმა თქვა:

— პოლიტბიურომ განიხილა დასავლეთის ფრონტის სარდლის პოსტზე ტიმოშენკოს საქმიანობა და მიიჩნია, რომ სმოლენსკთან ბრძოლისას მასზე დაკისრებულ მოვალეობას სათანადოდ ვერ გაართვა თავი. იმ დასკვნამდე მივედით, რომ დასავლეთის ფრონტის სარდლად ჟუკოვი უნდა გაიგზავნოს. — სტალინმა პაუზა გააკეთა და შემდეგ თავად ტიმოშენკოს მიმართა: — თქვენ რას ფიქრობთ?

ტიმოშენკო დუმდა. ან კი რა შეეძლო ეთქვა სამართლიან გადაწყვეტილებაზე?.. ამ დროს საუბარში ჟუკოვი ჩაერთო:

— ამხანაგო სტალინ, ფრონტების სარდალთა ხშირი შეცვლა ოპერაციების მიმდინარეობაზე უარყოფითად მოქმედებს. სარდლები საქმის კურსში შესვლასაც კი ვერ ასწრებენ და მყისვე უმძიმესი ბრძოლების წარმართვა უწევთ. მარშალი ტიმოშენკო მხოლოდ 4 კვირაა, ფრონტს სარდლობს. სმოლენსკთან ბრძოლების დროს მან კარგად შეისწავლა საჯარისო ნაწილების შესაძლებლობები. მან ყველაფერი იღონა, რაც კი შექმნილ ვითარებაში შესაძლებელი იყო და სხვა ვერავინ შეძლებდა მასზე მეტს. ჯარს სწამს ტიმოშენკოსი და სწორედ ესაა მთავარი. მიმაჩნია, რომ ფრონტიდან მისი მოხსნა უსამართლობაც იქნება და შესაძლოა, ძვირადაც დაგვიჯდეს.

გენშტაბის უფროსს კალინინმა დაუჭირა მხარი:

— კაცმა რომ თქვას, ჟუკოვი მართალია.

სტალინმა ჩიბუხი გააბოლა, პოლიტბიუროს წევრებს მოავლო თვალი და იკითხა:

— ხომ არ დავეთანხმოთ ჟუკოვს?..

მოლოტოვმა მტკიცე ტონით განაცხადა:

— ტიმოშენკოს ძალუძს მდგომარეობის გამოსწორება.

მერე მას სხვებმაც დაუჭირეს მხარი.

იაკობ ჯუღაშვილი

სტალინი სარდალს მიუბრუნდა და უბრძანა:

— დაუყოვნებლივ გაემგზავრეთ ფრონტზე და ყველაფერი იღონეთ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

კაბინეტიდან გავიდნენ თუ არა,

გაგრძელება იხ. გვ. 75

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი
იხ. „გზა“ №37-53, 2009

გოჩა მანველიძე

გოგა დაძაბული ელოდა პოლიციელების გამოჩენას. ეს ყველაფრის დასასრული იყო. მალე გათენდებოდა და ბადრაგი სოხუმში გადაიყვანდა. იქიდან კი თბილისში გაგზავნიდნენ და გიორგის გადასცემდნენ.

მისთვის ძნელი წარმოსადგენი არ იყო, თუ როგორ შეხვდებოდა გამომძიებელი. ძველ ბრალდებაზე ლაპარაკი აღარ იქნებოდა. გოგა დარწმუნებული იყო, რომ გიორგი მოასწრებდა ვითარებაში გარკვევას. ამისთვის მურთაზის სახლში მომხდარი შემთხვევაც საკმარისი იქნებოდა. გამორიცხული იყო, პოლიციელები არ დაინტერესებულიყვნენ მისი მოულოდნელი გაქცევით. შემდეგ კი ამოქმედდებოდა მოკვლევაძიების სტანდარტული მექანიზმი. მურთაზისთვის კი ცნობილი იყო, ვისაც შეხვდა სენაკში. ამას დაემატებოდა ჭიჭესთან დაკავშირებული ამბავი და...

„მაგრამ მოინდომებს კი გამომძიებელი ყველაფერში გარკვევას? — გონებაში გაუელვა გოგას. — კაცმა რომ თქვას, რისთვის უნდა შეიწუხოს თავი?! ჩემი გაქცევისთვის მკაცრად მოსთხოვდნენ პასუხს. იარაღი და მანქანა კი დავუბრუნე, მაგრამ რა შეიცვლებოდა ამით? მთავარი მაინც მე ვიყავი. მთავარი ეჭვმიტანილის გაქცევას არავინ აპატიებდა. იქნებ ძიებასაც ჩამოაშორეს და საქმე სხვა გამომძიებელს მისცეს? ის კი არც მოინდომებს ჩემს მოსმენას და რომც შევძლო სიმართლის დამტკიცება, ციხეს მაინც ვერ ავცდები. გამომძიებელზე თავდასხმისა და იარაღისა და მანქანის გატაცებისთვის დამსვამენ საბრალდებო სკამზე. ნეტავ რამდენს მომისჯიან?.. ალბათ ოთხ, ხუთ ან ექვს წელს!.. არა, ყველაფერი დამთავრდა. ამდენი ხნის შემდეგ, ვეღარც შევძლებ იმ არაკაცის მოძებნას. სისულელე გავაკეთე. არ უნდა გავქცეულიყავი, გამომძიებელი გონიერ კაცს ჰგავდა. მე თუ შევძელი ყველაფერში გარკვევა, ისიც მოახერხებდა ამას, მაგრამ ახლა მარტივია ამაზე მსჯელობა. მაშინ კი... მაშინ ხომ წარმოდგენა არ მქონდა იმ არაკაცის არსებობის შესახებ. ჩემთვის ნამდვილი შოკი იყო დედის ნაამბობი. ყველაფრის გააზრების დროც არ მქონდა. ყველაფერი ერთბაშად აირია. ამის მოსმენის შემდეგ როგორ უნდა გავყოლოდი გამომძიებელს, რომელიც არ მალავდა, რომ საკანში გამომწყვდევას მიპირებდა?! ჰოდა, თავი ვერ შევიკავე. სიფიცხემ მძლია. ბრაზმა დამიბნელა გონება. არა... არა... ბრაზი არაფერ შუაშია. რა მიშლიდა ხელს სენაკსა და ზუგდიდში? მაშინვე შემეძლო გამომძიებელთან დაკავშირება და მისი სწორ გზაზე დაყენება. მანქანა და პისტოლეტი?.. — საკუთარ თავს ჰკითხა გოგამ. — ამასაც მოევლებოდა. ერთ საქმეში გამართლება, თავისთავად გამამართლებდა მეორეშიც, მაგრამ მე სხვა გზით წავედი. თვითონ მოვინდომე იმ არაკაცის მოძებნა და აი, შედეგიც. მე ისევ საკანში ვზივარ, ის ნადირი კი თავისუფალია და ვინ იცის, ვისი ოჯახის გაუბედურებას გეგმავს ახლა?!.“

თანამოსაკნის მოულოდნელმა გამოცოცხლებამ გოგა ფიქრს მოსწყვიტა. რომა სწრაფად ადგა „ნარიდან“ და საკნის კარს აეკრა.

— რა მოხდა? — ჰკითხა გოგამ.

— რაღაც ხმაურია... თითქოს ყვირიან, — უპასუხა რომამ.

„მოდიან... ჩემს წასაყვანად მოდიან“, — მწარედ გაიფიქრა გოგამ.

სწორედ ამ დროს დერეფნის ბოლოდან ხმამაღალი ყვირილი გაისმა. გოგამ აზრი ვერ გამოიტანა აფხაზურ და რუსულ ენებზე წარმოთქმული ფრაზებიდან. თან, საკნის მასიური კარი ხმაურს ახშობდა. სამაგიეროდ, რომა სწრაფად ჩასწვდა მომხდარს.

— გადავრჩით... გესმის, რა ხდება?! — გახარებულმა გამოხედა გოგას. — ჩვენები მოვიდნენ!..

— ჩვენები?!

— ჰო, ჩვენებმა ამ დამპლებს დასცხეს!

ამასობაში ხმაური მოახლოვდა. დერეფანში რამდენიმე ადამიანი შემოვიდა. ისინი საკნის კართან შედგნენ.

რომამ მაშინვე უკან დაიხია და „ნარზე“ ჩამოჯდა. კარი გაიღო.

— რომა! — დაიძახეს გარედან.

— თემურ!.. — აფხაზი ტუსაღი მაშინვე ფეხზე წამოვარდა და დერეფანში გავარდა.

დერეფანში რამდენიმე ახალგაზრდა მამაკაცი იდგა. ზოგი სამოქალაქო ტანსაცმელში იყო გამოწყობილი, ზოგს სამხედრო ფორმა ეცვა. ყველა შეიარაღებული იყო. მხრებზე ავტომატები და შაშხანები გადაეკიდათ.

ვიდრე სხვები რომას ესალმებოდნენ, ერთ-ერთი საკანში შემოვიდა, „ნარზე“ მწოლიარე გოგა შეათვალიერა და ჰკითხა, ვინ ხარო?

— როგორ, არ იცნობ? — უმალ შეეხმიანა რომა.

— საიდან უნდა ვიცნობდე?! — გაუკვირდა ახალგაზრდას.

— ჩვენი ძმაა... რაულ ხიჟბა გსმენია?

— ხიჟბა?! — გამოცოცხლდნენ დანარჩენებიც. — საიდან მოხვდა აქ?

— მერე გვეტყვის... — ამ სიტყვებთან ერთად, რომა გოგას მიუბრუნდა და უთხრა, ადექი, მივდივართო.

— რა ხდება აქ? — ჰკითხა მან.

— მერე აგიხსნი ყველაფერს, — უპასუხა რომამ და დასახმარებლად ხელი გაუწოდა.

გოგა მალე მიხვდა, რაც ხდებოდა პოლიციაში. შენობაში არეულობა სუფევდა. შესასვლელსა და დერეფნებში შეიარაღებული აფხაზები ტრიალებდნენ. სამორიგეოს მახლობლად რამდენიმე ქართველი თანამშრომლისთვის მოეყარათ თავი და გაცხარებულები ესაუბრებოდნენ. ყველა ერთი და იმავეს გაიძახოდა, — ფაშისტები თავს დაგვესხ-

ნენ და თქვენ, როგორც ადგილობრივები, ჩვენ გვერდით უნდა დადგეთ და თავდამსხმელების გარეკვაში დაგვეხმაროთო.

გოგას დანახვაზე აფხაზები უფრო გაცეცხლდნენ.

— ვინ სცემა ამ ბიჭს?! — ყვირილით ეცნენ ქართველ პოლიციელებს.

— არ ვიცით... ეგ ბიჭი თვალით არ გვინახავს! — პასუხობდნენ ისინი, მაგრამ აფხაზებს არაფრის მოსმენა არ სურდათ. ისინი ლანძღვა-გინებას აგრძელებდნენ. ბოლოს კი ერთ-ერთმა მათგანმა ავტომატი მოიქნია და განაპირა მდგომ პოლიციელს დაარტყა კონდახი.

— ეგენი არაფერ შუაში არიან, — ჩაერია რომა, — ჩვენი ძმა გულბანის „სასტავმა“ სცემა.

— გულბანი სად არის?! — ისევ პოლიციელებს მიუბრუნდნენ აფხაზები.

— არ ვიცით... არ გვინახავს... — უპასუხეს მათ.

— გაგვასწრო დამპალმა! — გაშმაგდნენ აფხაზები. — მაგრამ არაფერია. შორს ვერ წავა. ადრე თუ გვიან, მაინც დავლევთ მის სისხლს!

გოგა რომასა და მის ორ ნაცნობთან ერთად გავიდა შენობიდან. აფხაზები ჩქარობდნენ, ისინი მოეშორებინათ იქაურობისთვის. გოგასთვის არაფერი უთქვამთ, მაგრამ თვითონაც ხვდებოდა, რომ თავდამსხმელები მხოლოდ იარაღითა და პატიმრების გათავისუფლებით როდი იყვნენ დაინტერესებულნი. შენობაში ჩასაფრება ჰქონდათ მოწყობილი. ქართველ პოლიციელებს შენობიდან გასვლის საშუალებას არ აძლევდნენ, ყველა მოსულს აკავებდნენ და იარაღს ართმევდნენ. ასეთი რამ მისი შენობაში ყოფნის დროსაც მოხდა. ორი ქართველი პოლიციელი ჩვეულებისამებრ, შენობაში შევიდა და მაშინვე თავდამსხმელთა ტყვეობაში აღმოჩნდა, მაგრამ მეორედ აფხაზებს აღარ გაუმართლა. სწორედ მაშინ, როცა გოგა და რომა პოლიციიდან გადიოდნენ, შენობასთან მანქანა შეჩერდა. მანქანაში ქართველი პოლიციელები ისხდნენ. მათგან ერთ-ერთმა მაშინვე იცნო პატიმრები, რომლებიც წესით, იზოლატორში უნდა მსხდარიყვნენ. თანაც, მათ გვერდით, ავტომატით შეიარაღებული ორი აფხაზი მიჰყვებოდა და შედეგმაც არ დააყოვნა. ეზოში მაშინვე სროლის ხმა გაისმა. საბედნიეროდ, პოლიციელმა პირველი ტყვია ჰაერში ისროლა. სროლის შემდეგ კი მისი ბრძანება გაისმა:

— იარაღი დაყარეთ, თქვენი დედა!..

პასუხად აფხაზები აქეთ-იქით გაცვივდნენ და ავტომატები მოიმარჯვეს. სამალავი მონახა რომამაც. ის გვერდით გახტა და ბრმა ტყვია რომ არ მოხვედროდა, მიწაზე გაწვა. მომხდარით დაბნეული გოგა კი პოლიციელის პირისპირ დარჩა.

დანარჩენი თვალის დახამხამებაში მოხდა. პოლიციელი მიხვდა, რომ აფხაზები იარაღის დაყრას არ აპირებდნენ და ცეცხლი გახსნა. აფხაზებმა სროლას სროლითვე უპასუხეს. შეტაკება სწრაფად დამთავრდა. პოლიციელმა ზედიზედ რამდენიმე ტყვია გაისროლა და ეზოდან გავარდა, აფხაზები უკან დაედევნნენ, მაგრამ შორს არ წასულან. გზაზე გასულებმა რამდენიმე ტყვია დაადევნეს გაქცეულს.

რომამ მხოლოდ ამის შემდეგ გაბედა თავის აწევა. და მაშინვე გოგას გახედა. ის ისევ კიბესთან იდგა და მთვრალივით ბარბაცებდა. მერე კი მოულოდნელად მოეშვა და ჩაიკეცა.

— რა მოგივიდა?! — რომა ერთი ნახტომით გაჩნდა მის გვერდით.

— დამჭრეს, — ამოილუღლუღა გოგამ და გვერდზე მიიჭირა ხელი.

რომამ ხელი მოაშორებინა, პერანგი აუწია და ჭრილობა დაათვალიერა.

ჭრილობა გამჭოლი იყო. პოლიციელის ნასროლი ტყვია გვერდში მოხვედროდა გოგას და მეორე მხარეს გასულიყო.

...სროლის დამთავრებისთანავე პოლიციის შენობიდან აფხაზები გამოიშალნენ.

— დამეხმარეთ... საავადმყოფოში უნდა წავიყვანოთ! — აფხაზებს გასძახა რომამ. მათ აქეთ-იქიდან ჩაავლეს გოგას ხელი და მანქანისკენ გააქანეს.

საავადმყოფოში მუშაობისას გოგას მრავალი იარა ჰქონდა ნანახი და ხვდებოდა, რომ მძიმედ არ უნდა ყოფილიყო დაჭრილი. მაგრამ ბოლო დღეებში გადატანილმა მღელვარებამ და ტვინის შერყევამ ისე დაასუსტა, რომ საავადმყოფოში მიყვანამდე დაკარგა გონება. არც ის გაუგია, ვინ და როგორ გაუკეთა ოპერაცია.

...გონებას წაფარებული ნისლი ნელა გაიფანტა. თავდაპირველად სმენა დაუბრუნდა. ხმადაბალი საუბარი ჩაესმა. შემდეგ შეხება იგრძნო — ვიღაცამ მაჯაზე შემოუჭირა თითები, პულსი შეუმოწმა და ჰკითხა, ჩემი თუ გესმითო?

— მესმის, — ოდნავ აამოძრავა ტუჩები გოგამ, შემდეგ კი მძიმედ გაახილა თვალები.

თეთრმა ჭერმა მაშინვე მიახვედრა, რომ საავადმყოფოს პალატაში იმყოფებოდა. მისი საწოლის გვერდით თმაჭაღარა, სანდომიანი მამაკაცი და ახალგაზრდა ქალი იდგნენ.

— როგორ გრძნობთ თავს? — ჰკითხა მამაკაცმა.

— ყელი მეწვის, — უპასუხა გოგამ.

— ნუ ღელავთ. ნარკოზის შემდეგ ჩვეულებრივი მოვლენაა, მალე გაგივლით, — უპასუხა კაცმა.

— ნარკოზის შემდეგ?! — გაიკვირვა გოგამ. შემდეგ კი ინსტინქტურად მოისინჯა ნაჭრილობევი გვერდი.

— ოპერაციას ნარკოზის გარეშე ხომ არ გაგიკეთებდით!

— გამჭოლი ჭრილობა მქონდა. ასეთ შემთხვევაში ადგილობრივი ანესთეზიაც საკმარისი იქნებოდა.

— ოჰო... — თავი გაიქნია ექიმმა. — ესე იგი, ქირურგიაშიც ერკვევით?

— ქირურგი ვარ, — უპასუხა გოგამ.

— ცეცხლნასროლ ჭრილობებთან თუ გქონიათ საქმე? — ჰკითხა ექიმმა.

— რა თქმა უნდა.

— მაშინ რატომ მსაყვედურობთ? — გაიკვირვა ექიმმა. — რა თქმა უნდა, ადგილობრივი ანესთეზიითაც შეგვეძლო ოპერაციის გაკეთება, მაგრამ ამაზე შეგნებულად ვთქვით უარი. ჭრილობის გაწმენდა-დამუშავების დროს რომ მოსულიყავით გონზე, შეიძლება, შოკში ჩავარდნილიყავით... მაგაზე ნუ ინერვიულებთ. მთავარი ისაა, რომ ოპერაციამ კარგად ჩაიარა. ჭრილობაში ტყვიის ფრაგმენტები არ აღმოჩნდა. ტყვიას არც რომელიმე შინაგანი ორგანო დაუზიანებია. ახლა თქვენი განკურნება ჭრილობის შეხორცებაზეა დამოკიდებული.

— სად არის ჩემი ტანსაცმელი? — მოულოდნელად ჰკითხა გოგამ.

— ტანსაცმელი? —

გაუკვირდა ექიმს. — რად გინდათ ტანსაცმელი?.. საავადმყოფოდან წასვლის ნებას მაინც ვერ მოგცემთ.

— როდემდე აპირებთ ჩემს აქ დატოვებას?

— ეგ ჩემზე არ არის დამოკიდებული.

— მაშინ ვისზეა დამოკიდებული?

— რიტა ყველაფერს აგიხსნით, — იქ მყოფ ქალზე მიანიშნა ექიმმა, — ჩემთან რაიმე თხოვნა ხომ არ გაქვთ?

— არა.

— მაშინ მე დაგტოვებთ, — თქვა ექიმმა და პალატიდან გავიდა.

ქალი ასე, 22-23 წლის იქნებოდა. მაღალი იყო, ვიწრო წელი და მოხდენილი ტანი, ღია თაფლისფერი თვალები ჰქონდა. გრძელი, ჩალისფერი თმა კონად შეეკრა, მუშაობაში რომ არ შეეშალა ხელი.

— თქვენ ვინ ბრძანდებით? — ჰკითხა გოგამ. — ექიმი?

— არა, მხოლოდ ექთანი ვარ, — უპასუხა რიტამ.

— და თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, რამდენ ხანს დავრჩები საავადმყოფოში?

— რა თქმა უნდა, არა.

— მაშინ რატომ თქვა ასე ექიმმა? — დაიბნა გოგა.

— იმიტომ, რომ მე რომას ბიძაშვილი ვარ.

— მესმის, მაგრამ რა შუაშია ჩემი საავადმყოფოში დარჩენა?

— რომას ის კი არ უთქვამს, საავადმყოფოში გამოკეტეთო. მხოლოდ გვთხოვა, ყურადღება მიაქციეთ და ყველაფერი გააკეთეთ, რომ რაც შეიძლება მალე გამოჯანმრთელდესო. მაინც სად მიგეჩქარებათ?.. საავადმყოფოში ყურადღება არ მოგაკლდებათ. თუ ოჯახის წევრებსა და ნათესავებს გინდათ აცნობოთ, რომ აქ ხართ, მითხარით მათი ტელეფონის ნომერი და მე დავუკავშირდები.

— არა... აქ ნაცნობები და ნათესავები არ მყავს.

— რაულ ხიჟბას არავინ ჰყავს ისეთი, ვინც საავადმყოფოში მოაკითხავს?!. — ეჭვით ჰკითხა რიტამ.

„ისევ ეს წყეული სახელი!.. — ბრაზით გაიფიქრა გოგამ. — სადაც უნდა წავიდე, ყველგან აჩრდილივით დამდევს. იმ აფხაზმა ბიჭმაც თავიდანვე არ დაიჯერა, რომ ხიჟბა არა ვარ. იმავეს ეტყოდა თავის ბიძაშვილსაც და ექიმებსაც. როდემდე გაგრძელდება ასე?! ალბათ მანამდე, ვიდრე თავად ხიჟბას არ მისწვდება ხმა, მისი ორეულის გამოჩენის შესახებ. მერე კი თვითონ მომძებნის და... განა მე მის მოსაძებნად არ ჩამოვედი აქ?!. ამისთვის ჩამოვედი, მაგრამ ასე დაცემული რომ მნახოს, ცხვარივით გამომჭრის ყელს!.. არა, აქ დარჩენა არ შეიძლება. ახლა დრო ჩემ წინააღმდეგ მუშაობს და ყოველი წუთი დამღუპველია. პოლიციაში უამრავმა აფხაზმა მნახა და ყოველი მათგანი დარწმუნებულია, რომ ხიჟბა ვარ. გუდაუთამდე კი არც ისე შორსაა, რომ იქამდე ხმის ჩაღწევას კვირა ან თვე დასჭირდეს. ერთ ან ორ დღეში ხიჟბას უკვე ეცოდინება ჩემ შესახებ. იქნებ უკვე იცის კიდეც და ამ წუთებში საავადმყოფოსკენ მოემართება!.. არა, როგორმე უნდა გავაღწიო აქედან, მაგრამ როგორ და სად წავიდე შემდეგ?!. პასპორტი პოლიციაში ჩამომართვეს. ესე იგი, რუსეთში ვერ გავალ. სოხუმისკენაც დაკეტილია გზები. როგორც აფხაზები ამბობდნენ, გუმისთაზე ორივე მხრიდან ისვრიან. ეს კი შეუძლებელს ხდის სოხუმში დაბრუნებას... მაგრამ აქ დარჩენაც არ შეიძლება. დაბრუნებაზე ფიქრს მერეც მოვასწრებ. პირველ რიგში, საავადმყოფოს უნდა მოვშორდე. ამ სუფთა პალატასა და ლოგინს, თხრილში ძილი მირჩევნია იქ უფრო დიდხანს ვიცოცხლებ“.

— დავუკავშირდე თქვენს ნათესავებს? — ისევ ჰკითხა რიტამ.

ვიდრე გოგა უარის მიზეზს მოიფიქრებდა, კარი გაიღო და პალატაში რომამ შემოაბიჯა. უკვე მოეშორებინა საკნის ჭუჭყი. პირი გაეპარსა. სამხედრო ქურთუკი ეცვა და მხარზე ავტომატი ჰქონდა გადაკიდებული.

— აბა, როგორა ხარ, ძმაო? — შინაურულად მოიკითხა რომამ და საწოლთან ჩამოჯდა.

— უკეთესად, ვიდრე „კაპეზეში“, — უპასუხა გოგამ.

— უკვე გაიცანით ერთმანეთი? — თავის ბიძაშვილს გახედა რომამ.

— გავიცანით, — დაუდასტურა რიტამ.

— რა თქვა ექიმმა? დიდი ხანი მოუწევს წოლა? — განაგრძო რომამ.

— ერთი კვირა — ძაფების ამოღებამდე, მერე კი — მდგომარეობიდან გამომდინარე. ნებისმიერ შემთხვევაში ათ დღეზე ადრე მისი საავადმყოფოდან გაწერა არ შეიძლება. მარტო ჭრილობაში არ არის საქმე, სხვა ტრავმებიც აქვს, პლუს — ტვინის შერყევა. ასე რომ, საჩქარო არაფერია, — უპასუხა რიტამ.

— ხედავ, რა ძვირი დაგიჯდა გულბანთან შეხვედრა! — გოგას მიუბრუნდა რომა. — მაინც შეგიძლია ჩათვალო, რომ ბედი გქონია. ჩვენი ბიჭები რომ არა, ახლა ცოცხალი აღარ იქნებოდი. საწყენია, მაგრამ გულბანი გაიქცა. ჩვენებმა მთელი გაგრა გადააქოთეს. საწყენია, მაგრამ ვერსად მიაგნეს. მაგრამ შენ გული არ გაიტეხო, მაინც მოვძებნით.

— სოხუმში რა ხდება?

— კარგი არაფერი, — უკმაყოფილოდ თქვა რომამ, — ქართველებმა კრიმინალები შემოგვისიეს.

— კრიმინალები?! — გაუკვირდა გოგას.

— ჰო, კრიმინალები. ეს ხალხი შევარდნაძემ ცოტა ხნის წინ სპეციალურად გამოუშვა ციხიდან. მერე იარაღი დაურიგა და აფხაზეთში გამოისტუმრა. გუმისთის მეორე ნაპირზე ძალიან ცუდი ამბები ხდება. ხალხს აყაჩაღებენ, ავიწროებენ. ქართველებს ჩვენი აქედან აყრა უნდათ. ეს ომია, ნამდვილი ომი და ყველა ვალდებულია, იარაღით ხელში დაიცვას აფხაზეთი!..

— მთავრობა?

— მთავრობა გუდაუთაშია. სერგეი კბარმა უკვე მოუყარა თავი მებრძოლებს... ხომ იცი, ვინც არის კბარი?

გოგას წარმოდგენა არ ჰქონდა, ვისზე ელაპარაკებოდა რომა, მაგრამ მაინც დაუქნია თავი.

— ქართველები მწარედ ინანებენ, აფხაზეთში ცხვირის შემოყოფა რომ გაბედეს. ჩვენთან უამრავი მებრძოლი ჩამოდის — ჩეჩნები, დაღესტნელები, ყაბარდოელები, ოსები. კრასნოდარისა და როსტოვის კაზაკობაც ჩვენთანაა. რუსებმა იარაღი მოგვცეს და კიდევ მოგვცემენ... არ მისმენ?! — სწრაფად თქვა რომამ,

როდესაც გოგას გულგრილი მზერა შენიშნა.

— მაპატიე, მაგრამ ოპერაციის შემდეგ თავს ცუდად ვგრძნობ, — საფეთქლები მოისრისა გოგამ.

— ჰო, შენ ხომ ტვინის შერყევაც გაქვს!.. კარგი, არ დაგღლი. თავი დავანებოთ ქართველებს და შენს საქმეზე ვილაპარაკოთ. აქ, გაგრაში თავდაცვის შტაბი შეიქმნა. ძირითადი ბრძოლები გუმისთაზე მიმდინარეობს, მაგრამ აქაურობასაც ვერ მივატოვებთ უყურადღებოდ. გაგრაში, ლესელიძეში, განთიადში მრავალი, შევარდნაძის მომხრე ქართველი ცხოვრობს. მაგ ხალხს საქართველოს მთავრობა დიდი ხნის განმავლობაში ამზადებდა ჩვენთან საბრძოლველად. იარაღიც აქვთ. ყარყარაშვილი სასეირნოდ და ფსოუს წყლის დასალევად კი არ შემოვიდა აფხაზეთში. ქართველებს იარაღი ჩამოუტანა. ახლა ეს ხალხი მარტო ნიშანს ელის. ყველა მოლაპარაკებების დამთავრებას ელოდება. თუ შევარდნაძემ ჩვენი მთავრობა დაითანხმა და უარი ათქმევინა აფხაზეთის დამოუკიდებლობაზე, არაფერი მოხდება, მაგრამ ამის შემდეგ ჩვენ აქ აღარ გვეცხოვრება. ქართველები მიწასთან გაგვასწორებენ. ამაზე კი ჩვენი მთავრობა არასოდეს წავა. რომც წავიდეს, ხალხი არ გაჰყვება. ქართველებზე ადრე, აფხაზეთიდან მთავრობას გააქრობენ და მაინც ძველ გზას გაუყვებიან. წინასწარ ვიცით, რომ ჩვენი მთავრობა და შევარდნაძის ბანდა ვერ შეთანხმდებიან. მაშინ დაიწყება ნამდვილი ომი და აქაური ქართველობაც აჯანყდება. ეს რომ არ მოხდეს, აქ მუდმივად უნდა იყოს რაღაც ძალა, რომელიც ქართველების მოთოკვას შეძლებს. მეც ამიტომ ვრჩები აქ. ჩვენმა ხალხმა აფხაზეთ-რუსეთის საზღვარი უნდა გააკონტროლოს. მერე...

— შენ თქვი, შენს საქმეზე ვილაპარაკოთო... — შეახსენა გოგამ.

— ჰო... — სწრაფად თქვა რომამ. — იმის თქმა მინდოდა, რომ შენ აქ გვჭირდები. რა თქმა უნდა, ახლა — არა. ჯერ ფეხზე უნდა დადგე. მაგრამ როცა გამოჯანმრთელდები, გვქონდეს შენი იმედი?

გოგას სადღაც შორიდან ჩაესმოდა მისი ხმა. თვალწინ სრულიად სხვა სურათი ედგა — ერეკლეს სახლი და მაგიდის გარშემო მსხდარი მისი მეგობრები. ისინიც ზუსტად ასე მსჯელობდნენ. განსხვავება მხოლოდ ერთ რამეში იყო: ერეკლეს მეგობრები მომავალ ომზე მსჯელობდნენ, რომა კი — უკვე დაწყებულ ომზე. დანარჩენში განსხვავება არ იყო. იგივე შემართება, იგივე სიტყვები — სამშობლო, პატრიოტიზმი, ბოლომდე ბრძოლა და როგორ მოიქცევიან ამ ომში რუსები.

— შენს პასუხს ველი, — განაგრძო რომამ, — ჩვენთან დარჩები თუ გუმისთის ფრონტზე წახვალ?

— ჯერ ვერაფერს გეტყვი, — პირდაპირ პასუხს თავი აარიდა გოგამ.

— რა გიშლის ხელს? — არ მოეშვა რომა.

— ჯანმრთელობა, — მოკლედ უპასუხა გოგამ.

რომა აშკარად დააბნია მისმა პასუხმა.

— კარგი, — თქვა მცირე ხნის შემდეგ, — ჯერჯერობით ხომ მაინც აქ იქნები. დროდადრო მოგინახულებ... ჰო, კიდევ ერთი რამ მაქვს სათქმელი. გუდაუთაში კაცს ვგზავნით და რამის დაბარება ხომ არ გინდა?

— არა.

— როგორ?.. შენს ახლობლებს არ უნდა გააგებინო, აქ რომ ხარ?! — გაუკვირდა რომას.

— არ არის საჭირო... — გოგა ცოტა ხნით ჩაფიქრდა და მერე დაამატა: — ორი სიტყვით ვერაფერს აგიხსნი. ჯერჯერობთ არ მინდა იმის გაბაზრება, აფხაზეთში რომ ვარ. ხვდები, რატომაც?

— ძებნა და ამბები?..

— მართალი ხარ.

— კარგი. მაშინ შენ თვითონ მითხარი, თუ რამის დაბარება დაგჭირდა ან კიდევ, რიტას გადაეცი... აბა, გამოჯანმრთელდი! — ამ სიტყვებთან ერთად, რომამ ხელი ჩამოართვა და პალატიდან გავიდა.

გოგამ ჩაფიქრებული მზერით გააცილა სტუმარი და როგორც კი მის ზურგს უკან კარი დაიხურა, რიტას მიუბრუნდა.

— ჩემი ტანსაცმელი მჭირდება.

— რად გინდა? მაინც ვერ ჩაიცვამ — სისხლითაა დასვრილი.

— არა აქვს მნიშვნელობა. მომიტანე!..

რიტა დაჟინებით ჩააცქერდა სახეში და მერე თქვა:

— ესე იგი, ქირურგი ხარ?

— რა მნიშვნელობა აქვს ამას?

— ხიჟბაზე სულ სხვა რამ მსმენია! — შენიშნა რიტამ.

— რა გირჩევნია — აქედან ცოცხალი წავიდე თუ შენ თვალწინ მომკლან? — მზერა გაუსწორა გოგამ.

— აქ არაფერი დაგიშავდება.

— მომიტანე ტანსაცმელი... გთხოვ... — თხოვნა გაუმეორა გოგამ.

რიტა მცირე ხანს უხმოდ შესცქეროდა. მერე შებრუნდა და სწრაფი ნაბიჯით გავიდა პალატიდან...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დასაწყისი იხ. გვ. 71

ტიმოშენკომ ჟუკოვს გადაულაპარაკა:

— ტყულიად გადაათქმევინე სტალინს. ძალიან დამღალა მისმა საყვედურებმა...

— არა უშავს, — მიუგო ჟუკოვმა, — ომს დავამთავრებთ და მერე დავისვენებთ. ახლა კი სასწრაფოდ, ფრონტზე.

ბრძოლები სმოლენსკის გარშემო მომდევნო თვეებში — ივლისსა და აგვისტოშიც გრძელდებოდა. პირველ სექტემბერს სტალინმა გასცა ბრძანება, დასავლეთის ფრონტი და 5 სარეზერვო არმია კონტრიერიშზე გადასულიყო, მაგრამ მათ ოპერაციის წარმატებით წარმართვა ვერ მოახერხეს, თუმცა ერთ-ერთმა სარეზერვო არმიამ მდინარე ელნასთან მტრის დიდი შენაერთი გაანადგურა. 10 სექტემბერს უმაღლესმა მთავარსარდალმა დასავლეთის, სარეზერვო და ბრიანსკის ფრონტებს უბრძანა, რადაც უნდა დასჯდომოდათ, შეენარჩუნებინათ დაკავებული პოზიციები.

გეორგი ჟუკოვი

საბოლოო ჯამში, სმოლენსკის ბრძოლის ფრონტი 650 კილომეტრის სიგრძეზე გაიჭიმა, ხოლო სიღრმეში 250 კმ-ს მიაღწია. ამ ბრძოლამ ჩაშალა გერმანიის სარდლობის გეგმები, რომლებიც მოსკოვისკენ შეუჩერებელ წინსვლას ითვალისწინებდა. ომის დაწყებიდან პირველად, გერმანული შენაერთები იერიშიდან თავდაცვით ოპერაციაზე გადავიდნენ. ამან საბჭოთა სარდლობას მოსკოვის მისადგომებთან მყარი ზღუდეების შექმნის შესაძლებლობა მისცა და გარკვეულწილად, დედაქალაქისთვის ბრძოლისას წარმატების მისაღწევად საჭირო საფუძველი შექმნა.

სტალინის პირადი ტრაგედია

1941 წლის 20 ივლისს გერმანულმა რადიომ და გაზეთმა — „ფელკიშერ ბეობახტერ“ გაავრცელეს ცნობა სტალინის შვილის, იაკობის ტყვედ ჩავარდნის შესახებ. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რაოდენ დიდი დარტყმა იქნებოდა ეს სტალინისთვის — როგორც მამისთვის და როგორც საბჭოთა არმიის უმაღლესი მთავარსარდლისთვის...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



სიკვდილის სუნთქვა

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“, № 51-53 2009

ერთი სიტყვით, კახი ანდრონიკაშვილი ბოლომდე გამოცანად რჩებოდა ყველასთვის და ეს ძალზე აღვივებდა მის მიმართ პუბლიკის ინტერესს.

— აბა, რას იტყვი, დაინტერესდი? — აზრები მამუკას უხეშმა ხმამ გამიწყვიტა.

— საკმარისად საყურადღებოა, — დავყარე ფარ-ხმალი, — მაგრამ შენ ხომ იცი, რომ ეს ჩემი სფერო არ არის, მე უფრო სერიოზულ თემებზე მიყვარს მუშაობა. სკანდალები და ჭორები თამუნას აბარია... იქნებ მისთვის დაგერეკა? მე ნაკლებად მეხერხება მსგავსი რამეები.

— თამუნა კახეთშია. შენ კი პირდაპირ იქ ხარ, სადაც უნდა იყო, — ლამის მიყვირა რედაქტორმა, მისი წეღანდელი მხიარული ტონისგან ერთი ნოტიც აღარ დარჩა, — გარდა ამისა, აქ არც ერთი ნორმალური ჟურნალისტი არ მყავს, ყველა შვებულებაშია. ნუცას ხომ არ დავავალებ! ორ სიტყვას ძლივს აბამს ერთმანეთს. ასე რომ, შენ მოგიწევს ამ საქმის გაკეთება და არ დამაღალატო, იცოდე! მიდი და როგორმე გამოსტყუე ინტერვიუ, სანამ სხვებს გაუგიათ ამის შესახებ, თორემ ვერაფრით გაპატიებ, სიხარულო!

— მოიცა, მოიცა, ძალიან ნუ ჩქარობ, უფროსო! — გავაწყვეტინე. — თავადაც კარგად მოგეხსენება, რომ ის კაცი პრესასა და ტელევიზიას ახლოსაც არ იკარებს. გგონია, ასე ადვილია? ინტერვიუს კი არა, ავტოგრაფებსაც არ იძლევა, როცა წიგნის პრეზენტაციას აწყობს. არ იცი, რომ ასეა?

— ვიცი, მაგრამ არ მაინტერესებს. მოიფიქრე რამე. თავის შენიღბვა კარგად გეხერხება, როცა მოისურვებ. ფოტოების გადაღებაც არ დაგავიწყდეს. შენი იმედი მაქვს, იცოდე! ამაზე არა მხოლოდ ჩვენი გაზეთის ბედი, არამედ შენი კარიერაც არის დამოკიდებული!

— როგორ, როგორ?! რაღაც ვერ გავიგე... — შუბლი შევჭმუხნე მის ბოლო სიტყვებზე.

— რაც გითხარი. თუ ამ მასალას მოიპოვებ, დაგაწინაურებ.

— საინტერესოა, რა თანამდებობაზე? შენს ადგილს ხომ არ მითმობ, შეფ?.. — სიცილი ვერ შევიკავე.

— მაგაზე მერე ვილაპარაკოთ. გარდა ამისა, კარგ ჰონორარსაც გპირდები და პრემიასაც... ჯერარნახულს, ჯერარგაგონილს!.. — და პასუხის გაცემა არ მაცადა, ისე გამითიშა.

ესეც ასეეეე! ჩემმა ძვირფასმა უფროსმა, ფაქტობრივად, ულტიმატუმი წამომიყენა, თან დამაინტრიგა — დაწინაურება, კარგი ჰონორარი, პრემია და რამეეეეე! ასეთი უცნაური კაცია მამუკა, ყოველთვის გადამწყვეტ რაუნდს იღებს, როცა საქმეს სჭირდება... ვნახოთ, ვნახოთ!.. მე რა უნდა გავაკეთო? როგორ მივუდგე ამ საქმეს? წამით წარმოვიდგინე, როგორი გაუბედავი ნაბიჯებით ჩავსაფრდებოდი კახის სახლთან და ვიოცნებებდი, რა გზით შემეღწია შიგნით...

ერთი საათის შემდეგ უკვე გზას ვადექი და ანდრონიკაშვილის აგარაკს ვეძებდი თვალებგაფაციცებული. ქუჩა დამთავრდა და ის იყო, მარჯვნივ გავუხვიე, რომ ჩემ წინ დიდი, შთამბეჭდავი ორნამენტებით მოჩუქურთმებული რკინის ჭიშკარი აღიმართა, რომლის მიღმაც ულამაზესი ორსართულიანი სახლი მოჩანდა.

მღელვარებით შევათვალიერე გარემო, განსაკუთრებით კი ალაყაფის კარმა დამაინტერესა. აშკარაა, დისტანციური მართვის პულტით იღება. აი, მარცხენა კუთხეში ვიდეოკამერაც კი არის დამონტაჟებული. ვაი, ქეთი, შენს თავს! აქ მე ვინ შემიშვებს?! კუდამოძუებულს გამომაბუნძულებენ აქედან, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა გაიგებენ, ვინც ვარ! ნამდვილად არ იქნება ადვილი შიგნით შეღწევა! მაგრამ — არა! ასე ადვილად დანებებას არ ვაპირებ! პატივცემულმა კახიმ ჯერაც არ იცის, ვისთან მოუწევს საქმის დაჭერა! აბა, ქეთი რისი ქეთია, ეს ვერ მოახერხოს! ასეთები მომითვინიერებია?!

ჯიქურ გავემართე ჭიშკრისკენ. შიში წამიერად სადღაც გაქრა. კამერამ, რა თქმა უნდა, მაშინვე დამაფიქსირა.

— ვინ გნებავთ? — შიდა კავშირით გაისმა მიკროფონში მამაკაცის ხრინწიანი ხმა. — თუ შეიძლება, გვითხარით, რა არის თქვენი სტუმრობის მიზეზი!

— ბატონ კახისთან ვარ, — სრულიად დამაჯერებლად წარმოვთქვი და ვიგრძენი, სისხლი როგორ გამეყინა ძარღვებში.

ჩემდა გასაოცრად, რაღაც გატკაცუნდა და ალაყაფში გამოჭრილი ვიწრო კარი ავტომატურად გაიღო.

ვა�ა! ასე ადვილად?! აი, რას ნიშნავს გულწრფელობა! პატიოსნება ყოველთვის კარგი პოლიტიკაა! ვითომ?.. ასე ბრმად ენდნენ ჩემს სიტყვებს?.. არა, აქ რაღაც ისე ვერ არის! ძალზე უპრობლემოდ გამოვიდა ყველაფერი.

სახლის ფასადი ზღაპრულად ლამაზი იყო. ვარდისფრად შეღებილ კედლებს ფანჯრებზე ჩამოფარებული, მუქი მწვანე ფერის ფარდები ამშვენებდა. ცენტრალური კარი ღია იყო, თითქოს გულღიად მეპატიჟებოდა შიგნით, იდუმალი მასპინძლის გასაცნობად. მეორე სართულის აივნის მთელ გაყოლებაზე თიხის ქოთნებში ჩარგული უიშვიათესი ყვავილები ჩაემწკრივებინათ. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებდა სახლის პატრონის უზადო გემოვნებაზე.

ერთი, ჩემი გულისცემისთვის მოასმენინა ახლა ანდრონიკაშვილს! ეგრევე გამშიფრავდა და ზღურბლის გადალახვასაც არ მაცდიდა, კინწისკვრით მომისვრიდა აქედან!

მეტი რაღა უნდა ინატროს ასეთი სიმდიდრის პატრონმა?! ეჰ, მეც რა სიამოვნებით ვიცხოვრები ასეთ სახლში!..

არც იოცნებო, ქეთი! მსგავსი ფუფუნება მხოლოდ რჩეულთა ხვედრია!.. კი, როგორ არა?! რჩეული რა შუაშია?! რითი არიან ჩემზე უკეთესები ისინი?! უბრალოდ, გაუმართლა და მეტი არაფერი! რა ბედნიერია ის ქალი, ვისაც ამ სახლის პატრონი შეიყვარებს და ცოლად დაისვამს! აფსუს! რა ბედი აქვს ზოგიერთს!

წითელი მარმარილოს რამდენიმე საფეხური ავიარე და ღია კარს მივადექი. ცხელ ჰაერს ყვავილების სურნელი ჩემამდე მოჰქონდა. ნეტავ, არ ჩამეცვა ეს თეთრი სარაფანი! ცოტა არ იყოს, არასერიოზულ შთაბეჭდილებას ვტოვებ. აბა, რა მექნა, შორტით ხომ არ მოვიდოდი?!

უეცრად წინ ვიღაც ამესვეტა. მოულოდნელობისგან შევკრთი — ჩემ პირდაპირ თვით კახი ანდრონიკაშვილი იდგა!..

წამით მთელი სამყარო ატრიალდა. ჯანდაბას! ცხოვრებაში რა სიმპათიური ყოფილა! სიმპათიური კი არა, ლამაზი! ვიგრძენი, როგორ ამიჯანყდა სულიც და სხეულიც! მისი ერთი მახვილი მზერა და... ბრინჯივით დავიბენი! რა თვალები აქვს! მონაცრისფრო-მომწვანო... თუ მოლურჯო?.. რას გაიგებ, წამდაუწუმ ეცვლება ფერი! თხელი საზაფხულო პიჯაკი ეცვა, კრემისფერი და ამავე ფერის შარვალი, საოცრად ელეგანტურად გამოიყურებოდა. ერთიანად შემძრა მისმა გარეგნობამ. არა, ჩემი გული ამას ვერ გადაიტანს! ჯერ ტიმი თუ თემური ვერ მომინელებია, ახლა ეს! არადა, სულაც არა ვარ ასეთი! რა მემართება ბოლო ხანებში? რაღაც ძალიან ცუდად მოქმედებენ მამაკაცები ჩემზე... ძალიან ამაღელვებლად... შემთხვევით, სიბერისკენ ხომ არ მივდივარ?.. გულში გამეღიმა.

ჩემზე დაახლოებით ათი-თორმეტი წლით იქნებოდა უფროსი, სიმაღლით — ასოთხმოცდაათი სანტიმეტრი. მის მკაცრ, მაგრამ ლამაზ პირისახეს მუქი წაბლისფერი თმა აგვირგვინებდა, სწორი და მოკლედ შეკრეჭილი. ფოტოებზე რამდენჯერმე მინახავს და ვიცოდი, მომხიბვლელი მამაკაცი რომ იყო, მაგრამ ასეთ მომაჯადოებელ, მაგნიტივით მიმზიდველ გამოხედვას მართლა არ ველოდი. ამისთვის ნამდვილად არ ვიყავი მზად. ასე მეგონა, თითქოს უკვე ვიცნობდი მას, თითქოს სადღაც შევხვედრივართ ერთმანეთს, ამავე დროს, ზუსტად ვიცოდი, რომ ცხოვრებაში არასდროს მყავდა ნანახი.

— კი, მაგრამ აქამდე სად იყავით, რატომ დააგვიანეთ? — გაღიზიანებულმა მესროლა. — უკვე სამი საათია, გელოდებით!

მრისხანების ასეთმა მოულოდნელმა გამოვლინებამ იმდენად დამაბნია, ენა ჩამივარდა. რა ხდება? ვიღაცაში ვეშლები?.. ხელები ისე ამიკანკალდა, სად წამეღო, არ ვიცოდი, გაოგნებული აქეთ-იქით ვაცეცებდი თვალებს.

— სააგენტოდან არ ხართ? — ცივად მკითხა ანდრონიკაშვილმა და თავიდან ბოლომდე შემათვალიერა.

„მათვალიერე, ჰო! მოგეწონე? ასეთ სილამაზეს არ ელოდი? ძალიანაც კარგი, ჯერ სად ხარ!“ — ჯიბრიანად გავივლე გულში და შეცბუნებულმა გაღიმების მეტი ვერაფერი მოვახერხე.

მისმა შეკითხვამ მიმახვედრა, რომ დადებით პასუხს თუ არ გავცემდი, ეგრევე მომისროდნენ აქედან, ამიტომაც გონებას მოვუხმე, ნერვები დავიწყნარე და მამაკაცს თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე, თუმცა აზრზე არ ვიყავი, რომელ სააგენტოზე იყო ლაპარაკი და საიდან ვიყავი გამოძახებული. ერთადერთი, ის ვიცოდი მხოლოდ — შანსი ხელიდან არ უნდა გამეშვა.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი, — თქვა მამაკაცმა და მბრძანებლური ჟესტით მიმანიშნა, უკან მივყოლოდი, — ორი საათია, ბავშვი ტირის და ვერ გავაჩერეთ.

კახას ხმაში გაღიზიანება და შეშფოთება ერთდროულად გაისმა. უხმოდ შევყევი სახლში და დაველოდე, როდის ჩაკეტავდა მასპინძელი კარს და ირგვლივ მერე მიმოვიხედე.

აი, ამას ჰქვია ლომის ხახაში ჩავარდნა! რომ იცოდეს, ვინ ვაარ! კიდევ კარგი, არ იცის! შევხედე. თვალებში ჩამაშტერდა. ძრწოლამ ამიტანა, მის მზერას ვერ გავუძელი.

— იმედია, ყველაფერი დაწვრილებით აგიხსნეს, სანამ გამოგიშვებდნენ! — მამაკაცი დაჟინებულ მზერას არ მაცილებდა.

გონზე არ ვიყავი, რის შესახებ მელაპარაკებოდა, ამიტომ კვლავ თავი დავუქნიე.

— ჩინებულია. მაშინ პირდაპირ ნუკისთან წაგიყვანთ! — პირქუშად ჩაილაპარაკა. — საქმეებზე მოგვიანებით დავილაპარაკოთ.



„მადლობა ღმერთს!“ — გავიფიქრე და არეული ნაბიჯებით მივყევი მარმარილოს კიბეზე ამავალ მასპინძელს.

კახიმ გრძელი დერეფანი ჩქარი ნაბიჯებით გაიარა. სწორედ ამ დროს მომესმა ჩვილის ღნავილი. რაც უფრო ვუახლოვდებოდით დერეფნის ბოლოს, მით უფრო ძლიერდებოდა ბავშვის ხმა, ხოლო როგორც კი ოთახის კარი შეაღო, გულამოსკვნილმა ტირილმა ყურები გამიყრუა.

ოთახის შუაგულში პატარა, ლამაზი საწოლი იდგა, რომელზეც ხანში შესული კაცი დახრილიყო და ჭირვეული ჩვილის დაწყნარებას მთელი მონდომებით ცდილობდა. როგორც კი ჩვენი ნაბიჯების ხმა გაიგონა, უცნობი წელში გაიმართა და მოგვაჩერდა. ჩემს დანახვაზე თითქოს შვება იგრძნო, ნათელი გადაეფინა სახეზე.

— ვერაფერი მოვუხერხე, რა ვქნა?! — შეწუხებული ხმით წარმოთქვა მამაკაცმა და მზერა კახიდან ჩემზე გადმოიტანა.

— არა უშავს, ანდრო, ნუ ნერვიულობ. შენ ყველაფერი გააკეთე, რაც შეგეძლო. მადლობელი ვარ. დანარჩენს ძიძა მიხედავს.

ანდრონიკაშვილის ხმა პირქუშად ჟღერდა, მაგრამ ამავდროულად, ჰიპნოზივით მოქმედებდა ჩემზე. ჩემდა უნებურად, ირგვლივ მიმოვიხედე, თვალებით ძიძას ვეძებდი, იმას, ვისაც ბავშვის დაწყნარება შეეძლო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! ოთახში ჩვენ გარდა არავინ იმყოფებოდა!.. ახლა კი გამინათდა გონება, მაგრამ ვაი, ასეთ „განათებას“!

თურმე რაში ყოფილა საქმე! შეცდომით, მე ჩამთვალეს აღმზრდელად! ესე იგი, ძიძა მე ვარ! ეს მე გამომიძახეს თურმე სააგენტოდან! საინტერესოა, საიდან ჩამოვედი — თბილისიდან თუ ბათუმიდან? იქნებ ადგილობრივი მოსახლე ვარ? ამის გარკვევა არ გინდა? როგორ მერხევა, ჯერ მე თვითონაც არ ვიცი! ეს რა ყულფში გავყავი თავი! ოოოჰ, მამუკა, მამუკა! რა შარში გამხვიე, რომ იცოდე!

— აბა? რაღას ელოდებით? პირველად ხომ არ ხედავთ პატარას? — თითქმის დამცინავად გაისმა კახის ხმა, როცა ჩვილი ტირილით ლამის ჩაბჟირდა.

ამასობაში ანდრომ დრო იხელთა და ხელების ქნევით გავიდა ოთახიდან, თითქოს დამნაშავე ყოფილიყო, რომ ბავშვი ვერ გააჩერა. ლამის წონასწორობა დავკარგე, სანამ საწოლს მივუახლოვდებოდი, თან იმაზე ვფიქრობდი, რა შეიძლებოდა, ასეთი განწირული ტირილის მიზეზი ყოფილიყო. იქნებ შია? იქნებ ჩასვრილია და ტაკუნები ეწვის? ვინ იცის, ბოლოს როდის გამოუცვალეს პამპერსი?! იქნებ სწყურია? არადა, სულ რამდენიმე თვის წინ დავწერე არაჩვეუ-

ლებრივი სტატია ჩვილების მოვლის თაობაზე, თან დიდხანს ვიმუშავე ამ თემაზე, თითქმის მთელი თვე, რომ კარგი გამომსვლოდა. ოღონდ პრობლემა ის იყო, რომ მე მხოლოდ თეორიული გამოცდილება მივიღე და არა — პრაქტიკული.

— მას შემდეგ ტირის, რაც მოიყვანეს და თითქმის არ გაჩერებულა, — დაძაბული ხმით ჩამაბარა ანგარიში კახიმ, — ძალიან ვნერვიულობ მასზე, მეცოდება.

თანაგრძნობით გავხედე პოტენციურ მამას.

ამ დროს პატარამ ახალი „შემართებით“ დასცხო ღნავილი. კახიმაც ვერ მოითმინა, საწოლს მიუახლოვდა და ბავშვს დახედა.

— ხელშიც ავიყვანე, საფენებიც გამოვუცვალე, ვაჭამე კიდეც... არაფერმა უშველა, მაინც ტირის, — თავს იმართლებდა აღელვებული ანდრონიკაშვილი. — ასე უმწეოდ არასდროს მიგრძნია თავი! — თქვა და თმაზე ნერვიულად გადაისვა ხელი.

მსუბუქად ავზიდე წარბები. რა საოცარია!.. ასეთმა პატარამ როგორ უნდა აიძულოს ასეთი ძლიერი მამაკაცი, თავი უმწეოდ იგრძნოს?! თან, ასე გულახდილად აღიაროს სიმართლე სრულიად უცნობი ქალის წინაშე!.. მზად ვიყავი, ნაძლევს ჩამოვსულიყავი, რომ ამ კაცს აქამდე სისუსტე არასდროს გამოუჩენია და რომ ეს პირველი შემთხვევა იყო მის ცხოვრებაში.

ხელი გავიწვდინე და გოგონას შუბლს ფრთხილად შევეხე... თითქოს ჩემი შეხება იგრძნოო, ჩვილმა ტირილი ნელ-ნელა შეწყვიტა და ღუღუნზე გადავიდა. უპირატესობა ვიგრძენი და ეს უპირატესობა რომ არ დამეკარგა, სწრაფად დავიხარე და ბავშვს ყურთან ვუჩურჩულე:

— რა გვინდა, პატარავ? რატომ ვტირით?

ნუკიმ თავი ჩემკენ მოაბრუნა და თითქოს შემომხედა. ტირილისგან ციცქნა სახე ერთიანად გასწითლებოდა. წამიერად საოცარი სინაზე დამეუფლა და ძლიერმა სურვილმა წამომიარა, მეზრუნა მასზე, მაგრამ ამ დროს ბავშვმა ისეთი ძალით დაიწყო კვლავ ტირილი, შეშფოთებულმა ხელი შევუშვი.

„საწყალი პატარა, — სევდიანად გავიფიქრე, — ალბათ ეგონა, დედა დაბრუნდაო, ამ დროს კი სრულიად უცხო დეიდა შერჩა ხელთ... მაგრამ რაღაც დღეების ჩვილმა როგორ შეიძლება დედის და სხვა ქალის გარჩევა შეძლოს?! არა, აქ რაღაც სხვა ამბავია“.

— იქნებ აქედან ამოსვლა და ხელში დარწევა გინდა?.. — გაუბედავად წარმოვთქვი და ნუკის ხელი დავავლე, საწოლიდან რომ ამომეყვანა. თავი ფრთხილად დავუჭირე და მოხერხებულად გადავიწვინე მკლავზე. ბავშვმა მაშინვე შეწყვიტა ტირილი და თვალები გაახილა. მომეჩვენა, რომ შემომხედა თავისი ლურჯი, ცრემლიანი გუგებით. რამდენიმე წუთით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

— აბა, არ მეტყვი, რატომ ტიროდი? — ხმადაბლა ვკითხე და მარჯვენა ხელის ზურგი ლოყაზე ჩამოვუსვი. მოულოდნელად ჩვილმა გაიფართხალა და თავისი პაწაწინა ხელით ჩემს საჩვენებელ თითს ჩააფრინდა, თითქოს ეშინოდა, არ გავქცეოდი.

და სწორედ ამ დროს ამომიტივტივდა მომავალი სტატიის მთავარი არსი — დიდი ალბათობა იყო, ეს საოცარი არსება უდედოდ დარჩენილიყო. ჯული მარგველაშვილი საავადმყოფოში წევს და არავინ იცის, ოდესმე მოვა თუ არა გონს. იქნებ ამის გამოც არის ანდრონიკაშვილი ასეთი შეწუხებული?..

იღბალიც ამას ჰქვია! სწორედ იმ იშვიათ მომენტში დავადექი საქვეყნოდ ცნობილ მწერალს თავზე, როცა იგი სასოწარკვეთილია და თავის სისუსტეს დაუფარავად ავლენს. იქნებ, ამწუთას რომ გამოვუტყდე, ვინც ვარ, დამთანხმდეს კიდეც ინტერვიუზე? ვეტყვი, რომ არანაირი ძიძა არა ვარ, რომ გაზეთიდან გამოვეცხადე და... რატომაც არა? მადლობელიც დამრჩება, ბავშვი ხომ გავაჩუმე!

— როგორც ჩანს, მოეწონეთ ნუკის, იცით?.. — მომესმა მისი შვებამოგვრილი ხმა. — ჰო, მართლა, რა გქვიათ, როგორ მოგმართოთ?

ერთხანს ვყოყმანობდი, მაგრამ ბოლოს მაინც სიმართლის თქმა ვარჩიე:

— ქეთი... ქეთი კანდელაკი.

მამაკაცი კვლავ მოიქუფრა. მის სახეზე უეცრად მკაცრი გამომეტყველება აღიბეჭდა. ამან, ცოტა არ იყოს, შემაშინა. ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, ჩვეულებრივ, სწორედ ასეთი სახე გაუხდებოდათ ხოლმე რესპონდენტებს, როცა ჟურნალისტები „იძულების წესით“ მათთან კონტაქტის დამყარებას ცდილობდნენ.

— მე კი სააგენტოში სხვა სახელი და გვარი მითხრეს... თუ არ ვცდები, ვინმე მეგის ველოდი...

— მეგი ჩემი ნამდვილი სახელია, მაგრამ ასე აღარავინ მომმართავს, არ მიყვარს ეს სახელი. სამსახურშიც და ახლობლებშიც ქეთით მიცნობენ და ასევე მომმართავენ, ჩემი ნათლობის სახელია, — არ დავიბენი და წამში ისეთი ტყუილი გამოვაცხვე, თავადაც დავიჯერე ლამის; მერე კეკლუცად გავიღიმე და კახის მივუბრუნდი: — ხომ მართლა ცუდი სახელია, რას იტყვით?

— მე მხოლოდ ერთი რამ მაღელვებს, ქეთი — რამდენად კვალიფიციური ძიძა ხართ. სააგენტოში კი მარწმუნებდნენ, პროფესიონალიაო, მაგრამ რა ვიცი... ვნახოთ, — მამაკაცს ტონი მკვეთრი გაუხდა.

აუუუუ! რა მაგარი წერილი გამომივა! აი, ეს არის კახი ანდრონიკაშვილის ნამდვილი სახე! და არა ის დაყენებული პოზა, ფოტოებსა თუ ეკრანზე რომ ჩნდება ხოლმე ხანდახან. ძალიან ცოტა ხანი მჭირდება იმისთვის, რომ კარგი სტატია გამოვაცხო. როგორი კმაყოფილი დარჩება მამუკა! ახლა რომ სარკეში ჩამახედა, ჩემს ლამაზ თვალებში აცეკვებულ ჭინკებს ადვილად შევამჩნევდი.

— მე ძალიან მაღალი კვალიფიკაცია მაქვს, ამაში ეჭვი არ შეგეპაროთ! — დამაჯერებლად ვთქვი და თვალი თვალში გავუყარე ჩემს „დამქირავებელს“.

პატარამ კიდევ კარგა ხანს იფართხალა ჩემს მკლავზე, მერე უცებ თათუნები შემიშვა და პირდაპირ თმაზე მეძგერა.

— აიიი! — მსუბუქად წამოვიყვირე, როცა ნუკიმ თმა მომწიწკნა. — ერთი ბეწოა და როგორი ძალა აქვს! — გავიცინე და ბავშვს ფრთხილად გავაშვებინე ხელი.

პატარამ ახლა კახისკენ გაიწვდინა პაწაწინა თითები. მამაკაცს უცებ დაუთბა გამომეტყველება.

— ეშმაკუნა, როცა მე და ანდრო ვიყავით შენთან, მაშინ რაღაზე ტიროდი?! — გაიღიმა კახიმ. — შენ რა, მხოლოდ ქალებთან არ ჭირვეულობ?

გოგონამ გაიცინა და ისე შეხედა, თითქოს კახის ყოველი სიტყვა გასაგები იყო მისთვის.

— იქნებ დედას ვაგონებ?.. — გავთავხედდი და ვიკითხე ისე, ჩემთვის... — თმა ორივეს ერთი ფერის გვაქვს.

მამაკაცმა გამჭოლი მზერა მესროლა... თუმცა კითხვაზე პასუხის გაცემა არც უცდია. მისმა დუმილმა და გამოხედვამ ადგილს მიმაყინა. ალბათ ახლა მომისვრის აქედან და ღირსიც ვიქნები! მაგრამ ჯერ ვაჩვენებ, რა შემიძლია! ასე ადვილი კი არ არის ჩემი თავიდან მოშორება!

— მე... მე... რა თქმა უნდა, ისე თავბრუდამხვევად არ გამოვიყურები, როგორც ჯული მარგველაშვილი... ის ულამაზესი ქალია... მე ვიტყოდი — არაბუნებრივად ლამაზი... ნუკი ძალიან ჰგავს დედას, არა? — გავაგრძელე შემპარავი მონოლოგი, ბავშვი კიდევ ერთხელ დავარწიე მკლავებში და მთავარი კითხვა დავუსვი: — თუ მიგაჩნიათ, რომ თქვენ უფრო გგავთ?

თვალს არ ვაშორებდი მის სახეს, მთელი მონდომებით ვცდილობდი, მის ნაკვთებში ან თვალებში მეპოვა პასუხი, მაგრამ ამ ნიღბის მილმა ძნელი იყო რამის ამოკითხვა. ერთადერთი, ოდნავ შეერხა ტუჩები — ეს იყო და ეს. მოულოდნელად მამაკაცი შეირხა და ირიბად გამომხედა.

— თუ თქვენ ასე გეჩვენებათ, ქალბატონო ქეთი...

არ მოვეშვი:

— მაგრამ თავად როგორ ფიქრობთ?

კახიმ ცალი წარბი ასწია:

— იცით?.. ნამდვილად, არა მაქვს იმის დრო, ჩემს შინამოსამსახურეებთან მსგავს სისულელეებზე ვიმსჯელო.

აჰაააა! ყველაფერი გასაგებია! იგი ამპარტავანი არა მხოლოდ პრესის წარმომადგენლებთანაა, არამედ სხვა ადამიანებთანაც, — რა თქმა უნდა, მათი სოციალური სტატუსის გათვალისწინებით. ერთი ამას დამიხედეთ! როგორი სნობი ყოფილა! რა უცებ აღმართა კედელი საკუთარ თავსა და „დაბალ ღობეს“ შორის! ცხოვრებაში არ დაუშვებს ალბათ, ძიძა-

სთან თავის პირად ცხოვრებაზე ისაუბროს. ამას იკადრებს?! უკაცრავად! ძალიან გავბრაზდი.

— დროა, საქმეს მივხედოთ, — უეცრად შეცვალა საუბრის თემა ანდრონიკაშვილმა. — თქვენი ოთახი იქ არის, — და ხელი მარცხნივ, კედელში ჩაშენებული კარისკენ გაიშვირა. — ვუთხრა ანდროს, რომ თქვენი ნივთები შემოიტანოს?

ამ სიტყვებზე დამცეცხლა. გამოდის, ძიძამ ამ სახლში უნდა იცხოვროს?! მაგრამ მე რომ თან არაფერი წამომიღია?! ეს რომ გაიგოს, მაშინვე ეჭვი გაუჩნდება. რაღაც უნდა მოვიფიქრო!.. გონება მსწრაფლ ამუშავდა, რამდენიმე წამი და პასუხი მზად მქონდა.

— არა, გმადლობთ, მე თვითონ მივხედავ მაგ საქმეს, — სწრაფად წარმოვთქვი, თან გული გამალებით მიცემდა.

საინტერესოა, დიდხანს გაგრძელდება ეს ყველაფერი?! ნამდვილი ძიძა სადღა არის? ის რომ გამოჩნდება, რა უნდა ვქნა? როგორ მოვიქცე?

— როგორც გნებავთ, — კახიმ მაჯის საათს დახედა. — მიხედეთ ნუკის და როცა დააძინებთ, ჩემთან შემოდით კაბინეტში. დაახლოებით ათ წუთში გელოდებით! — მისი სიტყვები ბრძანებას უფრო ჰგავდა, ვიდრე თხოვნას. — კაბინეტი პირველ სართულზეა, კიბის გვერდით.

— მაგრამ არ ვიცი, ათ წუთში შევძლებ თუ არა მის დაძინებას, — შევეპასუხე.

— ეცადეთ, ქეთი, ძალიან ეცადეთ! არ მიყვარს, როცა მალოდინებენ! — ქედმაღლურად მესროლა და კარისკენ გაემართა.

გავიდა თუ არა, ძალაგამოცლილი სკამზე ჩამოვჯექი, მუხლები საშინლად მიკანკალებდა. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ნამდვილი ძიძა წუთი-წუთზე გამოჩნდება... მერე რა მეშველება? რით ვიმართლო თავი?..

ვინ იცის, როგორი სისწრაფით ვმუშაობდი. გული ამოვარდნაზე მქონდა. ჯერ ბავშვს გადავუღე ფოტოები, მერე მის საწოლს, სათამაშოებს, ოთახს... არ მინდოდა, რაიმე გამომრჩენოდა. ახლა ყველა წვრილმანს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ჩემი წარმატება ამ ფოტოებზე იყო დამოკიდებული.

გარედან რაღაც ხმაური შემომესმა. მაშინვე დავმალე ფოტოაპარატი და აგილზე გავშეშდი. ოთახში ანდრო შემოვიდა.

— რაიმე პრობლემა ხომ არ გაქვთ, ქალბატონო? — მკითხა მან, როცა შეამჩნია, რომ გამოღებულ კარადასთან გაქვავებული ვიდექი.

— არა, უბრალოდ, აქაურობას ვეცნობი... სად რა არის, როგორ. მინდა, დროზე შევეჩვიო ყველაფერს, — ოდნავ აღელვებული ტონით ვუპასუხე.

— ბატონ კახის თქვენთან დალაპარაკება სურს, კაბინეტში გელოდებათ. ნუკის მე მივხედავ ცოტა ხანს, — ამ სიტყვებით ანდრო კართან მდგარ სკამზე ჩამოჯდა, ხელები მკერდზე გადაიჯვარედინა და ჩაახველა.

— ბატონი კახი, როგორც ჩანს, ძალიან ზრუნავს ბავშვზე, — შემპარავად დავიწყე, — კარადა სავსეა ტანსაცმლით. ეს ყველაფერი როდის იყიდა? როცა ავარია მოხდა, თუ მაშინ, როცა ბავშვი გაჩნდა?

ხანში შესულმა მნემ პასუხი არ გამცა, რამაც ძალიან გამაკვირვა. მივუახლოვდი მამაკაცს და კითხვით სავსე მზერა ვესროლე.

— არ ვიცი, ქალბატონო, ვერაფერს გეტყვით, — ხმადაბლა ჩაიბურტყუნა ბოლოს.

„ვერ მეტყვი თუ არ მეტყვი?“ — გავიფიქრე გაღიზიანებულმა და ჩემთვის განკუთვნილი საძინებლის კარს მივუახლოვდი. როგორც ჩანს, ეს მოხუციც კარგად ჰყავს გაწვრთნილი პატრონს, იცის, კითხვებს როგორი პასუხი უნდა გასცეს. ნეტავ კიდევ ცხოვრობს ამ სახლში ვინმე?! იქნებ მზარეულიც ჰყავს და მებაღეც... და ალბათ ყველას ასე მბრძანებლურად ექცევა, ყველას ზემოდან უყურებს. მისი ნებართვის გარეშე ხმასაც არ ამოიღებს არავინ. რა კარგია?! მაგას თუ ჰგონია, მეც ასე დამიბრიყვებს, შემცდარა!

— თქვენ გარდა, კიდევ რამდენი მოსამსახურეა აქ? — ვკითხე და კარი გამოვაღე.



გაოცებისგან თვალები დავაჭყიტე. საძინებელი ისეთი ლამაზი იყო, პირი ღია დამრჩა. ორადგილიან საწოლს ფირუზისფერი აბრეშუმის გადასაფარებელი ამშვენებდა, ყვავილებით მოქარგული. იატაკზე თეთრი ფერის ნოხი ეგო, რაც სხვაგან არსად მინახავს. ოთახს ინგლისური სტილის ფანჯრები ჰქონდა. სამგანყოფილებიანი კარადა, სარკე და ორი ტუმბოც თეთრი ხისგან იყო დამზადებული. იქვე, კარადის გვერდზე თეთრად შეღებილი კარი მოჩანდა, რომელიც სააბაზანოში გადიოდა. ერთი სული მქონდა, იქაც შემეხედა, მაგრამ თავი შევიკავე.

— არა, არავინ, მხოლოდ ჩვენ ოთხნი ვარ ჯერჯერობით, — მომწვდა ანდროს ხმა.

— როგორც ჩანს, ბატონი კახი თავის მოსამსახურეებს ფუფუნებაში აცხოვრებს, — გაოგნებულმა ჩავილაპარაკე.

— ეს სტუმრებისთვის განკუთვნილი ოთახია და არა მოსამსახურის, — შემისწორა მამაკაცმა.

— გასაგებია, — გამოვბრუნდი და თავაზიანი, მაგრამ ფრთხილი ღიმილით მივაჩერდი მნეს.

— ჯული აქ ათევს ღამეს, როცა სტუმრად ჩამოდის?

ანდრომ უჩვეულო მზერა მესროლა.

— ვერ გეტყვით, ქალბატონო. სახლი დიდია, — თქვა და ჩემს დასანახავად საათს დახედა, — აჯობებს, აღარ ალოდინოთ ბატონ კახის.

— თუ წინააღმდეგი არ იქნებით, ცოტათი მოვწესრიგდები, — ვთქვი და ჩემს საძინებელში გავედი, თან მჭიდროდ მოვიხურე კარი, რომ რამდენიმე ფოტო აქაც გადამეღო. თავის უკეთ შესანიღბავად, ჯერ სააბაზანოში შევედი, ონკანი მოვუშვი, რომ წყლის ჩხრიალს ფოტოაპარატის ჩხაკუნის ხმა დაეხშო. სურათების გადაღება სხვა დროსაც შეიძლებოდა, მაგრამ მაინც ვჩქარობდი: არავინ იცოდა, როგორ შეიცვლებოდა სიტუაცია. არ იყო გამორიცხული, ნამდვილი ძიძა მალევე გამოჩენილიყო, რაც ჩემს გეგმებს საბოლოოდ ჩაფუშავდა. ყოველი შემთხვევისთვის, რაღაც მაინც მექნება, რომ მამუკას მივუტანო. ბოლოს და ბოლოს, რეპორტაჟის სტილში დავწერ. არ გამოვა ურიგო სტატია.

სასწრაფოდ გადავიღე რამდენიმე სურათი, ფოტოაპარატი ჩანთაში შევინახე და ონკანიც გადავკეტე.

ახლაღა დავაკვირდი სააბაზანოს. აქაც თეთრი ფერი ჭარბობდა. ფართობი პატარა იყო, მაგრამ კოხტად მოწყობილი. თეთრჩარჩოიან სარკეში საკუთარ თავს შევავლე თვალი. აუ, როგორ გამწენია თმა! ნუკის სულ დაუშლია ჩემი ვარცხნილობა! გამეღიმა. თმა ჩამოვიშალე, ხელახლა დავივარცხნე და კეფაზე დავიგრაგნე — ასე უფრო თავისუფლად ვიგრძნობ თავს და კახი ანდრონიკაშვილსაც უკეთ გავუმკლავდები... ნიშნის მოგებით გავუღიმე ჩემს ორეულს და მხრების თამაშით გამოვედი სააბაზანოდან.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

სიყვარული აბლაბუდაში

მარი ჯაფარიძე

— ძვირფასო ირინა და ლევან, დღეს თქვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი დღეა, — საზეიმო და ცოტა „მოტკბო“ ტონით აუწყა ახალგაზრდა წყვილს ქორწინების სახლის თანამშრომელმა, ქალბატონმა ბელამ. ის ცოტათი ნერვიულობდა და საამისო მიზეზიც ჰქონდა: ცერემონიის დროს არეულობა წარმოიშვა. პატარძლისა და სიძის მეჯვარეებს ადგილები აერიათ და სიძის გვერდით გოგონა დადგა, პატარძლის გვერდით — მამაკაცი. ბელას სხვა გზა არ ჰქონდა, ინტუიცია უკარნახებდა, რომ თავისი საქმე უნდა შეესრულებინა.

— მეჯვარეებს ვთხოვ, თავ-თავიანთი ადგილები დაიკავონ, — თქვა, თან თვალით ანიშნა, რომ ადგილები გაეცვალათ.

— სწორად დგანან, — გაიღიმა სიძემ.

— თქვენ აქ იმისთვის მობრძანდით, რომ მოწმეებისა და ჩემი თანდასწრებით დაადასტუროთ, რომ გინდათ, დარჩენილი ცხოვრება ერთად გაატაროთ, სიხარული და გასაჭირი გაინაწილოთ...

ბელა შემართებით ლაპარაკობდა. ხანდახან სახეზე ღიმილი გადაეფინებოდა. სიძე-პატარძლის წინაშე სათქმელი სიტყვა 10 წლის განმავლობაში ისე გაიზეპირა, რომ შეეძლო, ტექსტი გრძნობით წარმოეთქვა, ფიქრებით კი სხვაგან ექროლა.

იმ დღეს ეს უკვე მეხუთე წყვილი იყო და კიდევ 6 ელოდა რიგს.

— ახლა კი მოწმეებს ვთხოვთ, ხელი მოაწერონ, — საკუთარი ხმა გაიგონა ბელამ.

პირველად ხდებოდა, რომ სიძე-პატარძალს მეჯვარეები „უკუღმა“ ჰყავდა, მაგრამ ეს მათი ნება იყო და რადგან ასე გადაწყვიტეს, ბელას უფლება არ ჰქონდა, მათ საქმეში ჩარეულიყო.

რამდენიმე საათის შემდეგ ქორწილი გაჩაღდა. სტუმრებმა მოილხინეს...

ყველაფერი კი ასე დაიწყო:

შორენა ერთ-ერთ ორგანიზაციაში პიარ-მენეჯერად მუშაობდა. ერთხელ შემოდგომაზე, როდესაც ფოთლებმა გაყვითლება და ცვენა იწყო, ცა გამუდმებით მოქუფრული იყო და ხშირად წვიმდა, მარტოობის გრძნობა გაუმძაფრდა. ამის გამო ერთ-ერთ თაყვანისმცემელს პაემანზე დათანხმდა, ის კი შვილთან ერთად მოვიდა.

გოგონას თვალები გაუფართოვდა.

— ახლა დეიდა ნამცხვარზე დაგვპატიჟებს, — უთხრა მამამ ბუთხუზა გოგონას.

შორენამ წყენა უსიტყვოდ გადაყლაპა და მიმტანს ყველაზე გემრიელი ნამცხვარი შეუკვეთა.

შემდეგ ცოტა ხანს ისაუბრეს. შორენას ერთი სული ჰქონდა, როდის გამოემშვიდობებოდა ამ უტაქტო ადამიანს. ამიტომ, საქმე მოიმიზეზა და როდესაც შენიშნა, რომ ბავშვი ნამცხვრის ჭამას მორჩა, წასასვლელად მოემზადა. ვიდრე ის ანგარიშს გასწორებდა, მამა-შვილი სადღაც დაიკარგა. შემდეგ მამაკაცმა მობილურზე დაურეკა.

— შორე, აქვე, კაფეს გვერდით, მაღაზიაში ვართ, ჩემს გოგონას ვუთხარი, რომ სათამაშოს უყიდდი და გელოდება.

ძალიან გაბრაზდა შორენა, მაგრამ ბავშვი შეეცოდა. მაღაზიაში თოჯინა უყიდა, მერე მამაკაცს ნაჩქარევად დაემშვიდობა და ატირებულმა შინისაკენ გასწია.

ის ფული კი არ ენანებოდა, რომელიც დახარჯა; საკუთარი თავი შეეცოდა, რომ ასეთ მამაკაცს პაემანზე დათანხმდა.

შინ მისულმა კომპიუტერი ჩართო და ინტერნეტში „იხეტიალა“.

შემდეგ გაახსენდა, რომ მისი მეგობარი გაცნობის საიტზე იყო დარეგისტრირებული და გადაწყვიტა, რადგან რეალურ თაყვანისმცემლებში არ უმართლებდა, ასე ბრმად, ვირტუალურად ეცადა ბედი.

რამდენიმე ხნის შემდეგ დარწმუნდა, რომ ესეც დიდი სისულელე იყო.

„ან მე ვერ შევადგინე ანკეტა, როგორც საჭიროა, ან ყველა მამაკაცი იდიოტია, ან უბრალოდ, მე მხვდებიან ასეთები, — გაიფიქრა იმედგაცრუებულმა, — საინტერესოა, როგორ ურთიერთობენ სხვა ქალები მამაკაცებთან? იქნებ უბრალოდ, მე არ ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე?“

კარგა ხნის ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა, იდეალური მამაკაცის პორტრეტი „გამოეძერწა“ და მისი ანკეტა საიტზე დაედო.

მართლაც, ასე მოიქცა. ახალი ანკეტა შექმნა, მას ლევანი დაარქვა და სურათის შერჩევა დაიწყო. თავის კომპიუტერში კარგა ხანს „იქექებოდა“ და ბოლოს, ერთ-ერთი უცოლო თანამშრომლის, ლევანის სურათზე შეაჩერა არჩევანი.

მაშ, ასე:

„სახელი: ლევანი.

ასაკი: 27 წლის.

ოჯახური მდგომარეობა: უცოლო.

ჩემ შესახებ: ახალგაზრდა, სიმპათიური მამაკაცი, რომელიც გემოვნებიანი ქალისთვისაა ზედგამოჭრილი.

გავიცნობ: გოგონას, 20-27 წლის ასაკში.

გაცნობის მიზანი: მიმოწერა, სიყვარული... შემდეგ ვნახოთ...

სიმაღლე: 185 სმ.

წონა: 85 კგ.

პროფესია: იურისტი.

ცხოვრებისეული პრიორიტეტები: კარიერა, მატერიალური კეთილდღეობა, ოჯახი.

რას გააკეთებ თავისუფალ დროს: ბუნებაში გავისეირნებ, სტუმრად წავალ, პარაშუტით გადმოვხტები, ცოლს მოვიყვან“.

ასე გამოყურებოდა იდეალური მამაკაცის იდეალური ანკეტა.

ყველაფერი ამით არ დასრულებულა. ამის შემდეგ შორენამ რამდენიმე ქალთან მიმოწერა გააჩაღა. ბევრი საინტერესო ამბავიც გაიგო. მას სწერდნენ გათხოვილი ქალები, რომლებიც ამბობდნენ, რომ მამაკაცის ყურადღებას მოკლებული იყვნენ. ის ურჩევდა, ქმრისთვის მეტი ყურადღება მიექციათ და მათთან კონტაქტს წყვეტდა, რადგან „მისი ლევანის“ გეგმებში ქმრიან ქალთან ურთიერთობა არ შედიოდა. სწერდნენ გასათხოვარი გოგონებიც, რომლებიც წუწუნებდნენ იმის გამო, რომ ნამდვილი მამაკაცები დინოზავრებივით გადაშენდნენ. შორენა ცდილობდა, „გალანტური კავალერი“ ყოფილიყო. უფრო სწორად — „ლევანი“ ცდილობდა და მშვენივრადაც გამოსდიოდა. მას მამაკაცებიც სწერდნენ, მაგრამ ლევანი არატრადიციული ორიენტაციის მამაკაცებთან კონტაქტში არ შედიოდა. დღის განმავლობაში 50 ქალისგან მაინც იღებდა

მესიჯს. პირველი კვირის განმავლობაში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. შემდეგ კი ერთმა ძალიან საინტერესო გოგონამ დაუმესიჯა.

შორენამ მისი ანკეტა გადაიკითხა და ცოტა შეშურდა კიდეც. მას ისეთი რომანტიკული ანკეტა ჰქონდა, რომ ნებისმიერი მამაკაცის ყურადღებას მიიპყრობდა. სურათზეც მშვენივრად გამოიყურებოდა.

„ლევანს“ ძალიან მოეწონა ირინა. ამის შემდეგ მათ შორის მიმოწერა გაჩაღდა. შორენა ამ ვირტუალურმა რომანმა გაიტაცა და კომპიუტერთან ბევრ დროს ატარებდა. „ლევანი“ და ირინა ერთმანეთს ლექსებს უგზავნიდნენ, ძალზე რომანტიკული ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ.

ამ თამაშმა შორენა ისე გაიტაცა, რომ გვიან მიხვდა, ეს თამაში ირინასთვის შესაძლოა, საკმაოდ დრამატულად დასრულებულიყო, ვინაიდან გოგონა უკვე დამოკიდებული გახდა „ლევანზე“. შორენა ხშირად ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ გაემხილა ირინასთვის, რომ მამაკაცის ანკეტის მიღმა ქალი იდგა. თუმცა ბოლოს ხელი ჩაიქნია და გადაწყვიტა, ყველაფერი დროისა და ბედისთვის მიენდო.

ამასობაში 2 თვე გავიდა და ახალი წელი მოახლოვდა.

ირინამ „ლევანს“ შესთავაზა, ბედობის დღეს ერთმანეთს შეხვედროდნენ.

შორენა შოკში იყო, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. უარის თქმა არ ივარგებდა, არ უნდოდა, გოგონასთვის ტკივილი მიეყენებინა, მაგრამ უკვე არც ასე გაგრძელება ივარგებდა.

პირველ იანვარს მასთან მიწვეულ სტუმრებს შორის, ლევანიც იყო.

შორენამ მამაკაცი დაიმარტოხელა და ყველაფერი დაწვრილებით მოუყვა. შემდეგ სთხოვა, ირინასთან შეხვედრაზე წასულიყო.

ლევანმა შორს დაიჭირა, მაგრამ შორენამ ბოლოს და ბოლოს, მაინც დაითანხმა.

მეორე დღეს, ლევანი დილიდან შორენასთან მივიდა. ორივენი კომპიუტერს მიუსხდნენ და შორენასა და ირინას მიმოწერა თავიდან ბოლომდე ჩაიკითხეს, რათა მამაკაცს ყველაფერი დაწვრილებით სცოდნოდა და შეხვედრის დროს არ დაბნეულიყო.

დრო მალე გავიდა და მოსაღამოვდა.

შორენა და ლევანი ერთად გაეშურნენ შეხვედრის ადგილისკენ. ქალი წინასწარ შევიდა იმ კაფეში, სადაც ლევანი ირინას დაპატიჟებდა და თავისუფალ მაგიდასთან ადგილი დაიკავა. ცოტა ხნის შემდეგ კი ლევანი და ირინაც შემოვიდნენ. ორივეს სახეზე ღიმილი დასთამაშებდა. ნახევარ საათში შორენამ კაფე დატოვა და შინ წავიდა.

მეორე დღეს ლევანს დაურეკა და ამბები გამოჰკითხა, მაგრამ მან მოკლედ უპასუხა — კაფეში რამდენიმე საათი ვისხედით, შემდეგ შინ მივაცილე და ეგ იყოო.

3 თვის შემდეგ კი სამსახურში მისულმა ლევანმა ბედნიერი ღიმილით აუწყა, რომ ცოლს ირთავდა და ქორწილში მეჯვარედ დაპატიჟა...

ქორწილი დასრულდა, სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ და სიძე-პატარძალმაც შინ წასვლა გადაწყვიტა.

— მეჯვარეები ჩვენთან წამოდით, შამპანურზე გეპატიჟებით, — თქვა ლევანმა.

უარი არც ერთს არ უთქვამს. რამდენიმე წუთის შემდეგ ოთხივენი სუფრასთან ისხდნენ და შამპანურს წრუპავდნენ.

— თქვენ ალბათ ირინას ბავშვობის მეგობარი ხართ, — მიმართა შორენამ პატარძლის მეჯვარეს.

— ამბობენ, რომ ქორწინება ზეცაში წყდება, — ღიმილით დაიწყო დათომ, — და თურმე ზეცაში ინტერნეტსაც იყენებენ. არ მინდა, თქვენი ილუზიები დავანგრიო, ძვირფასო შორენა, მაგრამ ირინა მე მოვიგონე.

— რااა?!. — შორენას შამპანური სასულეში გადასცდა და ლამის დაიხრჩო.

— არ დავიწყებ დაწვრილებით მოყოლას, ვინაიდან ჩვენი სიტუაციები ერთმანეთს ძალიან ჰგავს. უბრალოდ, გეტყვით, რომ მეგობარ გოგონასთან განშორების შემდეგ დეპრესიაში მყოფმა გადავწყვიტე, ანკეტა შემექმნა. იმავე მიზეზით, როგორც თქვენ, შევქმენი იდეალური ქალის ანკეტა და დავიწყე „ლევანთან“ ურთიერთობა... მე მგონი, შემთხვევითი სულაც არაა, რომ ორმა მოგონილმა პერსონაჟმა ერთმანეთი იპოვა და ოჯახი შექმნა. როდესაც შეხვედრაზე მიდგა საქმე, აღარ ვიცოდი, რა მექნა და გადავწყვიტე, ირინასთვის მეთხოვა დახმარება. ლამის მომკლა, ისეთ დღეში ჩამაგდო, მაგრამ მაინც დავითანხმე, რომ ლევანთან შეხვედრაზე წასულიყო, ოღონდ იმ პირობით, რომ მეც შორიახლოს ვიქნებოდი. მეც იმ კაფეში ვიჯექი, სადაც თქვენ იყავით და სურათებიც კი გადავუღე ამ წყვილს. სხვათა შორის, კადრში შენც ჩანხარ. ამის შემდეგ, შენსავით, ქორწილში მეჯვარედ დამპატიჟეს. ესაა და ეს. ის ბედობის დღე მშვენივრად დასრულდა, მაგრამ მე მგონი, მას გაგრძელებაც აუცილებლად ექნება...

შორენა გაოგნებული უსმენდა დათოს. ვერ წარმოედგინა, რომ ასეთი რამ შესაძლებელი იყო.

გვიან ღამით ის და დათო ერთად წამოვიდნენ ლევანის სახლიდან. მამაკაცმა სახლამდე მიაცილა და დამშვიდობებისას ლოყაზე აკოცა. შორენას მთელი ღამე უხურდა ის ლოყა, რომელზეც დათოს ტუჩები შეეხო...

— ძვირფასო შორენა და დავით! დღეს თქვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი დღეა, — საზეიმო და ცოტა „მოტკბო“ ტონით აუწყა ახალგაზრდა წყვილს ქორწინების სახლის თანამშრომელმა, ქალბატონმა ბელამ და უეცრად, გაჩუმდა. — მე თქვენ გიცნობთ. ამ 3 თვის წინ აქ იყავით, ოღონდ — მეჯვარეებად, ასე არ არის?.. თქვენ სიძის მეჯვარე იყავით, — თითი პატარძლისკენ გაიშვირა, — თქვენ კი — პატარძლის, — ანიშნა მამაკაცს.

წყვილი ბედნიერად იღიმებოდა და თავს უქნევდა ქალბატონ ბელას.

— დიახ, ეს ჩვენი ქორწილი იყო, — წინ წამოდგა ლევანი.

— თქვენ აქ იმისთვის მობრძანდით, რომ მოწმეებისა და ჩემი თანდასწრებით დაადასტუროთ, რომ გინდათ, დარჩენილი ცხოვრება ერთად გაატაროთ, სიხარული და გასაჭირი გაინაწილოთ...

ბელამ თავი გააქნია და ღიმილით განაგრძო ცერემონია... ■

დასაწყისი იხ. „გზა“, № 43-53

მარი ჯაფარიძე

ანამ მამაკაცს შეხედა და გაოცებული სახე მიიღო.

— კარგად ვარ, — მოჭრით უპასუხა, მისი მზერა კი სრულ გულგრილობას გამოხატავდა. თუმცა გული უცნაურად აუფორიაქდა...

— ვერ მიცანით? — როგორც ჩანს, მამაკაცი არ ელოდა, რომ ანა ვერ იცნობდა და ცოტა არ იყოს, თავი უხერხულად იგრძნო.

— ვერა. უნდა მეცნეთ? — მსახიობობა განაგრძო ქალმა.

მამაკაცი გაეცალა, ანას კი სახეზე ღიმილი გადაეფინა.

„რაო, ვაუბატონო, როგორი იყო, წაქცეულს თავზე რომ დამადექი და ხელიც არ გამომიწოდე წამოსაყენებლად?..“ — გაიფიქრა ანამ და გვერდით მჯდომ საზოგადოებასთან საუბარში ჩაერთო.

ირაკლის განგებ არ აქცევდა ყურადღებას. არც მამაკაცს გამოუჩენია გადამეტებული ინტერესი.

ანა იქ მყოფ ხალხს აკვირდებოდა.

როგორც ჩანს, ეს ადამიანები თბილისურ ელიტას წარმოადგენენ, თავი ისე უჭირავთ... ვითომ „ძაან „ტაკოი“ საუბრები, ტანისამოსის „გამოფენა“ და ბრილიანტების ბრჭყვიალი... ანას გულს ურევდა ეს სიტუაცია, გატყლარჭული ლაპარაკის მანერა, სიგარეტის მოწევის დროს ტუჩების მომრგვალება და კვამლის არტისტულად გამოშვება... ხელოვნური სიცილი, გაოცება თუ აღშფოთება... ელიტური ჭორები და ახალი ამბები...

ანას გაახსენდა ის მიღებები და წვეულებები, რომლებსაც ბელტრანთან ერთად ესწრებოდა ჯერ თანამგზავრის, შემდეგ კი ცოლის ამპლუაში. მას გამომუშავებული ჰქონდა, როგორ უნდა მოქცეულიყო ასეთ სიტუაციაში და მისი ყველა ჟესტი თუ ღიმილი მექანიკური გახლდათ. თუმცა ამას გარეშე თვალი ვერ შეამჩნევდა...

იქ მყოფთ არ გამორჩენიათ მისი დახვეწილი მანერები და ქცევა. ის გარეგნობითაც გამოირჩეოდა და ჩაცმულობითაც. ქალები ოდნავ შურითაც კი უყურებდნენ, მამაკაცები — აღფრთოვანებით.

გიორგის სტუმრები ჯერ არ აპირებდნენ დაშლას, მაგრამ ანას იქ ყოფნა მოჰბეზრდა და წასვლა გადაწყვიტა.

ყველას გამოემშვიდობა, მასპინძელი კართან გადაკოცნა, დაუბარა, ხვალ დილით ოფისში მოვალ და ჩემს დას მოვიყვანო და გავიდა.

ის იყო, მანქანაში ჯდებოდა, რომ ხმა მოესმა:

— ანა, საით მიბრძანდებით? — ირაკლი მისკენ აჩქარებული ნაბიჯით მოდიოდა.

— სახლში მივდივარ.

— მეც ხომ ვერ გამაყოლებთ?

— კი, რატომაც არა?! — უპასუხა ქალმა და მამაკაცი თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა.

ირაკლი მის გვერდით მოთავსდა.

— რომელ უბანში მიდიხარ?

— მოდი, პეროვსკაიაზე გავიდეთ, ყავაზე დაგპატიჟებ.

— მე პირადად, მცხეთაში მირჩევნია. თანაც, ჯერ 11 საათია, გვიანი სულაც არაა და შეიძლება, კაცმა 1-2 ჭიქა დალიოს და გაერთოს, — ანამ მამაკაცს გამომცდელად შეხედა.

— მაშინ, მოდი, ასე მოვილაპარაკოთ: უკან მივბრუნდეთ, მე ჩემს მანქანას წამოვიყვან, მერე შენი სადმე გავაჩეროთ და ჩემი მანქანით წავიდეთ. მოსულა?

— მანქანა თუ გყავს, მე რას ამეკიდე? — გაეღიმა ანას.

— უბრალოდ, დალაპარაკება მინდოდა, ახლოს გაცნობა და ცოტა გაარშიყებაც, — პირდაპირობა გამოიჩინა მამაკაცმა.

— კარგი, მოვილაპარაკეთ.

ანა გიორგის სახლთან დაბრუნდა, ცოტა ხნის შემდეგ კი ირაკლის გვერდით მჯდარი მამაკაცის პროფილს ინტერესით ათვალიერებდა.

რესტორაში, ანას სურვილით, დარბაზში დაჯდომა არჩიეს.

მიმტანს შეკვეთა მისცეს თუ არა, მათ მაგიდას ახალგაზრდა მამაკაცი მიუახლოვდა და ირაკლი გადაკოცნა, ანას ხელზე აკოცა და დაიჟინა, გინდა თუ არა, ჩვენს მაგიდას უნდა შემოუერთდეთო.

— ხომ გითხარი, დარბაზში არ მოგვასვენებენ-მეთქი! — მსუბუქად უსაყვედურა ირაკლიმ ქალს. — რეზო, ჩვენ სალაპარაკო გვაქვს, ცოტა მოგვიანებით შემოგიერთდებით, — ნასვამი მამაკაცის თავიდან მოშორება სცადა.

— ა-პა-პა! არ გამოვა, ეგ ამბავი, ბატონო ირაკლი! ახლა უნდა აბრძანდეთ და ჩვენს საზოგადოებას შემოუერთდეთ. ყველა თქვენი ნაცნობი ვართ, უცხო არავინაა.

— რა გაეწყობა, ირაკლი, ნუ ვაწყენინებთ ამ ხალხს, — ანა პირველი წამოდგა.

— შენ გენაცვალე, ჯიგარი ხარ! — უცებ გაუშინაურდა რეზო.

— ჩემი თანამშრომლები არიან, მაინც არ მოგვეშვებოდნენ, — ჩასჩურჩულა ანას ყურში მოპირდაპირე მაგიდისკენ მიმავალმა ირაკლიმ.

ანამ კონიაკი მოითხოვა და ხვეწნა არ დასჭირვებია, ისე გადაკრა რამდენიმე ჭიქა. მშვენიერ გუნებაზე დადგა და მართალია, ირაკლისთან განმარტოება ვერ მოხერხდა, მაგრამ ამ ხალხში თავს მშვენივრად გრძნობდა.

როგორც ჩანს, „სასტავი“ უკვე კარგა ხნის მოსული იყო. ყველანი შეზარხოშებულები იყვნენ და როგორც კი მუსიკის ხმას გაიგონებდნენ, მაშინვე წამოიშლებოდნენ და დარბაზის შუაგულში, საცეკვაოდ გარბოდნენ. მაგიდასთან ამ დროს სულ რამდენიმე ადამიანი რჩებოდა და ანასა და ირაკლის საუბრის საშუალება ჰქონდათ, მაგრამ ხმამაღალი მუსიკის ფონზე ერთმანეთს რამდენიმე სიტყვას ძლივს აგონებდნენ.

მერე რეზო ანას გადაეკიდა, — გინდა თუ არა, ვიცეკვოთო. ქალი ჯერ უარზე იდგა, მერე ლამის გუნდურად სთხოვდნენ, იცეკვეთო. რეზომ არჩევანის საშუალებაც მისცა, — რა შევუკვეთო მუსიკოსებს, რას ინებებთო?

— შენც იცეკვებ? — ირაკლის გადახედა.

— ოო, ბატონი ირაკლი პროფესიონ-

ალი მოცეკვავე გვყავს, მასთან შეჯიბრებას არ გირჩევთ, — რეზომ ირაკლის თვალი ჩაუკრა.

— კარგი, ვიცეკვებ, — უცებ დათანხმდა ირაკლი.

ანას გაეღიმა, დარბაზის იატაკს დახედა და „მთიულური“ შეუკვეთა. მაგიდიდან რამდენიმე დანა აიღო, ქამარში გაირჭო და დარბაზის შუაგულში გავიდა.

„მთიულურის“ ჰანგზე წყვილმა ცეცხლი დაანთო. ანა მთელი გრძნობით ცეკვავდა, ოღონდ — მამაკაცის პარტიას. სახეს მანჭავდა, იგრიხებოდა, თავისი გრძელი თმა ცეკვის დროს ჩამოეშალა და ნამდვილ ჯადოქარს დაემსგავსა: თვალებიდან ცეცხლს აკვესებდა, ბოლო ილეთი კი ის იყო, რომ სუფრის ბლაგვი დანები სათითაოდ დაარჭო ხის იატაკზე, ცალ მუხლზე ჩაიჩოქა და ხელები გაშალა.

ისეთი ტაში ატყდა, მუსიკის ხმაც კი გადაფარა. ირაკლი აღფრთოვანებული შეჰყურებდა ანას და ისიც ტაშს უკრავდა. შემდეგ „მთიულური“ „აჭარულმა“ შეცვალა, „აჭარული“ — „ქართულმა“. წყვილი ძალიან უხდებოდა ერთმანეთს და ისე შეწყობილად ცეკვავდა, თითქოს მთელი ცხოვრება ერთად გადიოდა რეპეტიციას.

ანას მოჰბეზრდა ცეკვა და მაგიდას მიაშურა. ირაკლიც გვერდით მიუჯდა.

— მინდა გითხრა, რომ გამაოცე, — ჩასჩურჩულა ყურში.

— ცეკვა ყველა ქართველმა იცის, — გადაულაპარაკა ანამ.

— კი, მაგრამ ასეთი სახეცვლილება არ მინახავს: „მთიულურის“ დროს, ეს ნაზი არსება, ნამდვილ ვაჟკაცად გადაიქეცი. ეჭვიც კი შემეპარა, იქნებ მართლა კაცია-მეთქი?..

ანამ უპასუხოდ დატოვა ირაკლის სიტყვები.

რეზოს შეკვეთით, მუსიკოსებმა წყნარი მელოდია დაუკრეს.

ირაკლიმ ანას ხელი გაუწოდა და საცეკვაოდ გაიწვია. ქალი ტანზე მამაკაცის ხელებს გრძნობდა. ირაკლის ისეთი დიდი ხელისგულები ჰქონდა, მის წელს თითქმის მთლიანად ფარავდა. სახე მის მკერდთან ჰქონდა და ერთმანეთში არეულ სუნამოსა და სიგარეტის სუნს ღრმად შეისუნთქავდა. თითქოს თავბრუ ეხვეოდა. ირაკლი სულ ოდნავ, თითქმის შეუმჩნევლად უჭერდა ხელებს და თავისკენ იზიდავდა. ქალს ზემოდან დაჰყურებდა და ისეთი მზერა ჰქონდა, თითქოს მის გადაყლაპვას აპირებსო. მამაკაცმა უნებურად ამოიოხრა. ანამ თავი ასწია და შეხედა. ირაკლიმ სახეზე ჩამოშლილი თმა მარჯვენა ხელით გადაუწია და თან ხელისგულით ლოყაზე მოეფერა.

— მე მგონი, დავთვერი, — უფრო უხერხულობის გასაფანტავად თქვა ანამ.

— ცუდად გრძნობ თავს? — ირაკლი დაიხარა, ლოყით ლოყაზე შეეხო და ისე ჩასჩურჩულა:

— ჰო, თავბრუ მესხმის, — ჩუმად თქვა ქალმა.

— წავიდეთ?

— ჰო.

— კარგი. ცოტა ხნით დავსხდეთ და მალე წავიდეთ.

ირაკლის გვერდით მჯდარი ანა მის ნაკვთებს ათვალიერებდა და თანდათან უფრო მოსწონდა. მისგან რაღაცნაირი მუხტი მოდიოდა. მზერითაც კი შეეძლო, მნიშვნელოვანი რამ ეთქვა. თეთრი პერანგის შიგნით დაკუნთული სხეული ეტყობოდა. ლაპარაკის დროს ტუჩებს ენერგიულად ამოძრავებდა, საუბარს რომ მორჩებოდა, ზედა ტუჩს ქვედაზე „დაანებებდა“, ორივეს ერთად ოდნავ წინ გამოსწევდა და პასუხს ისე ელოდა...

როგორც იქნა, ამ ხმაურიან კომპანიას თავი დააღწიეს და თბილისისკენ გამოსწიეს.

გზაზე მამაკაცმა მანქანა გააჩერა, სავარძელში გადაწვა, ცალი ხელი მანქანის ღია ფანჯარაზე ჩამოდო და სიგარეტს მოუკიდა. ეს ისე ლამაზად გააკეთა, რომ ანას სურვილი გაუჩნდა, თვალები დაეხუჭა და ერთხელ ნანახი, გონებაში ფირივით რამდენჯერმე დაეტრიალებინა.

— თუ წინააღმდეგი არ იქნები, ამ მშვიდ გარემოში ცოტა ხანს ვილაპარაკოთ, — შესთავაზა ირაკლიმ.

ანა მამაკაცის კითხვებს ანგარიშმიუცემლად პასუხობდა. მისი გონება სხვაგან დაქროდა და ლაპარაკის დროს თავს ხრიდა, მზერას აცილებდა. თითქოს ეშინოდა, მის თვალებში არ წაეკითხა, რასაც ფიქრობდა.

მამაკაცი კი მზერით ბურღავდა და ხანდახან საყვედურსაც ეუბნებოდა, — თვალს რატომ მარიდებო?..

ასეთ პირდაპირობას ანა არ ელოდა და პასუხიც არ ჰქონდა მზად. ამიტომ, თავის მომხიბვლელ ღიმილს მოიშველიებდა ხოლმე და არაფერს ეუბნებოდა.

— წავიდეთ, უკვე გვიანია.

ირაკლიმ მანქანა დაქოქა და ადგილიდან რომ დაიძრნენ, ამის შემდეგ ჰკითხა:

— კი, მაგრამ როგორ ვერ მიცანი?

— ეტყობა, თავი ვერ დამამახსოვრე, თორემ აუცილებლად გიცნობდი, — წაჰკბინა ქალმა.

ირაკლიმ ფეხი მუხრუჭს მიადგა და მანქანა ისევ გააჩერა. ოღონდ ძრავა არ გამოურთავს.

— რატომ გავჩერდით?

— იცი, აქ რა არის? — თავით ანიშნა იმ შენობისკენ, რომლის წინაც იდგნენ.

— სასტუმროს ჰგავს...

— ჰოდა, ახლა მანქანას ეზოში შევიყვან, შენ ნომერში ამომყევი და დამიჯერე, თავს ისე დაგამახსოვრებ, რომ არასოდეს დაგავიწყდები... ამის შემდეგ...

— რამდენს ბედავ?! — შუბლი შეკრა ანამ და მამაკაცის მიმართ ყველანაირი სიმპათია და სითბო გაუქრა და მისი ადგილი მრისხანებამ დაიკავა. თვალები დაკვესა და ტუჩები მოკუმა.

— კარგი, გეხუმრე, რა იყო?! — გაიცინა ირაკლიმ.

— ცუდი ხუმრობა გამოგივიდა, ძალიან ცუდი ხუმრობა...

ანამ მანქანის კარი გააღო, გადავიდა და მომავალ ტაქსის ხელი აუწია. იმას მგზავრი ჰყავდა და არ გაუჩერა.

ირაკლიმ მანქანა იქვე მიაყენა და ანას წინ დაუდგა.

— კარგი, ანა, მაპატიე, მართლა ვიხუმრე, არ მეგონა, თუ გაბრაზდებოდი. თანაც, მეც გავბრაზდი, რომ ვერ მიცანი...

— არ იყავი საცნობი და იმიტომ.

— არ გახსოვს, აეროპორტში რომ შევხვდით ერთმანეთს? მერე მე მიგიყვანე სახლამდე, — მამაკაცმა წაქცევის მომენტი განგებ არ გაიხსენა, ქალი რომ არ გაეღიზიანებინა.

— ჰო, მახოვს, — ტუჩები გაბუსხა ანამ.

— ჰოდა, ეგ როგორ უნდა დაგვიწყოდა?! თანაც, სულ 2 კვირაა გასული ამ ამბიდან. მე მაგალითად, 20 წლის შემდეგაც გიცნობდი.

ანამ ისე უეცრად გააჩერა ტაქსი, ჩაჯდა და წავიდა, რომ ირაკლიმ გონზე მოსვლა ვერ მოასწრო. სიტყვა პირზე შეეყინა და მხოლოდ თვალი გააყოლა იმ მანქანას, რომელშიც ანა იჯდა.

„კიდევ კარგი, ტელეფონის ნომრის გამორთმევა მაინც მოვასწარი“, — გაიფიქრა მან.

„ამის შემდეგ გეცოდინება, როგორ უნდა მომექცე! არანორმალური! ამდენი ვილაპარაკეთ და ის მაინც ვერ ვკითხე, გიორგის საიდან იცნობს ან რა კავშირი აქვს მასთან“, — ფიქრობდა ქალი და იღიმებოდა. თავის ფიქრებს უღიმოდა და წინასწარ ტკბებოდა იმის წარმოდგენით, თუ როგორ გაამწარებდა ირაკლის... მან უკვე იცოდა, რომ მამაკაცი აღარ მოეშვებოდა და მალე მის ნაკვალევს დაუწყებდა ძებნას. ამიტომ, იმედიანად იყო და უკვე ხვალინდელ დღეს გეგმავდა.

შინ რომ მივიდა, დედას უკვე ეძინა, ნინო კი ტელევიზორს მისჯდომოდა.

— ნი, ხვალ ერთ ადგილას უნდა წაგიყვანო. თუ ყველაფერი ისე იქნება, როგორც მე მინდა, შესაძლოა, სამსახურის შეცვლამ მოგიწიოს.

— მე არ მეკითხები, მინდა თუ არა?

— მე ვიცი, რომ გინდა, — ლოყაზე თითი ჩამოუსვა ანამ. — ჩემი გულისთვის ხომ გააკეთებ ამას?

— რა ხდება, ის მაინც მითხარი. იმის უფლება მაინც ხომ მაქვს, რომ ვიცოდე, რატომ ვიცვლი სამსახურს?!

— იმ გიორგი ნიჟარაძემ თავის ბიზნესში წილი შემომთავაზა. ხვალ შენ მიგიყვან, გაეცნობი ყველა მონაცემს და მეტყვი, ღირს თუ არა ამ საქმეში ფულის დაბანდება. მერე აქაურ ეკონომიკურ სიტუაციას, ბაზარს გამოვიკვლევთ, ექსპერტებს დაველაპარაკებით და თუ ყველა ინფორმაციის შეჯერების შემდეგ მივიჩნევ, რომ დათანხმება ღირს, მაშინ შენ სამუშაოდ იქ გადახვალ, რომ ჩემი წილის გაკონტროლება შევძლო.

— ასეთი სერიოზული საქმეა?

— გოგო, 25-მილიონიან ინვესტიციაზეა ლაპარაკი. ეხუმრები შენ?!

— ანა, ამდენი ფული გაქვს?! — პირი დააღო ნინომ.

— სსუუ, — თითი ტუჩებზე მიიდო

ანამ და გაიცინა, — ეს არავინ გაიგოს, თოოორემ...

— იმ ვარდების „ავტორი“ თუ დაადგინე?

— შენ წარმოიდგინე, რომ ვერა... ვინც მეგონა, ის არ ყოფილა...

დილით ანამ ადრიანად გაიღვიძა. როცა საქმეზე იყო წასასვლელი, ძილი არ ეკარებოდა, ადრიანად დგებოდა და გამუდმებით იმაზე ფიქრობდა ხოლმე. ახლაც ასე იყო.

ნინოს ოთახში შევიდა, და საწოლიდან წამოაგდო. თუმცა ისე ადრე იყო, რომ ოფისში მისვლა არ ღირდა, ჯერ მაინც არავინ იქნებოდა იქ.

შინიდან მაინც ადრე გამოვიდნენ. ნინო ბუზღუნებდა და ისე მიჰყვებოდა ჯიუტ დას.

ანამ გეზი სასაფლაოსკენ აიღო და გოჩას საფლავზე მივიდა. ქვა გაწმინდა, ფიქრით ყოფილ ქმარს გაესაუბრა და იქიდან პირდაპირ გიორგისკენ გასწია.

ნიჟარაძის მდივანი შუბლშეკრული დახვდა.

— ისევ თათბირი აქვს? — ჰკითხა ანამ.

— არა, შედით, — თავით ანიშნა კარისკენ.

— ოო, მობრძანდით! ეს ვინაა? — ნინოს ხელი რომ ჩამოართვა, მაშინ ჰკითხა ანას.

— ეს ჩემი დაა, ნინო.

— ესაა, ბუღალტერიაში მგელიაო, რომ ამბობდი? — გაეღიმა მამაკაცს და ნინოს ისე შეხედა, ლამის მუხლები მოეკვეთა ქალს.

— არა მარტო ბუღალტერიაში, საერთოდაც, მგელია, — ანას არ გამორჩენია გიორგის მზერა.

— მახსოვს, ადრე ერთი გაკნაჭული გოგო იყავი, არაფრით გამორჩეული, ახლა კი დამშვენებულხარ და მზეთუნახავად გადაქცეულხარ, თვალს ვერ მოგწყვეტს კაცი, — ხარბ მზერას არ აშორებდა ნინოს გიორგი.

— თქვენ მგონი, სიძეობას მიპირებდით, არა? — წარსული გაახსენა ნინომ.

— კარგი, კარგი, კბენას არ ვიყოთ. ეს ადრე იყო, ახლა კი... — მამაკაცმა პაუზა გააკეთა და ნინო თავიდან ბოლომდე დემონსტრაციულად აათვალიერ-ჩაათვალიერა. — შესაძლოა, ანას დავუპირო სიძეობა.

— მორჩი ამ უნიჭოდ ხუმრობას და საქმეს მიხედე, — ანამ სკამი გამოსწია და დაჯდა.

ცოტა ხნის შემდეგ მდივანმა უკმაყოფილო სახით, ჯერ ყავა შემოიტანა, შემდეგ, ნინოს გაუძღვა იმ ოთახისკენ, სადაც ბუღალტერი იჯდა.

— მართლა მაგარი ქალი დამდგარა, თითქმის ერთნაირები ხართ, შენ — შავთმიანი, ის — წითელთმიანი. ორი ლამაზი ქალი... ერთად რომ ხართ, შეიძლება კაცს გული გაუსკდეს. გათხოვილია?

— არა და არც ყოფილა, — მოკლედ მოჭრა ანამ, რითაც ანიშნა, რომ ამ თემაზე ლაპარაკი დასრულებული იყო. — გიორგი, ირაკლის საიდან იცნობ?

— რა იყო, რატომ მეკითხები?

— მაინტერესებს.

— ეგ დიდი მექალთანეა, იცოდე. თუ მოეწონე, თავს არ დაგანებებს, სანამ არ გაგჟიმავს, — გულიანად იცინოდა გიორგი.

— წესიერად ილაპარაკე!.. უბრალოდ, ამერიკიდან რომ მოვდიოდი, ერთად ვიმგზავრეთ და აეროპორტში ერთმანეთი შემთხვევით გავიცანით. ახლა აქ რომ ვნახე, ძალიან გამიკვირდა.

— ირაკლი ჩემი ნათესავია. შენ აქ დიდი ხანია, არ გიცხოვრია და ამიტომ არ იცნობ მას. საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე მუშაობს, ფაქტობრივად, ჩემს ბიზნესს „კრიშას“ ეგ უკეთებს. გამუდმებით ტელევიზორშია გამოჭიმული და საკმაოდ პოპულარულიცაა: ლამაზი მამაკაცია, ხომ ასეა? თან — უცოლო, მდიდარი, კაი ტიპი და ქალები ერთმანეთს ხოცავენ მაგის გულისთვის.

— უჰ, რას მეუბნები?! უყურე შენ! იმიტომ აქვს თავში ავარდნილი, ეტყობა. მაგას ჰგონია, ყველასთან ყველაფერი გაუვა... თავხედია ეგ შენი ირაკლი, — გაწიწმატდა ანა.

— გმადლობთ, ქალბატონო ანა, დიდი მადლობა, კომპლიმენტებში ძალიან გულუხვი ბრძანდებით და ნამდვილი თაფლაკვერა... შაქარივით დნებით, ტკბილი სიტყვებით ისე იხარჯებით, — მოესმა ზურგს უკან და ანა გველნაკბენივით შეხტა. ირაკლი ისე წამოსდგომოდა თავზე, რომ ვერც კი გაიგო მისი შემოსვლა.

— აა, ყველაფერთან ერთად, ჩუმად ყურის გდებაც გყვარებია! — იხტიბარი არ გაიტეხა.

— რა ხდება, ამიხსენით ერთი, რაღაც, ისეა ეს ქალი გამწარებული, მგონი, გუშინ რაღაც აწყენინე, — ისე გაეღიმა გიორგის, რომ ანა მიხვდა, გუშინდელი ამბები ზედმიწევნით იცოდა.

ირაკლი მოშორებით ჩამოჯდა. ანა კარგა ხანს ისმენდა ორი მამაკაცის საუბარს, რომელიც მისთვის საინტერესო არ აღმოჩნდა. გიორგის მოუბოდიშა და კაბინეტიდან გავიდა...

ამ ამბიდან ერთი კვირის შემდეგ ანამ გადაწყვიტა, გიორგის საქმიანი წინადადება მიეღო.

ნინოც დაითანხმა, რომ სამუშაოდ მასთან გადავიდოდა და ამ ამბის სათქმელად ისევ გიორგის ეწვია. ამჯერად — სახლში.

წინასწარ არ გაუფრთხილებია, ისე მიადგა. კარი ირაკლიმ გაუღო.

— მობრძანდით, ქალბატონო ანა, — თავი დაუკრა ქალს.

ანამ გაბედულად შეაბიჯა და გიორგი იკითხა.

— ამ წუთში დაბრუნდება. მაღაზიაში, ლუდზე ჩავიდა. აი, აქ დაბრძანდით, — დივანზე მიუთითა, — რამ შეგაწუხათ?

— ვისთანაც მოვედი, იმას ვეტყვი. — „სად დაიკარგე ეს ერთი კვირა, ვაჟბატონო?..“ — გულში კი ეს გაიფიქრა.

— კარგი, ანა, რა, ვერ დაივიწყე ის წყენა?! მართლა გეხუმრე მაშინ.

— იცი, გიორგიმ გამაფრთხილა, რომ მექალთანე ხარ და თუ ვინმე მიზანში ამოიღე, სანამ არ გაჟიმავ, თავს არ დაანებებ, — პირდაპირ აჯახა ანამ.

— ასე გითხრა? — ხმამაღლა გადაიხარხარა მამაკაცმა. — უყურე შენ მაგას!

— ჰო, ასე მითხრა და ისიც მითხრა, მოერიდეო.

— შენ ძმაკაცებს შორის შუღლს რატომ აგდებ? — სიცილი მოსხიპა ირაკლიმ.

— მე სიმართლეს ვამბობ, არ ვიტყუები.

— მერე შენც ადექი და დაუჯერე, არა?

— დიახ, დავუჯერე, რადგან საკუთარ თავზე ვიწვნიე შენი უცერემონიობა.

— მოდი, შევრიგდეთ. დაივიწყე, რაც იყო და სუფთა ფურცლიდან დავიწყოთ ურთიერთობა. ნახავ, რა კარგი ბიჭი ვარ, — თავი შეიქო ირაკლიმ.

— კარგი, — უცებ დათანხმდა ანა.

— მაშინ, შერიგების ნიშნად, გაკოცებ, კარგი? — ირაკლის თვალები ეშმაკურად უციმციმებდა.

ანამ ლოყა მიუშვირა. მამაკაცი წამოდგა და საკოცნელად დაიხარა, მაგრამ უეცრად გადაწყვეტილება შეცვალა, მკლავები მოხვია და ტუჩებზე დააცხრა.

ანა წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ მამაკაცმა ხელები ზურგს უკან გაუკავა და ქალი ვერ მოერია... ბოლოს დანებდა, კოცნას კოცნითვე უპასუხა. თუმცა როგორც კი ირაკლიმ ხელები შეუშვა და თავისუფლება იგრძნო, მაშინვე მკერდზე ხელი ჰკრა და ფეხზე წამოხტა.

— ასეთ ქცევას ვერ ვიტან! — კბილებში გამოცრა.

— ანა, მე კი უშენოდ ვერ ვძლებ. არც კი ვიცი, როგორ მოვიქცე, რომ შენი გული მოვიგო. რაც უნდა გავაკეთო, არაფერი მოგწონს. არ ვიცი, სიყვარულია ეს, ვნება, ჟინი თუ კიდევ სხვა რამე, მაგრამ რომ გხედავ, თავს ვერ ვიკავებ, რომ არ შეგეხო. მინდიხარ, გესმის?! — ირაკლი ხელების ქნევით ლაპარაკობდა.

— ეს ახლა, დღეს დაგემართა?.. — გულუბრყვილო ტონით იკითხა ქალმა.

— არა, ეს იქ, აეროპორტში დამემართა, როცა მიწაზე იყავი გაშხლართული, მე კი თავზე გადექი და ზემოდან დაგყურებდი. ლამის ხელში აგიტაცე და გულში ჩაგიკარი. ამიტომ იყო, რომ არც კი დავიხარე შენს ასაყენებლად, — რომ შეგხებოდი, თავს ვერ შევიკავებდი. შენ კი ალბათ ფიქრობდი, რომ მართლაც თავხედი და უზრდელი ვიყავი, — ერთი ამოსუნთქვით მიაყარა სათქმელი მამაკაცმა.

— ასეთი „რეჩი“ პირველად მოვისმინე, — გაიღიმა ანამ.

— იმ დღეს, აქ რომ დაგინახე, ლამის თვალთ დამიბნელდა...

— კი, მაგრამ აქ რომ არ გენახე, მაშინ რას იზამდი?

— რას ვიზამდი და შინ მოგაკითხავდი, ხომ ვიცი მისამართი...

— იმ ვარდების თაიგულებსაც შენ ხომ არ მჩუქნი, ყოველდღე კართან რომ მხვდება?..

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ურიგო

„უამრავი ახალი წლის სახლში შეხვედრისგან განსხვავებით, 2010 წლის შეგებება თავისუფლების მოედანზე, ჩემს ერთ-ერთ, სხეულით დაგვაჯულ მეგობართან ერთად გადავწყვიტე... თუმცა, რამდენიმე საათით ადრე, უკვე კარგად შეზარხოშებულებს საკონდიტრო მაღაზიასთან გავლა და უზარმაზარი ნერწყვების გადაყლაპვა მოგვიწია. ვიტრინებს უამრავი თვალწარმტაცი ნამცხვარი, ხოლო მაღაზიის კარს ქალებგოგოებიანი რიგი ამშვენებდა... ჩემმა დაუოკებელმა, ნამცხვრის სწრაფად დაგემოვნების სურვილმა დამძლია და ეფექტურ გამოსავალსაც მივაგენი. ხელების დახმარებით, „უკაცრავად, გზა მომეცით“-ის მოშველიებით რიგი გავარღვიე და მაღაზიაში შევიჭერი. ნუ, ნახევარსაათიანი ლოდინის ნაცვლად, ნამცხვარი სულ რაღაც, 3 წუთში ვიყიდე. როგორც ჩანს, ერთ-ერთმა რიგში მდგარმა გოგონამ თვალში ამომიღო და გამოსვლისას მატაკა: სიტყვა „უკაცრავად“ ჩვენც ვიცოდითო. კარგია, თუ იცოდით, მაგრამ ცოდნას გამოყენება ჯობია-მეთქი. სიცილით ვშორდებოდი მაღაზიას, როდესაც ერთმა ქალბატონმა მხარი აუბა ჩემს გამკრიტიკებელს და ჩემი მისამართით წამოიძახა: ნუ ელაპარაკებით, მაგ უნამუსოსო. სიმართლე გითხრათ, მეგობრის — „გეყო, წავედით“ რომ არა, ჩემს პოზიციას მაინც მყარად დავიცავდი. არადა, რა უნდოდათ, რას მერჩოდნენ? მე ხომ სულ რაღაც 20-კაციანი რიგი გავარღვიე? მაღაზიას ჩქარი ტემპით გავშორდით, სიცილს ხარხარიც დავურთეთ, ნამცხვრებით პირი ჩავიკოკლოზინეთ და რუსთაველის გამზირს მივადექით. თავისუფლების მოედნამდე ჯერ არმისულები, გზად 2 გოგონასთან შევჩერდით და ერთ-ერთს DOLCE & GABBAN-იან ქამარზე ამოტვიფრულ ინიციალებს: DG-ს მნიშვნელობა ღიმილით ვკითხე და ჩემი ვარაუდიც მოვახსენე — შემთხვევით „დამანახვე გვერდი“-ს ხომ არ ნიშნავდა. რამდენიმეწამიანი პაუზის შემდეგ კი სიცილით მითხრა: „დამანახვე გვერდი“ არა, მაგრამ „დეგენერატო, გაეთრიეს“ ნიშნავსო. მის სიცილს სიცილითვე ვუპასუხე, სისხარტე და ჭკვიანური პასუხი დადებითად შევუფასე, ერთმანეთს დამდეგი მივულოცეთ და იდეალური განწყობილებით გავშორდი. როდესაც თავისუფლების მოედანზე შეკრებილ „ღმერთო ჩემო, რამდენი ხართ“ ხალხთან მივედით, გა-

მარი ჯაფარიძე

ყველას გილოცავთ ახალ წელს! გამრავლდით, გაიხარეთ და მეც გამახარეთ ახალი და შინაარსიანი გზავნილებით. იმედი მაქვს, რომ ამ წელს ერთმანეთს აღარ დაჭამთ, დაწყნარდებით, დამშვიდდებით და სიამტკბილობაში გაატარებთ მომდევნო 12 თვეს (დანარჩენ თვეებზე მერე ვილაპარაკოთ). აგერ, ერთმა მგზავნელმა იდეა შემომთავაზა: „მარ, მე რომ შენი ვიყო, ასეთ შესავალს დავწერდი: გამარჯობა, ჩემო პირქვედასამარხავებო და ინდაურის ჭუკებო. გაფრთხილებთ, თემაზე მომწერეთ და ღობე-ყორეს ნუ ედებით (განრისხებული „სმაილი“ აქა). უკანასკნელად გეუბნებით (ბუზუ), დაანებეთ ერთმანეთის კბენა-ღრენას თავი, „ბლიად“! ხომ კარგია, მარი?“ ჰოდა, სანამ ეს იდეა განმიხორციელებია და თქვენ „წინააღმდეგ“ „საკონტროლო გასროლად“ გამომიყენებია, დატკბით (გოზინაყი ხომ ჭამეთ ამ ახალ წელს?) და დაიშაქრეთ. ახლა კი თემას მივხედოთ. მართალია, სათაურში სიტყვა „გმირობა“ ბრჭყალში ავიღე, მაგრამ თურმე სიმთვრალეში ნამდვილი გმირობების ჩადენაც შესაძლებელი ყოფილა.

სიმთვრალეში ჩადენილი „გმირობები“

მოკლე ჩართვა

ვის ვისურვებდი სტუმრად ახალ წელს?

• ჰოოო, სტუმრად? ჩემი სულის გამნათებელი, გრუზინკა მინდა. ნუ, სხვა მგზავნელებთან ერთად დროის გატარებაზეც არ ვიტყოდი უარს. მარის სტუმრობაც მინდა. ამიხდება? ტირიფი73.

• აუ, იცი, ვის ვინატრებდი კი არა და, ვნატრობ უკვე, მარისა და ყველა მგზავნელს ჩემთან სტუმრად... აუ, რა მაგარია?! ყველას გავიცნობდი, რაც ძალიან მინდა... GOLD GIRL.

• სტუმრად იკერ კასილასს ვისურვებდი... აუ, ეგ ამიხდეს და მერე გინდაც მომკლა, რაა. ჭორიკანა.

• მარიამულს და მგზავნელებს. მოხვალთ? კიდო ვისურვებ იტალიის ნაკრებს, მაგრამ ვიცი, ოცნება უფასოა. კიდევ ვისურვებ კახი კავსაძეს, რომელიც მეტყვის — „შენ მოიგე მილიონი“. ჰოდა, სანამ ზეაღნიშნული პირები ჩემთან მოხვალთ, წავალ, სუფრას მივხედავ. აბა, ისე ხომ არ შეეხვდებით? სოფი19.

• ოო, მარი, რაღას მეკითხები, ხომ იცი, გეტყვი, რომ ლაშას ვისურვებ, მაგრამ... ჭრიჭინა.

• აუ, გაგეცინებათ ალბათ, გოგოს ხომ ასეთი სურვილი არ უნდა ჰქონდეს? არავისაც არ ვისურვებდი, მარტო მინდა ყოფნა. სატანა. გილოცავთ, მრავალს დაესწარით.

• ვიის? ვის და, მარიიის! მარ, მესტუმრე რა, ქუთაისში. რა მაგრად გამახარებ, ნეტავ იცოდე! მაგრად გაგიმასპინძლდები, არ ინანებ, მარ. მაგრად მიყვარხარ. მა-ნი.

• აუ, მარ, სტუმრად შენ და მგზავნელებს გისურვებდით. მოხვალთ? თუ არა, დამპატიჟეთ და მე მოვალ. აჰა, ეს არ გამოვა? მაშინ იტალიის ნაკრებს ვეპატიჟები. გატუზო და ინძაგი არ დატოვოთ, თორემ არ ვიცი, რას ვიზამ! გავრეკე აშკარად. სოფი19.

• ერთ პოპულარულ ქართველ ფეხბურთელს ვინატრებდი. მის ცოლობაზე პრეტენზია არ მაქვს, უბრალოდ, ვიცი, რომ მართლა საოცარი პიროვნებაა ყველანაირად და ერთადერთი, ვინც დიდებამ ცუდისკენ კი არ შეცვალა, პირიქით, ადამიანთა დახმარება მისი ჰობია. ჩვენ საერთო ახლობელი გვყავს და სულ მპირდება მის მოყვანას, მაგრამ... სვანის ასული.

• მეე ვინატრებდიიი ჩაბარებულ ეროვნულ გამოცდეებს. ინგლისის ბილეთებს, კარგ სამსახურს. ბევრს ვითხოოვ? თოვლის ბაბუ, ფიფქიებო და ჯადოსნურო ჯოხებო, პირველი-ორი შემისრულეთ და არასდროს არ ამოვიღებ ხმაას. SKY.

• ახლა რა სურვილი გამიჩნდა, იციიი? აი, ერთი ადამიანი თოვლის ბაბუის ფორმით რომ მესტუმროს. მერე მე ვიცნობდი მის თვალებს, გულიანად გადავიკისკისებდი და მმმააგრად ჩავეხუტებოდი. რას გადავეკიდე ამ თოვლის ბაბუებს? ჰო, კარგი, მაცალეთ ოცნება. SWEET-GIRL.

დავწყვიტეთ, დამაყრუებელი ასაფეთქებლების მიერ გამოწვეულ ხმაურში საკუთარი წვლილი შეგვეტანა და დავიწყეთ საგანგებოდ მომზადებული „ხლაპუშკების“ სროლა. ჩემგან განსხვავებით, ჩემს მეგობარს მიზანმა უმტყუნა და ქალბატონს შიგ ცხვირში გაარტყა. საკუთარი თავები ხალხში ჩავრგეთ... შემდეგ იყო უამრავი სიცილი, შუა კონცერტზე ინდოელებთან ერთად ცეკვა, ჩვენი ქართული მილოცვები და მათი „აზრზე არა ვარ სიტყვების“ მოსმენა... წასვლისას, რუსთაველის მეტრომდე ფეხით სიარულის დროს, ხმამაღლა და უნიჭოდ შესრულებული „სულიკო“, მეტროს სკამზე შეგრძნება, რომ საკუთარ სახლში ხარ და სრულიად უცხო ადამიანის მხარზე თავის ჩამოდება, რამდენიმე სადგურის ასეთ მდგომარეობაში გავლა. ვიღაცის სამეგობროდან წამომხტარი პიროვნება და სიცილით მათხოვრობა. ჩემი და ჩემი მეგობრის ხურდითა და ტკბილეულით გამასპინძლება, ერთობლივი სიცილ-ხარხარი და კვლავინდებურად ახალი წლის მილოცვა. მეტროდან გამოსულებმა ტაქსი გავაჩერეთ. შემდეგ იყო ტაქსის მძღოლის მიერ 12 საათზე განცდილი უდიდესი სიხარულის გაზიარება, რომლის გამომწვევი მიზეზიც, ციხიდან განთავისუფლებული მისი პატარა ძმა იყო. მანამდე მძღოლს ვეხვწეთ, რომ ფული არ გვქონდა და 4 ლარის ნაცვლად ლარად გავეყვანეთ საჭირო ადგილზე. ახლა კი ლარის ნაცვლად 10-ლარიანი მივაწოდე და სანამ გაიფიქრებდა, ამ აფერისტებს აკი ფული არ ჰქონდათო, მანამდე დავასწარი — თქვენს ძმას ახალი წელი მივულოცეთ-მეთქი და ფულიც ვაჩუქე. სახლში მისულმა მამაჩემის მოჩეჩებული ჭიქით დავიწყე და ოჯახის დალოცვით დავამთავრე, მაგრამ საპირფარეშოში შესვლისას, ვიღაცამ ჩემი ტელეფონი უდროოდ ამიწრიპინა. სიმთვრალისგან მოფამფალებულმა ტელეფონი სათანადოდ ვერ დავიჭირე და უნიტაზში გაადინა ტყაპანი. სწრაფად ჩავყავი ხელი და ტელეფონი „დახრჩობას“ გადავარჩინე, გარედან გავამშრალე და დაუყოვნებლივ გამათბობელს მივაშურე. ამ ფაქტით დადარდიანებულმა და ხასიათდამძიმებულმა, ძილი გადავწყვიტე, მაგრამ დილით, როდესაც ტელეფონი ჩავრთე და ხმა ამოიღო, მივხვდი, რომ გადარჩა და ეს ყველაფერი თქვენთვის უნდა მომეთხრო. და აი, დავასრულე... მისტერ“.

თაღლითი

„სიმთვრალეში ჩადენილ „გმირობაზე“ ერთი ამბავი გამახსენდა. ყველაფერი კი ასე იყო: სამი ძმაკაცი სვამდა მეზობლის საფლავზე. მაგრად გაილეწნენ... ჰოდაა, შემოაღამდათ... ნიკოს ეტყობა, ფეხით სახლში წასვლა დაეზარა (მართლა დიდი მანძილი ჰქონდა გასავლელი) და რაღაცების მოგონება დაიწყო. უაზროდ ყვიროდა და იცინოდა, ვითომ მკვდრებს ესაუბრებოდა. ბოლოს, ცუდად ვარო, თქვა (თავს აცოდებდა ბესოსა და გიგუნიას) და გაიშხლართა ძირს. რაღა უნდა ექნათ? იქ ხომ არ დატოვებდნენ? ციმციმ წაიყვანეს, მხარზე გადებული ნიკო (ფეხზე ვერ დგებოდნენ და როგორ მოახერხეს, მიკვირს). ჭიშკარს რომ მიუახლოვდნენ, ნიკომ თქვა, გამიშვით, ახლა მეც შევალ ჭიშკარშიო. მიხვდნენ, რომ მოტყუვდნენ მაგრად. დაჰპირდნენ, აწი რომ კვდებოდე, ხელს არ მოგკიდებთ, ეს რა გაგვიკეთეო. ესეც მათი გმირობა, მაგრამ ვინ დაუფასათ? მა-ნი“.

მარი და თემო

„სულ პაწაწინა გოგო იყო მარი, მშობლებმა პატარა თემოზე რომ „დანიშნეს“ — აი, ასეთი სიძე გვინდა ჩვენო, ენის მოჩლექით ეუბნებოდა ხოლმე დედა. თემო ქერა, ცისფერთვალება და საოცრად საყვარელი ბავშვი იყო. ასევე, მარიც. მოკლედ, ისე შეეფერებოდნენ ერთმანეთს, როგორც ყველი და პური, ოღონდ ეს ბავშვობაში, თორემ ახლა, როცა უკვე დიდები არიან, მათზე შეუფერებელი წყვილი ამქვეყნად არ მეგულება. ჰოოდა, იმას გეუბნებოდით, რომ ეს ჩვენი ეშმაკუნები ცოტა რომ წამოიზარდნენ, დედაშვილობანას თამაში დაიწყეს. კიდევ რომ მოემატათ წლები, მერე „დამალობანაზე“ გადავიდნენ. საათობით ეძებდა თემო მარის, მერე ისიც გამოჩნდებოდა და მათი თამაში უკვე „დაჭერობანაში“ გადადიოდა. გაიქცეოდა პატარა ქალბატონი და თემოც აქოშინებული და ენაგადმოგდებული მისდევდა. მერე, 19 წლის ასაკში მარიმ გაბუტვა ისწავლა და ისე გავიდოდა დღე, თემოს ხმას არ გასცემდა. ისიც ათასგვარი სიტყვებისა და საჩუქრების წყალობით შემოირიგებდა ხოლმე. ერთად რომ დაგანახვათ, სიცილით გაიგუდებით. არა, არა, ცუდები კი არ არიან, უბრალოდ, ბავშვობაში უფრო საყვარლები იყვნენ, რასაც ახლა ნამდვილად ვერ ვიტყვით. მარი პუტკუნა და ჯანიანი გოგოა, თემო კი მეტისმეტი სისუსტით მხრებში მოხრილი და აყლაყუდა ბიჭი. მარის მშობლებს აღარ მოსწონთ სასიძოდ, მაგრამ ვეღარ მოიშორეს. თქვენ წარმოიდგინეთ, მარიც არ იყო გულგრილი თემოს მიმართ და კი სიამტკბილობდნენ ერთად, ხან სად, ხან — სად. ერთ დღესაც, გემოზე გალეშილ თემოს მარის დანახვაზე ვნებები აეშალა, მშიერი მზერა შეავლო მის სავსე გულმკერდს და გაპარული ხმით შეყვარებულობანას (უფრო საყვარლობანას) თამაში შესთავაზა, მაგრამ საპასუხოდ, სახეში შემოლაწუნება მიიღო. ჰოოდა, მასზე გაბრაზებული, ადგა და სასიდედროს მიუვარდა, გინდა თუ არა, შენი გოგო მომათხოვე, ცოლ-ქმრობანა უნდა ვეთამაშოო. რაიო?! ცოლ-ქმრობანა უნდა ეთამაშოო?! წაიშინა ხელები თავში სასიდედრომ და იქამდე იკივლა და ივიშვიშა, სანამ მძინარე ქმარი არ გააღვიძა და მომავალი სიძე გემოზე არ მიაბეგვინა. თემომ მალე მოიტაცა მარი და იმ დღიდან სულ ერთად არიან. ლუნა“.

პატრული და მთვრალები

„უჰ, ნაბახუსევს ბევრჯერ მაქვს საგმირო საქმეები ჩადენილი. მთლად ცინცხალს გეტყვით: დღეს მე, დაქალმა და ახ-

ლობელმა ბიჭმა დავლიეთ. ნუ, ახალი წელი აღვნიშნეთ. რომ შევბუჟბუჟდით, წანწალის ხასიათზე დავდექით და ქალაქში გავედით. მთავარ ნაძვის ხესთან მივედით, ჯერ ლექსები ვთქვით გამოთქმით, მერე გარშემო ვურბენდით ამხელა ქალები და თან ვმღეროდით. ეს რომ მოგვწყინდა, ერთმანეთს შოკოლადები დავუშინეთ, თან გზაზე დავრბოდით. იქვე ახლოს პატრული ბიძიები იდგნენ და გაოცებულები გვიყურებდნენ. მე და ჩემმა დაქალმა უკან შემოვიწყვეთ ხელები და პატრულის მანქანას აქეთ-იქიდან „კრუგი“ დავარტყით, მერე დაქალი შემაღლებულ ადგილზე დადგა და მე და გიომ მუხამბაზი შემოვძახეთ. პატრული ბიძიები კარგ ხასიათზე იყვნენ და მუსიკები ჩაგვირთეს. მე და დაქალი დავიწყებდით ცეკვას და მაშინ თიშავდნენ. ნუ, გვეკაიფებოდნენ. ყველაფერმა კულმინაციას მაშინ მიაღწია, სახლში „ზადნით“ რომ წამოვედით სამივე. მათი გაოცებული თვალები არ დამავიწყდება. ნუუ, მაგრად დაიწყო ეს წელი. გილოცავთ ყველას შობა-ახალ წელს. გაკოცეთ. ICE-LADY“.

ახალი სასწავლებელი

„მაშ, სიმთვრალეში ჩადენილი გმირობები, არაა? აბა, იმაზე დიდი გმირობა რა უნდა იყოს, რომ მე, ამ ისტორიულ წამს, პლანეტის ყველაზე მთვრალმა (თქვენი სიყვარულით) ადამიანმა მივიღე ყველაზე მთვრალი გადაწყვეტილება, რომ პირადი სახსრების, აზრებისა და დასალევ-ჩასახეთქის ხარჯზე საფუძველს ვუყრი ახალ სასწავლებელს, რომლის სარეკლამო ფართს თქვენთან განვათავსებ. ასეთი ტიპის სასწავლებელი სამყაროს დასაბამიდან დღემდე არ ღირსებია და ფილარმონიის წინ საკუთარ ვარსკვლავსაც გამიხსნის ჩვენი სმა-ჭამის მოყვარული პრეზიდენტი. მაშ ასე:

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბერბიჭას სახელობის ნომერ პირველი და უკანასკნელი სასწავლებელი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას. სასწავლებელი ამზადებს ყანწმოუწყვეტ თამადებსა და მათ მოადგილეებს, საკმაოდ ფართო პროფილით: ქორწილი, ქელეხი, ნათლობა, სახლის გადახურვა, დაბადების დღე, ჯარში გაცილება, ძველი წლის გაცილება, ახალი წლის ადგილამდე მოცილება და სხვა დასალევ მიზეზთა ადვილი მოძიება. სწავლის პერიოდში მოსწავლეები უზრუნველყოფილნი იქნებიან უფასო სმით, ჭურჭლიდან (ტოლჩა, ყანწი, ლამფის შუშა, ვაზა, ტაშტი, ვედრო, კრამიტი, კალოში. ნუ, ფანტაზიები განუსაზღვრელია). სწავლის პერიოდი მოსწავლეებს ჩაეთვლებათ სმის უწყვეტ სტაჟად. წარჩინებულებს უფლება ეძლევათ, განსაკუთრებული სასმელ-სადღეგრძელოთი დალოცონ მიმღები კომისიის თავმჯდომარე, მარი ჯაფარიძე და მასთან ვახტანგურ-ბერბიჭული დალიონ (არც ახლა დამიდგება რიგი?). ბანკეტის თამადის კვალიფიკაცია ბარდება შემდეგ დისციპლინაში: 1) განსხვავებული, 1-2 ლიტრი ტევადობის სასმისის სულმოუთქმელად დალევა, ყველა სახის დასაყოლებლისა და დაბოყინების გარეშე. მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, დახასიათება რამდენიმე თამადისგან, ფოტოსურათები ღრმა სიმთვრალეში, საცივში თავჩარგვის დროს გადაღებული. გამოცდები დაიწყება განცხადების გამოქვეყნებისთანავე. კურსდამთავრებულები მიიღებენ სასწავლებლის დამთავრების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დასაქმების გარანტიით. უნარშეფერხებულები ნუ გამოგვეხმაურებიან. დასასრულ, მგზავნელთა გასაგონად მინდა ვთქვა, რომ ჩემი 2 მოადგილის თანამდებობა ვაკანტურია და მას ისინი დაიკავებენ, ვინც მომდევნო ნომერში ყველაზე მაგრად იმღერებენ: „ლოთი არა ვარ, მაგრამ მთვრალი დავიარები, ტააშტუუშ-ტარამ-ტარამ“ და „დამპიტაურიი-დიმპიტაურიი, ვინმემ დამისხით ჟიპიიტაურიიი“. ჰოდა, გელოდებით, რაა, მანამდე კი აი, ჩემი სადღეგრძელო: რაკი არ მაქვს თოვლის პაპის ჭაღარა და წვერები, მოდით, ვითომ მეკვლე ვარ და ცოტას მოგეფერებით. ახალ წელს და ბედობის დღეს, კარგებს, გიჟებს, კაპასებს, ყველას ერთად მოგილოცავთ, ერთნაირად გაფასებთ. მგზავნელ ბიჭებს გადღეგრძელებთ და არ იუხერხულოთ, ნამუსიანი კაცის ქუდი მუდამ თავზე გეხუროთ. ალავერდსაც გადმოვდივარ, თქვენი კაი ნაცნობი, ქვეყნად მუდამ გევლოთ ძმებო, თქვენი კაიკაცობით. გოგონებო, გენაცვალეთ, მიყვარს თქვენი გენები, მაინც ჩვენი მუზები ხართ, დაკარგული ნეკნები. მარიამულ, გაგიმარჯოს, მასწავლებლად გვჭირდები, ღმერთმა მოგაცეს მართვის ძალა, ჩვენისთანა გიჟების. ნულარ დავჭამთ ერთმანეთს და დავმორჩილდეთ განაწესს, ბედნიერნი შევხვედროდეთ კიდევ მრავალ ახალ წელს! ბერბიჭა“.

არ დააცადეს

„გასულ ახალ წელს დარეკეს კახეთიდან, ბიძაშვილის ნიშნობაა და ჩამოდითო. რა დიდი ხვეწნა მე მჭირდება? ჰოდა, ვესტუმრე ახმეტას. წარმოიდგინეთ, რა არეულობა იქნებოდა ახალი წლის ღამეს. ჰოდა, სამწუხაროდ, ვერც ახალი წლის შემობრძანება გავიგე და ვერც მაგიდის ქვეშ შევძვერი. გული ძალიან დამწყდა. გადავწყვიტე, ეს სურვილი ძველ ახალ წელს, თბილისში ამესრულებინა. საახალწლო სუფრის გაშლა ცოტა ადრე მომივიდა, გემოზეც ჩავთვერი. მაგიდის ქვეშ შეძრომის დრო მოდიოდა, მაგრამ ერთი დიდი და უმთავრესი პრობლემა იყო: საათი არ მქონდა ზუსტად გასწორებული. ამ ცრურწმენის არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ ახალ წელს იქ უნდა შეხვდე. საათი ჩემი ვარაუდით, 5 წუთით წინ ან 5 წუთით უკან უნდა ყოფილიყო. გადავწყვიტე, 10 წუთი ვყოფილიყავი მაგიდის ქვეშ, ახალი წლის მოსვლას კი გარეთ ამტყდარი ბათქაბუთქით გავიგებდი, თან ტელევიზორიდანაც მოგვილოცავდნენ. კოხტად მოვკალათდი და ვღიღინებდი, „გარეთ თოვდა, თოვდა“... მაგრამ ვინ გაცადა მუსიკალური ნიჭის გამოვლენა? შემოიჭრა ოთახში ჩემი ძმა, ჩქარა გამოძვერი მანდედან, თავი არ მომაკვლევინო, ჩემი ძმაკაცები მოდიანო. ოო, 5 წუთიც დაიცადეთ და გამოვალ-მეთქი. გამოდი, თორემ თუ შემოვედი, მაგიდის ქვეშ კი არა, „შკაფში“ შეგაძვრენო. რაღას ვიზამდი? გამოვედი და ამოუცნობად დარჩა, შევხვდი თუ არა ახალ წელს მაგიდის ქვეშ. ჰოდა, წელს თადარიგი დავიჭირე, საათი ზუსტად გავასწორე, ჩემი ძმის ძმაკაცებიც ჩემს ბედზე პირველის ნახევარზე მოვიდნენ და მაგიდის ქვეშ უპრობლემოდ შევძვერი. P.S. ეს უბრალოდ, გასართობად გავაკეთე. არადა, ხომ ვიცი, წელს რომ გავთხოვდები, ყველა მაგას იტყვის, მართალი ყოფილა მაგიდის ქვეშ შეძრომაო. ჭრიჭინა“.

სიყვარულის ახსნა

„გუშინ ჩვენთან ქეიფობდნენ ახალგაზრდები. მე, როგორც გამონაკლისი, ჩემს ოთახში „განვისვენებდი“, დასიცხულ-გაცივებული. ჩემს არყოფნაში კი მეტად საინტერესო ამბავს აეხადა ფარდა: ჩემმა მეზობელმა თეამ (სახელი შეცვლილია), სასმლის გადაჭარბებული დოზა მიიღო და აღსარების ხასიათზეც დადგა. ჰოდა, ჩემს მეზობელ გიოს სიყვარული აუხსნა — მე შენ მომწონხარ და შენ ხარ ჩმორიო. ბიჭმა გაოცებისგან პირი დააღო და ძლივსღა იკითხა, ჩმორი რატომ ვარო? მამაჩემიც იქვე იყო და თქვა: 8 წელი მიყვარდა გოგო, მე ვერ ვუთხარი და ეს რა ყოფილაო?! ასეთი „გმირობა“ ჩაიდინა თეამ, მაგრამ სულ ტყუილად. ბიჭს არ უყვარს და რა ქნას? რას გაუგებ სიყვარულს, ჩემო ოლღა? პაჩები. სოფი19“.

გზააბნეული

„უჰ, ჩემს სიმთვრალესა და ოინებზე წიგნი დაიწერება, მაგრამ არ მოგწერ, მრცხვენია. ისე, ერთხელ თამრიკო ჭოხონელიძემ მოჰყვა: ქეიფიდან მოვდიოდიო და რუსთავში მოხუცი ქალი დაუნახავს გაჩერებაზე. დაბრძანდით, ქალბატონო, მე წაგიყვანთო. არაო, უთქვამს ამ ქალს. არა, წაგიყვანთო. არა — კი, გაწევ-გამოწევა და ჩასვა ეს ქალი თურმე ძალად და თბილისში რომ შემოსულან, უკითხავს, ახლა სად მიგიყვანოთო? არსად, შვილო, ერთი ქუჩიდან მეორეზე გადავდიოდიო“.

ოჰ, ეს ტრადიცია

„ჩემო მარი, შენ შემოგევლე, შენ გენაცვალე, მომილოცავს ახალი წელი. ახლა ზუსტად 1-ელი იანვრის 03:21 წუთია და მე, განგრეული მთვრალი, ძლივსღა ვწერ მესიჯს. შამპანური, თეთრი ღვინო და ერთი ბოკალი „პივაც“ ჩამაყლაპეს წრუწუნასავით და ვაქნევ ახლა თავს, ბებერი ინდაურივით. მეკვლე მოვიდა და კარის მაგივრად აივნისკენ გავიქაჩე და ლამის ვისკუპე მეხუთე სართულიდან. მარ, ვერც მაგიდის ქვეშ შევძვერი. მთვრალს გამახსენდა ეგ ტრადიცია და ქე ვრეხვე თავი მაგიდის ფეხს. კიდევ რა ვიცი, მეშინია, გრძნობებმა არ მიმტყუნოს და შარშანდელივით ამ მეგრელ ბიჭს სიყვარულზე ფიცი-მტკიცი არ დავუწყო. სულ ღიღინ-ღიღინით ვითვლიდი მთვრალი, მე-

ზობლებს, მთელი 2 საათი. აივნის კარი გაიჭედა და ახლა შემოვედი გათიშული, ლოლოებდაკიდებული და აეეჰ, მეზობლებოოოო! წადით, რა, დამაძინეთ, რა, ხალხი არ ხართ?! მაარ, შენ მიყვარხარ! დედას გეფიცები, მარ! ერთმა მითხრა, სიმთვრალეში იმას ამბობენ, რასაც სიფხიზლეში ფიქრობენო. ჰოოდა, შენ არ გიყვარვაარ? ხომ გიყვარვარ? თავი დამიქნიე, ჰო მითხარი და გამიხარე წუთისოფელი. ღმერთმა დაგლოცოთ, ხალხოო, მერე რა, რომ მთვრალი ვარ? სიყვარული შემიძლიაااااა! მარ, ამ ყანწით შენ გაგიმარჯოს! ალავერდი შენთან ვაااარ! დამავოი“.

„წაძველებული“

„ადამიანად რომ ყალიბდები, მაგ პერიოდში ცოტა მიქროდა, ჩემი თავი ძაან მაგარი მეგონა და ცოტას „წავუძველებდი“. თან მაშინ დალევა მიყვარდა, მაგრამ ყველა ამ სიკეთესთან ერთად, შეყვარებული მყავდა (არადა, მართლა მიყვარდა), ჩემთან შედარებით ნორმალური. აი, ჩემი დაქალები ნამეტანი წაუნაზებდნენ, მაგრამ რო ჩავუსხდებოდით, ჭიქას არ იცილებდნენ. ნუ, ერთი ასეთი ჩასხდომის შემდეგ გამახსენდა, რომ ჩვენ ორს შორის მესამე იდგა, ვინმე დიმა, ჩემზე უიმედოდ შეყვარებული, რომელიც კაცისთვის შეუფერებელ საქციელს სჩადიოდა, ჭორებს მიგონებდა და ვისზეც გული მქონდა შევარდნილი, იმას უყვებოდა. თან ისიც გამახსენდა, რომ მაგის გამო რამდენჯერმე მე და გიოს ჩხუბი მოგვივიდა. ჰოდა, ჩემი დაქალები დავრაზმე და დიმკას უბანში ავაკითხეთ. ბირუაზე იდგა ბიჭი. ჩემი, სასმლისგან გათამამებული დაქალი წინ გადამიდგა და ერთი აქეთ მოიწიე, ბიჭოო, შესძახა ომახიანად. მოვიდა. გოგოებო, ახლა მე მაცადეთ-მეთქი. ჩვენ იქ ამბები ჩავატარეთ?! რომ ვიხსენებ, მრცხვენია. მერე გავიზარდეთ, ჩვენ ორნი დავიშალეთ, დიმამ ცოლი მოიყვანა. მე დავჭკვიანდი და დღეს უკვე კარგი გოგო ვარ. იმდენს ვეღარ ვსვამ, როგორც ადრე, თან საქმეების გასარჩევადაც აღარ დავდივარ. P.S. მარ, იმ დღეს ჩემი ჯგუფელი განგრეულ პახმელიაზე მოვიდა „უნიში“, თან გაკვირვებული გვიყვებოდა, სახლში დიდი სარკე არ გვქონდა (ძმაკაცებთან ერთად ცხოვრობს), მარა დღეს დილით კედელზე მიყუდებული სარკე რომ დავინახე, გულზე შემომეყარა, საიდან წამოვიღეთ, აზრზე არ ვარო. :) P.P.S. გაგანია პირველი იანვარია, მე კიდევ ვზივარ და აი, ამ მესიჯს ვწერ. რა ვიცი, დამიბეჭდავ კი? ფეშენა“.

ნაპანჩურევი

„მე, შამპანურსა და „ნემიროვს“ დიდი ხნის „ძმობა“ და „მეგობრობა“ გვაკავშირებს. ასე რომ, გასახსენებელიც ბევრი მაქვს. აქვე აღვნიშნავ, რომ სიმთვრალის 4 ფაზა მაქვს. პირველი, როდესაც ცოტას ვსვამ და ვმხიარულობ. მეორე, როცა ცოტა მეტს დავლევ და გაბედულება მემატება (რკინის გული მაქვს ხოლმე, ხის აბჯარი არ შემიმჩნევია). მესამე — ვტირი (მიზეზი ნებისმიერი რამ შეიძლება გახდეს). მეოთხე — არ მახსოვს არაფერი. პირველად რომ დავთვერი, პატარა ვიყავი, 5-6 წლის, მამიკოს სასმელი ავწაპნე და იმდენი ვწრუპე, სიმთვრალის მეორე ფაზა ავიკიდე და გავბლატავდი. არც მეტი, არც ნაკლები, „შკაფს“ „ვეკაჩავე“, რომელსაც რამდენჯერმე შევასკდი, შენელებული ქმედებების გამო. ჰოდა, თურმე სულ წიხლი ვურტყი „შკაფს“, რა პონტში მეჯახები-მეთქი? დილით საშინელმა ფეხის ტკივილმა გამაღვიძა (დიახ, ფეხის და არა — თავის). აბა, „შკაფს“ რომ ვაპანჩურებდი, რა მეგონა? ჰოდა, ჩემი პირველი ნაბახუსევი არ მახსოვს, ფეხის ტკივილზე ვიყავი კონცენტრირებული... მეორედ შემთხვევით დავთვერი, მაცივრიდან წყალი გამოვიღე, რომელიც არაყი აღმოჩნდა და... ცხოვრებაში პირველად მქონდა მეოთხე ფაზის სიმთვრალე. რა და როგორ მოხდა შემდეგ, არ მახსოვს, მაგრამ ის კი მახსოვს, საღამოს 8 საათზე გაღვიძებულს დილის 8 საათი რომ მეგონა და სკოლაში მივდიოდი. ახალ წელს კი, მარიამულ, სიმთვრალის პირველი ფაზიდან ეგრევე მეოთხეზე გადავედი. გავითვალისწინე რა ეშლის მეთოდი, მეც „ხლაპუშკებით“ დავბომბე და დავაწიოკე „ბოზასავე“ წყვილები. შემდეგ კი ერთი „ბომბაჩკა“ ჩემს მეზობელ ილოსაც ვესროლე და საუბედუროდ, კაპიუშონში ჩავუგდე. შემდეგ მოხდა, ჰოი საოცრებავ! ამ 10-თეთრიანმა „ხლაპუშკამ“ 5 კილო ტროტილის საქმე გააკეთა, 120-კილოიანი ილო ჰაერში ასწია. ჰო, მართლა, აქამდე ილოს ოდნავ ენა ებმოდა, მაგრამ ნაჭამმა შიშმა, როგორღაც იმოქმედა და შედეგი სახეზეა — უკეთ მეტყველებს. ნუ, ზოგი ჭირი მარგებელია, რა... :):))) მერე მეკვლე ვიყავი, შევვარდი სახლში და დიასახლისს ვუთხარი, თავი დახარე, კანფეტი უნდა გესროლო-მეთქი. მეკვლედ რომ შევდიოდი, უკვე სიმთვრალის პირველი ფაზა მქონდა და ვიფიქრე, „შუა ქალაქის“ სანდროს ტექსტით შევალ-მეთქი: „შემოვდგი ფეხი, მეორე ფეხიც“, მაგრამ მამამ მზერით დამჭრა, ეგ არ ქნაო და... მერე ბევრი ვიმხიარულე და რაღაც დავლიე, მერე მეოთხე ფაზა დამეწყო და... დილას თავადაც გამიკვირდა, ჩემს ოთახში რომ გავიღვიძე. :) ეს ის საქმეებია, რაც სიმთვრალეში ჩავიდინე და მახსოვს და რაც არ მახსოვს, ნუ გამახსენებთ, რა, მეცოდება ჩემი სინდისი. ჩუპი“.

ქალების სიმთვრალე

„საერთოდ, სიმთვრალესთან და სასმელებთან არცთუ ისე ვახლობლობ, მაგრამ რამდენჯერმე კარგად დავლიე. ბოლო სიმთვრალე, თან გოგონების, ამ ახალ წელს ვნახე, ღამით. მოკლედ, 31 დეკემბრის ღამე ერთი თვის განმავლობაში იგეგმებოდა და მგონი, არცთუ ისე ცუდი გამოვიდა. სიცივეში, ყინვასა და „ბომბაჩკების“ ყურისწამღებ ხმაურში პინგპონგის ბურთივით მიწევდა ხტუნვა, თავის გადასარჩენად. ჩემმა გიუმა მეგობრებმა სიცივისგან თავის გადარჩენის გზად დალევა მიიჩნიეს და ერთობლივი გეგმით შეისყიდეს „პივის“ დიიიდი მარაგი. სანამ ლუდს ყიდულობდნენ, ახალგაზრდა ყმაწვილის სამიზნე აღმოვჩნდი და ისეთი გამართული ქართულით მეკითხებოდა, „აქანე“ და „იქანეო“, სიცილს ძლივს ვიკავებდი. ამ დროს ჩემი, უკვე გადაკრულში მყოფი ხალხიც მოვიდა და ბიჭს საქმის გარჩევა დაუწყეს. რომ აღარ მომშორდა და მისამართს მეკითხებოდა (არა, რად უნდოდა მაინც?). მიმეცა და სახლში მოსული ნახავდა, მამაჩემი როგორი სიხარულით მიიღებდა. ვუთხარი, ცაში ვცხოვრობ, ცაში-მეთქი. არაო, ცაში ანგელოზები არიანო. მეგობარმა თქვა, აბა, თვალები აუუუუუნეო. მეც თვალები დავაელმე და ვკითხე, არც ახლა ვგავარ ანგელოზს-მეთქი? მერე „პივის“ ბოთლებში აფეთქებულ „ბომბაჩკებს“ ძალიან საზიზღარი ხმა ჰქონდა... SKY“.

გაწყვეტილი კავშირი

„იმდენი არასოდეს დამილევია, რომ გონება დამეკარგა. ძირითადად, ღვინოს ვსვამ ხოლმე. სხვა სახის სასმელებითაც მიცდია შეზარხოშება და ვინაიდან არც ერთი სასმლის სიმთვრალის სიმპტომები არ მომწონებია, მას შემდეგ ღვინის უფრო ერთგული გავხდი... მოკლედ, ამას წინათ, როგორც წინა ნომერში მოგახსენეთ, უნივერსიტეტში კარნავალი მქონდა... ყველაფერი შესანიშნავად ჩატარდა და საღამო ხანს, კარგა გვარიანად შეზარხოშებულმა ახალგაზრდებმა დარბაზში გადავინაცვლეთ და დისკოთეკაც გავმართეთ. თანდათან მომეკიდა სასმელი, მარა, რა მომეკიდააა?! რეპეტიციებზე არასოდეს მიმაიმუნია და ეტყობა, ბავშვებს ნამეტანი დალაგებული ვეგონე. ჰოდა, ახლა რომ მნახეს, ნაირ-ნაირ ხმებზე მოსაუბრე და კარაოკეზე ხმის ჩახლეჩამდე „მომჩხავანე“, მერე კი დარწმუნდნენ, მათი აზრის მცდარობაში. ვართ ერთ ამბავში და ცეკვათამაშში, რომ თქვენთვის კარგად ნაცნობმა და უსაყვარლესმა ადამიანმა, ილინმა, „გურუს“ ბილეთები მაქვს და თუ წამოხვალო? რადგანაც იქ ცოტა მოგვიანებით ვიყავი წასასვლელი და უნივერსიტეტში მოლხენას ჯერ კიდევ მოვასწრებდი, უარი აღარ მითქვამს და ხალისითაც დავთანხმდი... გამოვედი გარეთ... ზამთრის ჰაერმა თითქოს ცოტათი გამომაფხიზლა, მაგრამ თურმე ჯერ სად ხარ. ამ ზამთარში მკლავზე ქურთუკგადაკიდებული რომ დამინახა ილინმა, ცოტა კი შეიშმუშნა, მაგრამ აღარაფერი უთქვამს. შევედით კლუბში და დამეტაკა თბილი ჰაერი და შემირხია ძაფით გადაბმული ტვინის უჯრედები. ამ ისედაც არეულ ტვინზე „რედბულიც“ მომიცუნცულა ელემ და ისე, რომ შედეგზე არც მიფიქრია, „დავარაკრაკეეე“... ისე მესიამოვნა, ლამის იქვე, დივანზე ჩამომეძინა... უცებ არც არაფერი დამტყობია, მაგრამ სახლში რომ მივედი, აი, მაშინ კი მივხვდი, რომ ჩემს „მე“-სა და ჩემს ტვინს შორის კავშირი გაწყდა. არა, უფრო სწორად, ამას მას შემდეგ მივხვდი, რაც შედეგების მომკის დრო დამიდგა... აივანზე გადავდექი და ის იყო, მთელი ნახალოვკისთვის ახალი წლის მილოცვას ვაპირებდი და ერთი ამოვიღნავლე კიდეც, რომ ბიძაშვილმა სახლში შემომათრია. „უსაქმურობით“ გადაღლილმა (არადა, ღამის 1-ლი საათია), მობილურს დავტაცე ხელი, ვის აღარ დავუმესიჯე და რა აღარ ვუთხარი... ყველაზე დიდი საშინელება ისაა,

რომ დილასაც არ დამილაგდა ეს ათქვეფილი თავის შიგთავსი და დეიდაშვილს ვუთხარი, შენი გოგო ბაკურიანში კი არაა, გაიპარა-მეთქი. ისიც თურმე სასრიალოდ ყოფილა გასული და ბედად, ტელეფონი გათიშული ჰქონია და სანამ გაარკვიეს, რომ ტყუილი იყო და ვხუმრობდი, მანამ საავადმყოფოს მიმღები დალაშქრეს. სამწუხაროდ, იმ დღის შედეგებს დღემდე ვიმკი. ზოგმა მაპატია ეს ჩემი „ტვინგადაკეტილობა“, ზოგმა — არა თუ ვერა... სამწუხაროდ... ამ ახალ წელს აღარავის შეგაწყენთ თავს. ისეთ ადგილას ვაპირებ წასვლას, სადაც ვერავინ მომძებნის. მხოლოდ ერთმა დაქალმა იცის და ისიც იმ პირობით, რომ არ გამამხელს. შევხვდები ჩემთვის, ჩუმად... დავანთებ ღუმელს, 12 სანთელს და სანამ არ ჩაიწვება, მანამდე არ დავიძინებ. მერე იქვე, ხალიჩაზე მოვიკეცები, ღუმლიდან გამოსული ცეცხლის მკრთალ შუქზე თვალებს დავხუჭავ და დაძინებამდე ბევრს ვიფიქრებ. მერე კი, მერე... ვინ იცის, იქნებ თოვლის ბაბუამ ჩემთვისაც მოიცალოს და ნაძვის ხის ქვეშ საჩუქარიც დამხვდეს... თუნდაც სულ პატარა... რა პესიმისტი ვარ ამ საახალწლოდ. SWEET-GIRL“.

საწყალი ინდაური

„დღეს გურჯაანში ვიყავი. გინდა, აღგიწერო, როგორია გურჯაანი? წვიმა და მოწყენილი, წვინტლიანი ინდაურები... ჰოდა, პირადად მე, ისე შემეცოდა ყველა, სულ გამიქრა მათი დაკვლა-შეჭმის სურვილი. მე რომ ინდაური ვყოფილიყავი, ყველაზე მეტად ახალი წელი არ მეყვარებოდა, იმიტომ, რომ დამკლავდნეეენ. მართალია, ისეთი შხამა ვარ, ჩემი ხორცი არ იჭმევა, მაგრამ... ლექსი დავწერე: ის იდგა ბაზრის შესასვლელთან, ცალფეხაწეული, მარტო, ეული, რას უმზადებდა, არ იცოდა, ბედი წყეული... უბედურო ინდაუროოო, მოგიკვდეს დედაა... ახლა უნდა დაგკლან და შეგაკნაწუნონ. იჰ, რა „გემრიელად“ მიდიხარ, შე უბედურო, შენააა“.

ბერძენი თაღლითები

„განადგურებული ვარ, ჩემი უტვინობით. დღეს სუპერმარკეტიდან მოვდიოდი. მანქანამ გამიჩერა და ბერძნულად მითხრა, უცხოელი მყავს მანქანაში და არ მესმის, რას მეუბნება, მე საავადმყოფოში ვმუშაობ, ეს ნიუ-იორკიდან არის ჩამოსული და ვიღაც ექიმს ეძებს, რომელიც აქ სადღაც ცხოვრობსო. ინგლისური არ ვიცი-მეთქი, ვუთხარი. ის კაცი რუსულად დამელაპარაკა — ექიმმა ოპერაცია გამიკეთა, დღეს მივფრინავ ამერიკაში, საჩუქრები ვუყიდე და სახლში არ დამხვდა, უკან აღარ წავიღებ, ოქროს საათია, 2500-ევროიანი, ვიდეოკამერა, ქურქი და სამაჯური, სულ 800 ევრო გადამიხადე და მოგყიდიო. გამიხარდა, ამ საათს გავყიდი და ფულს მოვიგებ-მეთქი. შენც არ მომიკვდე, თაღლითი ბერძნები არ ყოფილან?! ამახიეს ფული. გამიმწარეს ახალი წელი. მთელი თვე არ მძინებია, ისე ვიშრომე და უთოფო ყაჩაღებივით გამძარცვეს. ცოტა ბერძნულადაც ლაპარაკობდა, თურმე სპეციალურად აკეთებდა, რომ ამერიკელი მგონებოდა. ნუ შეცდებით ჩემსავით, ქართველებო, და ქუჩაში არ მოგატყუონ. ბღავილი მინდა, მაგრამ გვიანია. ათენი, ნანა“.

იმიჯიანი მთვრალი

„ამას წინათ, მეგობრის ქორწილში, წინა მაგიდაზე ერთი სერიოზული იმიჯისა და სამსახურის პატრონი, უცოლო, დაახლოებით 30 წლის ტიპი იჯდა. საპატიო სტუმრად იყო მოწვეული. ჯერ დათვრა, მერე უაზროდ მიცინოდა, ენა არ გაუჩერებია, მეხვეწა, ჩემ გვერდით დაჯექეიო, რაზეც ნაძალადევი ღიმილით თავაზიანი უარი მიიღო. სიტუაციამ კულმინაციას სტუმრების დაშლის დროს, შუაღამით მიაღწია. ჯერ წასვლა ვერ მოიფიქრა ვერაფრით, სუფრიდან ბოლო ადგა, მერე გავარდა რესტორნიდან. მანქანა, რა თქმა უნდა, არავინ გაუჩერა და შუა ტრასაზე მაღალი სიჩქარით მომავალ მანქანას შეასკდა და მისმა ჰაერში საოცარი ოსტატობით აწეულმა ფეხმა სარკე ჩაუმტვრია. მოკლედ, ავარიამ ბიჭი კი არა, მანქანა დააზარალა. გულგახეთქილმა მძღოლმა ძლივს გააჩერა. ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ კაცი შეიწირა. საწყალს ლამის გული შეუწუხდა. ეს კი უყვიროდა, რატომ არ გამიჩერეო?! მოკლედ, ზოგს ასულიერებდნენ, ზოგს აშველებდნენ. მერე ოჯახშიც მოხდა კონფლიქტი და ეს ყველაფერი — გადამეტებული სმის შედეგად. მეორე დღეს გუგულივით იჯდა ყველა. მე ღვინოს კი არა, იმ სისულელეებს ვერ ვიტან, რომელსაც ის აკეთებინებს კაცებს. არადა, დამცინიან, სად გინახავს, კაცი არ სვამდესო?! დოზა არ იცით, ბატონო, დოზა! სვანის ასული“.

ამბავი ესე, ბედობა დღისა

იანვრის თბილი დილა იყო (პარადოქსია, მაგრამ თბილოდა და...), ბედობა დღეს და მე და კიდევ 6-მა გოგონამ გადავწყვიტეთ, ერთმანეთს დავბედებოდით. ეს შვიდეული ვიყავით: მე (ჩუპი), იკჩო (იაკო-ციყვი), ლიმონა, მისს რეალი, ნიკოლი, ჭრიჭინა და კიკო. :) ნიკოლი მალე გაგვექცა, დანარჩენმა ხუთმა კი დაუვიწყარი დღე მაჩუქა. :) კაფეში ვისხედით, მყუდროდ და ტკბილად ვჭუკჭუკებდით. ნაბახუსევზე მყოფებმა ალკოჰოლს ვეტო დავადეთ და როდესაც მარიამულის სადღეგრძელო უნდა დაგველია, მეწვია „წვეტიანი“ აზრი: სადღეგრძელო კარტოფილი ფრით შეგვეჭამა (აბა, სასმელი არ იყო და). შენ ნუ გვიწყენ, მარ, სასმელს (ამ შემთხვევაში საჭმელს) რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, გულით დაგლოცეთ. მერე მე ჩანთასა შინა მყოფი რვეული ამოვიღე. მინდოდა, გოგონებისთვის ჩემი ლექსები წამეკითხა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ რვეული შემშლია და ჩემი ლექსების ნაცვლად, ჩემი ძმის მუსიკის რვეული წამიღია. პოეზიის ხსენებისთანავე მისს რეალმა და ლიმონამ არაჩვეულებრივი ლექსები დაწერეს ჩვენზე, თანაც პირდაპირ ხელსახოცებზე. მსოფლიო ბესტსელერი, „ჰარი პოტერიც“ ასე არ დაიწერა? მერე კაფე დავტოვეთ და რუსთაველის ქუჩა სულ სიმღერ-სიმღერით დავლაშქრეთ: „თეთრი ციდან ფიფქი ცვივა, აგურებისხელაო“, „მოწყენილი სიფათები დღეს არ იქნება, მგზავნელებმა შეფეთება ასე ინებაააა“... გეცნობათ ტექსტი, გოგონებო? ეჰ, მაგარი იყო, რაა... გმადლობთ, ლამაზი დღისთვის და მხიარულების დაბედებისთვის. მარი, შენ პერსონალურად გმადლობ, ამდენი კარგი ადამიანის გაცნობის შანსი რომ მომეცი. :) თქვენი ქაქანის მინისტრი, ჩუპი“.

თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„ერთი სერიოზული და გმირული საქციელი ერთმა ჩვენმა ახლობელმა ჩაიდინა. სიმთვრალეში ფორმა ჩაიცვა, ავტომატი გადაიკიდა, წავიდა აფხაზეთის ომში და იმ საღამოსვე, ცეცხლმოკიდებული ტანკიდან 3 ადამიანი ამოიყვანა და თვითონ კი სახე დაეწვა. დღესდღეობით მას გმირობის ორდენი აქვს სახლში. ამაზე მეტი გმირობა რა გინდა? ქალი ცდუნება“.

„ჩემი ახლობლის, ვოვას მამის ორმოცზე მოხდა ერთი გმირული და ერთი ტრაგიკული შემთხვევა. ვოვა გასაცილებლად 2 ძმაკაცს გაჰყვა, გზაზე გადასვლის დროს ვოვა მანქანამ გაიტანა. ეს ძმაკაცები მივიდნენ, დახედეს დასისხლიანებულ ძმაკაცს, დაიღუპაო, თქვეს და გაეცალნენ, სახლში გვაგვიანდებაო. იქვე მდგარმა ორმა ახალგაზრდამ, რომლებიც ძალიან შეზარხოშებულები იყვნენ, ამ ჩვენს ვოვას უპატრონეს და გადაარჩინეს. აი, ასეთი გმირობა ჩაიდინა სიმთვრალეში ორმა უცხო ახალგაზრდამ. ქალი ცდუნება“.

„ვაიმე, სიმთვრალეში დაქალის დაბადების დღეზე ერთს „ვეზასავე“ დაა... საშინლად ვნანობ. ეჰ, ეს სასმელი რაა... :) EMO ANGEL“.

„ჩემთვის ახალი წელი და თანაც მხიარული, დიდი ხანია, აღარ დამდგარა. თუმცა, ერთი მახსოვს: მაშინ პატარა ვიყავი, ჩემს მეგობრებთან ერთად დისკოთეკაზე ვიყავი ბორჯომში, ძალიან ბევრი ვიცეკვეთ, ბევრი შუშხუნა ვისროლეთ, ბევრი დავლიეთ, დავთვერით, ვიმხიარულეთ შუაღამემდე, დილით კი ისევ დავუბრუნდი ჩემს სევდიან ცხოვრებას. თქვენი BABY GIRL“. ■

„გზავნილების“ მომდევნო თემად გთავაზობთ — „გავრისკე და გამიმართლა“. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com რაც შეეხება „მოკლე ჩართვას“ ამჯერად გთავაზობთ კითხვას: „რა ვერ მოვასწარი გასულ წელს?“

„სიყვარულმა ქალაქი და სოფელი არ იცის“

„ახალ წელს ჩვენ ვიყოთ სურვილების ამსრულებლები“

„გზის“ №53-ში დაიბეჭდა 17 წლის მელორას მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა: „ახალი წელი მალე მოგვიკაკუნებს, მე კი არაფერი მიხარია ან რატომ უნდა მიხაროდეს, როცა ჩემს სოფელში გატარებული არც ერთი ახალი წლის ღამე არ მომჩვენებია ჯადოსნურად!“ მელორას შეყვარებული თბილისში ცხოვრობს და ის მასთან ჩამოსვლას ვერ ახერხებს, რადგან ფული არ აქვს. „მშობლებს კი ვთხოვე, — იქნებ, გამიშვათ-მეთქი, მაგრამ უარი მტკიცეს — სარძლო არ მოსწონთ, ქალაქელი ქალი არ გამოგვადგებაო... ტელევიზორში ვნახე, თბილისი გაჩახჩახებულია, ჩვენი სოფელი კი დაჭრილი არწივივით გმინავს და ოხრავს... ალბათ, ახალი წლის ღამეს, როცა ჩემი თანატოლები მაგარ დროს გაატარებენ და ქალაქის სილამაზის ცქერით ივჯერებენ გულს, თანაც — შეყვარებულების გვერდით ისიამტკბილებენ, მე კარგად გამოვტყვრები, მერე „ლოვეს“ დავურეკავ, ახალი წლის დადგომას მივულოცავ და თვალცრემლიანი, მის ნაცვლად, მისსავე სახსოვარს — პატარა კურდღელს ჩავეხუტები...“

ლიკა ქაჯაია

სატანა:

„სოფელსა და ქალაქს შორის რა განსხვავებაა? მხოლოდ განათება? მეც რაიონიდან ვარ და 1 წელია, რაც ქალაქში ვცხოვრობ, მაგრამ დამიჯერე, აქ ცხოვრება ხშირად ისეთი უსამართლოა, რომ სოფელში ყოფნა ჯობია. ჩემი „ლოვეც“ აქ არის, მაგრამ ახალ წელს მაინც ვერ ვნახე და მეც გამოვთვერი. ასე რომ, სოლიდარობას გიცხადებ :)). ახალ წელს გილოცავ“.

ჭრიჭინა:

„შენ გგონია, თბილისის მოსახლეობა ცხოვრებას ვარდისფერ ფერებში ვხედავთ და ყველას ყველაფერი კარგად გვაქვს?! არა, ასე ნამდვილად არ არის! ჩემო კარგო, შენივე დაწუნებული ცხოვრება თავად უნდა შეცვალო და იბრძოლო იმისთვის, რომ თბილისისკენ გზა გაიკვლიო. გული არ გაიტეხო. ჰო, მეც მარტო, შეყვარებულის გარეშე შევხვდი ახალ წელს“.

ეთო ანგელ:

„აუფ, ამ „ესემესმა“ საოცრად „დამგრუზა“. ძალიან ცუდია, როცა „ლოვესგან“ შორს ხარ! მე ერთი დღეც რომ ვერ ვნახო, მაშინ ვარ ცუდ ხასიათზე და შენ წარმომიდგენია, რასაც გრძნობ. იმედი არ დაკარგო, მელორ! წარმატებებს გისურვებ! მპუა“.

იკუშკები:

„ჩემო კარგო, ახალი წლის კვალობაზე ძალიან იმედგაცრუებული ხარ, ახალგაზრდა ბიჭი ქალივით მოთქვამ, რაც ნამდვილად არ გეპატიება. მერწმუნე, ასე არაფერი გამოვა. ძალიან მინდა, დაგეხმარო და შეყვარებულის ნახვა შეძლო, მაგრამ დარწმუნებული ხარ, აქ რომ ჩამოხვიდე, ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენ გეგმავ? თბილისში დასარჩენი ადგილი გაქვს? რა თქმა უნდა, სიყვარული სასწაულმოქმედი გრძნობაა და მე მჯერა, შენი ლამაზი სიყვარულის ამბავი კარგად დაგვირგვინდება... ახლა ასე მოვიქცეთ, გამაგებინე, სად ცხოვრობ და პირობას გაძლევ, „ლოვეს“ ნახვაში შეძლებისდაგვარად დაგეხმარები. კი, მაგრამ რომელ სოფელში ცხოვრობ, სასიხარულო არაფერი რომ არ ხდება?.. ვინ იცის, ჩემო კარგო, იქნებ სიყვარულით გულანთებულმა მგზავნელებმაც გადაწყვიტონ შენი დახმარება. ხალხო, მოდით, დავეხმაროთ მელორს, რომელსაც საახალწლოდ საყვარელი ადამიანის ნახვა უნდა. არა მგონია, მცირეოდენი თანხის გაღებამ ვინმე დააზარალოს. ასე რომ, გავუხაროთ გული. მომდევნო ნომერში ველოდები გამოხმაურებას ჩემს ინიციატივაზე. საყვარელო მგზავნელებო, მოდით, ამ ახალ წელს ჩვენ ვიყოთ სურვილების ამსრულებლები. აბა, გელოდებით და გკოცნით ბევრს. ყველას გილოცავთ 2010 წელს. დიდი სიყვარული და ბედნიერება დაგვბედებოდეს“.

ეშმაკუნა:

„ეცადე, კარგზე იფიქრო. შენ ხომ „ლოვემ“ ისეთი შეგიყვარა, როგორიც ხარ. გაიღიმე და ეცადე, ცხოვრება თავად შეცვალო. გილოცავ ახალ წელს, ღმერთი შენკენ“.

ლუნა:

„მეგობარო, შენი კარგად მესმის. როცა საყვარელი ადამიანი შენგან შორსაა, მაშინ სულიც ცარიელი გაქვს და შესაძლოა, ქვეყანაც უინტერესო მოგეჩვენოს. მჯერა, მალე ერთად იქნებით. მთავარია, არ დანებდე და სიშორეს არ მისცე უფლება, თქვენი გრძნობა გაანელოს. მერწმუნე, თუ თქვენ შორის წრფელი სიყვარულია, მას მანძილი ვერაფერს დააკლებს. პირიქით, თქვენს გრძნობას სიშორე უფრო გააძლიერებს. ცუდია, მშობლებს შენი რომ არ ესმით. მამას კაცურად დაელაპარაკე და აუხსენი შენი სიტუაცია. კარგად იცი, რომ თოვლის ბაბუა ფულს ვერ მოგცემს და იქნებ, სამუშაო იშოვო?! გეტყობა, კარგი ადამიანი ხარ. მერწმუნე, ყველა ბიჭს როდი შეუძლია გრძნობების სახალხოდ აღიარება. ნეტავ შემეძლოს შენი გამხიარულება, მაგრამ აბა, როგორ? ისე, ახლა მეც შენსავით შეყვარებული ვარ, სითბოთი და სიყვარულით სავსე გახლავარ. იცოდე, ყველაფერს თავისი დრო აქვს. მოთმინება გამოიჩინე და თუ ის გოგო შენი ბედია, აუცილებლად ერთად იქნებით და მერე რამდენიც გინდა, ჩაეხუტე და ესიყვარულე. წარმატებები! შენთვის ბედნიერების წელი ყოფილიყოს“.

უცნობი:

„ე, შენს მშობლებს რა ვუთხარი,

ქალაქელი გოგო არ გვინდაო, არა?.. ისე, ახალ წელს მეც მაგრად გამოვთვრები. მაგ გოგოს თუ უყვარხარ, მაშინ „აითესეთ“ სადმე“.

რუსპირი:

„შენმა მესიჯმა ძალიან გამახარა და ამავდროულად, საოცრად ცუდ განწყობილებაზე დამაყენა. გამახარა იმიტომ, რომ დავრწმუნდი, ჩვენს თაობასაც შეუძლია ისეთი დიდი და უანგარო სიყვარული, როგორიც ჩვენს წინაპრებს (ისე, ჩემი აზრით, ბებიების თაობა უფრო ანგარებიანი იყო) შეეძლოთ. ბედნიერებას იმსახურებ და მთელი გულით, ყოველივე საუკეთესოს გისურვებ!.. მეც სოფელში ვცხოვრობ (თელავი ქალაქია, მაგრამ თბილისთან შედარებით, სოფელი გახლავთ) და აქ მშვენივრად ვერთობი. მთავარია ის გარემო, ის ხალხი, ვინც შენ გვერდითაა, დანარჩენს კი მნიშვნელობა არ აქვს... ჩემო კარგო, თქვენს სიყვარულს მონატრება უფრო გაამყარებს. დამიჯერე, მთავარი გაჩახჩახებული ქუჩა კი არა, სიყვარულით განათებული სულია. იცოდე, თოვლის ბაბუს ჯანმრთელობა, სიხარული და ბედნიერება სთხოვე, რადგანაც ამ ყველაფერს ფულით ვერ იყიდი. და კიდევ, ახალი წლის ღამეს ვინ არ გამოტყვრება? შენ გყავს მშობლები, რომელთაც შენთვის მხოლოდ კარგი უნდათ და ვფიქრობ, ამაზე დიდი სიხარული ამქვეყნად არ არსებობს. შენი „ლოვე“ შენგან ყოველივე საუკეთესოს იმსახურებს. P.S. გილოცავთ 2010 წელს!“

სვანის ასული:

„პირველ რიგში, ბედნიერი უნდა იყო იმით, რომ სანატრელმა გოგომ ყურადღება მოგაქცია. თუ თქვენმა ურთიერთობამ უკვე სერიოზული სახე მიიღო და საერთო მომავალზეც ფიქრობთ, მაშინ როგორმე, მშობლებს უნდა გააცნო — რა იცი, იქნებ, მასზე წარმოდგენა შეეცვალოთ. ისე, ქალაქელი გოგონები სოფლად მართლა ვერ ძლებენ და ამიტომაც, მშობლებზე ძალიანაც ნუ დაიბოღმები. მათ ალბათ, შენი სიყვარული დროებითი გატაცება ჰგონიათ და იმედოვნებენ, რომ ეს გრძნობა მალე განელდება. მოკლედ, ყველაფერი დროს მიანდე. მართალია, ახალ წელს ვერ ნახავ და მომავალშიც შეიძლება, მას იდეალური პირობები ვერ შეუქმნა, მაგრამ შენს სითბოს, ყურადღებას ნუ მოაკლებ, გამუდმებით შეახსენე, რომ გიყვარს. თუ შეგნებული გოგოა, გაგიგებს და არ ინანებს, არჩევანი შენზე რომ შეაჩერა... ბედნიერ ახალ წელს გისურვებ! გამხიარულდი და დაიმახსოვრე, გოგონებს პესიმისტი და ლოთი ბიჭები არ უყვართ“.

გიორგი:

„მეც სიამოვნებით გამოვტყვრებოდი, მაგრამ ახლა საავადმყოფოში ვარ და ახალ წელსაც აქ უნდა შევხვდე. პირად ცხოვრებაში წარმატებებს გისურვებ. ჩემი აზრით, მთავარია, ერთმანეთი გიყვარდეთ და მშობლებიც გაგიგებენ. ბედნიერი შობა-ახალი წელი გაგთენებოდეთ“.

მართა:

„რა სისულელეა! სიყვარულმა ქალაქი და სოფელი არ იცის. შენს მშობლებს ალბათ ჰგონიათ, რომ შენი „ლოვე“ სოფლის ცხოვრებას ვერ შეეგუება, ძროხას ვერ მოწველის და ა.შ. ისე, რა სავალდებულოა, სოფელში იცხოვროთ? ხომ შეიძლება, საცხოვრებლად თბილისში წამოხვიდე? ალბათ, შენს მშობლებს სწორედ ამის ეშინიათ და ამიტომაც არ სურთ ქალაქელი რძალი... ახალ წელს კი არ უნდა გამოტყვრე, არამედ ამ დღის გასალამაზებლად ყველაფერი უნდა გააკეთო. ფულს თოვლის ბაბუსგან კი არ უნდა ელოდო, არამედ უნდა გამოიმუშაო. წარმატებებს გისურვებ! უფალი გფარავდეს.

P.S. ყველას გილოცავთ ახალ 2010 წელს, სიყვარული და ბედნიერება დაგბედებოდეთ“.

■

თინეიჯერები გვწერენ

რუსპირი:

„ბავშვებო, ამ ბოლო დროს ქალაქელი თინეიჯერები ძალიან ცუდად მოიხსენიებთ სოფლელ ბავშვებს და მთლიანად სოფელს. მართალია, მე სოფლელი არ ვარ (რომ ვიყო, ამის ნამდვილად არ შემრცხვებოდა, პირიქით, ვიამაყებდი), მაგრამ არც თბილისელი გახლავართ. ჰოდა, ამის გამო ჩემზე ერთი თავით მაღლა დგახართ?.. ჰმ, ისე აგდებულად ლაპარაკობენ რაიონის მოსახლეობაზე, რომ გაგიჟდება ადამიანი. ბევრისგან გამიგონია: სოფლელები გაუთლელები არიანო. მაპატიეთ, მაგრამ ვფიქრობ, ვინც ასე აზროვნებს, ის ყველაზე დიდი გოიმია. საინტერესოა, რატომ ასოცირდება სოფლელი გოიმთან? განა, ქალაქში არ არიან სულით გოიმები? ჰოდა, ქალაქელებო, ვიდრე სოფლელს გათათხავთ, კარგად დაფიქრდით. P.S. სოფლის გარეშე რას წარმოადგენთ?“

საბა:

„გამარჯობა. დიდი ხანია, „გზას“ ვკითხულობ, მაგრამ მოწერის სურვილი მხოლოდ ახლა გამიჩნდა. მინდა, ახალი წელი მოგილოცოთ და გითხრათ, რომ მართლაც, არაჩვეულებრივი ჟურნალი გაქვთ. კარგია, ბავშვები ერთმანეთს რომ ეხმარებიან და ძირითადად, საღად მსჯელობენ. ეს მართლაც, სასიხარულო ფაქტია. ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ და თუ მიმიღებთ, თქვენი აქტიური მგზავნელი გავხდები“.

სალი:

„ეს მგზავნელები დავიჯერო, მართლა ასე აზროვნებენ? დავიჯერო, შეცდომებს არ უშვებენ? ან სოფლელი და ქალაქელი რამ გაყო? ყველანი ქართველები არ ვართ? სოფელი რომ არ არსებობდეს, ქალაქელები შიმშილით დაიხოცებოდნენ!.. ახალ წელს ვულოცავ ყველა თინეიჯერს და მათ მთელი წლის განმავლობაში ამერიკულად გაჯაზებას ვუსურვებ! სოფლელი ვარ, მაგრამ მაინც, კარგად ვერთობი. ჰოდა, ქალაქელებო, გასკდით გულზე :))“.

ერთგული მკითხველი:

„ერთი სული მაქვს, როდის ჩამაჭყიტებთ თქვენს ამბებში და როდის გამაცნობთ „გზის“ განვლილ გზას. გელოდებით, გელოდებით და გელოდებით. გილოცავთ შობა-ახალ წელს და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ!“

■

„მამა გარდამეცვალა... თავს ეულად ვგრძნობ“

ნინი:

„ვიცი, ბევრს დახმარებიხართ და მეც გთხოვთ, რჩევები ჩემთვისაც არ დაიზაროთ. ცხოვრება აღარ მინდა! რატომ? — ყველაფერს მუქ ფერებში ვხედავ. მამა გარდამეცვალა და ჩემი მარტოსულობა ამანაც განაპირობა. მეგობრები კი მყავს, მაგრამ არავის ვახსენდები, თავს ეულად ვგრძნობ. მირჩიეთ, რა ვქნა, რით დავძლიო ეს სევდა და მარტოობა? ნიკს შეგნებულად არ ვწერ. იცოდეთ, თქვენი დახმარების იმედი მაქვს...“

*P.S. **მაშ ასე, თუ ნინის წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს.***

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. ვარ 34 წლის, სიმპათიური ქალბატონი. დასაქმებული. გავიცნობ 40 წლამდე მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით. დანარჩენი — პირადად.

2. მინდა, გულით გავიცნო ოჯახის შექმნის მიზნით მოსიყვარულე, არასიაფანდი მამაკაცი. ვარ 26 წლის. ნინო.

3. დაოჯახების მიზნით გავიცნობ სერიოზულ, სიმპათიურ, კულტურულ მამაკაცს.

4. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ მამაკაცს, 28-34 წლამდე. ვარ 179/18/75. არასერიოზულებმა თავი შეიკავეთ. დიკი ანგელი.

5. 19 წლის გოგო ეძებს ერუდირებულ, დიპლომიან და საინტერესო ადამიანს, მხოლოდ სამეგობროდ, 24 წლამდე. უინტელექტოები ნუ გამომეხმაურებით, ასეთი ჩემი თავიც მეყოფა.

კაცები

6. გამომეხმაუროს 40 წლამდე ასაკის, თბილისელი საქალბატონე. მე ყველაფერი ნორმალური მაქვს. თქვენც თუ ასეთივე ხართ, გავიცნოთ ერთმანეთი, სერიოზული მიზნით.

7. გილოცავთ ახალ წელს ყველას და მსურს, ახალი წელი დავიწყო სერიოზული ურთიერთობით, 20-25 წლამდე მანდილოსანთან. მასთან, ვისაც სიყვარული და ოჯახი სურს. გელი მთელი გულით.

8. გავიცნობ თბილისელ გოგონას. დამიმესიჯეთ.

9. სერიოზული ურთიერთობის მიზნით გავიცნობ 35-38 წლის, სასიამოვნო გოგონას, ბინით, სამსახურით უზრუნველყოფილს. ვარ 40 წლის, თბილისელი. დანარჩენი — პირადად.

10. მოგილოცავთ ლამაზებო დამდეგ ახალ წელს და მსურს გაგიცნოთ, თუ ხართ 20-25 წლამდე და საქართველოს ახლომახლო კუთხიდან. დავიწყოთ ახალი წელი ახალი ურთიერთობით. გელით.

11. დაოჯახების მიზნით გავიცნობ 35 წლამდე მანდილოსანს. ვარ აღმოსავლეთ რეგიონიდან. დამიკავშირდით საღამოს საათებში. დანარჩენი — პირადად.

12. დაოჯახების მიზნით გამომეხმაუროს 34 წლამდე ასაკის ქალბატონი. სასურველია, დასავლეთ რეგიონიდან იყოს. ვარ 37 წლის.

13. ვარ 42/196, უცოლო, დასაქმებული, წესიერი კაცი. გამომეხმაურე, სერიოზული მანდილოსანო, ვისაც სურს ნორმალური ოჯახის შექმნა. არასერიოზული ნუ შეწუხდება. ვარ რაიონიდან.

14. დაოჯახების მიზნით გამომეხმაუროს ჩემსავით ობოლი ქალიშვილი, ალაგი და პატიოსანი, 34 წლამდე. ვარ 34 წლის. ლოთი და ნარკომანი არ ვარ. ბედნიერ შობას გისურვებთ. გკოცნით.

სხვადასხვა

• მხიარული ვარ? არავინ იცის, ამ ტანჯულ გულში თუ რა ტრიალებს, ამდენი დარდი, ჩუმი ტკივილი, ვიცი, სიცოცხლეს გამიტიალებს. დატანჯული ვარ? ეს სიყვარული, ასე გვამცირებს ადამიანებს, მუდამ ცალმხრივი, გრძნობა ნამდვილი, ყველაზე ცელქსაც ადარდიანებს. მუდამ ვიგლოვო? არ დამიფასებს, იგი ყალბ გრძნობებს „ამარიაჟებს“, მუდამ განვიცდი, რომ სიყვარული ასე გვაგიჟებს ადამიანებს. მენატრები. მარტოსული.

• მარიშკები, გილოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს, გისურვებ ყველაფერს საუკეთესოს, ორიგინალურს და გამორჩეულს, იმიტომ, რომ შენც ასეთი ხარ. სწორედ ამ წუთს, შენი თამადობით, გზავნილ-იორკისა და მგზავნელების სადღეგრძელოს ვსვამ და გისურვებთ, იმდენი ხანი იცოცხლეთ, სანამ ცაზე ბოლო ვარსკვლავი არ ჩაქრება! დავთვერი. ჰოდა, ახლა წრუწუნასავით თხილის ფოთლებს წავიფარებ და წავუძინებ. ჩემს სიზმარეთში მეკვლედ გეპატიჟები. გაკოცე. ელექტრა.

• აღარაფერი აღარ შემეძლო, სიყვარულის და ტკივილის გარდა, ჩამოვაფარე სულს მონატრების, ჩამოძენძილი, მოშავო ფარდა და სიშავეში თეთრი ლაქები განწირულივით გამოვიგლოვე, როცა ძალიან ძლიერ მიჭირდა, მეტოქეებმაც მაშინ იდროვეს და ყველაფერი შემომაძარცვეს, სიყვარულის და ტკივილის გარდა. ამ ლექსის დამწერ დათოს ვეკითხები: არ გრცხვენია? ეგ არის შენი ვაჟკაცობა? დამალვა პრობლემებს ვერ მოგიგვარებს. ოდესღაც შეგხვდები და ყველაფრისთვის პასუხს მოგთხოვ.

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრეფილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ღ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

• ეშვება ციდან ცხვრის ფარასავით უთვალავ ფიფქთა მოძრავი კასტა, ქათქათებს თეთრად ჩემი მანსარდი, სითეთრე ლამის ძვლებამდე ატანს, ფანტელთა ცეკვამ ობოლი ალვა მთლად გაათეთრა და გააბრუა... მაცვივა თოვლი და ახლა ვგავარ ზღაპრიდან მოსულ თოვლის ბაბუას. სპეტაკ სურვილთა თეთრი იებით ავავსე ჩემი სურვილთა თოფრა. გეძახი, გიხმობ, გეპატიჟები, თოვლის მეჯლისზე, თოვლის დედოფლად. ენიგმა. „გზის“ მთელ კოლექტივს, მგზავნელებს და „გზის“ მკითხველებს გილოცავთ ახალ წელს. სანამ ახალი წელი არსებობს, მანამ ბედნიერება ნუ მოგშლოდეთ. გაკოცეთ სულში, გულში და აზრებში. ენიგმა.

• გილოცავთ ახალ წელს! ყველანი ბედნიერები მეხილეთ! მარი, უნდა შემოგჩივლო: ვიყიდე „გზა“ №52 და რა ვნახე? საშინელება! „გზავნილები“ არა, თემაც არა და რამდენიმე ფურცელი 2-ჯერაა დაბეჭდილი. მართალია, დიდი ხანია არ მომიწერია, მაგრამ სულ ვკითხულობ და გული დამწყდა, ასეთი „გზის“ დანახვაზე. ვერ გავიგე, მარტო მე ვიყიდე ასეთი ინვალიდი ჟურნალი? მაინც თქვენი ერთგული მკითხველი, ძველი მგზავნელი, თინეიჯერი შინაბერა.

• გამარჯობა, სიხარულებო. რა დამემართა, ნეტავ იცოდეთ. „გზა“ ვერ ვიყიდე და წარმოიდგინეთ, რა დღეში ვარ. გავაფრენ! პაწუ, ბერბიჭა, ათინანნ, როგორ ხართ? მოგიკითხავთ ყველას, ყველას. მიყვარხართ. გაკოცეთ დაღლამდე. თიკუნია999.

• წავიკითხე, ვილაც ლ.ა. წერს, ბერძნებს ისეთები ექომაგებიან, ვინც ფულის გამო ყველაფერზე წამსვლელიაო. მინდა ვუთხრა ამ პიროვნებას, რომ ცდება. კარგი და ცუდი ყველგანაა. აქ ჩამოხვედით, გაჭირვებას გამოექეცით და ამათ ოჯახებში ქალბატონობა მოინდომეთ. თუ არ მოგწონს, დაბრუნდი სახლში და იქ იუფროსე. ახალგაზრდა ბებია.

• არის წუთები, როცა ფიქრობ, ყველამ დაგტოვა, არის წუთები, როცა ფიქრობ, ვერ შეელევი, მაგრამ ცხოვრება არის ალბათ ბევრის დათმობა და უსასრულო მოლოდინი ბედნიერების. 7781.

• არ დამიძახო, სულ ერთია, მე აღარ მოვალ, მომწყინდა უკვე უიმედო შენზე ფიქრები, დღეს უკვე სულში დავიწყებამ დაიწყო თოვა, მე უკვე შენი აღარასდროს აღარ ვიქნები. 7781.

• დიიიდი სიყვარულითა და პატივისცემით მოვიკითხავ სპეცნაზს. გმადლობ (მიხვდები, რატომაც) და გიუუნია აპოლონს, რომელმაც არაჩვეულებრივად იცის მძიმე წუთებში ადამიანის გამხნევება და სახალისო ამბების მთელი გუდა აქვს ამისთვის. გენაცვალეთ თქვენ. SWEET-GIRL.

• ჩვენ გავიბუტეთ და ორივეს დარდი გვმოსავდა,/ მოდი, სურვილით ძველებურად ისევ აღვივსოთ.../ არა იმიტომ, უშენობა რომ გამოვცადო.../ გავიგოთ ფასი ერთმანეთის, მხოლოდ ამიტომ../ და მაინც მინდა შენს ცარიელ სიმყუდროვეში,/ ისევ მომიხმო, მაპატიო და შემირიგო,/ არა იმიტომ, უშენობას რომ ვერ ავიტან,/ სხვას ასე ვეღარ შევეჩვევი,/ მხოლოდ ამიტომ. SWEET-GIRL.

• მაშ, ჟინვალი და კახეთის გარეუბანი? ჰმ (ჩვენ რომ ვიცით :-)). ნაგლო, მე ვის დავეკარგე, შენი სანერვიულო არაა. ასე რომ... ASHLEY, დიდუბეში რა ვიყვირეთ?! სოფი19.

• თოლი, 31-ე „გზაშია“ ჩემი ტელეფონის ნომერი და მომწერე. მემე, როგორც მონათესავე სულმა, შენც მომწერე. GRAZI GIRL, შენი წასვლა გამაბრაზებს. ნიკოლ, მომწერე რა, შენი ნომერი არ მაქვს. ენიგმა.

• ნუ, რა პატივია, როცა ზოგი საკუთარ ფუნქციებს ჩემზე კონცენტრირებით ტვირთავს?! ნეტავ არ ამძიმებთ? ტვირთმძიმენო და ტვირთმსუბუქნო, გილოცავთ ახალ წელს. გაკოცეთ. ენიგმა.

• 2008 წელს, 43-ე ნომერში დაიბეჭდა 17 წლის ზვიოს მესიჯი, სათაურით — „ხელებს „ბრიტვით“ ვისერ. როცა სისხლი წამოვა, შვებას ვგრძნობ“. ნომერი თუ გაქვთ, გამაგებინეთ.

• შენს მონობაში ისე გადის ჩემი ცხოვრება, ვერ გამიგია, წამია თუ წელიწადია, ჩემი სიცოცხლე შენს ერთ ღიმილს ემათხოვრება და სხვა სიკეთე მე ამქვეყნად არა მწადია.

• ვაუ! „ოდნოში“ კამი გავჩითე! დამატყვევა მარ, თავისი სილამაზით! უჰ, რა მაგარი ვინმეა?! სერიოზუუულ!

• თაზო, მინდა მოგილოცო ახალი წელი. ჯანმრთელობას და მალე ჩვენ გვერდით ყოფნას გისურვებ. ანი და ლიზი სულ გკითხულობენ. მანჩომ მოგიკითხა. გკოცნი. უზომოდ მენატრები ხათუნა.

• მამუ, ჩემო სიხარულო, მე და კიკას უზომოდ გვენატრები და გელოდებით. უფალს ვთხოვ, მომავალი ახალი წელი ერთად გვეზეიმოს. მიყვარხარ უზომოდ.

• გამარჯობა! დიდი ხანია, რაც ჟურნალ „გზას“ ვკითხულობ და თან ძალიან მიყვარს. ბევრ ქვეყანაში ვიყავი და იქაც სულ მქონდა. პირველად ვამესიჯებ, მიყვარხართ, ნინი77.

• შოთიკო, არ ინერვიულო, მალე ყველაფერი მოგვარდება. თავს მიხედე. აქ მაქსიმალურს ვაკეთებთ, რომ რამე შეგეხოს. ძალიან, ძალიან მიყვარხარ. უშენოდ საშინელებაა. ეთო.

• რას ნიშნავს ტერმინი „სულით სოფლელი“? მეგობარმა მითხრა, მთავარია სულით სოფლელი არ იყოო. მე კი თავიდან ფეხებამდე და სულით ხორცამდე სოფლელი ვარ. სპეცნაზი.

• აუ, ჩემი სახლის კედლები (ტოესტ, ჩემი საძინებლის) იმდენად თხელია, რომ ასე მგონია, ქუჩაში მძინავს. რესტორან „გურულების ეზოს“ მეპატრონეე, იქნებ პატივი დამდოთ და ყოველღამე ქართული, საქეიფო სიმღერების რეპერტუარი არ მასმენინოთ? :) დავიჩაგრე ბავშვი, ძილი მინდა მშვიდად, მიშველეეთ! ASHLEY PCD.

• სუპერსთარ, სკარლეტისნაირ საყვარელ გოგონას გულს რატომ სტკენ? შერიგდით, ცუგრუმელებოო. ASHLEY PCD.

• უჰ, რა კარგიაა! ძლივს აღარ მყავს არავინ! ოტდიხ გარანტიროვან! არა რა, ჩანთებისა და ბიჭების ცვლაში ვგლიჯავ! მომენტ, წინაალმდეგი არ ვიქნებოდი, 20 წლის, სექსუალური, მაგარი ზმანი, მდიდარი სანტა კლაუსი რომ გამეჩითოს. არა რა, ჩემი საქმე ისეა, მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ და გამიშვი, ცხვარი გარბისო. ASHLEY PCD.

• მაროო... ისა და... წინა 2 მესიჯი თუ არ ამიკრიბავს შენი წესით, მაპატიე, ლაა... დამავიწყდა. დამიბეჭდე ესენიც და მეტს აღარ გთხოვ, გეფიცები. მპა. ASHLEY PCD.

• ვაიი, HEELP! მოვკვდი ბავშვი უბორკებით, მგონი, რადიკულიტი ავიკიდე. გვერდი და კბილიც მტკივაა! ASHLEY PCD.

• სოფი19 მყავდა სტუმრაად! გენათალე, დაიკო. მიკალქალ უძალიანმაგრესად. კოზანოსტრა, სიხარულო, დილით გაიღვიძე ხოლმე, რაა. მაგრად მიკალქალ, ჩემი ძამიკო ხარ. ASHLEY PCD.

• 2 იანვარს მგზავნელები ვხვდებიით! YEES! ASHLEY PCD.

• ეეჰ, მატიტელავ, ეგ რომ ამართლებდეს, აქამდე მე და ჩემი დაქალები 9-ჯერ ვიქნებოდით გათხოვილ-გამოთხოვილები. დავიტანჯე ბავშვი, მაგიდის ქვეშ დაბირჟავებით. არადა, სულ არ მინდა გათხოვება, მარა მუღამი მაქვს რატომღაც. ASHLEY PCD.

• ვაიმე, ელექტრა, ქალო, შენს გზავნილზე სიცილისგან ლამის სკამიდან გადავვარდი. არა რა, ჩვენ წინ 2 თაობა მაგარი პრიკოლები არიან. ASHLEY PCD.

• დედაჩემმა, ინტრიგანი ხარ, თავად იწვევ ხალხს, რომ გლანძღონ, ისეთ რაღაცებს წერო. ხალხო, თქვენ მაინც უთხარით, რომ მე არავინ გამომიწვევია, თორემ დამერხა. ASHLEY.

• მარი, ახალ წელს გილოცავ. 50-ში გამოქვეყნებულმა კანიბალკამ გამოგზავნილმა მესიჯმა ტანში გამცრა, მაგრად განვიცადე. გთხოვ, „გზავნილები“ არ გააუქმოთ. კაპიტანი.

• ბავშვებო, არ გეწყინოთ, რომ ვეღარ გე-PARTY-ალავებით. რა ვქნა, გათიშულს მძინავს, 12-დან 9-მდე ზუსტად. ASHLEY PCD.

• SWEET-უკ, ჩემი პატარა, ნუ ხარ დაგრუზული იმ იდიოტის გამო! ყველა ბიჭი კარგად მიბეგვის ღირსია! ეეჰ, შენ რა გიშავს და მე უუე დაღამების მეშინია. ყოველ ღამე ეშმაკები მესიზმრება. ისიც ვნახე, ვითომ ხუთშაბათს, 22 დეკემბერს, ღამით მომკლავენ, როცა მარტო ვიქნები და ჯოჯოხეთში წამიყვანენ. მეშინიაა. ASHLEY PCD.

• ვოლდემორ, მაგარი ნიკი გაქვს. ლუნჩიკ, შენმა ლექსმა — „ისე გავიდა ეს გაზაფხული“, დაგლიჯაა! ბერბიჭ, ლოვეს ნუ ამწარებ. ცისია დაივიწყე. ASHLEY PCD.

• იმ გოგოს ამბავზე, რომ მოკვდა და ჩანახატი დაუტოვა საქმროს, რაც მე ვიბღავლეე?! :(აუ, ოსი ლიას გზავნილზე რა ამბავი ატეხეთ, რა იყო. რა კრწანისის ბრძოლა-2 გამართეთ „გზის“ ფურცლებზე? დღეს 31-ია და გული მერევა, გვერდი, ბრმანაწლავი და კბილი მტკივა. :(ჯერ დილის 10:02-ია და კარგად რომ არ გავხდე, თავს მოვიკლავ! ვინც მე დამთარსა, იმის... ASHLEY PCD.

• რაიო? ქორწილის მერე სუქდებიანო? გენაცვალე, თუ დედაკაცად იქცევი და ჭამასმით გაიბერები, ქალი არც უნდა გერქვას! კაცი გამოვიჭირე და სულ ჩემი იქნებაო... ასათიანის „სალაღობოში“ რომ არის, „ხომ ღამაზია ეს ჩემი ცოლი, მაგრამ მე უფრო ღამაზი მინდა, ატმის ხესავით აფეთქებული და მოქნეული გავაზივითა“, აი, მასეა

ყველა მამაკაცის ფსიქოლოგია და ვაი იმათ პატრონს, ვინც გათხოვების მერე წინსაფარს არ მოიხსნის. ASHLEY PCD.

• მარ, მესიჯი რატომ შემიკვეცე? ის საახალწლო ლექსი ჩემი დაწერილი როა და შენ და მგზავნელებს გეძღვნებოდათ, რატომ არ დამიბეჭდე ბოლომდე? გთხოვ, ბოლომდე დამიბეჭდე. არაფრის ამბიცია არ მაქვს, უბრალოდ, არ მინდა, ჩემი ლექსები SMS-ლექსებად იქცეს ან ვინმემ მიითვისოს, რადგან ისინი ჩემი სულის ნაწილია. ASHLEY PCD.

• ამ ლექსს „კედლებში“ ჰქვია და 2007 წელს დავწერე. მარ, ზემოთ ნახსენები ტექსტი არ ამოშალო, გთხოვ. სიგიჟე, კივილი და უსაშველო სულის ტკივილი. ცრემლები, ყვირილი, ირგვლივ გოდება... ოთახში გამომწყვდეულს აღარ მშორდება, თავს არ მანებებს ეს მოგონება: ბნელი წარსული, მუქი ფერები, ნეტავ ოდესმე გაფერადდება? თუ სიზმარია, რაღაც კოშმარს ჰგავს, ამ განთიადსაც აგვიანდება... დაგვიანდება ბედნიერებაც, გვიან იქნება ბოდიშის მოხდა, ჯერ ყველაფერი ადრეა თითქოს, მოსახდენი კი, მე მგონი, მოხდა... ვისთვის დამსაჯეს, ვისთვის გამწირეს, ზამთარიც ალბათ ოდესმე გავა, გაზაფხულისთვის ძალა არ მყოფნის, თოვლი ცხოვრების გემბანებს ფარავს... არ მიმატოვო, არ გამაცივო, საფლავის ქვასთან მე მარტო გიცდი, არ შემომფიცო კვლავ სიყვარული, შენ არაერთხელ გატეხე ფიცი! მარტო დამტოვეთ, მიტოვებული, ტაძრის კარებთან სულ მარტო მივალ, ახლა შესთხოვეთ მოყვასს შენდობა, სხვა დროს ბოდიში იქნება გვიან! ავტორი მე, ASHLEY PCD ანუ აშლობაბო.

• ლუნა, ძალიან მომეწონა შენი ლექსები. ვის უძღვნი მაგ ლექსებს? ისე, მეც ვწერ ხანდახან, უფრო — სიმთვრალეში. მაშინ მომდის მუზა. გადარეული.

• ჩემო საყვარელო მგზავნელებო, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ძალიან სტკენთ გულს ერთმანეთს და ცუდი სიტყვებით ამკობთ, მე მაინც მიყვარხართ და მინდა, ახალი წელი მოგილოცოთ. ჯანმრთელობას, სიკეთესა და სიყვარულს გისურვებთ. ერთმანეთს გულს ნუ სტკენთ და თავი შეიკავეთ, ცუდი გამოთქმებისგან. ნუთუ, ეს ასე ძნელია? იდუმალი-ქალი.

• ჭორიკანა, ვაი, რამდენი ვიცინეეეეე?! სხვების არ ვიცი, მაგრამ მე და თაყვანისმცემელი ერთი და იგივე პიროვნება ნამდვილად არ ვართ. გინდ დაიჯერე, გინდ არა, ეგ შენი საქმეა. მე კი არ მჭირდება ასეთი ბავშვური ქმედებები. ერთი რამ ვერ გამიგია, რატომ ხართ ხალხო ასეთი გაბოროტებულები? იდუმალი ქალი.

• ASHLEY, წინა კვირის „გზაში“ იყო ჩემი ნომერი. პარიჟანკა, ჩემო თბილო და ტკბილო, გისურვებ, 2010 ყოფილიყოს შენთვის ახდენილი ოცნებების წელი. P.S. გილოცავთ!!! ფეშენა.

• რა ფასად ხდება მესიჯის გამოგზავნა?

• შოთიკო, გელოდებოდით 31-ში. გვეგონა, ამნისტია შეგეხებოდა. 12 საათამდე იმედი გვქონდა, მაგრამ... ბედი არ გაქვს. ძალიან ცუდი ახალი წელი დაგვიდგა. მიყვარხარ. ეთო.

• ჩემო ძვირფასო ეკა09, გულწრფელად გირჩევ, შენივე უსაფრთხოებისთვის განზე გადგე, რადგან მე, მამალს, ნისკარტით გართობა რომ მომინდეს, ჩემს იერიშებს გაუმკლავდები? იცოდე, სტოპ! თორემ დაპეპლვას ვერ აიცილებ თავიდან... ნუ, შენ რა მოგახსენო, მაგრამ ფეშენას მივესალმები და მადლობასაც ვუხდი... მისტერ.

• მგზავნელებო და მარიამულ, როგორ ხართ? მე ახალი ვარ, იმედია, მიმიღებთ, სიყვარულის სამეფოში. მე პატარა ანგელოზი ვარ. მიყვარხართ ყველა.

• უი, მატიტელა კი არა, დამავიო. მაგიდის ქვეშ შეძრომის მაგ ხერხით ვერ ვოჯახდები. პრინციპში, არც მინდა ულელში შებმა. აბა, 2 ნიშნობა რისთვის ჩავშალე? თანაც, ჩემი დაქალების ცრემლებს რა გაუძლებს. :) აუ, ქორწილიდან მოტყდომის მუღამი მაქვს. ფეხზე გავიძროობ და საქორწილო კაბით — ჰაიდაააა... :) მაკლია, ხომ? ვიცი. :) ASHLEY PCD.

• გუშინ დავლიე, მოვყვე ყბედობას და ჩემი სახით დათვრა ვალეტი... გუშინ დავლიე და დღეს, ბედობას, დამებედება ალბათ... ტვალეტი! დათო. P.S. ყველაფერს გილოცავთ!

• მეფეთა ხმელი ხის ნორჩო ყლორტო, კვლავაც თუ ღივის ფესვი ცოცხალი, ამ ჩემი სისხლით ეგების მოვრწყა, დაუნანებლად ბრძანე, მომკალი.

• სირინოზო, მე გაცინეთ? მდაა, პირიქით მეგონა. სარვიეტ, საყვარელო, ვინ იცის, სად გადის სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნა? მაგ თბილი გულით დიდხანს იცოცხლე. ელექტრა.

• იდუმალ-ქალს: შენი თამადობით ყველა ღირსეულ ადამიანს ვულოცავ შობა-ახალ წელს. ჩემი თხოვნაა, ჭორიკანასნაირებს ნუ მიაქცევ ყურადღებას. სიყვარულით, თაყვანისმცემელი.

• მართლა ტკბილად ვარ ბერბიჭავ, ჩემში ჯოკონდას სძინავსო, ცოტა ადრე რომ მეცხოვრა, შემიყვარებდა პიკასო. აბა, შენ იცი, ლოდინში, თუ არ დამმართებ კლიმაქსსო. ცისია.

• მისს რეალი და ლიმონა ვნახე. ჰო, მე და ლიმონჩიკა შევრიგდით. აუ, ახალ წელს ჩავიფიქრე, ყოფილები დამიბრუნდნენ-მეთქი და... ამაფეთქეს! ამიხდააა! ASHLEY PCD.

• ASHLEY PDC, მეც სიამოვნებით გაგიცნობ, გენაცვალე. GREEN GIRL, მეც გაკოცე ბევრი-ბევრიიო. კაპანაძეს არ ვესტუმროთ ერთად? შოკოლადა.

• ASHLEY, ჩემი საქმრო 1 ღამით გასართობად არ გაგიყადრის თავს. ბერბიჭ, ვიცი, ვის ნიკს ეფარები და ძაან მალე ბიჭებთან ერთად გნახავ. ბერბიჭ, მოვდივარ. ნაგლი.

• სიხარულუკებო, როგორ ხართ, როგორ იქეიფეთ? აუ, 31-ში გარეთ შევხვდი, კოცონთან, 4-მდე. მაგარი იყო... ნუ, მართალია, მოვიწამლე, მაგრამ მაინც გადავრჩი. სოფი19.

• რადგანაც ერთადერთი ვარ, ერთჯერად ქალებს გპატიობ, შენი გული ხომ ჩემია, სხვა რამ ჯერჯერობით გაიყონ. მე პრეტენზია არ მაქვს და არც ერთი არ დაინდო! ცხრათვალა.

• პაწუ17, რა ბილწი არსება ხარ? ეს მისტერი ყვინჩილა გოიმია. თეთრმა ყვავმა გაუბერა, 9717 სულ სხვების ლექსებს აქვეყნებს და მატიტელა ტაშს უკრავს. დაგიუდიით? მა-ნია-კი.

• მე პირველად ვამესიჯებ, მაგრამ გზავნილების მკითხველი ვარ. 9717, შენი გაცნობა მინდა. ანანო.

• როგორ ხარ? ძალიან მენატრები. მინდა შენი ნახვა, მაგრამ ხომ იცი, მაგის უფლებას არ მომცემენ. მაგრად იყავი, არაფერზე იჯავრო. ბავშვი კარგად არის. გვიყვარხარ. ელენე.

გილოცავ!

• გამარჯობა „გზა“! ყველას გილოცავთ ახალ წელს... აწი მუდამ სიყვარული, სითბო და სიხარული იყოს „გზავნილებში“ და ჩვენს სამშობლოში... მე დავბრუნდიიიიი... შეწირული.

• „გზის“ კოლექტივს და გზავნილმოსახლეობას, გზავნილიორკის მასშტაბით გილოცავთ შობა-ახალ წელს. სიკეთე, სიყვარული და ბევრი მკითხველი დაგებედოთ. ტირიფი და მგზავრი.

• ჩემს უსაყვარლეს ძმებს, ოლეგარიოს, ბოას და 9717-ს ვულოცავ შობა-ახალ წელს. ღმერთმა მრავალს დაგასწროთ. უფალი იესო გფარავდეთ მუდამ! გკოცნით, თქვენი სევდიანი ქალი.

• ჩემო საყვარელო მარი და მგზავნელებო, ძველებო, ახლებო, დაკარგულებო, უკლებლივ ყველას გილოცავთ შობა-ახალ წელს. გისურვებთ ყოველივე კარგს. ღმერთი გფარავდეთ. გლუკოზა.

• ყველას გილოცავთ ხალხო, ამ ახალი წლის მოვლენას. რაც კი საუკეთესოა ამქვეყნად, თქვენ გისურვებთ. გაკოცეთ ყველას.

• შოთიკო, 6 იანვარს ხომ დაბადების დღე გაქვს? გილოცავ, ჩემო სიხარულო, ბედნიერი იყოს ეს წელი შენთვის. იმედია, ყველაფერი კარგად იქნება. მენატრები ძალიან. ეთო. გაკოცე.

• ვალერი მამასახლისო, გილოცავ ახალ წელს. ბედნიერებასა და კარგად ყოფნას გისურვებ. შვილო, მენატრები. გკოცნით შორიდან. წმინდა გიორგი გფარავდეს. მოგიკითხა ვალიკომ.

• თაზო, მრავალ ახალ წელს დაესწარი, ღმერთის მფარველობა არ მოგაკლოს ღმერთმა. ნეტავ იცოდე, როგორი ტკივილიანი იყო ჩვენთვისაც ახალი წლის მოსვლა.

• ლუნა, დიდი მადლობა, მეც გილოცავ, ჩემო კარგო. მრავალს დაესწარი, სულ ჯანმრთელად და ბედნიერად, შენს ოჯახთან ერთად. უფალი გფარავდეს. გაიხარე. შოკოლადა.

• ჩემს ძმას, სოსოს, 6 იანვარს ვულოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ (დაჭკვიანებასაც). უფალი იყოს მისი მფარველი. აბეზარა.

• ჩემო კარგო ადამიანო, გილოცავ შობა-ახალ წელს. მრავალს დაესწარი, შენი ლამაზი ოჯახით. გისურვებთ ყოველივე

კარგს. თეონა ლომინაძე, ძალიან მიყვარხარ. მაკუნა გკოცნის.

• ჟურნალ „გზას“, მარი ჯაფარიძეს, „გზავნილებსა“ და მგზავნელებს დიდი სიყვარულით ვულოცავ შობა-ახალ წელს. ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ. გურიიდან, კაპიტანი.

• ყველას გილოცავთ ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულს და აგრეთვე, 14 იანვარს, ჩემს უსაყვარლესსა და ულამაზეს დაქალოჩკას, დიანა დავითიანს ვულოცავ დაბადების დღეს. ASHLEY PCD.

• თაზო, გილოცავ ახალ წელს. გენაცვალოს დეიდა, ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება. კახა, ლაშა, ირინა, თემური. გვენატრები ყველას.

• ჩემს მონატრებულ და საყვარელ დეიდას, ჟენია ნასყიდას ასულ მოსიაშვილ-ბეჟანიშვილს 7 იანვარს ვულოცავ დაბადების დღეს. უფლის წყალობასა და ჯანმრთელობას გისურვებ დეი, გელასგან და მისი ოჯახიდან სულ გახარებული იყავი. იცოცხლე დიდხანს და ბედნიერად. გკოცნი, მენატრები, მიყვარხარ. ცისანა.

• ჭინჭარაულ ნათიას ვულოცავ დიდი სიყვარულითა და მონატრებით დაბადების დღეს. გისურვებ ჩემო სიხარულო, სიხარული, ჯანმრთელობა, სიყვარული და ღმერთის წყალობა არ მოგაკლოს უფალმა. სულ ია-ვარდით მოფენილი გზა გქონდეს. მიყვარხარ უზომოდ. შენი ნათელა ბებო.

• ანი ბეგიაშვილს და სალომე ბექაურს ბებო ულოცავს დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, უღრუბლო ზეცას, სიხარულს და ყოველივე კარგს. გისურვებთ მანამ სიცოცხლეს, სანამ დიოდეს რიონი, სანამ არ დაინგრეოდეს, დიდი მთა, კავკასიონი. თქვენი საყვარელი ბებო, თამრიკო ბექაური.

• მზია ხელაძე-ქარციძეს ვულოცავ დაბადების დღეს — იმ დღეს, როდესაც შენ დაიბადე და მოევლინე ამ ცასა და მიწას. წმინდა მარიამის კალთა გფარავდეს. არ მოგკლებოდეს უფლის კურთხევა. მინდა გისურვო დიდხანს სიცოცხლე, სიხარული და ბედნიერება. ლია ბუნტური.

• მარი, გილოცავ ბედობას და „კუჩხი ბედინერი“ ყოფილიყოს ეს წელი შენთვის და შენი საყვარელი ადამიანებისთვის. გისურვებ ბედნიერებასა და ღამაზ სიყვარულს.

• მარი, საყვარელო, ბედობას გილოცავ! სიკეთე, სიყვარული, სიხარული, წარმატება და ბედნიერება დაგბედებოდეს... 2010 დაწყვილების წელია და შენთვისაც მოგველოცოს უახლოეს მომავალში. შენ რომ შეგეფერება და ჩვენ რომ გაგვიხარდება, ისეთი ბედი. გკოცნი, გეხვევი, გებღაუჭები... CRAZY GIRL.

• თამილა ლანჩავას ვულოცავ დაბადების დღეს. გაიხარე, შენი ქმარ-შვილით. გკოცნი, ჩემო მონატრებულო დაო. ელისო ლანჩავა.

• მარი, გილოცავ! ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს ეს წელი შენთვის! მე შენ სულ მახსოვხარ, ჩემო კარგო! თუმცა, შენ მიცნობ თუ არა, არც კი ვიცი.

• ჩემო საყვარელო მარი და მგზავნელებო, გილოცავთ შობას, ამ ბრწყინვალე დღესასწაულის მადლი და ძალა შეგწეოდეთ. ყველას ძალიან გაფასებთ და მიყვარხართ. ქალი ცდუნება.

• მარი, ბებო გილოცავს დაბადების დღეს. ჯანმრთელობა და სიხარული არ მოგიშალოს ღმერთმა. შენ ხომ ჩემი პირველი სიხარული და სიყვარული ხარ, ბებოს გოგო. მენატრები ძალიან. მაია ბებო.

• მინდა მივულოცო ჩემს შვილს, ანა ბერიძეს, დაბადების დღე, 4 იანვარი. ვუსურვებ ჯანმრთელობას და ბედნიერ საქართველოში ცხოვრებას. ჩემო შვილო, მამიკოსა და დედიკოს ძალიან გვენატრები. მერაბი და თეონა.

• მარ, დღეს რომ არ მოგწერო, არ შეშიძლია, ბედობა დღეს „გზაში“ დამესიჯება უნდა დავიბედო. გილოცავ ბედობას, სიხარული, სიყვარული და ბედნიერება დაგბედებოდეს წელს, შენ და თითოეულ მგზავნელს. გკოცნით, თქვენი სოფი19.

• დაბადების დღეს, 10 იანვარს ვულოცავ საბას, ჩემს შვილთაშვილს. ბედნიერი წლები და ჯანმრთელობა არ მოგაკლოს უფალმა. ბებო ცინარა და მზია.

• გილოცავთ ყველას დამდეგ ახალ წელს. მარი, შენც გილოცავ, კარგი ადამიანი ჩანხარ. ისე, რამე ცვლილებები იქნება ჟურნალ „გზაში“ 2010 წელს? გადარეული.

• ჩვენი ოჯახებისთვის ხვავი და ბარაქა, მშობლებისთვის ჯანმრთელობა, ჩვენთვის კი სიყვარული, ჯანმრთელობა და ბევრი ფული მოეტანოს, ამ წელს. გკოცნიიით.

• მარიკუნაااااა, გილოცავთ ახალ წელს, შენ და ყველა მგზავნელს. მართალია, არ ვაქტიურობ, მაგრამ ყოველ ხუთშაბათს თქვენთან ვარ! ახლაც „გზას“ ვკითხულობ, გვიან მომიტანეს და წინასაახალწლო განწყობას ვიქმნი. :) საუკეთესო წელი დამდგარიყოს, მთელი საქართველოსთვის, „გზისთვის“ და მგზავნელებისთვის. გკოცნით, თქვენი ფინტიკოზა.

• მარ, გილოცავ შენ და თითოეულ მგზავნელს, 2010 წელს, რომელიც სულ რამდენიმე წუთში დადგება. ფილიპოს, ლუნას, 9717-ს, SWEET-ს, GREEN-ს, ლა-ლოლას, მაესტროს, რეალს, გრუზის, კოზანოსტრას, ეშმაკუნას ვეტყვი, რომ ჩემი სიხარულიკუნები არიან. დანარჩენებიც, მაგრამ მათ არ ვიცნობ. გაკოცეთ, სოფი19.

• მრავალ ახალ წელს! მრავალს! უბედნიერესად! სიყვარულით და სიხარულით! კანიბალკა.

• მრავალ, მრავალ ახალ წელს! სიყვარული, სიხარული, ჯანმრთელობა, ბედნიერება და ბარაქის წელი გქონოდეთ. მრავალს დაესწარით. ჭორიკანა ასინეთა.

• ახალ წელს გილოცავ, მარ! იხარე და იბედნიერე, შენს ძვირფას ადამიანებთან ერთად. უფლის წყალობა და მფარველობა არ მოგკლებოდეს, ჩემო ტკბილო. გკოცნის, შენი პარიჟანკა.

• მააარ, შენ გენაცვალე, ჩემო ყველაზე მაგარო ადამიანო, გილოცავ! დიდ, უდიდეს ბედნიერებას, სიხარულითა და სიყვარულით სავსე წელს გისურვებ, ჩემო კარგო!

• ჩემო მარი, შენ შემოგევლე, შენ გენაცვალე, მომილოცავს ახალი წელი. ახლა ზუსტად 1-ელი იანვრის 03:21 წუთია და მე, განგრეული მთვრალი, ძლივსღა ვწერ მესიჯს.

• მთვარემ მზეს მიულოცა, ვარსკვლავებმა — ცას, ღამემ — დღეს, ქარმა — ხეს, მე კი შენ გილოცავ ახალ წელს. ღმერთი გფარავდეთ.

• გულიზა თათვიძეს მინდა მივულოცო დაბადების დღე. გფარავდეს უფალი. მეგობარი, ნიურა.

• ჩემ საყვარელ, ლამაზ გოგონას, ელენე კოხრეიძეს მინდა მივულოცო ლამაზი დაბადების დღე. ვუსურვებ ყოველივე კარგს, საყვარელ მშობლებთან და სალომესთან ერთად. გკოცნი და ჩაგეხუტე. ბებია ნიურა.

• ჩემი შვილიშვილის ნათლიას ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ სიხარულს, სიყვარულს, მალე დაოჯახებას და ასევე მალე, საქართველოში დაბრუნებას. ნიურა.

• ჩემს მეგობარს, მზია ჟვანიას მინდა მივულოცო დაბადების დღე. ვუსურვებ ყველაფერს საუკეთესოს. ნიურა.

• მზევინარ ქურდიანს ვულოცავ დაბადების დღეს. სიხარული, სიყვარული და ბედნიერება არ მოგაკლოთ ღმერთმა და მრავალ ახალ წელს დაესწარით. ნიურა.

• ხონში, სვეტა ტვილდიანს და ტარიელ უგულავას ვულოცავ ბედნიერი ქართული ოჯახის შექმნას. გისურვებთ სიხარულს, სიყვარულს და იმ დიდ გრძნობას, რასაც ბედნიერება ჰქვია. გლოცავთ და გისურვებთ ბევრ ლამაზ წელს. ნესტანი.

• მაია ტიკარაძე, გილოცავ ახალ წელს და გისურვებ ლამაზი ოცნების ახდენას. ნესტანი.

• ჩემს მონატრებულ რძალს სულით და გულით ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ კარგად ყოფნას და ჯანმრთელობას, საყვარელ ქმარ-შვილთან ერთად და საყვარელ ხალხთან ერთად. გკოცნის შენი დედამთილი, გულიზა.

• აფენში ეკა ჯანელიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, საყვარელ ხალხთან ერთად. გისურვებ კარგად ყოფნას და მალე გაბედნიერება მომელოცოს. გულიზა.

• ტყაჩირში მცხოვრებ გულნაზი ჩხობაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, საყვარელ ხალხთან ერთად. გულიზა.

• ჩემს მონატრებულ დედას და დას, მაგული და იამზე ფანცულაიებს ვულოცავ შობა-ახალ წელს. ღმერთმა ბევრი გაგითენოთ, ჩვენთან ერთად და ყველა კეთილ ადამიანთან ერთად. შვილი და და, თეა ფანცულაია კოცნას გიგზავნით შორიდან. ღმერთი გფარავდეთ.

• შორენა, მერაბ, ლამარა, ილო ბაქრაძეებს ვულოცავ ახალ წელს. ღმერთმა სიკეთისა და სიმშვიდის წელი მოგიბრძანოთ, მაგ თბილ ოჯახში. გახარებასა და გამრავლებას გისურვებთ. ღმერთმა დაგლოცოთ. დები, თეა და ნანი.

• ჩემს უსაყვარლეს შვილს, ლანა ბენიძეს ვულოცავ ახალ წელს. ღმერთმა ჯანმრთელად და კარგად გამყოფოს, საყვარელ ადამიანებთან ერთად. გკოცნი და მენატრები.

• ჩემს უსაყვარლეს შვილიშვილს, ლანა ბენიძეს ვულოცავ ახალ წელს. ღმერთმა მრავალ ახალ წელს მოგვასწროს და დამ-

ასწროს, შენთან ერთად. მიყვარხარ და მენატრები. დოდო ბენიძე.

• ხონში მცხოვრებ მაგული და იამზე ფანცულაიებს ახალ წელს ულოცავს მძახალი, დოდო ბენიძე. ღმერთმა სიკეთე და სიხარული, ხვავი და ბარაქა მოგიტანოთ, ამ წელს.

• წყალტუბოში, კაფე „ნაძვების“ მომსახურე პერსონალს ახალი წლის მობრძანებას ვულოცავ. ღმერთმა მრავალი გაგითენოთ, თითოეულ თქვენთაგანს ხვავი და ბარაქა მუდამ გქონოდეთ. ღმერთი გფარავეთ. თქვენი ყოფილი თანამშრომელი, თეა. არასდროს დამავიწყდებით. დიდი სიყვარულით გეფერებით.

• კართუბანში მცხოვრებ ანა და ვენუკა გელაშვილებს ვულოცავ დაბადების დღეს. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. თქვენი მონატრებული მამიდა.

• 1-ელ იანვარს, როცა 12-ჯერ დარეკავს ზარი, ეს ნიშანია, ახალმა წელმა გააღო კარი, სანამ შემოვა, ძველს გაატანე, რაც ცუდი არის, ფეხბედნიერი მეკვლე იყოს ეს ჩემი ზარი.

• მინდა, დაბადების დღე მივულოცო ჩემს მონატრებულ შვილს, მაია შუბლაძეს. დედი, მიყვარხარ და მენატრები, ჩემო გოგონი. სულ კარგად მეყოლე, ქმარ-შვილთან ერთად. უფალი გფარავდეს. შენი დედიკო, ცინარა და მზია.

• ქუთაისში დაბადების დღეს, 15 იანვარს ვულოცავ მონატრებულ ძმისშვილს, გიორგი რობაქიძეს და ვულოცავ ძმის სამედიცინო ინსტიტუტში მოწყობას. გისურვებთ წინსვლას, ყველა საქმეში. ცინარა მამიდა და მზია.

• ჩემს საყვარელ და მონატრებულ დედიკოს მინდა 29 დეკემბერს დაბადების დღე მივულოცო. ვუსურვო ყოველივე საუკეთესო. რაც მთავარია, ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე. გკოცნი და გეხვევი, დიდი სიყვარულითა და მონატრებით, შენი შვილი, ირინა.

• საბერძნეთში დროებით მცხოვრებ თამრიკო გაბუნიას ვულოცავ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. გისურვებ ყოველივე კარგს. ლიკა.

• მთელ საქართველოს და „გზავნილებს“ ვულოცავ შობა-ახალ წელს. ვუსურვებ ყოველივე საუკეთესოს. მრავალი კარგი დღე გაგითენდეთ. გაიხარეთ. თიკუნია999.

• შობა-ახალ წელს ვულოცავ ყველას. განსაკუთრებით ჩემს შვილს. გიგუ, დედი, გილოცავ. მენატრები, დედი. თიკუნია999.

• მარი, გილოცავ შობა-ახალ წელს. ყოველივე კარგის მომტანი ყოფილიყოს ეს წელი შენთვის. გაიხარე. ძალიან მიხარია, რომ ყოველთვის მიბეჭდავ მესიჯებს. ძალიან კარგი ადამიანი ხარ. ძალიან მიყვარხარ. იმედია, საქართველოში მალე ჩამოვალ და აუცილებლად გაგიცნობ. თქვენი ერთგული მკითხველი, თიკუნია999.

• მინდა, ახალი წლის მობრძანება მივულოცო ჩემს მონატრებულ შვილებს, სალოს, ლევანიკოს და დედას, ნანუჩის. ბედნიერი წელი დაგვდგომოდეს. ღმერთმა დაგლოცოთ. თქვენი დედიკო.

• საბერძნეთში დროებით მცხოვრებ თამარ გაგუას ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ, მანამ სიცოცხლეს, სანამ დიოდეს რიონი, სანამ არ დაინგრეოდეს, დიდი მთა კავკასიონი. თამრო.

• გია მიშელაშვილს 11 იანვარს, დატანჯული დედა ულოცავს დაბადების დღეს. გია, შვილო, მუდამ ჯანმრთელი და გახარებული მენახე, შენს ოჯახთან ერთად. გია, შვილო, თქვენი გულისთვის ვიტანჯები, რომ ჩემს შვილებს უდარდელი ცხოვრება გქონდეთ. აბა შენ იცი, დააფასე შენი დედა. ზინა.

• ნანა პავლიაშვილი და ლილი ცაბოშვილი ჩვენს მეგობარს, ზინას ვულოცავთ 11 იანვარს, შვილის, გიასა და შვილიშვილის, ათუნას დაბადების დღეს. ჩვენო ზინა, სულ ასე გახარებული ყოფილიყავი, შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად.

• მინდა, ახალი წელი მივულოცო ვარკეთილში, ჩემი ოჯახის წევრებს. სულ გახარებულები და ჯანმრთელები იყავით. ძალიან მენატრებით და მიყვარხართ. ნათია წიკლაური.

• ათენში მყოფ ქართველ ემიგრანტებს ვულოცავ ახალ წელს. ღმერთმა შეძლება და გაძლება მოგცეთ. ნათია.

• ქობულეთში, შუაღელეში მცხოვრებ დათო მოსიძეს ვულოცავ 12 იანვარს, დაბადების დღეს. გაიზარდე და გაგვახარე, ჩემო ლამაზო ბიჭო, ჩემო ნიკორავ. ლეილა დეიდა.

• ქობულეთის ბიზნესმენებს, ჩემს დას, ხათუნას და რძალს, მზისოს მინდა მივულოცო ახალი წელი და ვუსურვო წარმატებები ბიზნესში. თქვენი დელიდულაი.

• საყვარელ შვილიშვილს, მათე მიშვიძეს ვულოცავ 2 იანვარს 4 წლის შესრულებას. ვუსურვებ ბედნიერ ბავშვობას, ჯანმრთელობას, ულევ, ბედნიერ დღეებს, მშობლებთან და დასთან ერთად.

• დაბადების დღეს ვულოცავ ბესო იმერლიშვილს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, საუკეთესო მომავალს და დიდ სიყვარულს.

• დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს საყვარელ შვილებს, ჩემს ტკივილებსა და დარდებს, მაია და ნინო ნაკვეთაურებს. გლოცავთ, დედის გულებო, მრავალი დაბადების დღე და ახალი წელი გაგითენოთ უფალმა, თქვენს ლამაზ ოჯახებთან ერთად. გფარავდეთ უფალი. თქვენთვის მლოცველი დედა.

• ანი ბეგიაშვილს, ბებოს სიხარულსა და სიყვარულს ვულოცავ 3 იანვარს, დაბადების დღეს. გისურვებ ჩემო ანგელოზო, ჯანმრთელობას, სიხარულს, უღრუბლო ზეცას და ნათელ მომავალს. სულ იავარდით მოფენილი ყოფილიყოს, შენი ცხოვრების გზა. თამრიკო ბექაური.

• ჩემს შვილიშვილებს, ანი და მარიამ ჩაფიძეებს ვულოცავ დაბადების დღეს, 31 დეკემბერს. ბებოს ლამაზებო, გისურვებთ უღრუბლო ზეცას, სიხარულსა და ჯანმრთელობას. გკოცნით და გეფერებით, ეთერი და ნათელა ბებო.

• მინდა, დაბადების დღე მივულოცო ჩემს მონატრებულ შვილს, ლევანი-ბარდღუ გოგაძეს. დაესწარი დედიკო მრავალს, გისურვებ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას. ღმერთმა დაგლოცოს, შენს დაიკოსთან, სალოსთან ერთად. გეხუტეთ. ჩემი ცხოვრების იმედები ხართ. ყოველივე კარგს გისურვებთ. გკოცნით, თქვენი დედიკო ლიკა.

• ათენში ჩემს მეგობრებს ვულოცავ ახალ წელს. ღმერთმა დაგლოცოთ, სულ ბედნიერი მენახეთ. ნეტავ, ვინ გილოცავთ? რა თქმა უნდა, თქვენი ლიკა.

• ათენში გრაფიო „კოლხიდა2006“-ის მომუშავე პერსონალს ულოცავენ ახალი წლის დადგომას სამტრედიისა და ქუთაისის გოგონები. გისურვებთ ყოველივე კარგს. ღმერთი თქვენკენ.

• ორპირში ჩემს ძმას, გორგიძე ავთოს ვულოცავ შობა-ახალ წელს. გისურვებ ჯანმრთელობასა და ბედნიერ ახალ წელს, შენს ცოლ-შვილთან და შვილიშვილებთან ერთად. თინა.

• სუპატაშვილ ლიას ვულოცავ შობა-ახალ წელს. გისურვებ ჯანმრთელობასა და მშვიდობიან წელს, შენს საყვარელ ქმარ-შვილთან და შვილიშვილებთან ერთად. მძახალი, თინა.

• მთელ საქართველოს და პირველ რიგში ჩემს ლამაზ, პატარა ოჯახს და ჩემს უახლოეს ადამიანებს ვულოცავ ახალ წელს. სიხარული, სიყვარული და ღვთის წყალობა არ მოჰკლებოდეთ.

• სიხარულო, ძალიან მიყვარხარ. გილოცავ ახალ წელს, მრავალს დაესწარი. სულ ჯანმრთელი და ბედნიერი მენახე, მთელი ცხოვრება. მთავარი ეგაა, დანარჩენს ეშველება. გკოცნი. სუსუ.

• შოთიკო ტყეშელაშვილს ვულოცავ ახალ წელს. იმედია, ეს წელი მაინც იქნება შენს ცხოვრებაში ბედნიერების მომტანი. ძალიან მენატრები. შენს ზარს ველოდები. ეთო.

• საბერძნეთში სალომე ხერხაძეს ვულოცავ ახალ წელს. ყველაფერს საუკეთესოს გისურვებ, ჩემო სიყვარულო, შენს პატარა ლიზიკუნასთან და დედიკოსთან ერთად. დათო.

• მედიკო ნაროუშვილს ახალ წელს ულოცავენ ირაკლი და ნინო კომახიანები. უსურვებენ ჯანმრთელობას, სიხარულს, ხვავსა და ბარაქას. 2010 წელი იყოს ბედნიერი. გკოცნით.

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ჭაიმ-აუჭი

ორიგინალური გამოგონებები

* 1986 წელს დააპატენტეს საათები ბულდოგის ჯიშის ძაღლებისთვის.

* ალბათ, ბავშვობაში ყველას ასწავლიდნენ, რომ ჭამის დროს ლუკმა დიდხანს უნდა ღეჭოთ. მხიარულმა მეცნიერებმა გამოიგონეს ჩანგალი, რომელზეც სიგნალიზაცია ირთვება იმ შემთხვევაში, თუ ძალიან სწრაფად ჭამთ. საინტერესო ისაა, რომ სიგნალიზაცია მოულოდნელად, თანაც, ძალიან ხმამაღლა ირთვება და ადამიანი მადას კარგავს. ასე რომ, ეს გახდომის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

* 1972 წელს ერთმა ზარმაცმა ამერიკელმა ბევრ მეთევზეს გაუადვილა ცხოვრება. მან დაამზადა ავტომატური ანკესი, რომლის მეშვეობითაც, თევზი, რომელიც ანკესს წამოეგება, ღილაკზე თითის დაჭერით პირდაპირ თქვენკენ „გამოფრინდება“.

* ერთმა გამომგონებელმა ავტომობილისთვის 2-მეტრიანი კაუჩუკის გამჭვირვალე ბურთი დაამზადა. მასში მოთავსებულ ავტომობილს წყალზე გადაადგილება შეუძლია. ■

უცნაური მწერლები



ჩარლზ დიკენსის კაბინეტის კედლები სარკეებით იყო მორთული. რომანზე მუშაობისას, მწერალს ასეთი ჩვეულება ჰქონდა — რომელიმე სარკესთან მიდიოდა და სახეს მანჭავდა, შემდეგ კი მიმიკების შეცვლით გადაღლილი, მაგიდასთან ბრუნდებოდა და წერას განაგრძობდა. შემოქმედებითი განწყობილების შესაქმნელად ფეხით სიარული უყვარდა და ხანდახან, დღე-ღამეში 30-40 კმ-ის გავლა უწევდა.

წერის დროს გუსტავ ფლობერი ყველა გმირს განასახიერებდა — „მათთან ერთად“ ტიროდა და იცინოდა, დროდადრო კი კაბინეტში სიარულს, ხმამაღლა ლაპარაკს იწყებდა.

ალექსანდრ დიუმა რომანებს მხოლოდ ცისფერ ქაღალდზე წერდა, ლექსებს — ყვითელზე, საჟურნალო სტატიებს — ვარდისფერზე. გარდა ამისა, რომანებსა და სტატიებს მაგიდასთან, ხოლო პიესებს საწოლზე წამოკოტრიალებული ქმნიდა.



უცნაურობებით გამოირჩეოდა ონორე დე ბალზაკიც. მორიგი რომანის დასაწერად ის 2-3 თვით კაბინეტში იკეტებოდა, ფარდებს ჩამოუშვებდა და სანთლის შუქზე, ხალათში გამოწყობილი წერდა. დღე-ღამეში 18 საათი მუშაობდა და წერისას მხოლოდ ყავას მირთმევდა. ■

გიგანტური საკვები

* მსოფლიოში ყველაზე დიდი ჰოთ-დოგი (60,3 მეტრი) იაპონელებმა დაამზადეს.

* იტალიელი მზარეულების მომზადებული გიგანტური პიცა 24 კგ-ს იწონიდა, ხოლო დიამეტრით 5 მ იყო.

* ხორვატიელმა მზარეულებმა ღორის ხორცისგან ყველაზე დიდი ძეხვი დაამზადეს. 530-მეტრიანი ძეხვი 400 კგ-ს იწონიდა; ჩინელი მზარეულები კი სტუმრებს 2,2-მეტრიანი (65 კგ) „სალიამით“ გაუმასპინძლდნენ.



* 997 კგ-იანი ომლეტი ღორით შვიდმა ამერიკელმა (სმიტფილდი, ვირჯინია) მზარეულმა მოამზადა.

* 26 კგ-იანი ფუნთუშის მომზადებას 13 კგ ფქვილი, 9 ლ რძე, 2 კგ შაქარი, 600 გ სოდა, 12,5 ლ ნაღები და 20 კგ მარწყვის ჯემი დასჭირდა.

* გერმანელი კულინარების მომზადებული გიგანტური ნაყინი 850 კგ-ს იწონიდა.

* გერმანელებს 10,73-მეტრიანი გალას დასამზადებლად 1024 ნიორი დასჭირდათ. ■

ანეკდოტები

* * *

დედა შვილს ეკითხება:

— როდის აპირებ გაკვეთილების სწავლას?

— კინოს მერე.

— კინოს მერე გვიანია.

— დედა, სწავლა არასდროს არის გვიან.

* * *

ებრაელს სასტუმროში ნომრის აღება უნდა. ადმინისტრატორი ეუბნება:

— პირველ სართულზე ოთახი 60 დოლარი ღირს, მეორეზე — 50, მესამეზე — 40, მეოთხეზე — 30.

ებრაელი გასასვლელისკენ გაემართა.

— რაშია საქმე, ფასებია მაღალი? — ეკითხება ადმინისტრატორი.

— არა, სასტუმროა დაბალი.

* * *

თვითმფრინავი ვარდება. სვანი პილოტი სადისპეტჩეროს გადასცემს:

— გვიშველეთ, ვვარდებით!

— თქვენი მდებარეობა და სიმაღლე გვითხარით!

— მარჯვნივ ვზივარ, სიმაღლე — მეტრი და ოთხმოცი.

* * *

მთვრალმა კაცმა სახლში საყვარელი მიიყვანა. კარი ცოლმა გააღო. ქმარმა ცოლს ხელი გადახვია და ეჩურჩულება:

— სუუ... თქვი, ვითომ ჩემი ბიძაშვილი ხარ...

* * *

შალიკია ჭიჭიკიას ემუქრება:

— ხვალ ვალს თუ არ დამიბრუნებ, წავალ და შენს ყველა მევალეს ვეტყვი,

— ჭიჭიკიამ ვალი დამიბრუნა-მეთქი.

* * *

მუსიკოსს ნაცნობი შეხვდა. ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ კაცი ეუბნება:

— ამას წინათ შენი ალბომი შევიძინე და ძალიან მომეწონა!

— აა, ეს შენ იყიდე?!.

* * *

საპატრულო პოლიციაში ქალი რეკავს:

— ვაიმე, მიშველეთ, კარზე ვიღაც მიკაკუნებს.

— არ გაუღოთ, ქალბატონო, ახლავე მოვალთ!

— ვაიმე, როგორ არ გავუღო, ყელში ამომივიდა მარტოობა.

* * *

პოლიციელები ქუჩაში მიდიან. ხედავენ, ხეზე კაცს თავი ჩამოუხრჩვია.

— ეს გვინდოდა ახლა ჩვენ?

— მოდი, სხვა რაიონში გადავიტანოთ.

გადაიტანეს და ხეზე ჩამოკიდეს. მოდიან იმ რაიონის პოლიციელები:

— ვაა! ეს ისევ აქ კიდია?!

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგეცქცეთ თვალი

1. 31 აგვისტოს, რუსეთის დიდ ქალაქებში სილამაზის სალონებში მოხვედრა წარმოუდგენელია. რატომ?

2. ათ დღეში ერთხელ, მაიკლ დუგლასი მეუღლისათვის 1 კილოგრამ შავ ხიზილალას ყიდულობს. რაში სჭირდება კეტრინ ზეტა ჯონსს ამდენი ხიზილალა?

3. რა არის შვარტოვი?

4. „კრიტონ, ჩვენ ასკლეპიოსისათვის მამალი გვყავს შესაწირი“, — უთხრა სიკვდილის წინ სოკრატემ მეგობარს. ვინ იყო ასკლეპიოსი?

5. რა არის ჯონკა?

6. დაასრულეთ სტანისლავ ეჟი ლეცის სიტყვები: „დიავოლ ნე სპიტ...“

7. დაასრულეთ ვანო ჯავახიშვილის სიტყვები: „როცა პამელა ანდერსონი გწყევლის, მისი...“

8. ეს მწერალი რამდენჯერმე სტუმრად იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში — ქვეყანაში, სადაც მისი ნაწარმოებები მილიონიანი ტირაჟით იბეჭდებოდა. მათი რეალიზაციიდან მიღებული მოგება მილიონობით მანეთს შეადგენდა, მწერლისთვის ჰონორარის გადახდა კი აზრადაც არავის მოსვლია. თავად მწერალი ძალზე კორექტული ადამიანი იყო და საავტორო უფლებების დარღვევაზე კრინტი არ დაუძრავს. დაასახელეთ იგი.

9. მომღერალი დევიდ ბოუი თვალით აღიელია. რას ნიშნავს ეს სიტყვა?

10. როდესაც 1898 წელს ქალაქის მესვეურებმა მილანის კონსერვატორიისათვის ჯუზეპე ვერდის სახელის მინიჭება გადაწყვიტეს, 85 წლის კომპოზიტორმა ყველა ღონე იხმარა, რათა მათთვის შეეშალა ხელი. რატომ?

11. როგორ ბრილიანტებს არქმევენ საკუთარ სახელებს?

12. რით იყო განსაკუთრებული ფილმი — „ჯაზის მომღერალი“?

* * *

ბებია შვილიშვილს ეკითხება:

— დაბადების დღეზე რა გიყიდო?

— მუსიკალური დისკი, ბებო.

— რომ არ ვიცი, რომელი მოგეწონება?

— სთხოვე, მოგასმენინონ და რომელიც არ მოგეწონება, ის მიყიდე.

* * *

მამაკაცი უცნობ ქალს ეკითხება:

— მილიონ დოლარად ჩემთან დაწვებით?

— რასაკვირველია!

— ერთ დოლარად?

— თქვენ მე ვინ გგონივართ?

— ვინცა ხართ, ეგ უკვე გავარკვიე, ახლა ფასზე შევთანხმდეთ.

* * *

ბარში ორი კაცი შედის.

— ორი ლუდი მოგვიტანეთ, ოღონდ — სუფთა კათხით.

ორ წუთში ოფიციანტს ორი ლუდი მოაქვს.

— სუფთა კათხით რომელმა შეუკვეთეთ?

* * *

პოლიციის განყოფილებაში ზარია:

— პოლიციაა? მიშველეთ! ქალთა მონასტრიდან გირეკავთ! აქ მძარცველია შემოპარული, მძარცველიიი!!!

— ვინ ლაპარაკობს?

— ვინ და, მძარცველიიი!!!

* * *

ორი კახელი ქალი ავტობუსში ზის. ერთი მეორეს ეუბნება:

— აღარ შემიძლია, რაც ჩემი შვილი ინსტიტუტში მოეწყო, ერთი ფეხი ლაგოდეხში მაქვს, მეორე — თბილისში.

უკან მჯდომი კაცი თავისთვის ჩაიბურდღუნებს:

— იფ, რა სანახავი იქნები საგარეჯოდან?!

* * *

მამა ქალიშვილს ეკითხება:

— როგორ არის შენი და შოთიკოს საქმეები?

— წვრილმანებზე ვკამათობთ.

— მაინც, რაზე?

— მაგალითად, მე მინდა, ქორწილში თეთრი კაბა ჩავიცვა, იმას კი საერთოდ არ უნდა ცოლის მოყვანა.

* * *

მიხოს შვილმა ცოლი მოიყვანა. დილით მიხო ეკითხება:

— რა ქენი, შვილო?

— ვერაფერი, მამი!

— ამის დედა ვატირე! მოკლედ, ამ სახლში ყველაფერი ჩემი გასაკეთებელია, რა! — გაბრაზდა მიხო.

* * *

სკოლის ექიმის კაბინეტში მესამეკლასელი გოგონა ზლუქუნებს:

— ექიმო, ძალიან ცუდად ვარ, სკოლის გაფიქრებაზეც კი გული მერევა! ფეხმძიმედ ხომ არ ვარ?! გუშინ ვასიკო ისე მიყურებდა...

* * *

— ცხირ-პირი ვინ გაგილამაზა?

— ჩემმა ენამ.

— ეგ როგორ?

— ბაღში ვიჯექი ჩემთვის და ვხედავ, ვიღაც ქალი ძაღლს მოასეირნებს. ვეკითხები, ეგეც ძუკნაა-მეთქი?.. მეტი არაფერი მახსოვს.

* * *

განცხადება: დავალიანების გამო, გვირაბის ბოლოს სინათლე გამორთულია.

* * *

— რითი ისჯება ორცოლიანობა?

— ორი სიდედრით.

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. მომსახურების საათები ყველა სალონში, უფროსკლასელ გოგონებს აქვთ დაჯავშნილი.
2. იგი ხიზილალით თავს იბანს.
3. ჯაჭვი ან ბაგირი, რომლითაც გემს გემსადგომზე აბამენ.
4. ექიმბაშობის ღმერთი, რომელსაც მამალს სწირავდნენ მაშინ, როცა ავადმყოფი გამოჯანმრთელებას იწყებდა. როგორც ჩანს, სხეულის დაღუპვას სოკრატე სულის გამოჯანმრთელებად მიიჩნევდა.
5. ჩინური მსუბუქი იალქნიანი გემი.
6. „...ს კემ პოპალო“.
7. „ძუძუები გლოცავენ“.
8. ასტრიდ ლინდგრენი.
9. მას სხვადასხვა ფერის თვალი აქვს.
10. ახალგაზრდობაში ვერდი ამ კონსერვატორიაში არ მიიღეს.
11. რომელთა წონა 50 კარატს აღემატება.
12. იგი მსოფლიოში პირველი ხმოვანი ფილმი იყო.

ჩვენი ფოტო გაღვრეა

შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში მის.: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.

ორაზროვანი შეკითხვები და საჩუქარი თოვლის ბაბუას

ამჯერად განსხვავებულ „ერუდიტს“ გთავაზობთ — საახალწლო ნომრისთვის სახალისო კითხვარი შევადგინე, რესპონდენტები კი „შუა ქალაქში“ ვიპოვე. მარიამ ჯოლოგუასა და ჯაბა კილაძესთან ჩაწერილი ინტერვიუ, როგორც მოსალოდნელი იყო, საკმაოდ სახალისო გამოვიდა. თურმე, მარიამი მარკესის, ხოლო ჯაბა მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების თაყვანისმცემელია, საყვარელ დრამატურგად კი ორივე შექსპირს ასახელებს.

თამუნა კვინიკაძე

— ახალ წელს გილოცავთ! როგორ ხართ?

ჯაბა:

— გმადლობთ, ჩვენც გილოცავთ!

მარიამი:

— შენ — ბედნიერებას, „გზას“ კი ბევრ მკითხველს ვუსურვებთ.

— აბა, მითხარით, თოვლის ბაბუამ საჩუქრები თუ მოგიტანათ?

ჯაბა:

— ასე ბავშვობაში ხდებოდა, ახლა კი რატომღაც, აღარ მოაქვს.

მარიამი:

— ჯაბა, შენს ნათქვამზე ჩემი შვილი გამახსენდა. 4-5 წლის იყო, როცა რაღაც სათამაშო საჩუქარივით შეფუთა. ვკითხე, — ვისთვის გინდა-მეთქი? მიპასუხა: თოვლის ბაბუას ჩემთვის ყოველ ახალ წელს მოაქვს საჩუქარი და მე ერთხელ მაინც არ უნდა ვაჩუქო რამეო (*იცინიან*)? მერე სათამაშო იმ ადგილზე დადო, სადაც თოვლის ბაბუა საჩუქრებს უტოვებდა.

ჯაბა:

— თოვლის ბაბუამაც ჩუმად მოიპარა და წაიღო, არა?

მარიამი:

— რა თქმა უნდა!

— ნაძვის ხის მორთვაში თუ მონაწილეობდით?

— აბა, რა! ნაძვის ხე 31 დეკემბერს მოვრთე. ეს პროცესი ძალიან მახალისებს.

— თუ იცით, საიდან მოდის ნაძვის ხეზე ვარსკვლავის დამაგრების ტრადიცია?

ჯაბა:

— როგორც მახსოვს, ვარსკვლავი კომუნისტების სიმბოლო იყო.

მარიამი:

— ალბათ, საბჭოთა პერიოდიდან მოდის, არა?

— ვინც ამ კითხვაზე პასუხი იცის, მას თქვენს ნათქვამზე გაეცინება. ნაძვის ხის ვარსკვლავი ბეთლემის ანუ იმ ვარსკვლავის სიმბოლოა, რომელმაც მსოფლიოს იესო ქრისტეს დაბადება ამცნო.

— მართლა? აწი მეცოდინება.

— რა არის ის, რაც ყველას და ყველაფერს აქვს?

ჯაბა:

— სულიერსაც და უსულოსაც?

— რა თქმა უნდა!

მარიამი:

— ვაიმე! რა უნდა იყოს? ჯაბა, შენ ვერ ხვდები?

ჯაბა:

— ორაზროვანი შეკითხვაა, ჩავიჭერით.

— სახელი. ახლა კი კარგად დაფიქრდით და ისე მიპასუხეთ, არსებობს თუ არა ისეთი რიცხვი, რომლის დასახელება შეიცავს იმდენივე ასოს, რამდენსაც ეს რიცხვი გამოხატავს?

ჯაბა:

— (*ფიქრობს*) 4.

მარიამი:

— ყოჩაღ! პასუხი იცოდი თუ ახლა მოიფიქრე?

ჯაბა:

— არა, ახლა მოვიფიქრე.

— ტყეში 17 პარტიზანია, 5 მათგანი დიდ ლოდს ამოეფარება. რამდენი პარტიზანი დარჩება ტყეში?

— 17-ს რომ 5 გამოვაკლოთ, 12 დარჩება...

მარიამი:

— (*აწყვეტინებს*) არა, რას ამბობ, 12 როგორ დარჩება? ის 5 განა სადმე წავიდა, უბრალოდ, ლოდს ამოეფარა. მათი რაოდენობა ისევ 17 იქნება.

— მარიამ, შექებას ახლა შენ იმსახურებ, ჯაბას პასუხმა კი მისი გმირი — სანდრო გამახსენა. ახლა შემდეგ კითხვაზე გადავიდეთ: მდინარის ნაპირთან ორი კაცი მივიდა. ორივეს მეორე ნაპირზე უნდა გადასვლა. იქვეა ნავი, რომელშიც მხოლოდ ერთი კაცი ეტევა. მიუხედავად ამისა, მდინარის მეორე ნაპირზე გადასვლას ორივე ახერხებს ისე, რომ წყალში არც ერთი არ ჩადის და არ ცურავს. როგორ?

ჯაბა:

— რადგან ნავში ერთი კაცი ეტევა, ჯერ ერთი გადავა, მერე — მეორე.

მარიამი:

— მერე, მეორე ნაპირიდან ნავს ვინ გადმოუტანდა?

ჯაბა:

— ჰო, შენც მართალს ამბობ! აბა, როგორ გადავიდნენ?..

— ეს ორი კაცი მდინარის სხვადასხვა მხარეს იყო.

— რა გინდა, რას მერჩი? მარიამ, ეს ვის ხელში ჩავცვივდით?!

— არაფერს გერჩი, თუ იაზროვნებ, კითხვებზე პასუხის გაცემა არ გაგიჭირდება. ნათესაურ კავშირებში კარგად ერკვევით?

— მგონია, რომ ვერკვევი, მაგრამ ისეთ კითხვებს სვამ, გამოდის, რომ არაფერიც არ ვიცი.

— კარგი, ჯაბას დეიდა ოთარის შვილია. ვინ არიან ერთმანეთისთვის ჯაბა და ოთარი?

— (*იცინის*) ბაბუა და შვილიშვილი.

— გზაზე 2 ვეფხვი მიდის — დიდი და პატარა. პატარა ვეფხვი დიდის შვილია, დიდი ვეფხვი კი პატარის დედა არ არის. ვინ არის დიდი ვეფხვი?

— მარი, ხომ ხედავ, აქ სიტუაცია უფრო ჩაიხლართა (*ფიქრობს*) დიდი და პატარა ვეფხვები ბიძაშვილები გამოდიან.

მარიამი:

— რა ბიძაშვილები, ჯაბა, საიდან მოიტანე (*იცინის*)? როგორც მივხვდი, დიდი ვეფხვი პატარის მამაა.

— რა თქმა უნდა! როგორი საათი უჩვენებს დღეღამეში 2-ჯერ სწორ დროს?

ჯაბა:

— როგორი და ციფერბლატიანი საათი.

— მარიამ, შენ როგორ ფიქრობ?

მარიამი:

— გაჩერებული საათი.

— 1877 წელს საახალწლოდ დააპატენტეს ნივთი, რომელიც გამომგონებელთა აზრით, ადამიანებს დეპრესიის მოხსნაში წარმატებით დაეხმარებოდა. რომელი იყო ეს ნივთი — ვარდისფერი სათვალე, ციგურები თუ ყურეკბიანი ქუდი?

— ჯაბა, შენ რომელი გგონია?

ჯაბა:

— ალბათ, ვარდისფერი სათვალე.

მარიამი:

— მეც ასე მგონია.

— ამ კითხვაზე პასუხი ჩაგეთვალათ. რასთან დაკავშირებით დაერქვა იანვარს იანვარი?

— ღმერთი იყო იანვარიუსი და მის პატივსაცემად დაარქვეს.

— იმ ღმერთს იანუსი ერქვა. რამდენი წუთი აშორებს დილის 10 საათსა და 30 წუთს იმავე დილის 9 საათისა და 15 წუთისგან?

ჯაბა:

— 15 წუთი.

მარიამი:

— 15 არა, 75 წუთი აშორებს.

— ფრანგები კითხვას — რაზე უფრო ადვილად იტყოდი უარს, ქალსა თუ ღვინოზე? — ასე პასუხობენ — „გააჩნია...“

ჯაბა:

— მე ღვინოზე ვიტყოდი უარს, თან — უპრობლემოდ.

— ფრანგების პასუხი კი მეტად ორიგინალურია, „გააჩნია...“

— (*მაწყვეტინებს*) „...ქალს“.

— არა, „...ასაკს“.

— ა! წლები ღვინოს უფრო კარგს ხდის, ქალს კი აბერებს...

— ახლა კი გთხოვთ, დაწეროთ რიცხვი 100 ორი ნულის გარეშე.

— ციფრებს საერთოდ არ გამოვიყენებ და დავწერ ასოებით — „ასი“.

— დაასახელეთ ერთმანეთზე მიყოლებული 5 დღე ისე, რომ არ გამოიყენო სიტყვები: ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი და ა.შ.

მარიამი:

— აბა, როგორ გამოვა? (*პაუზის შემდეგ*) ა! მოვიფიქრე: დღეს, ხვალ, ზეგ.

ჯაბა:

— მხოლოდ 3 დღე გამოდის.

მარიამი:

— მაშინ ასე იქნება: გუშინწინ, გუშინ, დღეს, ხვალ, ზეგ.

ჯაბა:

— ბრავო! მე კითხვაზე პასუხი არ მქონდა.

— რა ჰქვია მანძილს ყველაზე მაღალ და დაბალ ბგერებს შორის?

მარიამი:

— დიაპაზონი.

— რა ერქვა ძველი რომის არქიტექტურულ ძეგლს, სადაც ლომებისა და გლადიატორების შერკინება და სხვა სანახაობები ეწყობოდა?

ჯაბა:

— კოლოსეუმი.

— რომელ სრუტეს არ გაივლის გემით ბათუმიდან მარსელში მიმავალი მოგზაური — ბოსფორის, დარდანელის თუ გიბრალტარის?

მარიამი:

— გიბრალტარის სრუტეს.

— რა ეწოდება ძაღლის მიმართ შიშს?

ჯაბა:

— არ ვიცი.

— კინოფობია.

— მე კინოლოგიის შესახებ მსმენია. კინოფობია ნამდვილად არ მჭირს და ამიტომაც არ ვიცოდი.

— ნაყინი ღირს 90 თეთრი. მყიდველს მხოლოდ 20-თეთრიანები აქვს, ხოლო გამყიდველს — 50-თეთრიანები. როგორ უნდა მოხდეს მათ შორის ანგარიშსწორება?

მარიამი:

— მყიდველმა 7 ოცთეთრიანი უნდა მისცეს, გამყიდველი კი 50 თეთრს დაუბრუნებს და ეგ იქნება.

— გოგონა სარკესთან მივიდა, დაინახა საკუთარი გამოსახულება და შუბლზე აკოცა. ტყუილია თუ მართალი?

— ეს შეუძლებელია!

— ჯაბა, შენი პასუხი მაინტერესებს.

ჯაბა:

— სარკეში საკუთარ გამოსახულებას შუბლზე ვერანაირად ვერ აკოცებ.

— რა თქმა უნდა, ვერ აკოცებ. რამდენი ისეთი ხუთნიშნა ციფრი არსებობს, რომლის ციფრთა ჯამი 2-ის ტოლია? მაგალითად: 20000.

მარიამი:

— 11000, 10100...

ჯაბა:

— კიდევ შეიძლება დავასახელოთ 10010 და 10001.

— ამ კითხვაზე პასუხი ჩაგეთვალათ. დაასრულეთ ფრანცელის ცნობილი გამონათქვამი: „დრო ფულია, ოღონდ როცა...“

— „...ფული გაქვს“.

— „...დრო არ გაქვს“. ორივემ მითხარით, რომ შექსპირი ძალიან გიყვართ. თუ იცით, რომელია მისი მშობლიური ქალაქი ინგლისში?

მარიამი:

— სტრატფორდი.

— ამ წუთში შექსპირის რომელიმე სონეტს თუ გაიხსენებთ?

ჯაბა:

— „ყველაფრით დაღლილს სანატრელად სიკვდილი დამრჩა...“

მარიამი:

— (*აწყვეტინებს*) კარგი, რა, რა დროს სიკვდილია, ახალი წელია.

— რას ნიშნავს ბულგარეთში თავის გაქნევა?

ჯაბა:

— თანხმობას.

— დაასახელეთ სამი რიცხვი, რომელთა ჯამი და ნამრავლი ერთმანეთის ტოლია.

— მათემატიკა კარგად არ ვიცი.

მარიამი:

— (*ფიქრობს*) ვერც მე გიპასუხებ. მგონი, ასეთი რამ არც შეიძლება მოხდეს.

— 1, 2, 3 ის რიცხვებია, რომელთა ჯამიცა და ნამრავლიც ერთმანეთის ტოლია. რომელ ქვეყანაში სწავლობენ წერას ორი მიმართულებით — მარცხნიდან მარჯვნივ და ზევიდან ქვევით?

ჯაბა:

— არ ვიცი.

— იაპონიაში. ფრინველთა ოჯახის რომელი წევრია მგალობელი — დედალი თუ მამალი?

მარიამი:

— როგორც წესი, მამალი გალობს.

— ერთხელ გოეთეს სახლ-მუზეუმში დამთვალიერებელს გოეთეს სკამი უჩვენეს. იგი მივიდა და დაჯდა. მუზეუმის მესვეურებმა შეახსენეს, — ეს გოეთეს სკამია. რა უპასუხა მათ სტუმარმა?

— არ ვიცი.

— არა უშავს, მოვა და ავდგებიო. დაბოლოს, დაასრულეთ მუსრან მაჭავარიანის ცნობილი ლექსი: „ახალი წელია, თოვლიც გვესალმება.../ თოვლიც გვესალმება ციდან...“

ჯაბა:

— ეს ლექსი პირველად მესმის.

მარიამი:

— მე დავასრულებ. „...ცრემლები?! — ცრემლებზე ბოდიში/ ღიმილი?! — ღიმილი, რამდენიც გინდათ“. ■

2010 წლის ასტროლოგიური პროგნოზი მიხეილ ცაგარელისგან

ვერძი

ზამთარი: იძულებული გახდებით, მეტი სიფრთხილე და წინდახედულება გამოიჩინოთ. ამ პერიოდში ძალა და ენერგია უნდა დაზოგოთ.

გაზაფხული: ახლობლებს უანგაროდ დაეხმარებით. სამაგიეროდ, მაისში უხვად დაგასაჩუქრებენ.

ზაფხული: კარგი პერიოდია საკუთარი ნიჭის გამოსავლენად. თქვენი აქტიურობა ახალი პარტნიორების მოზიდვას შეუწყობს ხელს.

შემოდგომა: ყოველი ახალი ნაბიჯი ზედმიწევნით აწონ-დაწონეთ.

მოგზაურობა: საუკეთესო პერიოდია მაისი, ივნისი, სექტემბერი და ოქტომბერი. იმოგზაურეთ ალბანეთში, იაპონიაში, დანიაში, იტალიასა და საფრანგეთში.

კარიერა და ფინანსები: შეეცადეთ, იანვრის მეორე ნახევარში მაქსიმალურად იაქტიუროთ და კარიერულ წინსვლას ჩაუყაროთ საფუძველი. აპრილსა და ივნისში სამსახურში დაიტვირთებით. 8 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდე დიდი და გაუთვალისწინებელი ხარჯები გელით.

ხუცრი

ზამთარი: კარგი პერიოდია მოგზაურობისთვის. მოსალოდნელია სასიყვარულო-რომანტიკული თავგადასავლები.

გაზაფხული: მოაგვარეთ საოჯახო საქმეები. მეტი დრო გაატარეთ საყვარელ ადამიანებთან და ახლობლებთან.

ზაფხული: საყვარელი ადამიანის მიმართ მეტი მოთმინება გმართებთ. ნუ გამოავლენთ უარყოფით თვისებებს, თორემ მარტო დარჩებით.

შემოდგომა: სამსახურში ატმოსფერო საგრძნობლად გაუმჯობესდება. მოსალოდნელია ძველ მეგობრებთან ურთიერთობის აღდგენა.

მოგზაურობა: მოგზაურობისთვის კარგი პერიოდია მაისი და ივნისი. იმოგზაურეთ ფინეთში, უკრაინაში, კვიპროსზე.

კარიერა და ფინანსები: თქვენი შრომისუნარიანობა მატერიალურ კომპენსაციას არ შეესაბამება, მაგრამ აპრილსა და ივნისში სიტუაცია გამოსწორდება. ივნისიდან შესაძლოა, დამატებითი სტაბილური შემოსავალი გაგიჩნდეთ. შემოდგომაზე თავი შეიკავეთ კაპიტალდაბანდებისგან. კოლეგებთან დაძაბულობა მოიმატებს.

ტყუბი

ზამთარი: კარგი პერიოდია ძველი კონტაქტების აღსადგენად.

გაზაფხული: განგება გამოცდას მოგიწყობთ. შესაძლოა, თქვენთვის არასასურველი გადაწყვეტილება მიიღოთ, რის გამოც რეპუტაცია შეგელახებათ.

ზაფხული: ოჯახში კონფლიქტური სიტუაციის გამძაფრებას ერიდეთ. დახმარებას მეგობრები გაგიწევენ.

შემოდგომა: მეტი დრო დაუთმეთ იმ საქმიანობას, რაც სიამოვნებას განიჭებთ.

მოგზაურობა: მოგზაურობისთვის კარგი პერიოდია იანვარი და ოქტომბერი. იმოგზაურეთ ბელგიაში, კანადაში, უელსსა და კუნძულ სარდინიაზე.

კარიერა და ფინანსები: თებერვლის შუა რიცხვებიდან თქვენი მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდება. შესაძლოა, პრემია ან რაიმე მემკვიდრეობა მიიღოთ. მარტში ხელმძღვანელი პირების ფავორიტი გახდებით და შეგიძლიათ, ხელფასის მომატებაც მოითხოვოთ.

ქიბრგხიტი

ზამთარი: რაც მეტს იმუშავებთ, მით მეტი შემოსავალი გექნებათ.

გაზაფხული: კარგია საზღვარგარეთ მოგზაურობა. მარტში შემთხვევითი ნაცნობობა საქმიან თანამშრომლობაში გადაიზრდება.

ზაფხული: აიღეთ შვებულება და დაისვენეთ.

შემოდგომა: მეტი დრო დაუთმეთ მშობლებს. საქმიანი საბუთები იურისტთან ერთად შეადგინეთ.

მოგზაურობა: კარგი წელიწადია მოგზაურობისთვის. ამ დროს შესაძლოა, მეორე ნახევარიც კი იპოვოთ.

კარიერა და ფინანსები: უმჯობესია, ბიზნესი ქართველ პარტნიორებთან ერთად წამოიწყოთ. ნებისმიერი საბუთი, რომელზეც ხელი გექნებათ მოსაწერი, ზედმიწევნით შეისწავლეთ და იურისტთან შეათანხმეთ.

ლომი

ზამთარი: იდეების განხორციელებაში სამუშაო შეგიშლით ხელს. იზრუნეთ ჯანმრთელობაზე და თავისუფალ დროს ივარჯიშეთ.

გაზაფხული: გამარჯვების პლანეტა იუპიტერი მიზნის მიღწევაში დაგეხმარებათ.

ზაფხული: ნაკლებად იაქტიურეთ და მეტად დაისვენეთ. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახს.

შემოდგომა: აქტიური მოქმედება და საჭირო ადამიანებთან ურთიერთობა მიზნის მიღწევაში დაგეხმარებათ.

მოგზაურობა: დასვენებისთვის კარგი პერიოდია ზაფხული. იმოგზაურეთ იტალიაში, სიცილიაზე, საბერძნეთში, ესპანეთსა და ჩეხეთში.

კარიერა და ფინანსები: იანვარში კოლეგების თვალში თქვენი ავტორიტეტი გაიზრდება და ხელფასი მოგემატებათ. ნუ დაუპირისპირდებით კოლეგებს.

ქალწუდი

ზამთარი: თქვენ სხვათა პრობლემების მოგვარებას იოლად შეძლებთ. მოსალოდნელია ახალი სასიყვარულო ურთიერთობის დაწყება.

გაზაფხული: კარგი პერიოდია რომანტიკული შეხვედრების და კრუიზებისთვის.

ზაფხული: გექნებათ შინაგანი მოთხოვნილება, დაეხმაროთ ახლობლებს, რაც მოგცემთ იმ ძალასა და ენერგიას, რომელიც იდეების განხორციელებაში დაგეხმარებათ.

შემოდგომა: აიმაღლებთ რეპუტაციას. ამ პერიოდში ავტომობილის შეძენასაც შეძლებთ.

მოგზაურობა: მოგზაურობისას არაერთ სასიამოვნო აღმოჩენას გააკეთებთ. იმოგზაურეთ საბერძნეთში, გერმანიაში, შვეიცარიასა და ხორვატიაში.

კარიერა და ფინანსები: წლის პირველ ნახევარში კოლეგებთან ურთიერთობა გაუარესდება. მაისში კარიერული წინსვლა გელით. კოლეგებისგან მოსალოდნელია ღალატი, დაპირისპირება. ნებისმიერ შემთხვევაში, დელიკატურობა გამოიჩინეთ. შემოდგომაზე დამატებითი შემოსავლის წყარო გამოგიჩნდებათ.

სასწორი

ზამთარი: ოჯახში წესრიგს დაამყარებთ.

გაზაფხული: პედაგოგიური საქმიანობა წარმატებას მოგიტანთ.

ზაფხული: ივლისში შორეული მოგზაურობა განტვირთვაში დაგეხმარებათ. ინტუიციაზე დაყრდნობით იმოქმედეთ.

შემოდგომა: სასიკეთო პერიო-

დია შვილებთან და საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობისთვის.

მოგზაურობა: აქტიური დასვენება და მოგზაურობა დიდ სიამოვნებას მოგგვრით. იმოგზაურეთ ეთიოპიაში, იტალიაში, მონაკოში, ლატვიასა და ავსტრიაში.

კარიერა და ფინანსები: ივნისსა და ივლისში ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა სასიკეთოდ შეიცვლება. ოქტომბერ-ნოემბერში ფულს ნუ გაფლანგავთ.

ᲔᲛᲠᲘᲫᲘ

ზამთარი: პლანეტა მარსი კარიერულ წინსვლასა და მიზნების მიღწევაში დაგეხმარებათ. შესაძლოა, ავტომობილიც შეიძინოთ.

გაზაფხული: აპრილში ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას. მაისში ბევრ სასიამოვნო სიურპრიზს ელოდეთ.

ზაფხული: სამსახურებრივი ცვლილებები ფსიქოლოგიურ არასტაბილურობას გამოიწვევს.

შემოდგომა: მატერიალური კეთილდღეობა გელით.

მოგზაურობა: იმოგზაურეთ ბავარიაში, კორსიკაზე, უნგრეთსა და შვედეთში.

კარიერა და ფინანსები: აპრილში თქვენი რეპუტაცია თქვენ მიერვე მიღებული გადაწყვეტილების სისწორეზე იქნება დამოკიდებული. ივნისში დამატებითი შემოსავლის წყარო გამოგიჩნდებათ. შესაძლოა, სექტემბერში ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია ჩამოაყალიბოთ.

ᲔᲨᲕᲘᲫᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲘ

ზამთარი: ახლობლებთან ურთიერთობა დაგეძაბებათ. გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა.

გაზაფხული: განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეთ საოჯახო საქმეების მოგვარებას და მეტი დრო გაატარეთ საყვარელ ადამიანთან, ბავშვებთან.

ზაფხული: რთული არჩევანის წინაშე დადგებით — ოჯახი თუ კარიერა?

შემოდგომა: ერთგული მეგობრების მხარდაჭერით, ბევრ იდეას განახორციელებთ, მაგრამ უყურადღებოდ ნურც ოჯახის წევრებს დატოვებთ.

მოგზაურობა: შემოდგომაზე იმოგზაურეთ საფრანგეთში, ესპანეთსა და მალტაზე.

კარიერა და ფინანსები: თქვენი შემოსავალი თქვენსავე შრომისუნარიანობასა და ძალისხმევაზე იქნება დამოკიდებული. მაისსა და ივლისში შესაძლოა, ახლობლები მატერიალურად დაგეხმარონ. აგვისტოში შესაძლოა, პროფესიის შეცვლა მოგიხდეთ. წლის მეორე ნახევარში უძრავ ქონებაში ფულს ნუ დააბანდებთ.



ᲗᲔᲣᲠᲘ

ზამთარი: მასშტაბური პროექტების განხორციელებით იქნებით დაკავებული, რაც თქვენგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

გაზაფხული: გაიცნობთ და დაუმეგობრდებით გავლენიან ადამიანებს, რომელთა დახმარებითაც საკუთარი გეგმების განხორციელებას შეძლებთ.

ზაფხული: წლის ამ დროს საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას შეძლებთ.

შემოდგომა: გადაამოწმეთ ნებისმიერი ინფორმაცია, რათა შეცდომისგან დაზღვეული იყოთ. მიზანმიმართულად მოქმედება სასიკეთო შედეგს გამოიღებს.

მოგზაურობა: გაზაფხულსა და შემოდგომაზე საფრანგეთში, იტალიაში, ბულგარეთსა და გერმანიაში იმოგზაურეთ.

კარიერა და ფინანსები: ფრიად ხელსაყრელი პერიოდია პროფესიონალური წინსვლისთვის, რაშიც სანდო და სასარგებლო კავშირი დაგეხმარებათ. მაისსა და სექტემბერში ყველა საქმეს ერთდროულად ნუ წამოიწყებთ. აგვისტოსა და ოქტომბერში მოსალოდნელია მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და სამსახურებრივი წინსვლა.

ᲔᲗᲘᲠᲘ

ზამთარი: გულში ნუ ჩაიდებთ წყენასა და აგრესიას. უმჯობესია, საკუთარი თავი საჩუქრებით გაანებივროთ.

გაზაფხული: მოსალოდნელია საინტერესო ნაცნობობა. გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა.

ზაფხული: თქვენი ცხოვრება სიურპრიზებით იქნება სავსე.

შემოდგომა: მეტი ყურადღება გამოიჩინეთ, ფულის ფლანგვისგან თავი შეიკავეთ.

მოგზაურობა: ზაფხულში ახალ ზელანდიაში, პოლონეთსა და შვედეთში იმოგზაურეთ.

კარიერა და ფინანსები: გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. მოერიდეთ ფულის უყაირათოდ და უაზროდ ხარჯვას. დაიცავით კანონები და სიფრთხილე გამოიჩინეთ ხელისუფლების წარმომადგენლებთან ურთიერთობისას.

ᲘᲐᲕᲨᲐᲢᲘ

ზამთარი: ყოველგვარი შიშისა და ეჭვის გარეშე გამოთქვით საკუთარი იდეები და მოსაზრებები. ორიგინალური აზროვნების წყალობით რეპუტაციას გაიუმჯობესებთ.

გაზაფხული: ახლობლებთან ურთიერთობისას მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ.

ზაფხული: ივნისში მიხედეთ ჯანმრთელობას, ივლისში დაისვენეთ, ხოლო აგვისტოში საინტერესო ნაცნობობა გელით.

შემოდგომა: საკუთარ შესაძლებლობებს ახლებურად წარმოაჩენთ და წარმატებასაც მიაღწევთ.

მოგზაურობა: იმოგზაურეთ ისრაელში, ინდოეთში, ბრაზილიასა და ჩინეთში.

კარიერა და ფინანსები: წლის დასაწყისში აუდიტორიის წინაშე სიტყვით გამოსვლა მოგიწევთ. ადამიანებს თქვენ მიმართ პატივისცემის გრძნობა გაუჩნდებათ. გაიზრდება თქვენი შრომისუნარიანობა. აპრილში მატერიალურად დასაჩუქრდებით. სექტემბერში ყური უგდეთ კოლეგების აზრს. ნოემბერში მატერიალური მდგომარეობა გაგიუმჯობესდებათ. მოსალოდნელია საზღვარგარეთ სასწავლებლად ან სამუშაოდ გამგზავრება. ■

პატარები გენიოსობენ

გაზეთ „კვირის პალიტრის“ არქივიდან

რამდენი გოჭი ჰყავს თქვენს ღორს? — ეკითხება ციცინო დეიდა პატარა მაიას.

— რამდენი და ათი. მეთერთმეტე ისე დარბის, ვერაფრით დავთვალე.

4 წლის ანი გეგენავა მშობლებს წითელქუდას ამბავს უყვება:

— ჰოდა, წითელქუდამ ჰკითხა მგელს: — რატომ გაქვს, ბებო, ასეთი თვალებიო?.. — კარგად რომ დაგინახოო... — რატომ გაქვს, ბებო, ასეთი დიდი ცხვირიო?...

ანის დაავიწყდა, რატომ ჰქონდა ბებოს დიდი ცხვირი. იფიქრა, იფიქრა და „გაახსენდა“:

— რომ კარგად ვიხვრინო.

4 წლის ელდარ კბილაშვილი დედას ეხვეწება, ერთი ბავშვი გამიჩინეო. მთელი დღის მუდარის შემდეგ, არაფერი რომ არ გამოუვიდა, ბებოს სთხოვა:

— ბებო, შენ ხომ ყველაფერს მიჯერებ, შენ მაინც გამიჩინე ერთი ბავშვი.

5 წლის ნატო ჭელიძე დედას სოფლიდან თბილისში მოჰყავს. გოგონა გაჯიუტდა:

— თმას ნუ შემიკრავთ!

ბებია ეუბნება:

— ბებო, თმას თუ არ დაიწნავ, მატარებელში ტილი შეგაღოღდება...

— რომ დავიწნა, ნაწნავებში ფეხს მოიტეხს, თუ?! — დაეჭვდა ნატო.

გურიიდან თბილისში ჩამოსულმა 4 წლის მარიამ დოლიძემ რუსთაველის ძეგლი კაკო ბაბუას მიამსგავსა და გაკვირვებულმა იკითხა:

— სად ასულა აი კაკო ბაბუა?!

3 წლის სიმონ ხურციძე ეზოში, ბებოს კალთაში უზის. ბებომ ფეხზე დასკუპებული რწყილი მოკლა.

— რა მოკალი, ბებო?

— რწყილი, შვილო, — უპასუხა ბებომ.

— ბებო, მერე რატომ მოკალი? ეგ რწყილი მუხასთან მიდიოდა. ახლა ჭიანჭველას რა ეშველება?

5 წლის ზუკა სულუხიას მამიდაშვილი ელენე დანგაძე ეკითხება:

— ზუკა, რაჭაში რომ ბობიკა გყავს, კავკასიური ნაგაზია?

— არა, ჩემი ბობიკა ამბროლაურელი ნაგაზია.

5 წლის ირაკლი ხაჩირაშვილი ბებიას ეუბნება:

— ბებო, რომ გავიღვიძე, ფეხი მქონდა დაბუჟებული და შენი წნევა ხომ არ გადამედო?

როცა 6 წლის თამთა თუჯიშვილმა გაიგო, რომ მისი მასწავლებელი მამაკაცი იყო, სკოლაში სიარულზე უარი განაცხადა, მაგრამ რამდენიმე დღეში პედაგოგი ისე შეუყვარდა, რომ მშობლებს განუცხადა:

— ჩემი მასწავლებელი ისე მიყვარს, მოფერებით, მიხეილ დეიდა უნდა დავუძახო.

5 წლის „ბაადურ“ ხალიშვილის ოჯახში ინკასატორის მოსვლას ელოდებიან და მან გამორთული მრიცხველი რომ არ ნახოს, ბაადურს აფრთხილებენ:

— თუ ბაადური არ დაგიძახეს, კარი არავის გაუღო.

ცოტა ხანში ბაადურის ბებია კარზე ზარს რეკავს.

— დამიძახე „ბაადური“ და გაგიღებ! — ჩაკეტილი კარიდან უყვირის ბიჭი.

4 წლის ერეკლე როსტიაშვილმა დაკლული ცხვარი ნახა და პაპას ეკითხება:

— ეგ კომბლეს ცხვარია?

— დიახ, — უპასუხა პაპამ.

— რომ დაკალი, არ გეშინია? მოვა კომბლე და თავში კომბალს ჩაგცხებს!..

ნინო დოგრაშვილი დედას კალთაში უზის, მამაც იქვეა. ბავშვი ხმამაღლა ნატრობს:

— ნეტავ, ორი თავი მქონდეს — ერთს დედიკოს ჩავუდებდი კალთაში, მეორეს — მამიკოს.

2 წლის იკა გაბინაშვილი და ბებია სარკეში იყურებიან. ბებო ეუბნება:

— შეხედე, იკა, რა პატარა მაიმუნია სარკეში.

იკამ შეხედა თავის თავს, მერე ბებოს გახედა და ჰკითხა:

— ბებო, მეორე ვინაა, დიდი მაიმუნია?

მოამზადა **რუსუდან გელაშვილმა**



ზინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. გოზინაყი; 2. გიტარა; 3. ყური; 4. ჩიჩილაკი; 5. ავლაბარი; 6. ბუბა; 7. ბლუზი; 8. კორა; 9. გულაბი; 10. ლოდი; 11. მარმელადი; 12. გაი; 13. მამული; 14. გრიმასა; 15. ბაო; 16. ავტომობილი; 17. ლაბა; 18. ვირი; 19. მაგია; 20. მატრიცა; 21. ალილუია; 22. კალანდა; 23. ლავა; 24. ბალუ; 25. ბრიუსელი; 26. ლევი; 27. ლალი; 28. თვინიერი; 29. კიევი; 30. ურო; 31. მინუსი; 32. დასტა; 33. ხემი; 34. ლორი; 35. წუთი; 36. ლიზა; 37. საკე; 38. ელიტა; 39. დოლჩე; 40. ლილო; 41. დეუ; 42. მძიმე; 43. მუმია; 44. მედრესე; 45. იუტა; 46. ირონია.

სურათი — გზა გილოცავთ ახალ წელს.

სპეციალური კროსვორდი

გ	ვ	ა	გ	ვ	ი	ს	თ	ვ	ი	ს	ა	ო	მ	კ	ი	თ	ხ	ვ	ე	ლ	ი	ს	თ	ვ	ი	ს	ა	ო
ი	ი	ე	ნ	ე	ნ	ტ	ვ		ი	ე	დ	ვ	ო	უ	ი	ვ	ნ	ი	ი	ი	ძ	ლ	ა	ტ	ი	ა	ა	ო

შევსების წესი: **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

გ. საჭადრაკო პარტიის ისეთი დასაწყისი, როდესაც თეთრები შეტევაზე სწრაფად გადასვლის მიზნით წირავენ პაიკს ან რომელიმე სხვა ფიგურას; **ზ**. რა ჰქვია მთავარ პერსონაჟს მხატვრულ ფილმში „რაჭა ჩემი სიყვარული“; **ა*. მღვდელმთავარი; **გ*. მიწის სახნავი იარაღი; **ზ*. მტაცებელი თევზი; **ი*. ამომავალი მზის ქვეყანა; **ს*. სამეფო კვერთხი; **თ*. ვალიკო მიზანდარის მშობლიური ქალაქი; **ვ*. ... გოლდბერგი; **ი*. უშფოთველი, მშვიდი ცხოვრება; **ს*. რისიმე მოხაზულობა, აღქმული შორი მანძილიდან, ბურუსში ან სიბნელეში; **ა*. კრეტის მეფის მინოსის ასული, რომელმაც თეზევსს ჯადოსნური ძაფის გორგალი მისცა და ლაბირინთიდან თავის დაღწევაში დაეხმარა; **ო*. გოგრისგან გაკეთებული გრძელტარიანი ჭურჭელი ქვევრიდან ღვინის ამოსაღებად; **მ*. ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯას“ პერსონაჟი ქალი; **კ*. უდაბნოს ეკლიანი მცენარე; **ი*. სიქა, ღონე, არაქათი; **თ*. ხელსაწყო, რომლითაც რაიმე ზედაპირის ჰორიზონტალურობას ამოწმებენ; **ხ*. დროებით სხვას შეკედლებული ადამიანი; **ვ*. იტალიელი ფეხბურთელი; **ე*. განსწავლული ადამიანი; **ლ*. ბალტიისპირეთის სახელმწიფო, რომლის დედაქალაქია რიგა; **ი*. იაპონური მაფიის სახელწოდება; **ს*. წინასწარმეტყველი ქალი ძველ რომსა და საბერძნეთში; **თ*. ირანის დედაქალაქი; **ვ*. მალტის დედაქალაქი; **ი*. რა დარჩა პანდორას ყუთში, მას შემდეგ, რაც იქიდან შური, ბოროტება, ავადმყოფობები და სხვა მრავალი უბედურება ამოფრინდა; **ს*. პერიოდული სხდომა, რომელსაც ატარებენ წარმომადგენლობითი ორგანოები (სასამართლო, სამეცნიერო ორგნოები და ა.შ.); **ა*. ჰუნების ლეგენდარული მეფე; **ო*. თუშეთის ადმინისტრაციული ცენტრი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**ჩ*. ჩივაძე; **ვ*. ვაიმარი; **ე*. ერნესტო; **ნ*. ნაცია; **ს*. სუმატრა; **ჟ*. ჟვანია; **უ*. უელსი; **რ*. როენა; **ნ*. ნიჭი; **ა*. აბრაგი; **ლ*. ლაიმა; **თ*. თასმა; **ა*. აკიმი; **ნ*. ნოსტე; **ე*. ენდემი; **რ*. რეიგანი; **თ*. თოდუა; **ა*. ანხელი; **დ*. დრაქმა; **ა*. აზნაური; **რ*. როსინი; **მ*. მონტეგი; **ო*. ონასისი; **ი*. იანძი; **წ*. წნორი; **ყ*. ყიბლანა; **ე*. ეუსებიო; **ნ*. ნოე.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:

ვინც მალე ჭრის, ის დიდხანს ნანოვსო

იაპონური სენსაცია სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

6	7	3	5	9	4	2	1	8
2	9	8	3	7	1	5	4	6
1	4	5	6	8	2	3	7	9
8	3	2	9	1	5	7	6	4
9	6	1	4	2	7	8	3	5
7	5	4	8	6	3	9	2	1
4	2	7	1	5	8	6	9	3
5	1	9	7	3	6	4	8	2
3	8	6	2	4	9	1	5	7

6	4	2	7	1	8	3	5	9
7	9	5	2	3	4	8	6	1
3	8	1	9	6	5	7	4	2
1	2	6	4	9	3	5	7	8
9	5	8	6	7	1	2	3	4
4	7	3	5	8	2	9	1	6
5	6	4	8	2	7	1	9	3
2	1	9	3	5	6	4	8	7
8	3	7	1	4	9	6	2	5

7	3	9	2	8	6	5	4	1
1	8	2	5	3	4	6	7	9
6	5	4	7	1	9	8	3	2
9	6	5	1	7	3	2	8	4
3	4	1	9	2	8	7	5	6
2	7	8	6	4	5	1	9	3
5	9	7	3	6	2	4	1	8
4	2	3	8	5	1	9	6	7
8	1	6	4	9	7	3	2	5

* მარტივი

					7		3	
4					2	9		
8				9				5
2					5	7		
		1			3	4		
		7	4		6			9
9				6				2
		8	7					1
	3		5					

** საშუალო

7		4		8		3		2
	6				7		8	
		1	5	6		9		
2					3		4	
	9	8	1		5	7	2	
	7				9			8
		9		5	4	8		
	4		3				5	
5		6		1		4		7

*** რთული

	4		9		8	6	1	
		5			3	9		
7	6				4	5		
4		1	3					8
		3		2	1	7		
5			6			3		1
		7	4				3	2
		4	5			8		
	3	6	1		2		5	

ფოტოკუთხეები

b208/46

2010 வரவு செலவுத் திட்டம்

2010 வரவு செலவுத் திட்டம் - வரவு செலவு

எமது அனுமதியின்றி எதையும் பிரதிபண்ணுதல் தவிர்க்கப்படுகிறது.